ჟან ჟაკ რუსო

მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ

გამომცემლობა
Carpe diem

თბილისი 2009

Jean Jacques Rousseau

**Discours sur l'origine
et les fondements de l'inégalité
parmi les hommes**

ჟან ჟაკ რუსო

**მსჯელობა ადამიანთა შორის
უთანასწორობის დასაბამისა და
საფუძვლების შესახებ**

თარგმანი ფრანგულიდან
დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია

სამეცნიერო რედაქტორი
დემურ ქერქაძე

რედაქტორი
ლამარა რამიშვილი

გამომცემელი ალექსანდრე ალადაშვილი

Traduction géorgienne par
Dodo Laboutchidzé-Khopéria

Publié sous la direction de
Demour Kerkadzé

Rédactrice
Lamara Ramichvili

Editeur: **Alexander Aladashvili**

© ქართული თარგმანი დ. ლაბუჩიძე-ხოფერია

პირველი ქართული გამოცემა, 2009

© გამომცემლობა Carpe diem

ISBN 978-9941-0-1550-2

სარჩევი

წინათქმა 7

ჟენევის რესპუბლიკას..... 13

შესავალი..... 33

დიჟონის აკადემიის მიერ შეთავაზებული
კითხვა, ავტორის გაფრთხილება..... 43

მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწო-
რობის დასაბამისა და საფუძვლების
შესახებ 44

პირველი ნაწილი 49

მეორე ნაწილი.....103

შენიშვნები 164

საძიებელი 233

წინათქმა

ევროპული აზროვნების ისტორიაში, „განმანათლებლობა, ასე ვთქვათ, ბურჟუაზიული ეპოქის ჰუმანიზმია“[1], რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, სოციოლოგიურ, ესთეტიკურ, პედაგოგიურ აზროვნებაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე.

ეს პროგრესული იდეოლოგია კლასიკური სახით ჩამოყალიბდა საფრანგეთში; იგი ორიგინალურად აისახა „თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა ქომაგის“ ჟან ჟაკ რუსოს (1712-1778) შემოქმედებაში. „აზროვნების ისტორია იცნობს ადამიანებს, რომლებიც გამოთქვამენ ერთი შეხედვით მოულოდნელ, უცნაურ, პარადოქსულ აზრებს და თითქოს უხვევენ გაკვალული გზიდან. მერე აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათ შეუმჩნევიათ ისეთი რამ, რაც ადრე შემჩნეული არ იყო და ჩვენს აზროვნებას აიძულებენ უფრო ღრმად, საფუძვლიანად და მრავალმხრივ იკვლიოს პრობლემები. მაგალითისათვის დავასახელებდი ჰერაკლიტეს ან

---

[1] მ. გოგიბერიძე, *მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემები მარქსამდე*, რჩეული ფილოსოფიური თხზულებები, თბილისი, 1971.

ნიცშეს. XVIII საუკუნეში ასეთი გახლდათ ჟან ჟაკ რუსო"[2].

რუსოს „ქარიშხლიანმა გენიამ, მისმა მხურვალე მჭევრმეტყველებამ, მისმა სიძულვილმა ცივილიზაციისადმი, რომელიც ბადებდა ჩაგვრასა და ძალადობას, მისმა ძახილმა ბუნებისაკენ, ზნეთა პირველი სისპეტაკისაკენ [...] ქვეყნის განმაახლებელ ურაგანად, მარსელიოზის ხმებით, გადაიგრიალა საფრანგეთზე"[3]. არ დარჩენილა არც ერთი ბევრად თუ ნაკლებად დიდი მოაზროვნე, მწერალი, პუბლიცისტი, რომელსაც არ აღენიშნოს რუსოს უდიდესი დამსახურება აზროვნების ისტორიაში; შელის თქმით, იგი „გენიის მწვერვალი" იყო; ლესინგმა მას „შეუპოვარი ბრძენკაცი" უწოდა, შილერმა „ქრისტესმიერი პიროვნება, ვისთვისაც მხოლოდ ზეციურ ანგელოსთა შორის იყო ადგილი"; კანტი აღიარებდა: „ხალხის სიყვარული ჟენეველმა ფილოსოფოსმა მასწავლაო"; გოეთემ რუსოს „ახალ ელოიზას" ბუნების სახარება უწოდა.

ფრანგულ განმანათლებლობას თავისი მიმდევრები საქართველოშიც ჰყავდა. სახელდობრ, რუსოს გავლენა ეტყობა დავით ბაგრატიონის (1767-1819) წიგნს „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა", მის თხზულებას „ახალი შიხი" და ალ. ჭავჭავაძის (1786-1846) ზოგიერთ ლექსსაც. 1800 წელს, მეფე ერეკლე მეორის უმცროსმა ვაჟმა

---

[2] თ. ბუაჩიძე, რუსო, *საზოგადოებრივი ხელშეკრულება*, წინასიტყვა, გვ. 8, თბილისი, 1997.
[3] გ. ტაბიძე, ტ. 12, თბილისი, 1975, გვ. 574.

ფარნაოზ ბაგრატიონმა (1772-1852) გადმოიღო „ჰაზრნი ჟან ჟაკ რუსოსი სხვადასხვა საგანთათვის“, რომელშიც მოცემულია რუსოს შეხედულებები ღმერთის, სინდისის, სათნოების, კეთილმოქმედებისა და ა.შ. შესახებ. 1822-24 წლებში დავით ციციშვილმა ქართულად თარგმნა რუსოს ერთ-ერთი ტრაქტატი: „ხელი შეუწყო თუ არა მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინებამ ზნე-ჩვეულებათა განწმენდას“. რუსოს ნაწერების გამო ჩვენში წერდნენ და მსჯელობდნენ: ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე (რუსოს „აღსარება“ ილიას სამაგიდო წიგნი გახლდათ), ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ი. მაჩაბელი, თ. სახოკია, ნ. ხიზანიშვილი, გ. ქიქოძე, კ. გამსახურდია, შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, მ. გოგიბერიძე, ლ. ასათიანი და სხვები.

ეპოქის სულისკვეთების ამსახველი აქტუალური სოციალური საკითხების – საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და სამოქალაქო საზოგადოების რაობა, სამოქალაქო და ბუნებითი თავისუფლება, იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა, დემოკრატიული მმართველობის არსი, ხელისუფლებათა განაწილების მიზანი დემოკრატიულ სახელმწიფოში და ა.შ. – შესახებ თავის შეხედულებათა მთელი სისტემა რუსომ ჩამოაყალიბა მცირე მოცულობის ტრაქტატებში: „მსჯელობა მეცნიერებასა და ხელოვნებაზე“ (1750), „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ“ (1755), „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (1762), რომლე-

ბიც, მოგვიანებით, აზრის ისტორიაში რუსოიზმის სახელით შევიდა. სწორედ აღნიშნულ ტრაქტატთა ავტორობის საფუძველზე უწოდა ფრანგული სოციოლოგიის ფუძემდებელმა ემილ დიურკემმა რუსოს „სოციოლოგიის წინამორბედი".

წინამდებარე ნაშრომი რუსომ დაწერა დიჟონის აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის პასუხად და მასში ჩამოაყალიბა საზოგადოებაში უთანასწორობის გაჩენის მიზეზები. მისი აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანები თავისუფალნი, კეთილნი, პოლიტიკურად თანასწორნი არიან, არ არსებობს ბატონი – მჩაგვრელი, არ არსებობს მონა – ჩაგრული. პოლიტიკური უთანასწორობის მთავარ მიზეზად მას კერძო საკუთრების წარმოშობა მიაჩნია. „ის პირველი, ვინც მიწის ნაკვეთი შემოღობა და აზრად მოუვიდა ეთქვა: *ეს ჩემიაო,* შემდეგ კი ამ სიტყვების დამჯერი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები იპოვა, სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი შემქმნელი იყო. რამდენი ბოროტი ქმედების, ომის, მკვლელობის, გაჭირვებისა და საშინელებისაგან ვერ იხსნა ადამიანთა მოდგმა მან, ვინც, პალოების ამოთხრითა თუ ორმოების ამოვსებით, თავის მსგავსთ ყვირილით შესძახა: „ნუ მოუსმენთ ამ მატყუარას, დაიღუპებით, თუ დაივიწყებთ, რომ მიწის ნაყოფი ყველასი, მიწა კი არავისია". მაგრამ დიდად საალბათოა, ვითარება უკვე იმ ზღვრამდე იყო მისული, რომ ძველებურად გაგრძელება აღარ შეიძლებოდა".

ადამიანის ბუნებითი მდგომარეობა (status naturalis) და მისი კონტრასტული – სამოქალაქო მდგომარეობა (status civilis) ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსების (პლატონი, არისტოტელე, სოფისტები) რეფლექსიის საგანი იყო. რომაელმა იურისტებმა საგანგებოდ გამიჯნეს ბუნებითი სამართალი ხალხთა სამართლისა და ცივილური სამართლისაგან. ულპიანეს თანახმად, „ბუნებითი სამართალი ისეთი სამართალია, რომელიც თავად ბუნებამ დაუწესა ყველა სულიერს: ადამიანთა მოდგმას, ხმელეთისა თუ წყლის ბინადარ ცხოველს და ფრინველს. ბუნებითი სამართალი მოიცავს ჩვენში ქორწინებად წოდებულ მამაკაცისა და ქალის კავშირს, ბავშვთა შობასა და აღზრდას. ჩვენ იმის მოწმეც კი ვართ, რომ ბუნებით დადგენილ მიმართებებს ცხოველებიც, მათ შორის გარეული ცხოველებიც, ავლენენ“.[4]

შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი ღვთიური კანონის სახესხვაობად მიაჩნდათ (თომა აკვინელი); XVII საუკუნიდან ბუნებითი სამართლის საკითხებს განიხილავდნენ გროციუსი, ვოლფი, პუფენდორფი, სპინოზა, ლოკი, ჰობსი. ბუნებითი სამართლის თაობაზე რუსოს ჰიპოთეზა სხვაობს ხსენებულ მოაზროვნეთა შეხედულებებისაგან; თუ ჰობსის თანახმად, „ბუნებითი მდგომარეობა ესაა ყველას ომი ყველას წინააღმდეგ [...] ადამიანი ადამიანისათვის მგელია“, რუსო საპირისპირო

---

[4] იუსტინიანე, *დიგესტები*, I,1, §3.

აზრისაა: იგი ბუნებას ეთაყვანება. მონტესკიეს დარად, რუსოს მიზანია „ადამიანი განიხილოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც წინ უსწრებს საზოგადოების წარმოშობას“[5] და საზოგადოების ევოლუციის კვალობაზე წარმოაჩინოს ადამიანთა შორის პოლიტიკური უთანასწორობის დასაბამის საფუძვლები. მოვლენათა ევოლუციაში იგი ცდილობს იმ მომენტის დადგენას, როდესაც „ბუნება კანონს დაექვემდებარა“. მაღალი მეცნიერული ღირებულების მიუხედავად, ნაშრომს პრემია არ მოჰყოლია, სამაგიეროდ ავტორის პოპულარობა გაიზარდა.

ჟან ჟაკ რუსოს „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ“ პირველი თარგმანია ქართულ ენაზე; იგი შესრულებულია ფრანგული დედნიდან **J.J Rousseau,** ***Discours sur l'origine et les fondements de l'inégalité parmi les hommes,*** **Paris, Hachette Livre, 1997.**

მთარგმნელი

---

[5] მონტესკიე, *კანონთა გონი,* თბილისი, 1994, I, თ. II. გვ. 33.

მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ

ჟენევის რესპუბლიკას

დიდებულო, უზენაესო და უაღრესად პატივცემულო ბატონებო!

ჩემი რწმენით, სამშობლოსათვის ჯეროვანი პატივის მიგება მხოლოდ ქველ მოქალაქეს მართებს; ამ იმედით უკვე ოცდაათი ნელია, რაც თქვენდამი პატივისცემის საჯაროდ განცხადების უფლების მოსაპოვებლად ვიღწვი; ნაწილობრივ ამ ბედნიერმა შემთხვევამ* შეასხა ხორცი იმას, რაც ჩემმა ძალისხმევამ ვერ შეძლო. დავიჯერე, რომ წინამდებარე ნაშრომში უმალ ჩემი შთამაგონებელი გულმოდგინებით ხელმძღვანელობას შევძლებდი, ვიდრე საამისოდ ნების დამრთველი უფლებით. ბუნებით დაწესებული თანასწორობისა და თავად ადამიანთა მიერ დადგენილი უთანასწორობის შესახებ მედიტაციისას, შემეძლო კია მე, ვისაც თქვენს შორის დაბადების ბედნიერება ხვდა წილად, არ მეფიქრა იმ დიდ გონიერება-

---

* წინამდებარე „მსჯელობის...“ გამოქვეყნებამ.

ზე, რომლის თანახმად, ერთიცა და მეორეც (ბუნებით დაწესებული თანასწორობა და ადამიანთა მიერ დადგენილი უთანასწორობა) ასე წარმატებით ეთანადება ბუნების კანონს და ყველაზე მეტად უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგსა და კერძო პირთა ბედნიერებას ჟენევის რესპუბლიკაში? მართვის სტრუქტურის თაობაზე იმ საუკეთესო მაქსიმათა ძიებისას, რომელთა შთაგონებაც ძალუძს საღ აზრს, დიდად გავვოცდი, როდესაც თქვენი ქვეყნის მმართველობაში ყველა მათგანი განხორციელებული შევნიშნე. თქვენი ქვეყნის წიაღში რომც არ ვშობილიყავი, მაინც გავირჯებოდი ყველა ხალხისათვის ადამიანთა საზოგადოების იმ ნიმუშის შესათავაზებლად, რომელიც, ჩემი აზრით, იმდენად დიდ უპირატესობებს ფლობს, რომ შეუსაბამობათა აღკვეთა ყველაზე უკეთ შეძლო.

დაბადების ადგილის არჩევანი რომ ჩემი ნება ყოფილიყო, ავირჩევდი კარგი მმართველობის მქონე ქვეყანას ანუ ისეთს, რომლის სიდიდეც ადამიანის უნართა შესაბამისად იქნებოდა ზღვარდებული, სადაც ყველა კმაყოფილი იქნებოდა თავისი მოვალეობის აღსრულებით და არავინ იქნებოდა იძულებული, საკუთარი ფუნქციები სხვისთვის დაეკისრებინა. სახელმწიფოში, სადაც ყველა ერთმანეთის ნაცნობი იქნებოდა, საზოგადოების მზერასა და მსჯავრს ვერც მანკიერებათა შავბნელი ხრიკები გამოეპარებოდა და ვერც სათნოებათა მოკრძალება, ხოლო, ურთიერთნაცნობობისა და ერთმანეთთან შეხვედრის სასიამოვნო

ჩვეულების გამოისობით მოქალაქეთა სათაყვანებელ საგნად მოგვევლინებოდა არა კონკრეტული მინის, არამედ სამშობლოს სიყვარული.

მსურდა დავბადებულიყავი ისეთ ქვეყანაში, სადაც სუვერენსა და ხალხს ერთი ინტერესი ექნებოდა, სახელმწიფო მანქანის ყველა ქმედების მიზანი კი მუდამ საერთო ბედნიერებაზე ზრუნვა იქნებოდა; ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ხალხი და სუვერენი ერთი პირია. ასე რომ, ვისურვებდი ვშობილიყავი გონივრულად ზომიერი დემოკრატიული მმართველობის მქონე ქვეყანაში.

მსურდა თავისუფლებაში სიცოცხლე და სიკვდილი, ანუ იმდენად კანონმორჩილს, რომ არავის, არც მე და არც სხვას, არ შეძლებოდა ხელყოფა იმ საპატიო და კეთილისმყოფელი უღლისა, რომელსაც ყველაზე ამაყი ადამიანები – არც ერთ სხვა უღელს რომ არ თანხმდებიან – თვინიერად ატარებენ.

ამრიგად, ვისურვებდი, რომ სახელმწიფოში არავის შეძლებოდა კანონზე მაღლა თავის დაყენება და გარედან თავს მოხვევა ისეთი კანონისა, რომლის ცნობაც მას (სახელმწიფოს) მოუწევდა. მმართველობის ფორმის მიუხედავად, თუ სახელმწიფოში მოიძებნება თუნდაც ერთი არაკანონმორჩილი ადამიანი, ყველა დანარჩენი უცილობლად მისი თვითნებობის ტყვეა[1]; თუ სახელმწიფოში, ნაციონალური ლიდერის თანადროულად, ერთი სხვა, უცხოელი ლიდერიცაა, როგორადაც არ უნდა გაიყონ მათ ძალაუფლება, ორივესადმი ერთგვარი

მორჩილება და სათანადო დონეზე სახელმწიფოს მართვა შეუძლებელია.

რაოდენ კარგიც არ უნდა ყოფილიყო ახალი ინსტიტუციის მქონე რესპუბლიკის კანონები, იქ ცხოვრებას არ ვისურვებდი, იმის შიშით, რომ სხვაგვარად ფორმირებულ მმართველობას – შესაძლოა, არასათანადოს მოცემული მომენტისთვის, შეუსაბამოს ახალი მოქალაქეებისათვის, ან პირუკუ – ახალი მმართველობისათვის შეუფერებელ მოქალაქეებს – თითქმის დასაბამიდანვე სახელმწიფოს რყევა და ნგრევა არ გამოეწვია. ყუათიანი და გემრიელი საკვების, ანდა მაგარი ღვინის მიღება იმ ძლიერი ადამიანების საზრდოდ და გასაღონიერებლადაა ვარგისი, ვისაც მათი მიღება ჩვევად აქვთ; მიუჩვეველთ, უძლურებსა და უძალოებს კი ამძიმებს და ათრობს. თავისუფლების მიმართაც იგივე ითქმის: ბატონებს ჩვეულ ხალხს მათ გარეშე გაძლება აღარ ძალუძს, უღლის გადაგდების მცდელობა კი უფრო მეტად აშორებს თავისუფლებას, რადგან ასეთად მისი საპირისპირო რამ – თავაწყვეტილი გზნება მიაჩნია; რევოლუციები კი თითქმის ყოველთვის უღირს და მაცდურ პირთა ხელში აგდებს ხალხს, რითაც მხოლოდ ხუნდებს უმძიმებს. იმთავითვე საკუთარი თავის სამართავად არც ტარკვინიუსების*. ჩაგვრისაგან თავდახსნილი რომაელი ხალხი – ყველა თავისუფალი ხალხის ეს ნიმუში – ყოფილა

---

*ქ.ნ.509 წელს ტახტიდან ჩამოაგდეს რომის ბოლო მეფე ტარკვინიუს ლუციუს სუპერბუსი და მეფის ძალაუფლება დაამხეს.

მზად. თავდაპირველად ეს იყო იძულებით თავს მოხვეული მონური ყოფითა და უღირსი შრომით დამცირებულ მდაბიოთა ბრბო, რომლის შემზადება და მართვა უდიდეს გონიერებას საჭიროებდა, რათა თავისუფლების კეთილისმყოფელი ჰაერით სუნთქვას თანდათანობითი შეჩვევით, ტირანიით გაშმაგებულ ან უმალ ცხოველის დონემდე დაცემულ სულებს ნაბიჯ-ნაბიჯ შეეძინათ ზნეთა ის სიმკაცრე და ვაჟკაცობის თანამდევი სიამაყე, რამაც, საბოლოოდ, რომაელები ყველა ხალხთაგან ყველაზე პატივსაცემად აქცია. ასე რომ, სამშობლოს ძიებისას შევეცდებოდი შემერჩია ის ბედნიერი და მშვიდი რესპუბლიკა, რომლის სიძველეც, ერთგვარად, ჟამთა წყვდიადში იკარგება და რომელიც მხოლოდ სამიზნე იყო ისეთი დარტყმებისა, რომელთაც ნათელყვეს და განამტკიცეს მის მკვიდრთა ვაჟკაცობა და სამშობლოს სიყვარული; სადაც ოდითგანვე გონივრულ დამოუკიდებლობას ჩვეული მოქალაქეები არა მხოლოდ თავისუფალნი, არამედ ასეთად (თავისუფლად) ყოფნის ღირსნი იყვნენ.

მსურდა ამერჩია ისეთი სამშობლო, რომლისთვისაც უცხო იქნებოდა დაპყრობათა მძაფრი ჟინი, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით კიდევ უფრო მეტად დაცულს კი, არც სხვა სახელმწიფოს მიერ დაპყრობის შიში ექნებოდა; მრავალ ხალხთა შორის მდებარე ისეთი თავისუფალი ქალაქი, რომლის დამონებითაც არათუ არც ერთი მათგანი არ იქნებოდა დაინტერესებული, არამედ თითოეულის ინტერესი სხვებისთვის მისი და-

მორჩილების აკრძალვა იქნებოდა; ერთი სიტ-
ყვით, ისეთი რესპუბლიკა, რომელიც საერ-
თოდ არ ეცდებოდა მეზობელ სახელმწიფოთა
პატივმოყვარეობის აღძვრას, საჭიროების
შემთხვევაში კი მათი დახმარების გონივრული
იმედი ექნებოდა. აქედან გამომდინარე, ესო-
დენ ბედნიერი მდებარეობის წყალობით, მას
მხოლოდ საკუთარი თავის შიში თუ ექნებოდა;
სამხედრო საქმეში დახელოვნებას მისი მოქა-
ლაქეები უმალ საკუთარ წიაღში იმ საბრძოლო
გზნებისა და ვაჟკაცური სიამაყის შესანარჩუ-
ნებლად მოიმარჯვებდნენ, ესოდენ კარგად
რომ ეთანადება თავისუფლებას და მისდამი
სიყვარულს იმ იმედით ასაზრდოებს, რომ აუ-
ცილებლობის შემთხვევაში მას თავდაცვის
მიზნით გამოიყენებდნენ.

შევეცდებოდი მომეძია ისეთი ქვეყანა, სა-
დაც კანონთა გამოცემის უფლება ექნებოდა
ყველა მოქალაქეს; მათზე უკეთ ვის ეცოდინე-
ბა, რა პირობებში მართებთ ერთ საზოგადოე-
ბად ცხოვრება? მაგრამ არ ვისურვებდი მათ
ჰქონოდათ რომაელთა მსგავსი პლებისციტე-
ბი, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის კე-
თილდღეობის განმსაზღვრელი გადაწყვეტი-
ლებების მიღებისას, სახელმწიფოს შენარჩუ-
ნებით ყველაზე მეტად დაინტერესებულ პირ-
თა და ქვეყნის მეთაურთა მონაწილეობას გა-
მორიცხავდა; ხოლო რაღაც უგუნური კაპრი-
ზის გამო მაგისტრატები მოკლებულნი იყვნენ
იმ უფლებებს, რითაც რიგითი მოქალაქეები
სარგებლობდნენ.

პირიქით, ვისურვებდი, რომ საკუთარი ფანტაზიით ახალი კანონების შეთავაზება, ანგარებიანი და ცუდად გააზრებული ზრახვებისა თუ სახიფათო ინოვაციების შესაჩერებლად (ბოლოს ათენელები რომ დაღუპეს), არ შეძლებოდა ყოველ ადამიანს; ასეთი უფლება ჰქონოდათ მხოლოდ მაგისტრატებს და მათაც სათანადო წინდახედულებით გამოეყენებინათ იგი; თავის მხრივ, ხალხიც თავშეკავებული ყოფილიყო, რათა მაგისტრატთა მიერ შეთავაზებულ კანონებზე თანხმობის მიცემა არ ეჩქარა და კანონთა რატიფიკიაციაც შესაბამისი ფორმალობის დაცვით განეხორციელებინა; სახელმწიფო წყობის შერყევამდე მოქალაქეებს საკმაო დრო ჰქონოდათ იმაში დასარწმუნებლად, რომ კანონთა სიწმინდესა და მათდამი პატივისცემას ყველაზე მეტად მათივე ხანდაზმულობა უზრუნველყოფს; ხალხი მალევე არად აგდებს იმ კანონებს, ყოველდღიურად მის თვალწინ რომ იცვლება; ძველ ჩვეულებათა უგულვებელყოფას მიჩვეული ადამიანები, უკეთესის შექმნის საბაბით, ხშირად, მცირე ბოროტმოქმედებათა გამოსასწორებლად უფრო დიდ ბოროტებებს ამკვიდრებენ.

საგანგებოდ მოვერიდებოდი (როგორც უცილობლად ცუდად მართულს) ისეთ რესპუბლიკას, სადაც ხალხი – დარწმუნებული, რომ მაგისტრატთა გარეშეც იოლად ძალუძს გასვლა, ანდა მათ მხოლოდ სუსტი ძალაუფლება უნდა მიენიჭოს – კეთილგონიერების საპირისპიროდ, სამოქალაქო საქმეთა მართვისა და კანონთა აღსრულების უფლებას თავად

დაინარჩუნებდა. ასეთი უნდა ყოფილიყო უშუალოდ ბუნებრივი მდგომარეობიდან აღმოცენებულ პირველ მმართველობათა ფორმა; ეს იყო ერთ-ერთი იმ ნაკლთაგანიც, ათენის რესპუბლიკის დაღუპვის მიზეზი რომ შეიქნა.

ავირჩევდი ისეთ რესპუბლიკას, სადაც კერძო პირები კანონებისათვის სანქციის მიცემას დასჯერდებოდნენ; მმართველთა მოხსენების შემდეგ საქვეყნო საქმეებზე ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ერთობლივად მიიღებდნენ, დააფუძნებდნენ რა პატივსაცემ ტრიბუნალებს, რომელთაგანაც საგულდაგულოდ გამიჯნავდნენ სხვადასხვა დეპარტამენტს; სამართლის განსახორციელებლად და სახელმწიფოს სამართავად თანამოქალაქეთაგან ყოველწლიურად აირჩევდნენ ყველაზე უნარიანთ და მოუსყიდავთ; მაგისტრატთა სიქველე ხალხის გონიერების დასტური იქნებოდა, შესაბამისად, ერთნიც და მეორენიც პატივს სცემდნენ ერთმანეთს. ოდესმე საზოგადოების თანხმობას დამღუპველი უთანხმოებები თუ შეარყევდა, სიბეცისა და ცდომილებების ასეთი პერიოდები აღბეჭდილი იქნებოდა ზომიერებით, ურთიერთღირსების გრძნობით და კანონებისადმი საყოველთაო პატივისცემით; ყოველივე აღნიშნული კი გულწრფელი და ხანგრძლივი შერიგების საწინდარი და თავდები იქნებოდა.

ასეთია დიდებულო, უზენაესო და უაღრესად პატივცემულო სუვერენებო, ის უპირატესობები, რომელთაც ვისურვებდი ჩემთვის არჩეულ სამშობლოში; და თუ პროვიდენცია მას

ხელსაყრელი მდებარეობით, ზომიერი ჰავით, ნოყიერი ნიადაგითა და ულამაზესი ბუნებითაც (რაც კი შესაძლებელია არსებობდეს ცის ქვეშეთში) დააჯილდოვებდა, სრული ბედნიერებისათვის მხოლოდ ყველა ამ სიკეთით ტკბობასღა ვისურვებდი. ასეთი ბედნიერი სამშობლოს წიაღში, მშვიდად ვიცხოვრებდი თანამოქალაქეთა უშფოთველ საზოგადოებაში; მათი მიბაძვით, მეც მათდამი კაცთმოყვარეობასა და მეგობრობას გამოვიჩენდი და ყველა სათნოებას გამოვავლენდი; ჩემს შემდეგ კი კარგი ადამიანის, წესიერი და ქველი პატრიოტის ღირს ხსოვნას დავტოვებდი.

ნაკლებად ბედნიერს, ან ძალზე გვიან დაბრძენებულს, უბადრუკი და უღიმღამო კარიერის დასრულება სხვა ჰავის პირობებში თუ მომიწევდა, ამაოდ ვინანებდი წინდაუხედავი ახალგაზრდობით აღკვეთილ სიმშვიდესა და მშვიდობას, საკუთარ ქვეყანაში ჩვევად ვერქცეული გრძნობებით მწირად ნასაზრდოებ სულს; შორეული თანამოქალაქეებისადმი ხალასი სიყვარულითა და უანგარო გრძნობით გამსჭვალული, მათ მივმართავდი დაახლოებით ასეთი გულითადი მსჯელობით:

„ძვირფასო თანამოქალაქენო, ან უმალ, ჩემო ძმებო! კანონთა დარად, რაკი სისხლისმიერი კავშირები ჩვენ თითქმის ყველას გვაერთიანებს, ჩემთვის სასიამოვნოა, რომ თქვენზე ფიქრისას იმავდროულად გამიელვებს აზრი ყველა იმ სიკეთეზეც, რითაც ხარობთ და, შესაძლოა, ჩემზე უკეთ (რომელმაც ეს სიკეთენი დავკარგე) ვერც ერთი თქვენგანი

ვერ გრძნობს მათ ფასს. რაც უფრო მეტს ვფიქრობ თქვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობასა და სამოქალაქო პირობებზე, უკეთესთა წარმოდგენა – ადამიანთათვის ნიშანდობლივი ბუნების გამო – მით ნაკლებ დასაშვებად მიმაჩნია. როდესაც საქმე ეხება ყველაზე დიდი სიკეთით სახელმწიფოს უზრუნველყოფას, ყველა სხვა სახის მმართველობაში საკითხი იდეის დონეზე გეგმებითა და, სულ დიდი, მათი მიღწევის შესაძლებლობის იმედით იფარგლება. თქვენი ბედნიერება იმდენად მყარია, რომ მისით ტკბობაღა გმართებთ, სრული ნეტარებისთვის კი მხოლოდ იმის ცოდნა, რომ საკუთარ ბედნიერებას დასჯერდეთ. შეძენილმა თუ მახვილით მოპოვებულმა თქვენმა სუვერენიტეტმა – ორი საუკუნის მანძილზე ღირსებითა და სიბრძნით შენარჩუნებულმა, საბოლოოდ, სრული და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. სათანადო ხელშეკრულებებით დადგენილია თქვენი მოქმედების საზღვრები, განსაზღვრულია თქვენი უფლებები და უზრუნველყოფილია თქვენი სიმშვიდე. უმაღლესი გონიერებით ნაკარნახევი თქვენი სახელმწიფოს ჩინებული წყობა დაცულია მეგობარი და პატივსაცემი სახელმწიფოების მიერ; არც ომის შიში უნდა გქონდეთ და არც დამპყრობლებისა; თქვენი მმართველები თავად თქვენ მიერვე შექმნილი ბრძნული კანონებია, რომელთაც ასევე თქვენ მიერ არჩეული მოუსყიდავი მაგისტრატები ახორციელებენ; არც ისე მდიდრები ხართ, რომ, ფუფუნებით გასათუთებულებს, ფუჭი სიამოვნებებით ჭეშმარიტი ბედნიერებისა და

ნამდვილი სათნოებებისადმი ლტოლვის სურვილი დაგეკარგოთ, და არც ისე ღარიბები, რომ, თქვენივე მრეწველობის პროდუქციით უზრუნველყოფილნი, უცხო ქვეყნების დიდ დახმარებას საჭიროებდეთ; ასეთი ძვირფასი სიკეთის, საკუთარი თავისუფლების დაცვა – დიდი ერები უზომოდ მაღალი გადასახადების ფასად რომ ინარჩუნებენ – თქვენ თითქმის არად გიღირთ".

„დაე, მუდამ იარსებოს ესოდენ გონივრული და ბედნიერი წყობის მქონე რესპუბლიკამ, საკუთარ მოქალაქეთა საკეთილდღეოდ და ხალხთა ნიმუშად! აი, ერთადერთი სურვილი და საზრუნავი, რაც თქვენ გმართებთ. ამიერიდან თქვენი ვალია არა საკუთარი ბედნიერების შექმნა (ეს თქვენმა წინაპრებმა ითავეს და გარჯა აგარიდეს), არამედ გონივრული ქცევით მისი გახანგრძლივება. თქვენი მდგომარეობის შენარჩუნება თქვენსავე ერთსულოვნებაზე, კანონთა მორჩილებასა და მათ აღმსრულებელთა პატივისცემაზეა დამოკიდებული. თუ თქვენში კვლავაც შემორჩენილია ბრაზისა თუ უნდობლობის მცირედი მარცვალიც კი, იჩქარეთ მისი განადგურება, როგორც დამღუპველი ჩანასახისა; ადრე თუ გვიან მას შედეგად თქვენი უბედურებები და სახელმწიფოს ნგრევა მოჰყვება. გაფიცებთ, ჩაიხედეთ გულის სიღრმეში და ყური მიუგდეთ თქვენივე სინდისის იდუმალ ხმას. ეგულება კია რომელიმე თქვენგანს თქვენი მაგისტრატურის კორპორაციის სადარი სხვა, უფრო მოუსყიდავი, განათლებული, პატივსაცემი სახელმწიფო

კორპუსი მსოფლიოში? მისი ყოველი წევრი ხომ ზომიერების, ზნეთა სისადავის, კანონთა პატივისცემისა და ყველაზე წრფელი მშვიდობისმოყვარეობის მაგალითს გაძლევთ? მოდით, ესოდენ ბრძენ მმართველებს უყოყმანოდ მიანდეთ ის კეთილისმყოფელი ნდობა, გონიერებას სიქველის მიმართ რომ მართებს; გახსოვდეთ, ისინი თქვენი არჩეულნი არიან, ამ ნდობას ამართლებენ; თქვენ მიერ ძალაუფლებით აღჭურვილთადმი მართებული პატივი თქვენზედაც უცილობლად გავრცელდება. თქვენს შორის არ მოიძებნება ისეთი მნირად განათლებული ადამიანიც კი, რომელსაც არ ეცოდინება: სადაც კანონები ძალას, მათი აღმსრულებლები კი ავტორიტეტს კარგავენ, იქ შეუძლებელია ვინმე უსაფრთხოდ და თავისუფალი იყოს. სხვა რა მოგეთხოვებათ, თუ არა მხოლოდ კეთილსინდისიერად და ერთგულად იმის კეთება, რასაც ჭეშმარიტი ინტერესი, მოვალეობა და გონება მუდამ გაიძულებდათ? დაე, წყობის შემარყეველი, დანაშაულის ტოლფასი და დამლუპველი გულგრილობა ნურასოდეს გიბიძგებთ თქვენგან ყველაზე განათლებულთა და გულმოდგინეთა გონივრული აზრების საჭიროების უგულვებელყოფისაკენ, რათა ამით სახელმწიფოს შენარჩუნებას საფრთხე არ შეექმნას. დაე, სამართლიანობით, ზომიერებით, ყველაზე პატივსაცემი სიმტკიცით შთაგონებული ყოველი თქვენი ქცევა მსოფლიოს აძლევდეს მაგალითს ამაყი და მოკრძალებული ხალხისა, რომელიც საკუთარ დიდებასაც თავისუფლებასავით უფრთხილ-

დება. ჩემი ბოლო რჩევაა: საგულდაგულოდ მოერიდეთ იმ დამღუპველი ინტერპრეტაციებისა და გესლიანი დისკუსიების ოდესმე მოსმენას, რომელთა ფარული მოტივებიც, ხშირ შემთხვევაში, უფრო სახიფათოა ვიდრე ის წეს-წყობილება, რომელიც მათი კრიტიკის საგანია. კეთილი და ერთგული დარაჯის პირველსავე საგანგაშო ხმაზე (მხოლოდ ქურდის მოახლოების გამო რომ ყეფს) მთელ სახლს ელვიძება და შიშის გრძნობა იპყრობს; თუმცა გამუდმებით საზოგადოების სიმშვიდის დამრღვევი ამ ხმაურიანი ცხოველის აბეზარობა ყველას სძულს; მის უსასრულო და უადგილო გაფრთხილებებს საჭიროების შემთხვევაშიც კი ყურს არ უგდებენ".

უგანათლებულესო და უაღრესად პატივცემულო ბატონებო, თავისუფალი ხალხის ღირსეულო და პატივსაცემო მაგისტრატებო! ნება მომეცით, ჩემი ერთგულება და სამსახური პირადად შემოგთავაზოთ. ქვეყნად თუ არსებობს ისეთი თანამდებობა, რომელსაც მოაქვს დიდება და სახელი მათთვის, ვისაც იგი უკავიათ, ცხადია, ამის თავდები ნიჭი და სიქველეა; ეს ის თანამდებობაა, რომლის დაკავების პატივიც წილად გხვდათ თქვენ; მასზე აგირჩიეს თქვენმა თანამოქალაქეებმა, რომელთა ღირსება ახალ ბრწყინვალებას მატებს თქვენსას, რადგან თავიანთ მმართველებად სხვათა მართვის უნარის მქონე ადამიანებმა აგირჩიეს; ყველა სხვა მაგისტრატზე იმდენად უკეთესად მიმაჩნიხართ, რამდენადაც თავისუფალი ხალხი – განსაკუთრებით ის ხალხი,

რომლის მართვის პატივიც წილად გხვდათ – აღემატება განათლებითა და გონიერებით სხვა სახელმწიფოთა მოსახლეობას.

ნება მომეცით, მოვუხმო ერთ მაგალითს, რომელსაც საუკეთესო კვალი უნდა დაეჩნია და რომელიც მარად იცოცხლებს ჩემს გულში. არ შემიძლია უდიდესი სულიერი მღელვარების გარეშე გავიხსენო ის სათნო მოქალაქე, ამქვეყნად რომ მომავლინა. ბავშვობაში იგი ხშირად მესაუბრებოდა იმ პატივზე, რომელიც თქვენდამი მმართებდა. იგი თავს საკუთარი მარჯვენით ირჩენდა, სულს კი ამაღლებული ჭეშმარიტებებით ასაზრდოებდა. მას კვლავაც ცოცხალს ვხედავ, სამუშაო იარაღების გვერდით ტაციტუსის, პლუტარქესა და გროციუსის თხზულებებით, ხოლო მის ახლოს მისივე საყვარელ ვაჟს, რომელიც ძალზე მწირად იღებდა მამათაგან საუკეთესო მამის მოკრძალებულ დარიგებებს. თავქარიანი ახალგაზრდობის ცდომილებებმა რაღაც დროით ესოდენ ბრძნული გაკვეთილები თუ გადამავიწყეს, საბოლოოდ, მაინც ბედნიერი ვარ იმ განცდით, რომ, მანკიერებისადმი გარკვეული მიდრეკილების მიუხედავად, ძნელია სიყვარულით ნასაზრდოები აღზრდა სამუდამოდ გაქრეს.

ასეთია, დიდებულო და უაღრესად პატივცემულო ბატონებო, თქვენ მიერ მართული ქვეყნის მოქალაქეებიცა და რიგითი მცხოვრებნიც; ასეთია ის განათლებული და საღად მოაზროვნე მუშები თუ რიგითი ადამიანები, რომელთა შესახებაც სხვა ხალხებში მდაბიო

და მცდარი წარმოდგენა აქვთ. მამაჩემი (მე ამას სიხარულით ვაღიარებ) არ გამოირჩეოდა თანამოქალაქეთაგან, ისიც მათნაირი იყო; და მაინც, ქვეყანა არ არის, მის საზოგადოებას, მასთან ურთიერთობას ყველაზე ღირსეული ადამიანები (თანაც საკუთარი სარგებლის მიზნით) რომ არ ეძიებდნენ. მადლობა ღმერთს, არ მეკუთვნის და არც მესაჭიროება თქვენთან ლაპარაკი იმ პატივზე, რომელსაც, შესაძლოა, მისი მსგავსი ადამიანები – თქვენი სწორნი, როგორც აღზრდით, ისე ბუნებრივი უფლებებითა და წარმომავლობით – თქვენგან ელიან; თავიანთივე ნებით რანგით ქვემდგომთ, მათ თქვენი ღირსების უპირატესობის აღიარება მართებთ, თქვენ კი ამის გამო – მათდამი გარკვეული მადლიერება. დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავ, თუ რაოდენი თავაზიანობითა და უბრალოებით აიოლებთ კანონთა მსახურთადმი მართებულ მოწიწებას მათთან ურთიერთობისას, როგორი რიდითა და გულისხმიერებით პასუხობთ თქვენდამი გამოვლენილი მორჩილებისა და პატივისცემისათვის. სამართლიანობითა და გონიერებით აღსავსე ასეთ ქცევას უფრო მეტად ძალუძს გადავიწყება ავბედითი მოვლენებისა,* რომელნიც აღარ უნდა გამეორდეს; ასეთი მოქცევა ბევრად უფრო გონივრულია, რადგან ეს სამართლიანი და კეთილშობილი ხალხი საკუთარი მოვალეობის აღსრულებას ერთგვარ სია-

* იგულისხმება XVIII საუკუნის პირველი ნახევრის უთანხმოებები დემოკრატიისა და ოლიგარქიის მომხრეთა შორის ჟენევაში.

მოვნებად მიიჩნევს, ბუნებრივად აქვს მზაობა თქვენთვის პატივის მისაგებად; საკუთარი უფლებების ყველაზე გულმოდგინე დამცველნი, თქვენი უფლებების პატივსაცემადაც ყველაზე მეტად არიან განწყობილნი.

არაფერია გასაკვირი, რომ სამოქალაქო საზოგადოების მმართველთ ასე ახლოს მიაქვთ გულთან მისი (საზოგადოების) დიდება და კეთილდღეობა. სხვა საქმეა, როდესაც ადამიანები, რომლებიც, ასე ვთქვათ, თავს მიიჩნევენ მაგისტრატებად, ან უმალ, უფრო წმინდა და ამაღლებული სამშობლოს განმგებლებად, გარკვეულ სიყვარულს ამჟღავნებენ მათივე მასაზრდოებელი მინიერი სამშობლოს მიმართ. რაოდენ სასიხარულოა ჩემთვის, რომ, ჩვენდა სასიკეთოდ, შემიძლია ასეთი იშვიათი გამონაკლისის აღნიშვნაც: ჩვენს საუკეთესო მოქალაქეთა რიგებს განეკუთვნებიან კანონით დაშვებული წმინდა დოგმების გულმოდგინე მცველები, ჩვენი სულის პატივსაცემი მოძღვრები,* რომელთა ცხოველი და მომნუსხველი მჭევრმეტყველება სახარებისეულ მაქსიმებს ადამიანთა გულს უფრო უკეთ იმით შთააგონებს, რომ მათ აღსრულებას მუდამ პირველნი იწყებენ. ყველასთვის ცნობილია, თუ რა წარმატებითაა განხორციელებული ტრაპეზეს (მოძღვრის) დიდი ხელოვნება ჟენევაში; მაგრამ ძალზე მიჩვეულნი იმას, რომ სიტყვა სხვაობს საქმისაგან, ცოტა ვინმემ თუ

---

* რუსოს ნაგულისხმევი ჰყავს პროტესტანტი პასტორები, კალვინის მიერ დაფუძნებული ჟენევის ეკლესიის მღვდლები.

იცის, რაოდენ განუყოფელია ჩვენს ღვთისმსახურთათვის ქრისტიანული სულისკვეთება, ზნეთა სიწმინდე, სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ და ლმობიერება სხვისადმი. თეოლოგთა საზოგადოებისა და ლიტერატორთა ესოდენ ჩინებული კავშირის ნიმუშის მსოფლიოსათვის ჩვენება, შესაძლოა, წილად ხვდა მხოლოდ ქალაქ ჟენევას. ჩვენი სამშობლოს მარადიული სიმშვიდის იმედს, ძირითადად, სწორედ მათ უდავო სიბრძნეზე, ზომიერებასა და სახელმწიფოს საკეთილდღეო გულმოდგინეობაზე ვამყარებ. გაკვირვებისა და პატივისცემის გრძნობასთან წილნაყარი სიამოვნებით აღვნიშნავ, თუ რაოდენ შიშს ჰგვრის მათ იმ წმინდა და ბარბაროს ადამიანთა საზარელი მაქსიმები, რომელთა არაერთი მაგალითიცაა ისტორიაში. ამ ეგრეთწოდებული ღვთის უფლებების, ე. ი. საკუთარი ინტერესების შესანარჩუნებლად ადამიანის სიცოცხლეს არად დაგიდევდნენ, თავს კი იმით ინუგეშებდნენ, რომ მათი სისხლი მუდამ პატივისცემის საგანი იქნებოდა.

განა შემეძლო რესპუბლიკის მკვიდრთა იმ ძვირფასი ნახევრის დავიწყება, მეორე ნახევრის ბედნიერებას რომ ქმნის, სინაზითა და გონიერებით კი მშვიდობასა და კარგ ზნე-ჩვეულებს ინარჩუნებს? თავაზიანო და სათნო მოქალაქეებო, თქვენი ხვედრი მუდამ მამრობითი სქესის ადამიანთა მართვა იქნება. ბედნიერებო! შესაშურია იმ ხალხის ხვედრი, სადაც მარტოოდენ ცოლ-ქმრულ კავშირთან მიმართებით გამოვლენილი ქალების უბიწო ძალაუფ-

ლება, მხოლოდ სახელმწიფოს სადიდებლად და საზოგადოების საბედნიეროდ არის მომართული. ასე მბრძანებლობდნენ ქალები სპარტაში, თქვენც სწორედ ასე იმსახურებთ განმგებლობას ჟენევაში. რა ბარბაროსი უნდა იყოს მამაკაცი, რომ ყური არ მიუგდოს ესოდენ ნაზ მეუღლეთა ბაგეთაგან მომდინარე ღირსებისა და გონიერების ხმას; თქვენი სადა და მოკრძალებული მორთულობის შემხედვარეს, თქვენვე რომ ანიჭებთ ბრწყინვალებას და, ჩანს, ყველაზე მეტადაც რომ ეთანადება მშვენიერებას, ვის არ დაეუფლება სიძულვილის გრძნობა ფუჭი ფუფუნებისადმი? თქვენივე თავაზიანი, უწყინარი ძალაუფლებითა და შთამაგონებელი გონიერებით სწორედ თქვენ გმართებთ სახელმწიფოში კანონთა სიყვარულის, მოქალაქეთა შორის კი თანხმობის შენარჩუნება, მტრად ქცეულ მოქალაქეთა ოჯახების ბედნიერი ქორწინებებით შეკავშირება; განსაკუთრებით კი, თქვენი მშვიდი და მოკრძალებული გრაციით აღსავსე დარიგებებითა და შთამაგონებელი სიმშვიდით, ჩვენი ახალგაზრდების იმ ჩვევათა გამოსწორება, რომლებიც მხოლოდ ზნედაცემული ქალებისაგან აქვთ შეძენილი (უცხო ქვეყნებში მრავალი სასარგებლო რამის შესწავლის ნაცვლად); კერძოდ, ყმაწვილური არასერიოზულობითა და სასაცილო მანერებით გადმოღებული აღტაცება, არც კი ვიცი, რაღაც ვითომდა იდეალებისადმი, მონობის ამაო ზიზილ-პიპილებისადმი, რაც ვერასოდეს შეცვლის ავგუსტუსის სადარ დიდებულ თავისუფლებას. ზნეთა უმანკო

დამცველებო, მშვიდობის ნაზო ქომაგებო, დარჩით მუდამ ისეთებად, როგორებიცა ხართ, განაგრძეთ გულისა და ბუნების უფლებათა გამარჯვება მოვალეობისა და სათნოების სასიკეთოდ.

თავს იმ იმედით ვინუგეშებ, რომ ამგვარ გარანტიებზე მოქალაქეთა საყოველთაო ბედნიერებისა და რესპუბლიკის დიდების დაფუძნებით, ფაქტით უარყოფილი არ ვიქნები. ვაღიარებ, რომ რესპუბლიკა ყველა ამ უპირატესობითაც არ იბრწყინებს ადამიანთა უმრავლესობის დამაბრმავებელი ელვარებით, რომლისადმი ბავშვური და დამღუპველი სწრაფვაც ბედნიერებისა და თავისუფლების ყველაზე დაუძინებელი მტერია. დაე, გარყვნილმა ახალგაზრდობამ მსუბუქი სიამოვნებები და ხანგრძლივი სინანული სხვაგან ეძიოს. დაე, ეგრეთნოდებული გემოვნებიანი ადამიანები სხვა ქვეყნებში ეძლეოდნენ საუცხოო სასახლეებით, ლამაზი ეტლებით, მდიდრული დგამ-ავეჯით, სანახაობათა დიდებულებით, სისათუთისა და ფუფუნების ყველა სხვა სინატიფეთა გამოვლინებებით აღტაცებას. ჟენევაში ისინი მხოლოდ ნამდვილ ადამიანებს შეხვდებიან, თუმცა ასეთ სანახაობასაც თავისი ფასი აქვს, მისი მაძიებელნი კი ყოველივე დანარჩენის ღირსნი იქნებიან.

დიდებულო, უაღრესად პატივცემულო და უზენაესო მმართველებო! ინებეთ და მიიღეთ ყოველივე იმავე სიკეთით, როგორიც მე მამოძრავებს თქვენი საერთო კეთილდღეობისადმი გამოვლენილი ინტერესის დასტურად.

ჩემდა სამწუხაროდ, გულის ნადების ცხოველი გაზიარებისას ცოტაოდენი არამოკრძალებულობა თუ გამოვავლინე, გთხოვთ, მომიტევოთ; იგი ნაკარნახევია ჭეშმარიტი პატრიოტის სათუთი სიყვარულით, მგზნებარე და კანონიერი გულმოდგინებით იმ ადამიანისა, რომელსაც ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავისთვის იმაზე დიდი ბედნიერება, თუ არა ის, რომ ყველას ბედნიერს გხედავდეთ.

თქვენდამი უღრმესი პატივისცემით,

დიდებულო, უზენაესო და უაღრესად პატივცემულო ბატონებო,

თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური და თანამოქალაქე,

ჟან ჟაკ რუსო

შამბერი, 1754, 12 ივნისი.

შესავალი

ჩემი აზრით, იმ ცოდნათაგან, რომელთაც ადამიანი ფლობს, ყველაზე საჭირო და ყველაზე მნირად დაწინაურებული, ესაა ცოდნა თავად ადამიანის შესახებ[2]. გავბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ მორალისტთა ყველა სქელტანიან წიგნზე უფრო მნიშვნელოვანსა და რთულ მითითებას მხოლოდ ერთი დელფოს ტაძრის წარწერა* შეიცავდა. ასევე, წინამდებარე მსჯელობის საგანი მიმაჩნია ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო საკითხად, რომელიც კი ფილოსოფიამ შეიძლება შემოგვთავაზოს, და სამწუხაროდ, ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საჩოთირო დაც, რომლის გადაჭრაც ძალუძთ ფილოსოფოსებს. მართლაც, როგორ უნდა გავიგოთ ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამი, თუ თავად მათივე (ადამიანების) შესწავლით არ დავიწყებთ? დასაბამიერ წყობაში, ჟამთა და მოვლენათა დინებით გამოწვეულ ყველა იმ ცვლილებათა გამჭოლ, როგორ შეძლებს ადამიანი საკუთარი თავის დანახვას იმ სახით, როგორადაც იგი შექმნა ბუნებამ და, საკუთარი საფუძვლებიდან მომდინარე, ყოველივეს გამიჯვნას იმისაგან, რაც გარემოებებმა და გონების პროგრესმა შესძინა მის პირველად მდგომარეობას ან შეცვალა მასში? გლავკეს ქანდაკების მსგავსად, რომელიც იმდენად შეცვალა დრომ, ზღვის

---

* შეიცან თავი შენი.

წყალმა და ქარიშხალმა, რომ იგი უმალ მტაცებელ მხეცს დაემსგავსა, ვიდრე ღვთაებას; საზოგადოების ნიაღში ათასი დაუსრულებლად აღმოცენებადი მიზეზის, მრავალი ცოდნისა და ცდომილების გაგებით, სხეულის აღნაგობაში განცდილი ცვლილებებითა და ვნებათა დაუსრულებელი შეტევით, ადამიანიც იმდენად შეიცვალა გარეგნულად, რომ, ასე ვთქვათ, თითქმის ძნელი საცნობია. მუდამ უდავო და უცვლელი პრინციპებით მოქმედი, შემოქმედის მიერ იმ ზეციური და დიდებული სისადავით აღბეჭდილი არსების ნაცვლად, მხოლოდ ვნების უსახო კონტრატსღა ვხედავთ: სჯერა, რომ აქვს აზროვნებისა და გაგების უნარი, სისულელეს კი ჩმახავს.

კიდევ უფრო მეტი საშინელებაა ის, რომ ადამიანური მოდგმის ყველა პროგრესი გამუდმებით აშორებს მას მისსავე დასაბამიერ მდგომარეობას; რაც მეტ ახალ ცოდნას ვიძენთ, მით უფრო ვკარგავთ ყველაზე უმნიშვნელოვანესის შეძენის საშუალებებს და, რაღაც აზრით, ადამიანის შესწავლის შედეგად, მისი შეცნობის შესაძლებლობის მიღმა აღმოვჩნდით.

ადვილი შესამჩნევია, რომ სწორედ ადამიანის წყობის ამ თანამიმდევრულ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ მათი (ადამიანთა) სხვაობის დასაბამი; საყოველთაო აღიარების თანახმად, ბუნებით ადამიანები ისევე თანასწორნი არიან, როგორც ყოველი სახეობის ცხოველები იყვნენ მანამდე, ვიდრე სხვადასხვა ფიზიკურმა მიზეზმა არ განაპირობა ის ცვლილებები, ზოგიერთ მათგანში რომ ვამჩნევთ. მართლაც, წარმოუდგენელია, რომ, განხორციელების ფორმის მიუხედავად, იმ პირველ ცვლილებებს

სახეობის ყველა ინდივიდში ყველაფერი ერთიანად და ერთბაშად შეეცვალა; ზოგმა, განვითარებისა თუ დაქვეითების მიუხედავად, მათი ბუნებისათვის არაინჰერენტული სხვადასხვა კარგი თუ ცუდი თვისება შეიძინა; ზოგმა უფრო ხანგრძლივად შეინარჩუნა პირველყოფილი მდგომარეობა; ასეთი იყო ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამი, რომელიც ასე ზოგადად უფრო იოლი წარმოსაჩენია, ვიდრე მის (უთანასწორობის) გამომწვევ ნამდვილ მიზეზთა ზუსტად განსაზღვრა.

დაე, ჩემი მკითხველები ნუ იფიქრებენ, თითქოს იმას მივაკვლიე, რაც ძნელი გასაგები მეგონა და ამით ვბედავ თავის მოწონებას. გარკვეული სახის მსჯელობებით დაწყების შემდეგ, საკითხის განმარტებისა და უმალ მის ჭეშმარიტ მდგომარეობამდე დაყვანის – და არა იმდენად სადავო პრობლემის გადაჭრის – იმედით, რამდენიმე ვარაუდის წამოყენებაც გავბედე. ამავე გზით დანინაურება სხვებს უფრო იოლად შეეძლებათ, თუმცა ბოლომდე მისვლა იოლი არავისთვის იქნება. ადამიანის ამჟამინდელ ბუნებაში დასაბამიერისა და შეძენილის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ჯეროვნად გაგება იმ თავდაპირველი და უკვე არარსებული მდგომარეობისა – ეტყობა, არც არასოდეს რომ აღარ იარსებებს, მაგრამ რომლის თაობაზეც ზუსტი ცნებების ქონა მაინც აუცილებელია ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობის კარგად განსასჯელად, – იოლი წამონყება სულაც არ გახლავთ. ამ საკითხის თაობაზე საფუძვლიანი დაკვირვებებისათვის აუცილებელი წინდახედულების ზუსტად განსაზღვრას ვინც განიზრახავდა, მას იმაზე მეტი ფილოსოფია დასჭირდებოდა, ვიდრე ჰგონიათ; პრობ-

ლემის რაიმე სწორი გადაწყვეტილება ჩვენი საუკუნის არისტოტელეებისა და პლინიუსებისათვის არასაკადრისად არ მომეჩვენებოდა. *რა ცდებია საჭირო ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანის შეცნობის მისაღწევად; რა საშუალებებით შეიძლება ამგვარ ცდათა ჩატარება საზოგადოების წიაღში?* შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ამ პრობლემას გადავჭრი; მიმაჩნია, რომ საკმაოდ ვიფიქრე ხსენებულ საკითხზე, რათა გამებედა და წინასწარვე განმეცხადებინა: მსგავს ცდათა წარსამართავად უდიდესი ფილოსოფოსებიც არ გამოდგებოდნენ, ხოლო მათ განსახორციელებლად ყველაზე ძლევამოსილი სუვერენებიც კი; დახმარების იმედად ყოფნა არაგონივრულია, მით უფრო მოლოდინი მედეგი ძალისხმევისა, ან უმალ ერთი და მეორე მხრიდან წარმატების მისაღწევად დაგროვილი ცოდნის მიღებისა და აუცილებელი კეთილი ნებისა.

ესოდენ რთული გამოკვლევების ჩატარება, რაზედაც აქამდე ძალზე ცოტაა ნაფიქრი, მაინც ერთადერთი საშუალებაა იმ მრავალ სირთულეთა წამოსაჭრელად, რომლებიც გვიფარავს ცოდნას ადამიანთა საზოგადოების ჭეშმარიტი საფუძვლების შესახებ. სწორედ ადამიანის ბუნების არცოდნა განაპირობებს ბუნებითი სამართლის ჭეშმარიტი დეფინიციის ამდენ გაურკვევლობასა და ბუნდოვანებას. ბურლამაკის თქმით, სამართლის იდეა, მეტადრე ბუნებითი სამართლის იდეა, უდავოდ, ადამიანის ბუნებაზე დამოკიდებული რელატიური იდეებია. მაშასადამე, ამ მეცნიერების პრინციპები სწორედ ადამიანის ბუნებიდან, მისი კონსტიტუციიდან და მდგომარეობიდან უნდა დადგინდეს.

იმ სხვადასხვა ავტორთა შორის, რომელთაც ეს მნიშვნელოვანი საგანი* შეისწავლეს, იმდენად მცირე თანხმობაა, რომ ამას გაოცებისა და უხერხულობის გრძნობით აღნიშნავენ. ყველაზე დიდ მეცნიერთა შორისაც კი ძლივს მოიძებნება ორი ისეთი, აღნიშნულ საკითხზე ერთი აზრისანი რომ იყვნენ. რომ არაფერი ვთქვათ ძველი დროის ფილოსოფოსებზე** – ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპებზე თითქოს განზრახ რომ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს; რომაელი იურისტები*** კი, ყოველგვარი სხვაობის გარეშე უქვემდებარებენ ადამიანსა და ყველა სხვა სულიერს ერთსა და იმავე ბუნებით კანონს, რადგან ასეთად მიაჩნდათ უმალ ის კანონი, რომელსაც ბუნება საკუთარ თავს უდგენს სახელმძღვანელოდ და არა ის (კანონი), სხვებს რომ უწესებს; ანდა, იმ მნიშვნელობის თანახმად, რომელსაც ისინი (რომაელი იურისტები) ანიჭებდნენ სიტყვას „კანონი", ეტყობა, სულიერ არსებათა არსებობის შენარჩუნების მიზნით მათ შორის ბუნებით დადგენილი ზოგადი მიმართებები იგულისხმება. სიტყვით „კანონი" თანამედროვენი**** გულისხმობენ მხოლოდ მორალური, ე.ი. გონი-

---

* იგულისხმება ბუნებითი სამართალი.

** რუსო გულისხმობს კლასიკური ბუნებითი სამართლის ფუძემდებლებს, განსაკუთრებით, არისტოტელესა და სტოიკოსებს.

*** რუსო გულისხმობს ულპიანეს, პავლუსსა თუ პაპინიანეს, რომელთაც ქ. შ. III საუკუნეში შექმნეს სამართლის ზოგადი პრინციპები რომის იმპერიაში.

**** რუსო გულისხმობს „თანამედროვე ბუნებითი სამართლის" სკოლის ფუძემდებლებს – გროციუსსა და პუფენდორფს, ასევე, გარკვეულნილად ფილოსოფოსებს – ჰობსსა და ლოკს.

ერი, თავისუფალი არსებისათვის დადგენილ კანონს და სხვა არსებებთან მიმართებით თანამიმდევრულად განსაზღვრავენ მხოლოდ გონებით დაჯილდოებული სულიერი არსების ანუ ადამიანის ბუნებითი კანონის გამოყენების სფეროს; გარდა ამისა, ხსნებულ კანონს ყოველი მათგანი თავისებურად განსაზღვრავს და აფუძნებს ისეთ მეტაფიზიკურ პრინციპებზე, რომელთა გამგები თავად ჩვენ შორისაც ცოტა თუ მოიძებნება, ხოლო მომძიებელი – კიდევ უფრო ნაკლები. ასე რომ, ამ მეცნიერთა ურთიერთსაწინააღმდეგო ყველა დეფინიცია თანხვდება მხოლოდ ერთ რამეში: თუ დიდი რეზონიორი და ღრმა მეტაფიზიკოსი არ ხარ, ბუნების კანონის გაგება და, შესაბამისად, მისი მორჩილებაც შეუძლებელია. ეს კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების შესაქმნელად ადამიანებს უნდა გამოეყენებინათ ისეთი ცოდნა, რომელიც ძალზე მდორედ ვითარდება და თავად საზოგადოების წიაღშიც ცოტა ვინმემ თუ იცის.

ბუნების ასე მწირი ცოდნისა და სიტყვა „კანონის“ მნიშვნელობის თაობაზე ასეთი შეუთანხმებლობის ვითარებაში, ბუნებითი კანონის კარგი დეფინიციის თაობაზე თანხმობის მიღწევა ფრიად ძნელი რამ იქნებოდა. მართლაც, წიგნებში მოცემულ ყველა განსაზღვრებას – გარდა იმ ნაკლისა, რომ, ზოგადად, ყველა არაერთგვაროვანია – ის ხარვეზიც აქვს, რომ დაფუძნებულია მრავალი ისეთი რამის ცოდნაზე, რომელსაც, ბუნებით, ადამიანები არ ფლობენ, და ისეთ სარგებელზე, რომლის იდეაც მათ შეიძლება მხოლოდ ბუნებრივი მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ დაბადებოდათ. კვლევას იწყებენ მოძიებით იმ საერთო სარგებ-

ლის შესაბამისი წესებისა, რომელთა გამოც ადამიანები ერთმანეთთან უნდა შეთანხმებულიყვნენ; ამის შემდეგ, ყოველგვარი სამხილის გარეშე (გარდა იმ სიკეთისა, მათი აზრით საყოველთაო გამოყენებიდან რომ უნდა მიეღოთ), ხსენებულ წესთა ერთობლიობას ასაღებენ *ბუნებით კანონად.* აი, დეფინიციათა შედგენისა და თითქმის შემთხვევითი შეხედულებების საფუძველზე საგანთა რაობის ახსნის უდავოდ ძალზე მარჯვე საშუალება.

რაკი ბუნებით მდგომარეობაში მყოფი ადამიანი საერთოდ არ ვიცით, ამაოდ მოვისურვებთ განვსაზღვროთ ის კანონი, რომელიც მან მიიღო ბუნებისაგან, ანდა ის, რომელიც ყველაზე უკეთ ესადაგება მის კონსტიტუციას. ყოველივე ის, რისი ძალზე ნათლად ცოდნაც შეგვიძლია ამ კანონის თაობაზე, შესაძლოა იყოს მხოლოდ შემდეგი: კანონად მყოფობისათვის იგი საჭიროებს, რომ მას, ვის ნებასაც კანონი თავისადმი მორჩილებას ავალდებულებს, ამის ქმნა შეგნებულად, ცნობიერად შეეძლოს; ხოლო იმისათვის, რომ ეს იყოს ბუნების კანონი, მისი სახით უშუალოდ თავად ბუნების ხმა უნდა ღაღადებდეს.

ამიტომ, მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებული ადამიანის შესახებ ცოდნის შემცველი ყველა სამეცნიერო წიგნი განზე გადავდე და ადამიანის სულის უპირველესსა და უმარტივეს ქმედებებზე მედიტაციას შევუდექი. ვფიქრობ, სწორედ მათში შევნიშნე გონებამდელი ორი საწყისი, რომელთაგანაც ერთი, ჩვენივე კეთილდღეობისა და არსებობის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით ძლიერ გვაინტერესებს, ხოლო მეორე, ყოველი გრძნობიერი არსების, მით უფრო ჩვენს მსგავსთა, ტანჯვისა თუ სიკ-

ვდილის ხილვისადმი ბუნებრივ სიძულვილს შთაგვაგონებს. ჩემი აზრით, სწორედ ჩვენი გონებით განპირობებული ამ ორი პრინციპის ზემოქმედებიდან და კომბინაციიდან (სოციალურობის პრინციპის ჩაურთველად) მომდინარეობს ბუნებითი სამართლის ყველა წესი, რომელთაც გონებამ, თანდათანობითი განვითარების კვალობაზე ბუნება რომ ჩაახშო, სხვა საფუძვლები მოუძია.

ასე რომ, სრულებითაც არ არის საჭირო ადამიანის გაფილოსოფოსება მანამდე, ვიდრე მას ადამიანად აქცევენ; სხვის მიმართ მოვალეობის გრძნობა მხოლოდ გონიერების ნაგვიანები გაკვეთილებით როდი შთაეგონება; რაკი იგი საერთოდ არ ეწინააღმდეგება თანაგრძნობის, სიბრალულის შინაგან იმპულსს, ოდესმე ზიანს არც სხვა ადამიანსა და გრძნობიერ არსებას მიაყენებს, ცხადია, გარდა იმ სავსებით გასაგები შემთხვევისა, როდესაც მისი არსებობა საფრთხეშია და იძულებულია, საკუთარ თავს მიანიჭოს უპირატესობა. ამავე საშუალებით, ასევე შეგვიძლია ბოლო დავუდოთ ძველ დავასაც: ვრცელდება თუ არა ბუნებითი კანონი ცხოველებზეც. ცხადია, გონიერებასა და თავისუფლებას მოკლებულ ცხოველებს ბუნების კანონის გაგება არ ძალუძთ; მაგრამ რაკი გრძნობიერებით დაჯილდოებული არსებების ბუნება ჩვენსას ენათესავება, შეიძლება ვიფიქროთ: ბუნებითი სამართალი მათზეც უნდა ვრცელდებოდეს, ადამიანს მათ მიმართ გარკვეული მოვალეობები აკისრია. მართლაც, თუ მე მევალება, არ მივაყენო ზიანი ჩემს მსგავსს – არა როგორც გონიერ, არამედ გრძნობიერ არსებას, მაშინ, რადგან ბუნებამ ცხოველი და ადამიანი თანაბრად დაა-

ჯილდოვა გრძნობიერებით, ეს ვითარება, სულ მცირე, ადამიანს ავალდებულებს ტყუილ-უბრალოდ ცუდად არ მოექცეს ცხოველს.

პირველყოფილი ადამიანის რეალური საჭიროებებისა და მოვალეობების ფუნდამენტურ პრინციპთა შესწავლა, ასევე, ერთადერთი კარგი საშუალებაა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს უამრავ სირთულეთა დასაძლევად მორალური უთანასწორობის დასაბამის, პოლიტიკური კორპუსის ჭეშმარიტი საფუძვლების, მის წევრთა ურთიერთუფლებების, ათას სხვა მსგავს მნიშვნელოვან და ნაკლებად შესწავლილ საკითხთებთან დაკავშირებითაც.

ადამიანთა საზოგადოებას მშვიდ და ობიექტურ მზერას თუ მივაპყრობთ, თავდაპირველად მასში, ალბათ, ძლიერთა ძალადობისა და სუსტთა ჩაგვრის გარდა, სხვას ვერაფერს დავინახავთ; ერთთა სისასტიკე გონებას აღაშფოთებს, მეორეთა სიბეცე კი სატირლად განგაწყობთ; ადამიანთა საზოგადოებაში არაფერია იმაზე უფრო არამყარი, ვიდრე ეს გარე ურთიერთობები, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, არა გონიერება, არამედ, უმალ შემთხვევითობა ნარმოშობს; იმის მიუხედავად, სისუსტედ იწოდება თუ სიძლიერედ, სიმდიდრედ თუ სიღარიბედ, ერთი შეხედვით, ადამიანის მიერ შექმნილი ინსტიტუტები ფხვიერ ქვიშაზე დაფუძნებულსა ჰგავს; მხოლოდ ახლოდან დაკვირვებით, მტვრისა და ქვიშის საფარისაგან ნაგებობის გასუფთავების შემდეგ ვამჩნევთ იმ ურყევ საფუძველს, რომელზეც იგია აღმართული და მის საყრდენთა პატივისცემას ვსწავლობთ. ადამიანის, მისი ბუნებრივი უნარებისა და მათი თანდათანობითი განვითარე-

ბის სერიოზული შესწავლის გარეშე ვერასოდეს შევძლებთ სათანადო სხვაობების გამოკვეთას, მოვლენათა თანამედროვე ვითარებაში ღვთიური ნებით ქმნილის გამოცალკევებას ადამიანის ნებით შექმნილისაგან. პოლიტიკური და მორალური კვლევა-ძიებები, რომელთაც დასაბამს აძლევს ჩემ მიერ შესასწავლი საკითხის მნიშვნელოვანება, ყოველმხრივ საესარგებლოა, ხოლო მმართველობათა ჰიპოთეზური ისტორია ყველა მიმართებით ჭკუის სასწავლი გაკვეთილია ადამიანისათვის. იმის განხილვისას, თუ რად შეიძლებოდა ვქცეულიყავით საკუთარი თავის ანაბარა მიტოვებულნი, მისი* ლოცვა-დიდება გვმართებს, ვისმა კეთილისმყოფელმა ნებამაც** – ჩვენი ინსტიტუტების შესწორებითა და მათთვის ურყევი საფუძვლის მინიჭებით – არ დაუშვა ის არეულობები, მათ რომ უნდა გამოეწვიათ, ჩვენი ბედნიერების უზრუნველსაყოფად კი შექმნა ისეთი საშუალებები, რომელთაც, ეტყობა, ჩვენი უბადრუკობა უნდა შეევსო.

Quem te Deus esse
Jussit, et humanâ quâ parte locatus es in re,
*Disce****.

---

* *რუსო გულისხმობს ღმერთს.*

** *რუსო გულისხმობს: პროვიდენციას, ღვთის წყალობას.*

*** *„შეიცან, რად ყოფნა გარგუნა ღმერთმა და რა ადგილი მოგიჩინა ადამიანთა მოდგმაში".* პერსიუსი, *სატირები,* III, 71.

დიჟონის აკადემიის მიერ შეთავაზებული კითხვა:

რა არის ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამი და დაშვებული თუა იგი ბუნებითი კანონით?

გაფრთხილება

შენიშვნათა შესახებ

ჩემი ზარმაცი ბუნების გამო, უწესრიგო, მიდებ-მოდებით მუშაობა რომ მჩვევია, წინამდებარე ნაშრომს დავურთე რამდენიმე შენიშვნა, რომლებიც, ზოგჯერ, იმდენად აცდენილია საკვლევ საკითხს, რომ ტექსტის თანადროულად კარგი წასაკითხი არც არის. ამიტომ ხსენებული შენიშვნები ნაშრომის ბოლოს გადავიტანე, რადგან ამ მსჯელობაში შეძლებისდაგვარად ყველაზე პირდაპირი გზის მიყოლას შევეცადე. მათ, ვისაც მხნეობა ხელმეორედ წასაკითხადაც ეყოფა, კიდევ ერთხელ შეიქცევენ თავს ძიებით და შენიშვნების გადახედვასაც შეეცდებიან; დიდი დანაშაული არც ის იქნება, თუ სხვები მას საერთოდ არ წაიკითხავენ.

მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ

ადამიანის შესახებ უნდა ვილაპარაკო; ჩემი საკვლევი საკითხი მიდასტურებს, რომ ადამიანებთან მექნება საუბარი; როდესაც ჭეშმარიტების პატივისცემა აშინებთ, მსგავსი საკითხების განხილვას თავს არიდებენ. ასე რომ, მთელი რწმენით დავიცავ კაცობრიობის ხვედრს იმ სწავლულთა წინაშე, საამისოდ რომ მაგულიანებენ; და თუ ჩემი განსახილველი საგნისა და ჩემი მსაჯულების ღირსი აღმოვჩნდი, არც საკუთარი თავის უკმაყოფილო ვიქნები.

ადამიანთა მოდგმაში მოვიაზრებ ორი სახის უთანასწორობას: ერთს ვუწოდებ ბუნებრივ ან ფიზიკურ უთანასწორობას, ვინაიდან იგი დადგენილია თავად ბუნებით და ეფუძნება ასაკის, ჯანმრთელობის, ფიზიკური და გონებრივი ძალებისა, თუ სულიერი თვისებების სხვაობას; მეორეს შეიძლება ეწოდოს მორალური ან პოლიტიკური უთანასწორობა, ვინაიდან დამოკიდებულია ერთგვარ შეთანხმებაზე და, სულ მცირე, დადგენილი ან დაშვებულია ადამიანთა თანხმობით. ამ უკანასკნელში იგულისხმება ის სხვადასხვა პრივილეგია, რითაც ერთნი, როგორც უფრო მდიდრები, პატივცემულნი და ძლიერნი, სხვათა საზიანოდ ხარობენ, ანდა მათ კიდეც იმორჩილებენ.

რა არის ბუნებრივი უთანასწორობის საწყისი? ასეთი კითხვა უმართებულოა, ვინაიდან თავად სიტყვისაავე უბრალო დეფინიცია იქნებოდა პასუხის მომცველი. კიდევ უფრო ნაკ-

ლებ საძიებელია პასუხი შემდეგ კითხვაზე: აღნიშნულ ორ უთანასწორობას შორის ხომ არ არის რაიმე არსებითი კავშირი? ეს იქნებოდა სხვა სიტყვებით იმის გარკვევა, განმგებელნი უცილობლად განგებულებზე უკეთესნი არიან თუ არა, და ფიზიკური თუ სულიერი ძალა, გონიერება თუ სიქველე, სიძლიერისა თუ სიმდიდრის პროპორციულად მუდამ ერთსა და იმავე ინდივიდებს ეთანადება თუ არა. შესაძლოა, ეს კარგი კითხვაა მონათა გამოსაფხიზლებლად, მათივე ბატონების საყურადღებოდ, მაგრამ არა ჭეშმარიტების მაძიებელი თავისუფალი და გონიერი ადამიანებისათვის.

და მაინც, კერძოდ რაზეა საუბარი წინამდებარე მსჯელობაში? მოვლენათა ევოლუციაში იმ მომენტის აღწერაზე, როდესაც უფლება ძალადობას ჩაენაცვლა, ბუნება კი კანონს დაექვემდებარა; იმის ახსნაზე, თუ სასნაულთა რა თანხვედრამ და ურთიერთშეკავშირებამ განაპირობა ის, რომ ძლიერი სუსტის სამსახურს, ხალხი კი რეალური ბედნიერების ფასად წარმოსახვითი სიმშვიდის ყიდვას დათანხმდა.

ბუნებით მდგომარეობამდე ჩაღრმავების აუცილებლობა იგრძნო ყველა იმ ფილოსოფოსმა, ვინც საზოგადოების საფუძვლები შეისწავლა, მაგრამ ეს ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო. ზოგს ბუნებით მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სამართლიანობისა და უსამართლობის გაგების დაშვებაც არ უფიქრია, თავი არც იმის ჩვენებით შეუწუხებია უნდა ჰქონოდა თუ არა მას ასეთი ცნება, ანდა იყო კია ეს სასარგებლო მისთვის? ზოგმა ისაუბრა ბუნებით სამართალზე, რომელიც თითოეულს

ყოველივე იმის შენარჩუნების უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც მას ეკუთვნის, მაგრამ რას გულისხმობდნენ სიტყვით „კუთვნილება", ეს არ განუმარტავთ; ზოგმა, ვინც ჯერ ყველაზე ძლიერი სუსტთა მიმართ ძალაუფლებით აღჭურვა, მყისვე მმართველობასაც დასაბამი დაუდო; არც კი დაფიქრებულან, თუ რამდენი დრო უნდა გასულიყო მანამდე, ვიდრე სიტყვები – „ძალაუფლება" და „მმართველობა" –გარკვეულ აზრს შეიძენდნენ ადამიანებისთვის. დაბოლოს, საჭიროებაზე, სიხარბეზე, ჩაგვრაზე, სურვილებსა და სიამაყეზე დაუსრულებელი საუბრით, ბუნებრივ მდგომარეობას ყველამ მიაწერა ისეთი იდეები, რომლებიც ადამიანებმა შეიძინეს საზოგადოებაში. ისინი ლაპარაკობდნენ ველურზე, რეალურად კი ცივილიზებულ ადამიანს წარმოგვიჩენდნენ. ჩვენს თანამედროვეთა უმრავლესობა არც კი დაეჭვებულა ბუნებითი მდგომარეობის არსებობაში, მაშინ როდესაც წმიდა წიგნებიდან* ნათელია: პირველი ადამიანის მდგომარეობა, ცოდნა და მითითებები უშუალოდ ღმერთისაგან რომ მიიღო, სულაც არ იყო ასეთი; მოსეს ნაწერებსაც თუ რწმენით მოვეკიდებით, როგორც ეს ყოველ ქრისტიან ფილოსოფოსს მართებს, მაშინ იმის უარყოფაც მოგვიწევს, რომ, ოდესმე, თუნდაც წარღვნამდე, ადამიანები იმყოფებოდნენ წმინდა ბუნებრივ მდგომარეობაში, ცხადია, რაიმე ექსტრაორდინალური მოვლენის წყალობით თუ ისინი კვლავ არ აღმოჩნდნენ ხსენებულ მდგომარეობაში. მაგრამ

---

* იგულისხმება ბიბლია.

ასეთი პარადოქსის დაცვა ძალზე ძნელია, მტკიცება კი ყოვლად შეუძლებელი.

ამიტომ, მოდით, ყველა ფაქტი განზე გადავდოთ, რადგან მათ არაფერი აქვთ საერთო საკვლევ საკითხთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კვლევა-ძიებათა დასკვნები ისტორიულ ჭეშმარიტებებად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ მხოლოდ ჰიპოთეზურ და სავარაუდო მსჯელობებად, რომელთაც უმალ სინათლის მოფენა ძალუძთ მოვლენათა ბუნებაზე, ვიდრე მათი ჭეშმარიტი დასაბამის წარმოჩენა და იმ მსჯელობათა მსგავსია, თითქმის ყოველდღე ჩვენი ბუნებისმეტყველნი სამყაროს შექმნის თაობაზე რომ გამოთქვამენ. რელიგია მოგვიწოდებს ვიწამოთ, რომ ღმერთმა უშუალოდ კრეაციის შემდეგ გამოიყვანა ადამიანები ბუნებითი მდგომარეობიდან. მათი უთანასწორობაც ღვთის ნება იყო; თუმცა რელიგია როდი გვიკრძალავს მხოლოდ ადამიანისა და მის გარშემო მყოფ არსებათა ბუნების საფუძველზე ვარაუდების აგებას იმის თაობაზე, თუ რა დაემართებოდა საკუთარი თავის ანაბარა მიტოვებულ ადამიანთა მოდგმას. აი ის, რასაც მეკითხებიან და რის განხილვასაც ვაპირებ წინამდებარე მსჯელობაში. რაკი ჩემი საკვლევი თემა ზოგადად ადამიანს ეხება, შევეცდები ვილაპარაკო ისეთი ენით, რომელიც მისაღები იქნება ყველა ხალხისათვის ან უმალ დავივიწყებ დროსა და ადგილს, რათა ვიფიქრო მხოლოდ ადამიანებზე, რომელთაც ვესაუბრები; თავს წარმოვიდგენ ათენის ლიცეუმში, გავიმეორებ ჩემს მოძღვართა დარიგებებს, მსაჯულებად პლა-

ტონებსა და ქსენოკრატეებს დავიყენებ, მსმენელებად კი – ადამიანთა მოდგმას.

ო, ადამიანო! რომელი მხრიდანაც არ უნდა იყო და რა აზრებიც არ უნდა გქონდეს, მომისმინე! აი, შენი ისტორია, ისეთი, რომელიც, ჩემი რწმენით, არა შენს მსგავსთა მიერ დაწერილ უხეირო ცრუ წიგნებში ამოვიკითხე, არამედ ბუნებაში, რომელიც არასოდეს ცრუობს; ყოველივე ჭეშმარიტი მისგან შთაგონებული იქნება, მცდარი კი მხოლოდ ის, რასაც ჩემდა თავად უნებლიედ დავუმატებდი. ვილაპარაკებ ჩვენგან ძალზე შორეულ ჟამზე. რა ძლიერ შეიცვალე მას შემდეგ! ვეცდები, შენი მოდგმის ისტორიის აღწერას, ასე ვთქვათ, ბუნებით ნაბოძები თვისებების მიხედვით, რომელთა დანგრევა არა, მაგრამ დამახინჯება შენმა აღზრდამ და ჩვევებმა შეძლო. ვგრძნობ, რომ არსებობს ისეთი დრო, რომელზეც ადამიანი-ინდივიდი გაჩერებას ისურვებდა; შენ ძებნას დაუწყებ იმ ხანას, რომელზეც შენი მოდგმის შეჩერებას ისურვებდი. შენი ამჟამინდელი მდგომარეობითა და იმ მიზეზთა გამოც გულნაკლული, შენს უბედურ შთამომავლობას კიდევ უფრო დიდ უკმაყოფილებებს რომ უქადის, შესაძლოა, უკან დაბრუნებაც კი გესურვა; ასეთმა გრძნობამ შენი შორეული წინაპრები ხოტბით უნდა აღავსოს, შენი თანამედროვენი საყვედურით, ხოლო ვისაც შენს შემდეგ ცხოვრების უბედურება ხვდება წილად, მათ შიშის ზარი უნდა დასცეს.

პირველი ნაწილი

კვლევის თვალსაზრისით, ადამიანის ბუ-ნებითი მდგომარეობის კარგად განსასჯელად რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მისი შესწავლა დასაბამიდანვე, ასე ვთქვათ, მოდ-გმის პირველივე ემბრიონიდან, მაინც არ მივ-ყვები მისი კონსტიტუციის ცვლილებებს თან-მიმდევრული განვითარების კვალდაკვალ; არც სულიერი არსების ანატომიაში ვეცდები იმის გაგებას, თუ როგორი შეიძლება ყოფილი-ყო იგი თავდაპირველად, რათა, საბოლოოდ, ჩამოყალიბებულიყო ისეთად, როგორიც ამჟა-მადაა. არისტოტელეს დარად, არც იმის კვლ-ევას მოვყვები, ჰქონდა თუ არა ბრჭყალებივით მოკაუჭებული ფრჩხილები, დათვივით ბალ-ნით დაფარული სხეული და, ოთხით სიარული-სას,[3] მიწისაკენ მიმართული მისი მზერის რამ-დენიმე ნაბიჯის სიგრძის ჰორიზონტი ერ-თდროულად მისი აზრების ბუნებასა და ზღვარსაც ხომ არ მოწმობდა. აღნიშნულის თაობაზე მხოლოდ ბუნდოვან, თითქმის წარ-მოსახვით ვარაუდებს თუ გამოვთქვამდი. შე-დარებითი ანატომიის მიღწევები ჯერ კიდევ ძალზე მწირია, ბიოლოგების დაკვირვებები კი იმდენად არასაიმედოა, რომ მსგავს საფუძ-ვლებზე სოლიდური მსჯელობის დაფუძნება შეუძლებელია. ამიტომ, კვლევისას, ამ საკით-

ხის თაობაზე არც რელიგიურ დოგმებს მივ-მართავ და არც ადამიანის გარეგან და შინაგან წყობაში ახალ-ახალ ამოცანათა შესასრულებ-ლად თუ ახალი საკვებით საზრდოობისას სა-კუთარი სხეულის ასოთა გამოყენების კვალობაზე მომხდარ ცვლილებებს გავითვალისწი-ნებ. ვივარაუდებ, რომ მუდამ ისეთი აღნაგობა ჰქონდა, როგორიც ამჟამად აქვს; ორი კიდუ-რით მოსიარულე, ხელებსაც ჩვენსავით იყე-ნებდა, მთელ ბუნებაზე მიპყრობილი მისი მზე-რა კი ცის უკიდეგანო სივრცეს ჭვრეტდა.

ამგვარი აღნაგობის მქონე არსება გან-ვძარცვე ყველა იმ ზებუნებრივი ცოდნისაგან, რომლის მიღებაც მას რელიგიური რწმენით ხე-ლეწიფებოდა და ყველა იმ ხელოვნური უნარი-საგან, რომელთა შეძენაც მხოლოდ ხანგრძლი-ვი განვითარების მანძილზე შეეძლო; ერთი სიტყვით, ადამიანს განვიხილავ ისეთად, რო-გორიც იგი უნდა ყოფილიყო – ქმნილი უშუა-ლოდ ბუნების მიერ. მე ვხედავ, რომ ესაა ცოც-ხალი სამყაროს ერთი-ერთი სახეობა: ზოგთან შედარებით ნაკლებ ძლიერი, ზოგთან შედარე-ბით კი – ნაკლებ მოხერხებული, მაგრამ, მიუხე-დავად ყველაფრისა, ყველაზე მარჯვედ ორგა-ნიზებული. ვხედავ, როგორ ზის რომელიღაც მუხის ძირში, როგორ ეწაფება პირველსავე შემხვედრ ნაკადულს წყურვილის მოსაკლავად, როგორ სძინავს იმ ხის ტოტებქვეშ, რომლის ნაყოფმაც დააპურა და, აი ასე, მისი მოთხოვნი-ლებებიც დაკმაყოფილებულია.

ბუნებით უხვნაყოფიანი მიწა[4], დაფარული უსიერი ტყეებით, რომელთაც ცულის პირი არ

შეხებოდა, ყოველ ნაბიჯზე, ყოველ სულიერს ათასგვარ საკვებსა და თავშესაფრად ვარგის ადგილს უხვად სთავაზობს. სხვადასხვა სახის ცხოველთა შორის დაქსაქსული ადამიანები ყურადღებით აკვირდებიან და ბაძავენ მათ; ცხოველურ ინსტინქტს იმ უპირატესობითაც აღემატებიან, რომ თუ ყოველ ცხოველს განსაკუთრებული, მხოლოდ მისი სახეობისათვის ნიშანდობლივი ინსტინქტი აქვს, ადამიანი – რომელსაც, შესაძლოა, არც ერთი მისთვის ნიშანდობლივი ინსტინქტი არ გააჩნია – ყველას ითავისებს; განსხვავებით ცხოველებისაგან, რომელთა საკვებიც განაწილებული და ერთხელვე დადგენილია, იგი საზრდოდ იყენებს სხვადასხვა სახის ნაყოფს[5]; შესაბამისად, საარსებო საშუალებებსაც ნებისმიერ ცხოველზე ბევრად უფრო მარჯვედ შოულობს.

ბავშვობიდანვე ამინდის ცვალებადობას, წლის დროთა სიმკაცრესა და დაღლას ჩვეული ადამიანები საკუთარ სიცოცხლესა და ნადავლს მტაცებელი ცხოველებისაგან უიარაღოდ, შიშველი ხელებით იცავენ, ანდა თავს გაქცევით შველიან. მათ უყალიბდებათ ძლიერი და თითქმის უცვლელი აღნაგობა; მამებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ჩინებულ ტანადობას შვილები კიდევ უფრო იძლიერებენ იმავე ვარჯიშით – მამების აგებულება რომ განაპირობა და რის გამოც მათთან ვალში არიან – და ასე აღწევენ იმ უმაღლეს ძლიერებას, რისი მიღწევაც კი ადამიანურ მოდგმას ძალუძს. მათ მიმართ ბუნება ზუსტად ისევე მოქმედებს, როგორც სპარტის კანონი – მოქა-

ლაქეთა შვილების მიმართ: კარგი აღნაგობის მქონეთ ძლიერებასა და ამტანიანობას სძენს, ყველა სხვას კი სპობს; ამით სხვაობს ჩვენს საზოგადოებებში გამეფებული წესისაგან, სადაც, ჯერ კიდევ ამქვეყნად მოვლინებამდე, ბავშვებს – მამათა მძიმე ტვირთად ქცეულ შვილებს – სახელმწიფო განურჩევლად იმეტებს სასიკვდილოდ.

ველური საკუთარ სხეულს, მისთვის ნაცნობ ერთადერთ ინსტრუმენტს, წარმატებით იყენებს სხვადასხვა მიზნით; სათანადო წვრთნის არქონის გამო, მისი (სხეულის) ასეთივე გამოყენების უნარი ჩვენ არ შეგვწევს; ძალასა და სიმარჯვეს სწორედ ჩვენივე ოსტატობა გვაკარგინებს, საჭიროება კი მის შეძენას გვაიძულებს. ადამიანს რომ ცული ჰქონოდა, მოტეხდა ასეთ მაგარ ტოტებს? შურდული რომ ჰქონოდა, ისროდა ასე ზუსტად ქვას ხელით? კიბე რომ ჰქონოდა, შეძლებდა ესოდენ მარდად აცოცებას ხეზე? ცხენი რომ ჰყოლოდა, ირბენდა ასე სწრაფად? ცივილიზებულ ადამიანს ყველა თავისი მანქანა-იარაღებით აღჭურვის საშუალებას თუ მისცემთ, ცხადია, იგი იოლად მოიპოვებს უპირატესობას ველურზე; მაგრამ კიდევ უფრო უთანასწორო ორთაბრძოლის ხილვა თუ გსურთ, დააყენეთ ისინი პირისპირ შიშველნი და უიარაღონი და მყისვე მიხვდებით, რაოდენ მომგებიანია გამუდმებით შეგეძლოთ ყველა თქვენი ძალის განკარგვა, მუდამ ყველაფრისთვის მზაობა და, ასე ვთქვათ, ყოველივე იმის თან ტარება, რაც თქვენია[6].

ჰობსის მტკიცებით, ბუნებით უშიშარი ადამიანი მხოლოდ თავდასხმასა და ბრძოლაზე ფიქრობს. ერთი ცნობილი ფილოსოფოსი* საპირსიპირო მოსაზრებისაა; კამბერლენდი და პუფენდორფიც ირწმუნებიან, რომ არავინაა ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე უფრო გაუბედავი არსება; მცირეოდენი ხმაურის გაგონებაზეც მუდამ შიშისაგან თრთის, უმცირესი მოძრაობის შემჩნევაზე კი მზადაა გასაქცევად. შესაძლოა, ეს ასეა მისთვის უცნობი საგნების მიმართ; თუმცა არც ის მეეჭვება, რაიმე ახალი სანახაობის ხილვაზე, რომელსაც იგი აწყდება, ყოველთვის შიში იპყრობდეს, რადგან არც იმის გაგება ძალუძს, სიკეთეს უქადის ეს მას თუ ბოროტებას, და არც საკუთარი ძალების მოსალოდნელ საფრთხესთან შეპირისპირება. მსგავსი ვითარებები იშვიათია ბუნებრივ მდგომარეობაში, სადაც ყველაფერი ასე ერთფეროვნად მიედინება და დედამიწა ჯერ კიდევ არაა ერთად თავმოყრილ ხალხთა ვნებებითა და არამდგრადობით გამოწვეულ მოულოდნელ და დაუსრულებელ ცვლილებათა ობიექტი.

ცხოველთა შორის მცხოვრებ ველურს ადრეული ასაკიდანვე ეძლევა მათთან გატოლების შესაძლებლობა; გრძნობს, რომ ჯობნის მათ მოხერხებულობით, ასე რომ, ძალით ისინი ვერ მოერევიან და მათდამი შიშიც ეკარგება. შეაბრძოლეთ დათვი ან მგელი ჯოხითა და ქვებით შეიარაღებულ ბრგე, მარჯვე, ცქვიტ,

* რუსოს ნაგულისხმევი პყავს მონტესკიე.

გულად, უშიშარ ველურს (როგორებიც არიან ისინი ყველანი) და ნახავთ, რომ საფრთხე, სულ მცირე, ორმხრივი იქნება. მრავალი მსგავსი ექსპერიმენტის შემდეგ მტაცებელ ცხოველებს, რომლებიც ერთმანეთზე თავდასხმას ერიდებიან, ადამიანზე შეტევის ხალისი დაეკარგებათ: მასშიც ისეთსავე მტაცებელს დაინახავენ, როგორებიც თავად არიან. რაც შეეხება იმ ცხოველებს, რომელთა ძალაც რეალურად აღემატება ველურის მოხერხებას, მათ მიმართ იგი უმალ იმ სუსტი სხვა სახეობის წარმომადგენელთა მდგომარეობაშია, უმწეობის მიუხედავად მაინც რომ არსებობენ. თუმცა ადამიანს ის უპირატესობა აქვს, რომ, არანაკლებ მარდად მორბენალი, თითქმის უსაფრთხო თავშესაფრს პოულობს ხეზე და ყოველთვის აქვს არჩევანის შესაძლებლობა – შეებრძოლოს თუ გაქცევით უშველოს თავს. თქმულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, ეტყობა, არც ერთი ცხოველი – ცხადია, თუ მას თავდაცვა არ უწევს ან ძალზე მშიერი არაა – არ შეებრძოლებოდა ადამიანს, ვის მიმართაც იგი არ ავლენს იმ ძლიერ ანტიპათიებს, რომლებიც თითქო მოწმობენ: ბუნებით, ერთი სახეობა მეორის საზრდოდაა განკუთვნილი.

სხვა, უფრო დიდი მტრები, რომელთაგან თავის დასაცავადაც ადამიანს იგივე საშუალებები არ გააჩნია, ბუნებრივი უძლურების პერიოდებია: ბავშვობა, მოხუცებულობა და ავადმყოფობა; ჩვენი სისუსტის სავალალო ნიშნები, რომელთაგანაც პირველი ორი ნიშანდობლივია ყველა სულიერისათვის, ბოლო კი,

ძირითადად, საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისათვის. რაც შეეხება ბავშვობის პერიოდს, აღვნიშნავ: მრავალი ძუ ცხოველისაგან განსხვავებით – გამუდმებით რომ უხდებათ თავიანთი პატარების დატოვება, რათა დიდი ჯაფით მოიპოვონ სარჩო და პატარებსაც უწილადონ ან ძუძუ მოაწოვონ, ქალი შვილს ყველგან თან დაატარებს და ბევრად უფრო იოლად ახერხებს მის გამოკვებას; თუ ქალი დაიღუპება, ცხადია, ბავშვის სიცოცხლესაც დიდი საფრთხე ემუქრება; ამგვარი საშიშროებისგან დაზღვეული არც ასობით სხვა იმ სახეობის ცხოველია, რომელთა პატარებსაც დიდი ხნის მანძილზე არ შეუძლიათ საზრდოს დამოუკიდებლად მოპოვება; თუ ცხოველებთან შედარებით ბავშვობის პერიოდი ბევრად უფრო ხანგრძლივია ადამიანებში, შესაბამისად, უფრო დიდხანსაც ცოცხლობენ; ამ მიმართებით დაახლოებით მსგავსი ვითარებაა7; თუმცა ბავშვობის ასაკის ხანგრძლივობასა და პატარების რაოდენობასთან დაკავშირებით[8] არსებობს სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ ეს არ განეკუთვნება ჩემი კვლევის სფეროს. მოხუცებულობაში ცოტას მოქმედებენ და ოფლსაც ნაკლებად ღვრიან; საკვების მიღების მოთხოვნილების შემცირების კვალობაზე, მისი მოპოვების უნარიც მცირდება. ველური ყოფა ადამიანებს თავიდან არიდებს ნიკრისის ქარსა და რევმატიზმს, მაგრამ სიბერე ისეთი დავადებაა (ბოროტებაა), რომლის შემსუბუქებაც ყველაზე მდოვრედ ექვემდებარება ადამიანის შენევნას; ბოლოს ადამიანები ისე იფიტებიან და

ილევიან, რომ ამას არათუ გარშემომყოფნი, არამედ თითქმის თავადაც ვერ ამჩნევენ.

რაც შეეხება დაავადებებს, საერთოდ არ გავიმეორებ მედიცინის წინააღმდეგ გამოთქმულ იმ ფუჭსა და მცდარ გაკიცხვას, ჯანმრთელ ადამიანთა უმრავლესობის მხრიდან რომ გაისმის; თუმცა ვიკითხავ: არსებობს თუ არა რაიმე სერიოზული დაკვირვება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შემდეგი დასკვნა: იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტადაა უგულვებელყოფილი მედიცინა, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უფრო ნაკლებია იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც მის მიმართ ყველაზე დიდ მზრუნველობას იჩენენ; რის იმედად უნდა ვიყოთ, თუ უფრო მეტ ზიანს საკუთარ თავს თავადვე ვაყენებთ, ვიდრე მედიცინას სამკურნალო საშუალებების ჩვენთვის შემოთავაზება შეუძლია?! საოცრად დიდი უთანასწორობა ცხოვრების წესში – ზოგან მეტისმეტი მოცალეობა, ზოგან უზომო გარჯა; ჩვენი სურვილებისა და მგრძნობელობის აღძვრისა და დაკმაყოფილების სიიოლე, მდიდართა ძალზე ნოყიერი საკვები მათ ორგანიზმს მხურვალების გამომწვევი წვენებით* ასაზრდოებს და იწვევს საკვების მონელების დარღვევას, ღარიბთა მწირი საკვები (ხშირად ისიც რომ არ გააჩნიათ, თუმცა როცა კი ამის შესაძლებლობა ეძლევათ, კუჭს

---

* ძველი მედიცინის თანახმად, საკვები შეიცავდა გარკვეული სახის წვენებს, რომლებიც შეინოვებოდა ორგანიზმის მიერ და ზემოქმედებას ახდენდა ინდივიდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ხარბად ივსებენ); უძილობა, ნებისმიერი სიჭარბე, ზღვარგადასული ვნებები, დაღლილობა და გონებრივ ძალთა გადატვირთვა, დარდი და ყოველგვარ მდგომარეობაში უსასრულოდ განცდილი მრავალი ტკივილი გამუდმებით ღრღნის სულს. აი, დამღუპველი სამხილები იმისა, რომ ჩვენს დაავადებათა უმრავლესობა ჩვენ მიერვეა გამოწვეული; თითქმის ყველა მათგანის არიდებას შევძლებდით, ბუნებით დაწესებულ სადა, ერთგვაროვან და განმარტოებული ცხოვრების წესს თუ შევინარჩუნებდით. ბუნებამ ჯანმრთელად ყოფნა თუ დაგვიწესა, მაშინ თითქმის მზად ვარ ვამტკიცო: რეფლექსიის პროცესი ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობაა, ადამიანი, რომელიც მედიტაციას ეწევა, გადაგვარებული ცხოველია. როდესაც იხსენებენ ველურთა ჩინებულ ჯანმრთელობას, ყოველ შემთხვევაში ჩვენი ძლიერმოქმედი მიქსტურებით შეულახავს, როდესაც ისიც ვიცით, რომ ჭრილობებისა და სიბერის გარდა ყველა სხვა დაავადება თითქმის უცნობია მათთვის, ჩნდება მოსაზრება: სამოქალაქო საზოგადოებათა ისტორიის კვალდაკვალ ძალზე გაიოლდებოდა ადამიანთა დაავადებების ისტორიის შედგენაც. ყოველ შემთხვევაში, პლატონის აზრით, ტროას ალყის დროს სწორედ პოდალირიოსისა და მაქაონის მიერ გამოყენებულ ან აპრობირებულ წამლებს უნდა გამოეწვია სხვადასხვა, სულ მცირე, მანამდე ჯერ კიდევ ადამიანებისათვის უცნობი დაავადება.

დაავადებათა გამომწვევ წყაროთა ესოდენი სიმცირის გამო, ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს წამალი საერთოდ არ ესაჭიროება, მით უფრო – ექიმი. ამ მიმართებით ადამიანთა მოდგმა სხვა დანარჩენ სულიერზე უარეს მდგომარეობაში როდია. მონადირეებისაგან ხშირად გაიგებთ, თუ რა წარამარა აწყდებიან ისინი ხეიბარ ცხოველებს; მრავალ მათგანს სერიოზულ და საუცხოოდ შეხორცებულ ღრმა ნაჭრილობევთა კვალი ატყვია; დროის კვალობაზე, მოტეხილი კიდურები თუ ძვლები მათივე ჩვეული ყოფის პირობებში ყოველგვარი ქირურგიული ჩარევისა და საგანგებო რეჟიმის გარეშე შეხორცებიათ და ოპერაციის თანამდევი ყოველგვარი ტკივილის, სამკურნალო საშუალებებით ორგანიზმის მოწამვლისა თუ მისი მარხვებით გამოფიტვის გარეშეც არანაკლებ კარგად გამოჯანმრთელებულან. ერთი სიტყვით, რაოდენ სასარგებლოც არ უნდა იყოს კარგად წარმართული მკურნალობა ჩვენთვის, მუდამ ნათელია, რომ საკუთარი თავის ამარა მყოფი სნეული ველური მხოლოდ ბუნების იმედადაა; სამაგიეროდ, გარდა თავისი ტკივილისა, მას არაფერი აშინებს; ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მისი მდგომარეობა ჩვენსაზე უკეთესია.

ასე რომ, მოვერიდოთ ველურის აღრევას ჩვენ თვალწინ მყოფ ადამიანებთან. ბუნება საოცარ მზრუნველობასა და კეთილგანწყობას იჩენს მის იმედად მინდობილი ყველა სულიერის მიმართ, რითაც, თითქოს სურდეს იმის ჩვენება, თუ რაოდენ ძვირფასია მისთვის ეს

უფლება. ტყის ბინადარ ცხენს, კატას, ხარს, სახედარს ბევრად უფრო ძლიერი აღნაგობა, დიდი სხეული, მეტი ძალა, ცხოველქმედობა და სიმხნევე აქვს, ვიდრე ჩვენს კარ-მიდამოში მყოფთ; ჩვენ მიერ მოშინაურებული ხსენებული ცხოველები სანახევროდ კარგავენ აღნიშნულ უპირატესობებს; იტყოდით, მათ მოვლასა და კვებაზე ზრუნვით ხელს ვუწყობთ ცხოველთა გადაგვარებასო. ადამიანზეც იგივე ითქმის: სოციალურ არსებად და მონად ქცეული, იგი სუსტი, მშიშარა, მორჩილი ხდება; დუნე და გასათუთებული ყოფა, ერთდროულად, მის ძალას ასუსტებს, მხნეობას კი ფიტავს. მეტიც: გარეული და შინაური ცხოველების ყოფათა შორის არსებულ სხვაობაზე ბევრად უფრო დიდი უნდა იყოს სხვაობა ადამიანთა, და არა ცხოველთა შორის; რადგან ცხოველსაც და ადამიანსაც ბუნება ერთნაირად ექცევა, ყოველგვარი კომფორტი, რომლითაც ადამიანი მოშინაურებულ ცხოველებზე მეტად უზრუნველყოფს საკუთარ თავს, ის კერძო მიზეზებია, ბევრად უფრო საგრძნობლად რომ უწყობს ხელს მის გადაგვარებას.

ასე რომ, არსებობის შესანარჩუნებლად, პირველყოფილ ადამიანთათვის დიდი უბედურება და დაბრკოლება სულაც არ გახლავთ სამოსის, საცხოვრებლისა თუ ჩვენ მიერ აუცილებლად მიჩნეულ ყველა ამ უსარგებლო ნივთთა უქონლობა. თბილ ქვეყნებში ბალნით დაუფარავი კანი მათ პრობლემას არ უქმნიდა, ცივ ქვეყნებში კი მალევე ისწავლეს ნანადირევი ცხოველების ბეწვის სამოსად გამოყენება;

მართალია, გადასაადგილებლად და გასაქცევად ადამიანს მხოლოდ ორი ქვედა კიდური აქვს, მაგრამ ზედა ორი თავის დასაცავად და ყოველივე იმის მოსაპოვებლად ეხმარება, რაც არსებობისათვის ესაჭიროება. მისი შვილები თუ გვიან და გაჭირვებით იდგამენ ფეხს, სამაგიეროდ დედები ადვილად დაატარებენ თან; ასეთ უპირატესობას მოკლებული სხვა სახეობის ძუ ცხოველი, რომელსაც დევნიან, იძულებულია თავისი პატარები ბედის ანაბარა მიატოვოს, ანდა სირბილის დროს ნაბიჯი შეანელოს და მათსას აუწყოს. ერთი სიტყვით, სულ მცირე, თუ დავუშვებთ ასეთ გამონაკლის და შემთხვევით გარემოებათა თანხვედრას – რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ და რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, არც არასოდეს მომხდარიყო – მაშინ ნათელია: იმ პირველმა, ვინც სამოსი გაიკეთა ან საცხოვრებელი აიგო, ნებისმიერ შემთხვევაში ამით საკუთარი თავი ნაკლებ აუცილებელი რამით უზრუნველყო, რადგან მათ გარეშე მანამდეც იოლად არსებობდა; გაუგებარია, რატომ ველარ შეძლო ზრდასრულმა ადამიანმა ბავშვობიდან ჩვეული ყოფის ატანა?

ეული, უქმად მყოფი და ნიადაგ ხიფათისაგან დაუცველი ველური ძილის მოყვარული უნდა იყოს; ცხოველთა დარად, რომლებიც, ასე ვთქვათ, მწირად აზროვნებენ და თუ არ ფიქრობენ, სულ სძინავთ, მასაც ფხიზელი ძილი უნდა ჰქონდეს. ზრუნვა საკუთარი არსებობის შენარჩუნებაზე მისი თითქმის ერთადერთი საზრუნავია; ამდენად, ყველაზე მეტად

ის უნარები უნდა ჰქონდეს განვითარებული, რომელთაც, ძირითადად, თავდასხმის ან თავდაცვის, ნადავლის დაუფლების, ან იმისაგან თავის დასაცავად იყენებს, რომ სხვა ცხოველის ლუკმად არ იქცეს; და პირუკუ: ორგანოები, რომელთა დახვეწა-განვითარებაც სისათუთითა და მგრძნობელობით ხდება, განუვითარებელი და ყოველგვარ სინატიფეს მოკლებული უნდა ჰქონდეს; ერთი სიტყვით, ამ მიმართებით მის გრძნობებს შორის სხვაობა უდავოა: შეხებისა და გემოს შეგრძნება მას ძალზე უხეში, განუვითარებელი ექნება, მხედველობა, სმენა და ყნოსვა კი უაღრესად განვითარებული და ნატიფი. ზოგადად, ასეთია ცხოველთა მდგომარეობა; მოგზაურთა გადმოცემის თანახმად, დიდწილად მსგავსი ვითარებაა ველურ ხალხთა უმრავლესობაში. ამგვარად, სრულიადაც არაა საკვირველი ის, რომ კეთილი იმედის კონცხის მკვიდრი ჰოტენტონები ღია ზღვაში, ძალზე შორ მანძილზე, შეუიარაღებელი თვალით ამჩნევენ ხომალდებს, ჰოლანდიელები კი ჭოგრიტს იყენებენ; არც ისაა გასაკვირი, რომ, საუკეთესო ჯიშის ძაღლების დარად, ამერიკის მკვიდრი ველურები ნაკვალევის მიხედვით გრძნობენ ესპანელებს, და არც ის, რომ ყველა ეს ბარბაროსი ხალხი იოლად იტანს სიშიშვლეს, სიამოვნებით ჭამს მწარე წიწაკას და წყალივით სვამს ევროპულ ალკოჰოლიან სასმელს.

აქამდე ადამიანი განვიხილე მხოლოდ ფიზიკური კუთხით; ახლა კი, მოდით, შევეცა-

დოთ შევხედოთ მას მეტაფიზიკური და მორალური მხრით.

ყოველ ცხოველში მე ვხედავ მხოლოდ გონივრულად მოწყობილ მანქანას, რომელიც ბუნებამ დააჯილდოვა გრძნობებით, რათა მას თავად შეეძლოს საკუთარი თავის შემართვა და გარკვეულ ზღვრამდე თავდაცვა ყოველივე იმისაგან, რასაც მისი განადგურება ან დაზიანება ძალუძს. ადამიანურ მანქანაშიც ზუსტად იმასვე ვამჩნევ, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ცხოველის ყველა ქმედებას მხოლოდ ბუნება წარმართავს, ადამიანი კი, როგორც თავისუფალი სუბიექტი, საკუთარ ქმედებებს თავადვე განაგებს. პირველის არჩევანსა თუ უნარს ინსტინქტი, მეორისას კი თავისუფალი ნების აქტი განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ბუნებით დადგენილ წესს ცხოველი მაშინაც ვერ არიდებს თავს, როცა ამის ქმნა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის; სამაგიეროდ, ადამიანი, თავისდა საზიანოდ, ხშირად უგულებელყოფს მას (ბუნებით დადგენილ წესს). ამიტომაა რომ, მაგალითად, საუკეთესო ხორცით სავსე თასთან ახლომყოფი მტრედი შიმშილით მოკვდებოდა, კატა კი, გროვად დახვავებული ხილისა თუ მარცვლის ახლომახლო მყოფი. აღნიშნულ პროდუქტთა (რომელთაც ისინი არ კადრულობენ) გემოს გასინჯვა აზრად რომ მოსვლოდათ და გაებედათ, ძალზე კარგად გამოიყენებდნენ საკვებად. სწორედ ასე გადადიან ზომიერების ფარგლებს თავაშვებული ადამიანები, რაც მათ ციებ-ცხელებისა და სიკვდილის ფასად უჯდე-

ბათ; გონება რყვნის გრძნობებს, და როცა ბუ-
ნება დუმს, ნება მაინც განაგრძობს ლაპარაკს.

გრძნობებით დაჯილდოვებულ ყოველ სუ-
ლიერს აქვს აზრები და გარკვეულ ზღვრამდე
კიდეც ახერხებს მათ კომბინირებას. ამ მიმარ-
თებით ადამიანი მხოლოდ მეტ-ნაკლებად
სხვაობს ცხოველისაგან. ზოგმა ფილოსოფოს-
მა* ისიც კი განაცხადა, რომ ამა თუ იმ ადამი-
ანთა შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე ამა
თუ იმ ადამიანსა და ცხოველს შორის. ასე
რომ, სულიერთა შორის ადამიანის სპეციფი-
კურ სხვაობას ქმნის არა იმდენად გონება,
რამდენადაც მისი, როგორც თავისუფლად
მოქმედი პირის, რაობა. ყოველ სულიერს ბუ-
ნება მბრძანებლობს, ცხოველი მას მორჩი-
ლებს. იგივე შეგრძნების განცდა აქვს ადამი-
ანსაც, მაგრამ ბუნების მორჩილებასა თუ შე-
წინააღმდეგებაში თავი თავისუფლად მიაჩნია;
სწორედ ამ თავისუფლების შეგნებაში წარ-
მოჩნდება მისი სულის სპირიტუალურობა: ფი-
ზიკა (სხეული) როგორღაც ხსნის მის გრძნო-
ბათა მექანიზმსა და იდეათა ფორმაციას, მაგ-
რამ წმინდა სპირიტუალურ აქტებს, რომელ-
თაც მექანიკის კანონებით ვერ ავხსნით, მხო-
ლოდ სურვილის ან უმალ არჩევანის ნებასა და
ამ უკანასკნელის გააზრებაში ვხვდებით.

ყველა ამ საკითხის სირთულეთა მიღმა,
ადამიანსა და ცხოველს შორის სხვაობაზე კა-
მათისას თავს იჩენს მათი განმასხვავებელი
კიდევ ერთი, ძალზე სპეციფიკური თვისება,

---

* რუსო გულისხმობს მონტენს, *ესეები*, წ. I, თ. XII.

რომლის თაობაზე დავაც უაზრობაა; ესაა სრულყოფილების უნარი, რომელიც, გარემოებათა მიხედვით, ყველა სხვა უნარსაც თანდათანობით ანვითარებს; სრულყოფილების უნარი ნიშანდობლივია როგორც მთელი მოდგმისათვის, ისე ცალკეული ადამიანისათვის ინდივიდუალურად; ასეთი უნარი ცხოველს არ გააჩნია, ამიტომ რაც ამქვეყნად მოვლინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ იყო, მთელი სიცოცხლე იგივე იქნება; თავისი მოდგმის დარად, ათასი წლის შემდეგაც ისეთივე იქნება, როგორიც ათასი წლის წინ, პირველ წელს იყო. რატომაა ადამიანი ერთადერთი არსება, რომელიც ექვემდებარება იმბეცილიას? იმიტომ ხომ არა, რომ ასე უბრუნდება იგი თავის პირველყოფილ მდგომარეობას, ცხოველი კი, რომელსაც არც არაფერი შეუძენია და არც არაფერი აქვს დასაკარგი, მუდამ თავისი ინსტინქტის ამარაა; განსხვავებით ცხოველისაგან, მასზე უფრო დაბლა ადამიანი იმის გამო ხომ არ ეშვება, რომ სიბერით ან რაიმე სხვა შემთხვევის წყალობით კარგავს ყოველივე იმას, *რაც სრულყოფილებისაკენ სწრაფვის უნარმა* შეაძენინა? სამწუხარო იქნებოდა იძულებულნი რომ ვყოფილიყავით დავთანხმებოდით შემდეგ აზრს: ადამიანის ყველა უბედურების სათავე მისთვის ნიშანდობლივი ეს განმასხვავებელი და თითქმის უსაზღვრო უნარია; დროის კვალობაზე, სწორედ მას გამოყავს ადამიანი იმ პირველყოფილი მდგომარეობიდან, რომელშიც მშვიდად და უცოდველად გაილეოდა მისი სიცოცხლე; საუკუნეთა მანძილზე სწო-

რედ იგი უწყობდა ხელს მისი განათლების, ცდომილებების, მანკიერებებისა და სათნოებების ზრდა-განვითარებას; დროის კვალობაზე სწორედ იგი ხდის მას საკუთარი თავისა და ბუნების ტირანად[9]. საშინელება იქნებოდა იძულებულნი რომ ვყოფილიყავით, კეთილისმყოფელი არსების დარად შეგვესხა ხოტბა მისთვის, ვინც პირველმა შთააგონა აზრი ორენოკის* სანაპიროს მკვიდრთ, საკუთარი შვილებისათვის საფეთქლებზე დაედოთ არტახები, რაც, გარკვეულწილად, სულ მცირე, თავიდან არიდებს იმბეცილიას და მათ პირვანდელ ბედნიერებას იცავს.

ბუნებით მხოლოდ ერთი ინსტინქტის ამარა მინებებული ველური ადამიანი, ან, უმალ, – იმის სანაცვლოდ, რასაც იგი, ალბათ, მოკლებულია – დაჯილდოებული ისეთი უნარებით, რომელთაც ჯერ მისი (ინსტინქტის) შევსება ძალუძს, შემდეგ კი მასზე დიდად ამაღლება, არსებობას დაიწყებს წმინდა ცხოველური ფუნქციებით, რომელთაგანაც პირველი იქნება რაიმეს შემჩნევა და შეგრძნება[10]; ესაა მისი და ყველა ცხოველისათვის ნიშანდობლივი საერთო ფუნქცია. ნდომა და არნდომა, სურვილი და შიში მისი სულის პირველი და თითქმის ერთადერთი ქმედებები იქნება მანამდე, ვიდრე ახალი გარემოებები მის შემდგომგანვითარებას განაპირობებდეს.

რაც არ უნდა თქვან მორალისტებმა აღნიშნულის თაობაზე, საერთო აღიარების თა-

---

* მდინარე სამხრეთ ამერიკაში.

ნახმად, ადამიანის გონება დიდად დავალებულია ვნებებისაგან, და პირუკუ: ვნებები გონებისაგან; ჩვენი გონება სწორედ მათი აქტიურობის წყალობით სრულიყოფა; შემეცნებისადმი სწრაფვას ტკბობის სურვილი განაპირობებს; ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომ აიძულებდა თავს აზროვნებას ის, ვისაც არც სურვილი ექნებოდა და არც შიში. თავის მხრივ, ჩვენივე საჭიროებებიდან ეძლევა დასაბამი ვნებებსაც, მათ პროგრესს კი ჩვენი ცოდნიდან; სურვილისა თუ შიშის ობიექტი მხოლოდ ის საგნებია, რომელთა შესახებაც რაიმე აზრი ან, უბრალოდ, ბუნებრივი სწრაფვა გვაქვს. ყოველად უბირი ველური მხოლოდ იმპულსურ ვნებებს განიცდის, სურვილები კი მისივე მატერიალური მოთხოვნილებებით იფარგლება[11]. საკვები, მდედრი, დასვენება – აი, მისი ამქვეყნიური სიკეთენი; ერთადერთი გასაჭირი, რისიც ეშინია, ტკივილი და შიმშილია; მე ვთქვი ტკივილი, და არა სიკვდილი, რადგან ცხოველი ვერასოდეს გაიგებს, რა არის სიკვდილი; ერთადერთი პირველი შენაძენი, რომელიც ცხოველის მდგომარეობიდან გამოსულმა ადამიანმა შეიცნო, სიკვდილი და მისადმი შიში იყო.

ჩემთვის ძალზე იოლი იქნებოდა (ცხადია, ამის აუცილებელობა რომ მქონოდა) ამ გრძნობის ფაქტებით დადასტურება და იმის ჩვენება, რომ მსოფლიოს ყველა ხალხში გონების პროგრესს, ბუნებით ნილხვედრილ ან გარემოებებით თავსმოხვეულ საჭიროებებსა და მათ მოსაპოვებლად შემაგულიანებელ ვნებებს

შორის ზუსტი თანაფარდობაა. ვაჩვენებდი, თუ როგორ მიეცა დასაბამი ხელობებს ეგვიპტეში და როგორ გავრცელდა ნილოსის ნაპირებს მიღმაც; შემდეგ წარმოვაჩენდი ხელობათა წარმოშობას, განვითარებასა და მათ არნახულ აღმავლობას საბერძნეთის ქვიშიან და კლდოვან მიწაზე, სადაც მათი გადატანა ევროტას ნაყოფიერი ველებიდან ყოვლად შეუძლებელი იყო. შენიშვნის სახით იმასაც დავსძენდი, რომ, ზოგადად, ჩრდილოეთის ცივი ჰავის მკვიდრნი სამხრეთისაზე უფრო გამრჯენი არიან; ასეთები რომ არ იყვნენ, იოლას ვერ გავლენ; მოვლენათა განონასწორება ბუნებამ თითქოს იმით ინება, რომ მიწის სიმწირის სანაცვლოდ, ადამიანები სიბეჯითით დააჯილდოვა.

ისტორიის სათუო სამხილების მოუხმობლადაც ყველასათვის ხომ ისედაც ნათელია, რომ ველური ადამიანის მცდელობას ველურად ყოფნის შესაწყვეტად, თითქოს, ყველაფერი ხელს უწყობს? წარმოსახვა არაფერს უსახავს, გული არაფერს სთხოვს, მწირ საჭიროებებს ძალზე იოლად იკმაყოფილებს; იმ აუცილებელი ელემენტარული ცოდნისგანაც იმდენად შორსაა, რომ უფრო მეტის შესაძენად არც ცნობისმოყვარეობა და წინდახედულება აგულიანებს, და არც სურვილი აქვს. იმდენად მიჩვეულია ბუნების ყოველგვარ სანახაობას – მუდამ იგივე ცვლილებები, წელიწადის დროთა იგივე მონაცვლეობა – რომ მის მიმართ გულგრილია; ყველაზე დიდი სასწაულებით გაოცების უნარიც კი არა აქვს. მასში არ უნდა

ვეძიოთ ის ფილოსოფია, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურ მოვლენებზე დასაკვირვებლად საჭიროებს. მის სულს არაფერი აღელვებს, აწმყოს შთაბეჭდილებების ტყვედმყოფს, უახლოეს მომავალზე წარმოდგენაც კი არა აქვს; გონების ვიწრო თვალსაწიერის მსგავსად, მისი ხანმოკლე გეგმებიც ერთი დღით იფარგლება. კარაიბელის* წინდახედულების ჰორიზონტი დღესდღეობითაც ასეთია: დილით იგი ყიდის თავის ბამბის საწოლს, საღამოს კი თვალცრემლიანი მის გამოსასყიდად მიეშურება: იმავე ღამეს საწოლი რომ დასჭირდებოდა, მან ეს ვერ განჭვრიტა.

რაც უფრო მეტს ფიქრობენ ამ საკითხზე, მით უფრო იზრდება მანძილი წმინდა შეგრძნებებსა და უმარტივეს ცოდნას შორის. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეძლო ადამიანმა ესოდენ დიდი ინტერვალის გადალახვა მხოლოდ საკუთარი ძალებით, სხვათა დაუხმარებლად და აუცილებლობით განპირობებული შეგულიანების გარეშე. ვინ უწყის, რამდენმა საუკუნემ გაიარა მანამდე, ვიდრე ადამიანები სხვა ცეცხლის (გარდა ზეციდან მოვლენილი ცეცხლისა) თვითმხილველნიც გახდებოდნენ? რამდენი სხვადასხვა შემთხვევა უნდა ყოფილიყო საჭირო ამ სტიქიის, თუნდაც ყველაზე მარტივი სახით, გამოყენების სასწავლად? რამდენჯერ უნდა ჩაქრობოდათ ცეცხლი, ვიდრე ხელახლა მის დანთებასა და გაჩაღებას დაეუფლებოდნენ? ვინ

---

* მცირე ანტილის კუნძულებისა და გვიანას მოსახლეობა.

იცის, თითოეული ამ საიდუმლოებათაგანი მისი აღმომჩენის სიკვდილთან ერთად რამდენჯერ მიეცა დავიწყებას? რა უნდა ვთქვათ მიწათმოქმედების თაობაზე, ესოდენ დიდ ჯაფასა და წინდახედულებას რომ ითხოვს და დამოკიდებულია იმდენ სხვა ხელობაზე, რომელთა არსებობაც, სულ მცირე, ახლად შექმნილ საზოგადოებაშია შესაძლებელი და არა იმდენად სურსათით უზრუნველსაყოფად გვესაჭიროება (მიწა ისედაც უხვად უზრუნველგვყოფს საკვებით), რამდენადაც იმის მოსაცემად, რაც ჩვენს გემოვნებას უფრო მეტად ეთანადება? დავუშვათ, ადამიანები ისე გამრავლდნენ, რომ ბუნებრივი პროდუქტი საზრდოდ აღარ ყოფნიდათ; მაგრამ, ზოგადად თუ ვიტყვით, ეს ისეთი ვარაუდია, რომელიც ადამიანთა მოდგმისათვის ცხოვრების ამ წესის (ბუნებრივი მდგომარეობა) ძალზე დიდ უპირატესობას დაგვიდასტურებდა. დავუშვათ, მიწის დასამუშავებლად საჭირო ხელსაწყო-იარაღები ველურებს სამჭედლოებსა და სახელოსნოებში კი არ დაემზადებინათ, არამედ ზეციდან ჩამოვარდნოდათ; დაეძლიათ მომაკვდინებელი სიძულვილი ყოველგვარი ბეჯითი შრომისადმი, ესწავლათ თავიანთი საჭიროებების წინასწარ განჭვრეტა, თავად მიმხვდარიყვნენ, როგორ უნდა დაემუშავებინათ მიწა, დაეთესათ თესლი, დაერგოთ ხე, აღმოეჩინათ ხორბლის დაფქვისა და ყურძნის დაწურვის ხელოვნება. ყოველივე ეს ღმერთებს უნდა ესწავლებინათ მათთვის, რადგან სხვაგვარად წარმოუდგენელია. მაგრამ თუ შემთხვევით გამვლელი პირ-

ველივე ადამიანი ან ცხოველი, რომელსაც დამუშავებული მიწის ნაყოფი მადას აღუძრავდა და მთელ მოსავალს პირწმინდად გააჩანაგებდა, განა ამის შემდეგ მოიძებნებოდა კია ისეთი უგუნური ადამიანი, რომელიც კიდევ გაირჯებოდა მიწის დასამუშავებლად? ვინ დათანხმდებოდა მთელი სიცოცხლის გატარებას მძიმე ჯაფაში, თუ გაწეული შრომის საზღაურად არსებობისათვის აუცილებელი პროდუქტის მიღების იმედი არ ექნებოდა? ერთი სიტყვით, როგორ განაწყობდა ასეთი ვითარება ადამიანებს მიწის დასამუშავებლად მანამდე, ვიდრე იგი მათ შორის არ განაწილდებოდა, ანუ ბუნებრივი მდგომარეობის გაუქმებამდე?

თუ ვისურვებდით დაგვეშვა, რომ ველური, როგორც ეს ჩვენს ფილოსოფოსებს მიაჩნიათ, მართლაც განვითარებული აზროვნების უნარის მქონეა და მათ მსგავსად ჩვენც ფილოსოფოსად გვექცია ველური, რომელიც ძალზე აბსტრაქტულ მსჯელობათა შედეგად მისაღწევი უზენაესი ჭეშმარიტებების აღმოჩენას, სამართლისა და გონიერების მაქსიმების შექმნას, ზოგადად წესრიგის სიყვარულისა ან მისი შემოქმედის გამჟღავნებული ნების საფუძველზე, დამოუკიდებლად შეძლებდა, ერთი სიტყვით, საამისოდ მის გონებას ამდენ გამჭრიახობასა და განათლებას თუ მივაწერთ, რეალურად კი აზროვნების სიტლანქესა და სიჩლუნგეს აღმოვაჩენთ, მაშინ საკითხავია: რა სარგებელი უნდა მოეტანა ადამიანთა მოდგმისათვის მთელ ამ მეტაფიზიკას, რომლის გადაცემაც არ მოხდებოდა და მის აღმომჩენ

ინდივიდთან ერთად დაიკარგებოდა? რა პროგრესი შეიძლებოდა განეცადა ცხოველთა შორის ტყეში ბინადარ ადამიანთა მოდგმას? რა სრულყოფილებისა და გონებრივი განვითარებისთვის უნდა მიეღწიათ ადამიანებს, რომელთაც არც მუდმივი საცხოვრებელი ჰქონდათ და არც ერთმანეთთან ურთიერთობის მოთხოვნილება? ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს არც იცნობდნენ და არც ესაუბრებოდნენ, სიცოცხლის მანძილზე კი, დიდი-დიდი, ორჯერ თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს?

გავიხსენოთ, რამდენ იდეას უნდა ვუმადლოდეთ მეტყველების უნარს, როგორ ხვეწს და აიოლებს გონებრივ ოპერაციებს გრამატიკა; დაუფიქრდით იმ წარმოუდგენელ მცდელობებსა და დროის საოცრად დიდ ხანგრძლივობას ენათა პირველ გამოგონებებს რომ უნდა მოეთხოვა; დაუმატეთ ყველა ეს რეფლექსია წინამავალთ და მიხვდებით, რამდენი ათასი საუკუნე იყო საჭირო რათა ადამიანის გონებას თანმიმდევრულად განევითარებინა ყველა ის ოპერაცია, რისი უნარიც მას ჰქონდა.

ნება მომეცით, გაკვრით შევეხო ენათა წარმოშობასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ამ საკითხის თაობაზე შემეძლო დავჯერებოდი აბატ დე კონდილიაკის გამოკვლევათა ციტირებას თუ გამეორებას, რომლებიც სავსებით ეთანხმება ჩემს აზრს და, შესაძლოა, პირველი იდეაც მათ საფუძველზე დამებადა. მაგრამ ის ფორმა, რომლის თანახმადაც ზემოხსენებული ფილოსოფოსი წყვეტს იმ სირთულეებს, რომელთაც აწყდება ენათა დასაბამის ახსნასთან

დაავშირებით, მოწმობს: მას უდავოდ მიაჩნია ის, რასაც მე ეჭვქვეშ ვაყენებ; კერძოდ, გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობა ენის შემქმნელ ადამიანთა შორის; საჭიროდ მიმაჩნია, მის რეფლექსიებს დავურთო საკუთარიც, რათა ჩემი კვლევის ფონზეც იგივე სირთულეები წარმოვაჩინო. პირველი, რაც აზრად მომდის, ესაა ის, თუ რამ განაპირობა მეტყველების (ენის) აუცილებლობა; თუ ადამიანებს ერთმანეთთან არც ურთიერთობა ჰქონდათ და არც ამის საჭიროება, მაშინ გაუგებარია, რამ განაპირობა ამ გამოგონების აუცილებელობა ან შესაძლებლობა, თუ ეს მათთვის გარდუვალი აუცილებლობა არ გახლდათ. მრავალთა მსგავსად, მეც სიამოვნებით ვიტყოდი: ენას დასაბამი მიეცა ოჯახის წიაღში, დედმამასა და შვილებს შორის ურთიერთობისას; მაგრამ იმის გარდა, რომ ამით საპირისპირო მოსაზრება არ გადაიჭრებოდა, ეს იმათი შეცდომის გამეორებაც იქნებოდა, ვინც ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე მსჯელობისას, მას საზოგადოებრივი ყოფისათვის ნიშანდობლივ იდეებს მიაწერს; ერთ ჭერქვეშ მცხოვრებნი მიაჩნიათ ოჯახად, რომლის წევრთა შორისაც ისეთივე მჭიდრო და მყარი კავშირია, როგორიც ჩვენია, ვისაც მრავალი საერთო ინტერესი გვაერთიანებს. პირველყოფილ მდგომარეობაში არც სახლი არსებობდა, არც ქოხი და არც რაიმე სახის საკუთრება; ხშირ შემთხვევაში, ალალბედზე შერჩეულ თავშესაფარში მხოლოდ ერთი ღამე ჩერდებოდნენ; მდედრი და მამრი არსებების შემთხვევითი და ხანმოკ-

ლე სქესობრივი კავშირი მხოლოდ ფიზიკური სურვილის დაკმაყოფილებით იფარგლებოდა; რაკი ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი ჰქონდათ, სიტყვასაც დიდად არ საჭიროებდნენ და ერთმანეთსაც ძალზე იოლად შორდებოდნენ[12]. თავდაპირველად დედა შვილებს საკუთარი საჭიროებისათვის კვებავდა ძუძუთი; შემდეგ ჩვევამ იმდენად ძვირფასი გახადა ისინი მისთვის, რომ დედა მათი საზრდოს შოვნაზეც ზრუნავდა. როცა საკმაოდ მოზრდილ პატარებს საკვების შოვნა თავადაც შეეძლოთ, აღარ აყოვნებდნენ და დედას ტოვებდნენ; მხედველობის არედან ერთმანეთის დაკარგვის შემდეგ, ოდესმე კვლავ შეხვედრის თითქმის არავითარი საშუალება არ არსებობდა და მალე ერთიმეორეს ველარც ცნობდნენ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ყველა თავისი საჭიროების ახსნა უწევს ბავშვს; აქედან გამომდინარე, მას უფრო ბევრი რამ აქვს სათქმელი დედისთვის, ვიდრე დედას შვილისთვის; ასე რომ, გამოგონების ყველაზე დიდი ხარჯებიც სწორედ მას უნდა გაეღო, შესაბამისად, მის მიერ გამოყენებული ენა დიდწილად მისივე საკუთარი ქმნილება უნდა იყოს. ენათა რაოდენობის ესოდენ ზრდას, მათზე მეტყველი ინდივიდები განაპირობებენ; აღნიშნულ ვითარებას ხელს უწყობს ცხოვრების მოხეტიალე და მომთაბარე წესიც, რომელიც მდგრადობის შესაძენად არც ერთ იდიომს დროს არ უტოვებს; იმის თქმა, რომ ამა თუ იმ რამის სათხოვნელად სიტყვებს შვილს დედა კარნახობს, ნათლად ადასტურებს, თუ როგორ ასწავლიან ბავშვს უკვე შექმნილ ენებს,

მაგრამ მათი ფორმირების თაობაზე ეს არაფერს გვეუბნება.

დავუშვათ, ეს პირველი სირთულე დაძლეულია; ერთი წუთით გადავლახოთ ის ვეება მანძილიც წმინდა ბუნებრივ მდგომარეობასა და ენათა საჭიროებას შორის რომ უნდა ყოფილიყო, და ენათა აუცილებლობის გათვალისწინებით შევეცადოთ იმის გაგებას, თუ როგორ შეძლეს მათ დამკვიდრება[13]; ეს ახალი სირთულე წინამავალზე ადვილი როდია; თუ ადამიანებს სიტყვა აზროვნების სასწავლად დასჭირდათ, მაშინ მეტყველების ხელოვნების აღმოსაჩენად მათ უმალ აზროვნების ცოდნის საჭიროება უნდა ჰქონოდათ; როდესაც გაიგებდნენ, თუ როგორ იქნა დადგენილი სახმო ბგერები ჩვენს იდეათა კონვენციონალურ ინტერპრეტატორებად, მაშინ მუდამ გაუგებარი დარჩებოდა, კონვენციის თანახმად რომელი მათგანი იქცა ინტერპრეტატორად გრძნობადი ობიექტის უქონელი, წმინდა აბსტრაქტული იდეებისა, რომელნიც ვერც ჟესტით აღინიშნებოდნენ და ვერც ხმით; ასე რომ, აზრების კომუნიკაციის ამ ხელოვნების დასაბამსა და ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარების თაობაზე რიგიან ვარაუდებს ძლივსღა შექმნიდნენ; უზადო ხელოვნება, რომელიც უკვე ძალზე შორსაა თავისი დასაბამისაგან; თუმცა ფილოსოფოსი ხედავს, რომ სრულყოფილებისაგან ჯერ კიდევ ესოდენ საოცრად შორ მანძილზე არ არსებობს ისეთი გაბედული ადამიანი, რომელიც ოდესმე მიაღწევდა ამ საწყისს, რადგან დროის კვალობაზე მომხდა-

რი ცვლილებები ყოველთვის მის (საწყისის) სასარგებლოდ შეწყდებოდა, აკადემიებიდან კი მათ (ცვლილებათა) შესახებ ან განსჯამდეელი აზრები წამოვიდოდა ან დუმილს ამჯობინებდნენ და საუკუნეების მანძილზე გამუდმებით ამ საჩოთირო საკითხით იქნებოდნენ დაკავებულნი.

პირველი, ყველაზე უნივერსალური, ენერგიული და ერთადერთი ენა, რომელიც ადამიანს დასჭირდებოდა მანამდე, ვიდრე ერთად შეყრილ თავის მსგავსთა დარწმუნების აუცილებლობა შეექნებოდა, ბუნების ყივილი იყო – ერთგვარი სახის ინსტინქტით აღმომხდარი ყვირილი, რომელიც დიდი საფრთხის შემთხვევაში საშველად, ძლიერი ტკივილის დროს კი ნუგეშის საცემად უხმობდა; ცხოვრების ჩვეული რიტმით დინების დროს, როდესაც უფრო ზომიერი, თავშეკავებული გრძნობები სუფევდა, ასეთი ძახილი დიდად არ გამოიყენებოდა. ადამიანთა შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარების კვალობაზე, მათი აზრებიც განივრცო და გამრავლდა, მათ გადმოსაცემად ადამიანებმა უფრო მეტი ნიშნები შექმნეს, რითაც ენა გამდიდრდა; ამის გარდა, იგი ხმის ინტონაციითა და თავიანთი ბუნებით ბევრად უფრო მეტყველი, რაიმე უნინდელ დეტერმინაციაზე ნაკლებად დამოკიდებული მნიშვნელობის მქონე ჟესტებითაც გაამრავალფეროვნეს. ერთი სიტყვით, ხილულ და მოძრავ საგნებს ჟესტებით გამოხატავდნენ, სმენით აღქმულებს – იმიტაციური ბგერებით. მაგრამ ჟესტი მხოლოდ უშუალოდ სუბიექტის

წინაშე არსებული საგნების, ან აღსაწერად იოლი და ხილული ქმედებების აღსანიშნად გამოიყენება; ამდენად, იგი არ გახლავთ უნივერსალური და ყველა შემთხვევაში გამოსაყენებელი ნიშანი; სიბნელეში ან რაიმე ორ სხვა საგანს შორის მოთავსებული სხეული როდესაც არ ჩანს, ჟესტი არას გარგებთ; ასეთ შემთხვევაში ის ყურადღებას კი არ იწვევს, არამედ, უმალ, ითხოვს. ბოლოს ადამიანები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ ჟესტი შეეცვალათ ხმის არტიკულაციებით; გარკვეულ იდეებთან იგივე მიმართების არმქონე, დადგენილი ნიშნები უფრო მოხერხებულია ყველა მათგანის წარმოსადგენად. ასეთი სუბსტიტუცია, შესაძლებელი მხოლოდ საერთო თანხმობით, საკმაოდ ძნელად გამოსაყენებელი უნდა ყოფილიყო ადამიანებისათვის, მეტყველებისათვის საჭირო მათი გაუწვრთნელი, ძალზე მოუქნელი ორგანოების გამო. თავისთავად ასეთი რამ კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია, თუ ხსენებული ერთსულოვანი თანხმობა რაიმე საფუძვლით არ იყო განპირობებული; ეტყობა, მეტყველება იმდენად აუცილებელი რამ იყო, რომ მისი გამოყენება ჩვევად იქცა.

სავარაუდოდ, ადამიანების მიერ გამოყენებულ პირველ სიტყვებს ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, ვიდრე უკვე ფორმირებულ ენებში გამოყენებულ სიტყვებს აქვთ. ადამიანებმა არ იცოდნენ მეტყველების დანაწილება შემადგენელ ნაწილებად (ანუ გრამატიკული ფუნქციების მიხედვით დაჯგუფებულ სიტყვათა კატეგორიებით),

ამიტომ, თავდაპირველად, ყოველ სიტყვას მთელი წინადადების მნიშვნელობა ჰქონდა; როდესაც მათ დაიწყეს ქვემდებარის ატრიბუტისაგან და ზმნის სახელისაგან გამიჯვნა – ადამიანის გენიის არანაკლები ძალისხმევის შედეგი – არსებითი სახელებით მხოლოდ საკუთარი სახელები აღინიშნებოდა, ზმნის ერთადერთი გრამატიკული დრო კი ინფინიტივი იყო; რაც შეეხება ზედსართავ სახელებს, ვინაიდან ყოველი ზედსართავი სახელი აბსტრაქტული სიტყვაა, აბსტრაქციები კი რთული და ნაკლებად ბუნებრივი ქმედებებია, მათი ცნება ძალზე ძნელად უნდა განვითარებულიყო.

ყოველ საგანს თავისი კერძო სახელი ჯერ ყოველგვარი სქესისა და გვარის გარეშე მიეცა, რადგან მათი განსხვავება ენის ამ პირველ შემქმნელებს არ შეეძლოთ; ყოველი ცალკეული საგანი გონებას წარმოუდგებოდა იზოლირებულად, ისე, როგორც ეს ბუნებაშია და თუ ერთ მუხას A ერქვა, მეორეს B ეწოდებოდა; ასე რომ, რაც უფრო მწირი იყო ცოდნა, მით უფრო ვრცელი იყო ლექსიკონი. მთელი ამ კლასიფიკაციის სირთულის დაძლევა იოლი სულაც არ გახლდათ: არსებათა და საგანთა დაჯგუფება გვარის მიხედვით და ზოგადი სახელით აღნიშვნა, მათი თვისებებისა და სხვაობების ცოდნას ითხოვდა; ყოველივე ეს დაკვირვებებსა და დეფინიციებს საჭიროებდა, ანუ ბუნებისმეტყველებისა და მეტაფიზიკის სფეროში ბევრად უფრო ფართო ცოდნას, რომელიც იმ დროის ადამიანებს ვერ ექნებოდა.

გარდა ამისა, ზოგადი იდეები მხოლოდ სიტყვათა მეშვეობით იქმნება გონებაში, რომელიც მათ წინადადების მეშვეობით იგებს. ესაა ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმისა, თუ რატომ არ შეუძლიათ ასეთი იდეების შექმნა ცხოველებს, ანდა, ოდესმე, მათი მეშვეობით სრულყოფის უნარის შეძენა. ერთი კაკლის შემდეგ როდესაც მაიმუნი უყოყმანოდ იღებს მეორეს, შეგვიძლია კია იმის თქმა, რომ ამ სახის ნაყოფზე მას აქვს ზოგადი წარმოდგენა და მათ (ამ ორ ნაყოფს) კაკლის არქეტიპს ადარებს? ცხადია, არა; თუმცა ერთ-ერთი ამ კაკლის დანახვაზე მის გონებაში აღიძვრება მეორისაგან მიღებული შეგრძნებები და რაღაცნაირად მოდიფიცირებული მისი თვალები გემოს შეგრძნების უნარს უახლოეს მომავალში განსაცდელ ცვლილებას აუწყებს. ყოველი ზოგადი იდეა წმინდად გონებისმიერი, ინტელექტუალური რამაა; წარმოსახვის მცირედი ჩარევით, ხსენებული იდეა მყისვე კერძოდ იქცევა. შეეცადეთ, რომელიმე ხის ხატის ზოგადად წარმოსახვას; ამას ვერასოდეს შეძლებთ; თქვენდა უნებურად წარმოიდგენთ დიდ ან პატარა, ხშირ ან მეჩხერფოთლიან, ღია ან მუქი ფერის ხეს; თქვენზე დამოკიდებული რომ ყოფილიყო იმის დანახვა, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი ხისათვის, ეს ხატი არც ერთი მათგანის მსგავსი არ იქნებოდა. წმინდა აბსტრაქტული საგნებიც მხოლოდ დისკურსით შეიმეცნება; ამის თაობაზე უტყუარ წარმოდგენას მხოლოდ ერთი სამკუთხედის დეფინიციაც შეგიქმნით: როგორც კი გონებაში წარმოიდგენთ რაიმე სამკუთხედს, თქვენ მას

აუცილებლად მიანიჭებთ ხილულ ხაზებს ან შეფერილ სიბრტყეს. ამგვარად, იმისათვის, რომ გქონდეთ ზოგადი იდეები, საჭიროა წინადადებათა წარმოთქმა, მეტყველება; როგორც კი წარმოსახვა წყვეტს ქმედებას, გონება მხოლოდ დიკურსის მეშვეობით მოქმედებს; ამგვარად, ენის პირველმა შემქმნელებმა მხოლოდ უკვე არსებული იდეების სახელდება თუ შეძლეს; მაშინ, აქედან გამოდინარე, პირველი არსებითები მხოლოდ საკუთარი სახელები იქნებოდა.

მაგრამ, რაკი ჩვენმა ახლადმოვლენილმა გრამატიკოსებმა ჩემთვის გაუგებარი საშუალებებით თავიანთი იდეების განვრცობა და სიტყვების განზოგადება დაიწყეს, ეს მეთოდი ენის შემქმნელთა უვიცობას ძალზე ვიწრო საზღვრებში უნდა მოექცია; თავდაპირველად, გვარსა და სახეობაზე წარმოდგენის არქონის გამო, მათ უზომოდ გაზარდეს ინდივიდთა სახელდების რაოდენობა; შემდეგ, იმის გამო, რომ ცალკეულ საგნებში ვერ შენიშნეს ყველა მათი განმასხვავებელი ნიშანი, ძალზე ცოტა სახეობები და გვარები შექმნეს. დანაწილებათა შემდგომი სრულყოფა იმაზე მეტ ცოდნასა და გამოცდილებას საჭიროებდა, ვიდრე მათ ჰქონდათ და უფრო მეტ კვლევა-ძიებასა და გარჯას, ვიდრე მათ სურდათ. თუ ყოველდღიურად ამჟამადაც ხდება ჩვენს დაკვირვებებს აქამდე გამოპარულ ახალ სახეობათა აღმოჩენა, მაშინ საკითხავია: რამდენი მათგანი უნდა დაფარვოდა იმ ადამიანთა გონებას, რომლებიც საგნებზე ერთი შეხედვით მსჯელობდნენ?! რაც შეეხება ძირითად კლასებს და

უზოგადეს ცნებებს, ზედმეტია იმის განცხადება, რომ ისინიც მათი ყურადღების მიღმა უნდა დარჩენილიყო; კერძოდ, როგორ უნდა წარმოედგინათ ან გაეგოთ მათ სიტყვების: მატერია, გონება, სუბსტანცია, მოძრაობა, მოდუსი, სახე, მოძრაობა და ა. შ. მნიშვნელობა, თუ ეს უკანასკნელი ჩვენ ფილოსოფოსებსაც (ამდენი ხანია ამ სიტყვებს რომ იყენებენ) ძლივს ესმით, მათთან დაკავშირებულ წმინდა მეტაფიზიკურ აზრებს კი საერთოდ არ გააჩნია ნიმუში ბუნებაში?

ამ პირველ ნაბიჯებზე ვჩერდები და ჩემს მსაჯულებს ვთხოვ, კითხვა აქ შეწყვიტონ, რათა წარმოდგენა შეიქმნან მხოლოდ ფიზიკური საგნების აღმნიშვნელ არსებით სახელებზე, ე. ი. ენის იმ ნაწილზე, რომლის გამოგონებაც ყველაზე იოლი იყო; ასევე იმის შესახებ, თუ რამხელა გზა უნდა გაევლო ენას, რათა გადმოეცა ადამიანთა ყველა აზრი, მიეღო მყარი ფორმა, შესაძლებელი გამხდარიყო მისი საჯაროდ გამოყენება და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა. ვთხოვ მათ (ჩემს მსაჯულებს) დაფიქრდნენ, რამდენი ცოდნა და დრო იყო საჭირო რიცხვითი სახელების,[14] აბსტრაქტული სიტყვების, აორისტებისა* და ზმნის ყველა სხვა დროთა, ნაწილაკების, სინტაქსის შესაქმნელად, წინადადების აგების, მსჯელობის ან დისკურსის მთელი ლოგიკის სასწავლად. მე კი შეშინებულს იმ სირთულეებით, რომელთა ოდე-

---

* ბერძნულ ენაში ზმნის უღლების დროები – განუსაზღვრელი წარსული.

ნობაც სულ უფრო მატულობს და წმინდა ადამიანური საშუალებებით ენათა წარმოქმნისა და გავრცელების შეუძლებლობაში დარწმუნებულს, ამ რთული პრობლემის გადაჭრა სხვისთვის მიმინდვია; რომელი უფრო აუცილებელი იყო: ფორმირებულ ენათა არსებობა საზოგადოებათა შესაქმნელად, თუ უკვე არსებული საზოგადოებები ენათა ინსტიტუციისათვის?

როგორიც არ უნდა იყოს ენებისა და საზოგადოების დასაბამი, სულ მცირე, ის მაინც ნათელია, თუ რა ცოტას ზრუნავდა ბუნება ურთიერთმოთხოვნილებათა საფუძველზე ადამიანების დასაახლოვებლად და მათთვის მეტყველების ჩვევის გასაიოლებლად, რაოდენ მცირედ შეამზადა მან ისინი საზოგადოებაში ცხოვრებისათვის და რა ცოტა ნვლილი შეიტანა ყოველივე იმაში, რაც ადამიანებმა თავად გააკეთეს ერთმანეთთან დასაკავშირებლად. მართლაც, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რატომ უნდა ჰქონოდა ადამიანს – მაიმუნსა ან მგელზე მეტად – თავისივე მსგავსის საჭიროება პირველყოფილ მდგომარეობაში; ასეთ ვითარებას თუ კიდეც დავუშვებთ, მაშინ საკითხავია, რას უნდა აეძულებინა იგი ეთანაგრძნო მეორე ადამიანისთვის, ანდა, ასეთი რამის შემთხვევაში, როგორ უნდა შეთანხმებულიყვნენ ისინი პირობებზე. ვიცი, დაუსრულებლად იმეორებენ: წარმოუდგენელია ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანზე საბრალო არსება; თუ ეს მართალია – და, ჩემი აზრით, ეს დავამტკიცე კიდეც – მაინც არაერთ საუკუნეს უნდა გაევლო მანამდე, ვიდრე მას

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილი გაუჩნდებოდა და ამის შესაძლებლობა მიეცემოდა; ეს პროცესი უნდა აღესრულებინა ბუნებას და არა მას, ვინც იგი ასეთად შექმნა. მაგრამ, სიტყვა *საბრალო* თუ კარგად მესმის, მაშინ მას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, ანდა აღნიშნავს სხეულისა თუ სულისათვის მტანჯველ რაიმე მძიმე და მტკივნეულ აღკვეთას; დიდად მოხარული ვიქნებოდი ჩემთვის აეხსნათ: რა სახის გასაჭირი უნდა ჰქონდეს თავისუფალ არსებას, რომლის სულიც მშვიდად, სხეული კი ჯანმრთელადაა? ვკითხულობ: საზოგადოებრივი ცხოვრება თუ ბუნებრივი მდგომარეობა, რომელი უფრო შეიძლება გახდეს აუტანელი მათთვის, ვინც ასეთი ყოფით ხარობს? ჩვენს ირგვლივ თითქმის მხოლოდ თავიანთ არსებობაზე მოწუწუნე ადამიანებს ვხედავთ; რამდენი მათგანი (რამდენადაც ეს მათ ხელთაა) აცხადებს უარს სიცოცხლეზე; ღვთიურ და ადამიანურ კანონთა ერთობლიობა რის ვაი-ვაგლახით კმარა ამ უწესრიგობის შესაჩერებლად. ვკითხულობ: თავისუფლად მყოფი ველურის წუწუნი საკუთარ სიცოცხლეზე, ანდა თავისმოკვლის განზრახვა თუ სმენია ვინმეს ოდესმე? ასე რომ, ნაკლები ამპარტავნებით იმსჯელეთ იმაზე, თუ რომელი სახის ყოფაში უფრო განიცდის ადამიანი ნამდვილ უბედურებას და პირუკუ: ვინ იქნებოდა ცოდნით დაბრმავებულ, ვნებებით გატანჯულ ველურზე უბედური არსება, რომელიც თავისი ყოფისაგან სრულიად განსხვავებულზე მსჯელობს? ამიტომ ძალზე ბრძნული პროვიდენ-

ცია იყო ის, რომ ველურის მფლობელობაში არსებული უნარები მხოლოდ მათი გამოყენების საშუალების კვალობაზე განვითარებულიყო, რათა დრომდე არც მისთვის ზედმეტ და დამამძიმებელ ტვირთად ქცეულიყო და, საჭიროების შემთხვევაში, არც დაგვიანებული და უსარგებლო აღმოჩენილიყო. ბუნებრივ მდგომარეობაში საცხოვრებლად ადამიანს მხოლოდ ერთი ინსტინქტიც ყოფნიდა, საზოგადოებაში ცხოვრებისათვის კი მას განათლებული გონება ესაჭიროება.

ჯერ ერთი, ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანებს არც არანაირი მორალური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან და არც არავითარი მოვალეობები ერთმანეთისადმი; ამიტომ ვერც კეთილები იქნებოდნენ და ვერც ბოროტები, არც მანკიერებები გააჩნდათ და არც სათნოებები, ცხადია, თუ ამ სიტყვებს მატერიალური მნიშვნელობით გავიგებთ; მანკიერად არ იწოდება ინდივიდის ის თვისებები, რომელთაც ძალუძთ ზიანის მიყენება საკუთარი არსებობისათვის და სათნოებად ამ უკანასკნელისთვის ხელისშემწყობნი. ასეთ შემთხვევაში ყველაზე სათნო უნდა გვეწოდებინა მისთვის, ვინც ნაკლებად შეეწინააღმდეგებოდა ბუნებით შთაგონებულ მარტივ იმპულსებს. თუმცა, ზოგადად მიღებულ აზრს ძალზე დიდად რომ არ დავშორდეთ, ჯობს, მსჯელობა შევწყვიტოთ და ასეთი მდგომარეობის შეფასებისაგან თავი შევიკავოთ, რათა განსჯამდელი აზრების ტყვეობაში მანამდე არ აღმოვჩნდეთ, ვიდრე, ასე ვთქვათ, კარგად არ ავნონ-

დავწონით: რა უფრო ჭარბობს ცივილიზებულ ადამიანებში – სათნოება თუ ბიწიერება; მათი სათნოებები უფრო კეთილისმყოფელია, ვიდრე მანკიერებებია დამღუპველი; ანდა, ერთმანეთისადმი მართებული სიკეთის გაცნობიერების კვალობაზე, რამდენად ანაზღაურებს მათი ცოდნის პროგრესი ურთიერთზიანის ბოროტებას; ანდა, ყველაფრის მიუხედავად, რომ არ ყოფილიყვნენ უფრო ბედნიერ მდგომარეობაში, როცა არც ბოროტება აშინებთ და არც ვინმეს სიკეთის იმედი აქვთ, როცა მხოლოდ სრულ დამოკიდებულებას უნდა დანებდნენ და თავი იმით დაივალდებულონ, რომ ყველაფერი მიიღონ მათგან, ვინც მათთვის რაიმეს გასაღებად თავს არ ივალდებულებენ.

განსაკუთრებით კი თავი შევიკავოთ, რათა, ჰობსის დარად, ჩვენც არ დავასკვნათ, რომ ბუნებით ადამიანი ბოროტი, ბიწიერია, რადგან სიკეთე საერთოდ უცნობია მისთვის; რაიმე სამსახურის გაწევაზე თავის მსგავსთ მუდამ უარს ეუბნება, მიაჩნია, რომ ეს მას არ ევალება იმ უფლების საფუძველზე, თავადვე სამართლიანად რომ მიანერს იმ საგნებს, რომელთაც საჭიროებს. შეშლილის დარად, საკუთარი თავი მთელი სამყაროს ერთადერთ მესაკუთრედ წარმოუდგენია. ჰობსმა კარგად დაინახა ბუნებითი სამართლის ყველა თანამედროვე დეფინიციათა ხარვეზი, მაგრამ მისივე განსაზღვრებიდან გამოტანილი დასკვნები მოწმობს, რომ საკითხი მასაც არანაკლებ მცდარად ესმოდა. მის მიერვე დადგენილ პრინციპებზე მსჯელობისას, ხსენებულ ავ-

ტორს უნდა განეცხადებინა, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ზრუნვა საკუთარი არსებობის შენარჩუნებაზე ყველაზე ნაკლებ ზიანს აყენებს სხვისას, შესაბამისად, ყველაზე მეტად ესადაგებოდა მშვიდობას და ეთანადებოდა ადამიანთა მოდგმას. მაგრამ იგი სრულიად საპირისპიროს აცხადებს; არსებობის შენარჩუნებაზე მზრუნველ ველურს უმართებულოდ მიანერს უამრავ ისეთ ვნებას, რომელთაც საზოგადოებრივი ყოფიდან მიეცა დასაბამი და კანონთა აუცილებლობა განაპირობა. ჰობსის თქმით, ბოროტი ღონიერი, კუნთმაგარი ბავშვია. მაგრამ არის კია ველური ძლიერი ბავშვი? თუ მართლაც ასეთია, მაშინ რა დასკვნა უნდა გამოეტანა მას აქედან? ძლიერი ველური ისევე დამოკიდებული უნდა ყოფილიყო სხვებზე, როგორც სუსტი; არავითარი ძალადობის წინაშე უკან არ უნდა დაეხია; დედა ძუძუს მიცემას თუ დაუგვიანებდა, ეცემა, ამ დროს ერთ-ერთი უმცროსი ძმათაგანი ხელს თუ შეუშლიდა, იგი დაეხრჩო, მეორე ძმა თუ შეეჯახებოდა, ხელი ეკრა მისთვის ან ფეხზე ეკბინა. მაგრამ ბუნებრივ მდგომარეობაში ძლიერი და იმავდროულად დამოკიდებული ადამიანი კონტრადიქტორული ვარაუდებია. ადამიანი სუსტია, როდესაც დამოუკიდებელი არაა, მაგრამ ვიდრე ძლიერი გახდებოდეს, ემანსიპირებული უნდა იყოს. ჰობსმა ვერ შენიშნა, რომ იგივე მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ველურს გონების გამოყენებაში – როგორც ამას ჩვენი იურისტებიც ამტკიცებენ, – იმავდროულად, როგორც ამას თავადაც ამტკიცებს, მათივე უნა-

რების ბოროტად გამოყენებასაც აფერხებს. ამგვარად, შეიძლებოდა შემდეგის თქმაც: ველურები სწორედ იმიტომ არ არიან ბოროტები, რომ არ იციან რას ნიშნავს იყო კეთილი; ბოროტების ჩასადენად მათ გაუნათლებლობა ან კანონი კი არ უშლის ხელს, არამედ ვნებათა სიმშვიდე და ბოროტების არცოდნა; *tanto plus in illis proficit vitiorum ignoratio, quàm in his cognitio virtutis.** სხვათა შორის, ჰობსმა საერთოდ ვერ შენიშნა კიდევ ერთი სხვა პრინციპი, რომელიც ბოძებული აქვს ადამიანს მისივე თავმოყვარეობის სიმძაფრის შესარბილებლად გარკვეულ გარემოებებში, ანდა ასეთი ლტოლვის სურვილისაგან თავის დასაცავად,[15] და საკუთარი კეთილდღეობისადმი სწრაფვას თავისივე მსგავსის ტანჯვის სანახაობის მიმართ თანდაყოლილი სიძულვილის გრძნობით ანელებს. არა მგონია, რაიმე წინააღმდეგობამ შემაშინოს იმის გამო, რომ ადამიანს მივაწერ იმ ერთადერთ ბუნებრივ სათნოებას, რომლის აღიარებაც ადამიანისათვის ნიშანდობლივ სიქველეთა ყველაზე კადნიერ მოწინააღმდეგესაც* კი მოუწევს. მხედველობაში მაქვს სიბრალული, სათანადო განწყობა სუსტი არსებებისადმი, რომლებიც ამდენ უბედურებასა თუ გასაჭირს ჩვენსავით ექვემდე-

---

* *„მათთვის მანკიერებათა არცოდნას უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე სხვებისთვის სათნოებათა ცოდნას"*. Justin, *Historioe*, livre II, chap.II.

* *რუსო გულისხმობს მანდევილს, რომლის თანახმადაც, საზოგადოების სიკეთე ინდივიდუალური ეგოიზმების შედეგია.*

ბარებიან; სათნოება, რომელიც მით უფრო უზადო და კეთილისმყოფელია, რაც უფრო მეტად უსწრებს წინ ადამიანის რეფლექსიის ყოველგვარ გამოვლინებას და იმდენად ბუნებრივია, რომ, ზოგჯერ, მის ნიშნებს ცხოველებიც კი ავლენენ. თავისი პატარებისადმი ძუ ცხოველის ნაზ გრძნობასა და უამრავ საფრთხეთაგან მათი დაცვის მზაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, თითქმის ყოველდღიურად მოწმე ვართ იმისა, როგორ აფრთხობს ცხენს ცოცხალი არსების ფეხით გაქელვა, როგორ იპყრობს მოუსვენრობა ნებისმიერ ცხოველს მისივე სახეობის მკვდარი ცხოველის ხილვაზე, ზოგიერთი მათგანი მას (თავისი სახეობის მკვდარ ცხოველს) თავისებურად რომ მარხავს კიდეც; სასაკლაოზე განწირული ხმით საქონლის ბღავილი იმის ნიშანია, თუ რა შთაბეჭდილებასაც ახდენს მათზე ეს თავზარდამცემი საზარელი სანახაობა. სიამოვნებით ვამჩნევთ, რომ „იგავი ფუტკრებზე"-ს ავტორი მის მიერ მოხმობილ მაგალითში ცვლის თავის ცივ და ნატიფ სტილს, რათა ადამიანი წარმოგვიდგინოს თანამგრძნობ, გრძნობიერ არსებად და გვთავაზობს პათეტიკურ სახეს ჩაკეტილ ოთახში მყოფი ადამიანისა, რომელიც უყურებს, როგორ გამოსტაცებს მტაცებელი ცხოველი დედას ბავშვს, ბასრი კბილებით როგორ უმსხვრევს სუსტ კიდურებს, მჭრელი ბრჭყალებით კი მთრთოლვარე მუცელს უფატრავს. მართალია, ეს საზარელი ქმედება პირადად მას არ ეხება, მაგრამ რა საშინელ მძვინვარებას უნდა განიცდიდეს ასეთი რამის თვით-

მხილველი? რა ძლიერმა მღელვარებამ უნდა მოიცვას ასეთი სურათის შემყურე, რომელსაც არც გულწასული დედის დახმარება ძალულს და არც მომაკვდავი ბავშვისა?

ასეთია წმინდა ბუნებრივი რეაქცია, რომელიც წინ უსწრებს ყოველგვარ რეფლექსიას, ასეთია ბუნებრივი სიბრალულის, თანაგრძნობის ძალა, რომელიც ყველაზე მანკიერ ზნეებსაც კი ჯერ არ ჩაუკლავს, რადგან ყოველდღე, თეატრალური სპექტაკლების დროს, მოწმე ვართ როგორ იღვრება ცრემლად ვინმე საბრალოს უბედურებით გულაჩუყებული მაყურებელი, მაგრამ ტირანი რომ თავად ყოფილიყო, თავის მტერს კიდევ უფრო მეტ ტანჯვანამებას მიაყენებდა. მანდევილმა კარგად იგრძნო, რომ, მთელი თავიანთი მორალის მიუხედავად, ადამიანები მუდამ მონსტრებად დარჩებოდნენ, გონების შემწედ ბუნებას მათთვის სიბრალული რომ არ ებოძა; მაგრამ მანდევილმა ვერ შენიშნა, რომ ყველა სოციალური სათნოება, რომელსაც იგი ადამიანებს ედავება, მხოლოდ ერთი ამ თვისებიდან მომდინარეობს. მართლაც, რა არის კეთილშობილება, გულმოწყალება, ჰუმანურობა, თუ არა სუსტების, დამნაშავეების, ზოგადად ადამიანთა მოდგმისადმი სიბრალული? თუ კარგად ჩავუკვირდებით, კეთილმოსურნეობისა და თავად მეგობრობის საწყისიც რომელიმე ერთ კერძო ობიექტზე მიპყრობილი სიბრალულია; სურვილი, რომ მავანი საერთოდ არ იტანჯებოდეს, განა სხვა რაა, თუ არა ის, რომ მისი ბედნიერება გსურს? თანაგრძნობა – ბუნდო-

ვანი და მძაფრი გრძნობა ველურისათვის, მკაფიო და სუსტი ცივილიზებული ადამიანისთვის – მხოლოდ ისეთი გრძნობა რომ ყოფილიყო, რომელიც გვაყენებს იმის ადგილზე, ვინც იტანჯება, ჩემ მიერ გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებას მეტ ძალას თუ შესძენდა, თორემ რას დააკლებდა? მართლაც, სხვისი ტანჯვის შემყურე, რაც უფრო მეტად გააიგივებს საკუთარ თავს მასთან, მით უფრო ძლიერი სიბრალულის გრძნობა ექნება ტანჯულისადმი. ბუნებრივ მდგომარეობაში ასეთი იდენტიფიკაცია, ცხადია, ბევრად უფრო მცირე უნდა ყოფილიყო, ვიდრე გონების მეუფების პირობებშია. პატივმოყვარეობას გონება წარმოშობს, რეფლექსია კი აძლიერებს; სწორედ იგი (გონება) მიმართავს ადამიანს საკუთარი თავისაკენ და განაშორებს ყოველივე იმისაგან, რაც მას აწუხებს და სულს უმძიმებს; ფილოსოფია მის იზოლაციას ახდენს და, მისივე შთაგონებით, ტანჯული ადამიანის დანახვაზე იგი თავისთვის ჩუმად ამბობს: თუ გინდა მოკვდი, მე უსაფრთხოდ ვარ. მშვიდ ძილს ფილოსოფოსს ურღვევს და ლოგინიდან წამოაგდებს მხოლოდ ის, რაც მთელ საზოგადოებას საფრთხეს უქადის. მისივე ფანჯრის ქვეშ ვინმეს უმიზეზოდ ყელს რომ ჭრიდნენ, იგი ხელებით ყურებს დაიცობს და რაიმე არგუმენტს მოიშველიებს, რათა საკუთარი არსების წიაღში ამბოხებულ ბუნებას იმასთან გაიგივების საშუალება არ მისცეს, ვისაც კლავენ. ასეთი საუცხოო უნარი ველურს არ გააჩნია; განათლებასა და გონიერებას მოკლებული, მუდამ დაუფიქ-

რებლად ეძლევა (ნებდება) ჰუმანურობის გამოვლინების პირველსავე გრძნობას. ამბოხებებსა თუ ქუჩის არეულობების დროს მდაბიონი იკრიბებიან, კეთილგონიერი ადამიანი გარიდებას ამჯობინებს; მოჩხუბრებს ვიგინდარები, ბაზრის გამყიდველი ქალები აშველებენ და წესიერ ადამიანებსაც ერთმანეთისათვის ყელის გამოჭრას არ ანებებენ.

ამგვარად, ეჭვგარეშეა, სიბრალული ისეთი ბუნებრივი გრძნობაა, რომელიც, ყოველ ინდივიდში საკუთარი თავისადმი ძლიერი სიყვარულის დაოკებით, ხელს უწყობს მთელი მოდგმის შენარჩუნებას. სწორედ იგი გვიბიძგებს და ყოველგვარი რეფლექსიის გარეშე დაუფიქრებლად მივეშურებით იმის დასახმარებლად, ვისაც ვხედავთ რომ იტანჯება; ბუნებრივ მდგომარეობაში კანონთა, ზნეთა და სათნოებათა მაგივრობას სწორედ სიბრალულის გრძნობა სწევს, თანაც იმ უპირატესობით, რომ არავინ ლამობს მისი ნაზი ხმის დაუმორჩილებლობას. ძლიერ ველურს სწორედ სიბრალულის გრძნობა არ ანებებს სუსტისათვის – ბავშვის, ანდა უძლური მოხუცისათვის გაჭირვებით ნაშოვნი სარჩოს წართმევას, ცხადია, თუ საკვების შოვნის იმედი სხვაგანაც აქვს; გონიერებასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული მაქსიმის – *ისე მოექეცი სხვას, როგორც გსურს, რომ შენ მოგექცნენ* – სანაცვლოდ სწორედ იგი შთააგონებს ყველა ადამიანს ბუნებრივი სიკეთის ბევრად ნაკლებ სრულყოფილ, მაგრამ, შესაძლოა, უფრო მეტად სასარგებლო მაქსიმას – *იზრუნე შენს კეთილდღეობაზე და რაც შეიძლება ნაკ-*

ლებად მიაყენე ზიანი სხვას. ერთი სიტყვით, უმალ ამ ბუნებრივ გრძნობაში და არა გონების დახვეწილ არგუმენტებში უნდა ვეძიოთ მიზეზი ბოროტების ჩადენისადმი სიღრმისეული და სპონტანური უარისა – ყოველი ადამიანი თვით აღზრდით შთაგონებული მაქსიმებისაგან დამოუკიდებლად რომ უნდა განიცდიდეს. შესაძლოა, სათნოების გონებით მიღწევა, მართლაც, სოკრატესა და მისი ყაიდის ადამიანების ხვედრია, მაგრამ თუ ადამიანთა მოდგმის შენარჩუნება მხოლოდ მის წევრ ინდივიდთა აზრებზე იქნებოდა დამოკიდებული, იგი (ადამიანთა მოდგმა) დიდი ხნის გაუჩინარებული იქნებოდა.

ესოდენ ნაკლებ მძაფრი ვნებების მქონე ადამიანები, კეთილისმყოფელი აღვირით დაოკებულნი, უმალ ველურები იყვნენ და არა ბოროტები, უფრო შესაძლო სიავკაცისაგან თავის დაცვაზე ზრუნავდნენ, ვიდრე სხვისთვის ზიანის მიყენებაზე; ასე რომ, საშიშ მიზღვასაც არ ექვემდებარებოდნენ. რაკი ველურთა შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობდა, მათთვის პატივმოყვარეობაც უცნობი იყო და პატივისცემის, იმედისა თუ სიძულვილის გრძნობაც; „შენია“ და „ჩემია“-ზე მცირედი წარმოდგენაც არ ჰქონდათ, არც სამართლიანობის რაიმე რეალური განცდა გააჩნდათ. ძალადობა, რომლის მსხვერპლნიც შეიძლება გამხდარიყვნენ, ძალზე იოლად გამოსწორებად სიავედ მიაჩნდათ და არა დასჯად შეურაცხყოფად; შურისძიება აზრადაც არ ჰქონდათ, ცხადია, თუ ეს მხოლოდ გაუცნობიერებელი და მყისიერი რამ არ იყო – მსგავსად ძაღლის ქმედებისა მის-

თვის ნასროლ ქვას რომ კბენს. ველურთა დავა იშვიათად მთავრდებოდა სისხლისღვრით, ცხადია, თუ დავის საგანი საკვებზე უფრო მნიშვნელოვანი რამ არ იყო; არადა, მართლაც არსებობდა ერთი უფრო საშიში რამ, რომლის შესახებაც მომიწევს საუბარი.

ადამიანის გულის ამაჩქროლებელ ვნებათაგან ერთი, რომელიც მდედრობითი სქესის ინდივიდის მამრობითისათვის აუცილებლობას განაპირობებს, იმდენად მგზნებარე, მძაფრი და საზარელი ვნებაა, რომ არავითარი საფრთხის წინაშე უკან არ იხევს, არანაირ დაბრკოლებას არ ერიდება, მძვინვარებისას კი თითქოს მზადაა გაანადგუროს ადამიანთა მთელი მოდგმა, რომლის შენარჩუნებაც მისი ვალია. რა დღე დაადგებოდათ ასეთი აღვირახსნილი და გაშმაგებული სიბრაზის ტყვეობაში მყოფ ადამიანებს, რომელთაც არც სირცხვილის გრძნობა გააჩნდათ და არც ვნებათა მოთოკვა შეეძლოთ, რჩეულის სიყვარული კი ყოველ დღე თავიანთი სისხლის ფასად რომ მოეპოვებინათ?

ჯერ ერთი, შევთანხმდეთ: რაც უფრო მძაფრია ვნებები, მით უფრო აუცილებელია კანონები მათ დასაოკებლად. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ჩვენში ასეთი ვნებებით ყოველდღიურად გამოწვეული უწესრიგობები და დანაშაულობები ნათლად მოწმობს ამ მიმართებით კანონთა უკმარობას, უმჯობესი იქნებოდა განგვეხილა: ხსენებული უწესრიგობები თავად კანონთა თანადროულად ხომ არ წარმოიშვა; თუ კანონებს შეეძლებოდა მათი აღ-

კვეთა, მაინც უცნაური იქნებოდა მოთხოვნა – ბოლო მოეღოთ იმ ბოროტებისათვის, რომელიც მათ გარეშე საერთოდ არ იარსებებდა.

მოდით, დავიწყოთ სიყვარულის გრძნობის ხორციელი სურვილისა და ზნეობრივი მხარის გამიჯვნით. ფიზიკური მხარე ის ზოგადი სურვილია, რომელიც ერთი სქესის არსებას მეორე სქესის არსებასთან სიახლოვისაკენ უბიძგებს; მორალი ის, რაც ამ სურვილს განსაზღვრავს და მხოლოდ ერთი ობიექტისაკენ მიმართავს, ან, სულ მცირე, სასურველ ობიექტ-ინდივიდისადმი ლტოლვას აძლიერებს. ადვილი შესამჩნევია, რომ სიყვარულის ზნეობა ხელოვნური გრძნობაა, რომელსაც საზოგადოებაში მიეცა დასაბამი; იგი ძალზე მარჯვედ გამოიყენეს ქალებმა – საკუთარი უპირატესობის მოსაპოვებლად, სუსტი სქესის გასაბატონებლად, რომელსაც მორჩილება მართებდა – და ხოტბადიდებით ცამდე აამაღლეს. ხსენებული გრძნობა ეფუძნება ღირსებისა ან სილამაზის გარკვეულ ცნებებს, რაც უცხოა ველურისათვის, და შედარებებს, რისი უნარიც მას არ გააჩნია ან თითქმის ნულის ტოლია. მართლაც, მის გონებას არ ჰქონდა მართებულობისა და პროპორციულობის აბსტრაქტული იდეების შექმნის უნარი, მისი სულისთვის ასევე მიუწვდომელი იყო აღტაცებისა და სიყვარულის გრძნობა, რომელიც ხსენებულ იდეათაგან შეუმჩნევლად აღმოცენდება ადამიანის გულში; ველური მხოლოდ ბუნებისაგან ბოძებულ ტემპერამენტს მორჩილებს და არა გემოვნებას,

რომლის შეძენაც მას არ შეეძლო; ასე რომ, მისთვის ნებისმიერი ქალი კარგია.

ველური მხოლოდ სიყვარულის ხორციელ მხარეს ჯერდება და საკმაოდ ბედნიერია; მისთვის უცხოა ის ახირებულობა, რომელიც ამ გრძნობას აძლიერებს და მის დასაკმაყოფილებლად დაბრკოლებებს ზრდის. ასე რომ, ტემპერამენტის გზნება ველურებმა არც ისე ხშირად და მძაფრად უნდა იგრძნონ, შესაბამისად, მათ შორის შეხლა-შემოხლაც უფრო იშვიათი და ნაკლებ სასტიკი უნდა იყოს. წარმოსახვა, რომელიც ამდენ უბედურებას იწვევს ჩვენში, ველურთა გულს არაფერს ეუბნება; თითოეული მათგანი მშვიდად ელის ბუნების იმპულსს და ყოველგვარი არჩევანის გარეშე ეძლევა მას, მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ კი სურვილიც ეკარგება.

მაშასადამე, ყველა სხვა ვნების მსგავსად, სიყვარულმაც, უდავოდ, მხოლოდ საზოგადოებაში შეიძინა ის დაუოკებელი გზნება, ესოდენ ხშირად ადამიანებისათვის დამღუპველი რომ არის. კიდევ უფრო სასაცილოა იმის წარმოდგენა, თითქოს ინსტინქტით ნაკარნახევი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ველურთა შორის დაუსრულებელი სისხლისმღვრელი შეტაკებები იმართებოდა; ასეთი აზრი აშკარად გამოცდილების საპირისპიროა. ყველა არსებულ ხალხთაგან, დღემდე ბუნებრივ მდგომარეობას ყველაზე ნაკლებად დაშორდნენ კარაიბები, რომლებიც სიყვარულის დროს ძალზე დიდ სიმშვიდეს ინარჩუნებენ, ნაკლებად ნებდებიან ეჭვიანობის გრძნობას, თუმცა ცხელი

ჰავის მკვიდრი ამ ხალხის ვნებები, ეტყობა, უფრო დიდი აქტივობით გამოირჩევა.

რაც შეეხება იმ ინდუქციებს, რომელთა გამოტანაც შეიძლებოდა სხვადასხვა სახეობის მამრ ცხოველთა შეხლა-შემოხლიდან, მუდამ სისხლით რომ რწყავენ საქათმეებს, ანდა მდედრის შეცილების გამო გაზაფხულზე ღრიალით რომ იკლებენ ტყეებს, ჯერ ერთი, უნდა გამოვრიცხოთ ყველა ის სახეობა, რომელთა შორისაც, ჩვენგან განსხვავებით, ბუნებამ, სქესთა რელატიური პოტენციის თვალსაზრისით, ძალთა აშკარად სხვაგვარი მიმართებები დაადგინა; ასე მაგალითად, მამლების ძიძგილაობიდან არავითარი ინდუქციის გამოტანა არ შეიძლება ადამიანთა მოდგმასთან მიმართებით. იმ სახეობებში, სადაც ძალთა თანაფარდობა უკეთაა დაცული, შესაძლოა, ამგვარი დავის მიზეზი იყოს მამრთა რაოდენობასთან შედარებით მდედრთა სიმცირე, ანდა ისეთი გამონაკლისი პერიოდები, რომელთა განმავლობაშიც მდედრი მამრს არ იკარებს, რაც ასევე პირველ მიზეზს უკავშირდება; რაკი ყოველი მდედრი წლის მანძილზე მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ეძლევა მამრს, მდედრთა რაოდენობა ხუთი მეექვსედით მცირდება. ამ ორი შემთხვევიდან არც ერთი არ ეთანადება ადამიანთა მოდგმას, რადგან, ჩვეულებრივ, მამაკაცთა რაოდენობას ქალთა რაოდენობა აღემატება; ოდესმე არც ძუ ცხოველთათვის ნიშანდობლივი სქესობრივი ლტოლვისა და უარის პერიოდულობა შეუნიშნავთ მდედრობითი სქესის ველურებში. მეტიც: რაკი მრავა-

ლი სახეობის ცხოველს მძუვნობის პერიოდი ერთდროულად აქვს, იწყება საერთო გზნების წარმოუდგენლად მძაფრი მღელვარება, უწესრიგობა და შეხლა-შემოხლა; ეს საზარელი მომენტი უცხოა ადამიანთა მოდგმისათვის, რადგან მათ სიყვარულს პერიოდულობა არ ახასიათებს. ამრიგად, მდედრთა დასაუფლებლად ზოგიერთი სახეობის ცხოველთა შეტაკებების საფუძველზე არ შეიძლება იმის დასკვნა, რომ მსგავსი რამ არც ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის იყო უცხო; მაგრამ ასეთ დასკვნას თუ მაინც გამოიტანდნენ, მაშინ, სულ მცირე, უნდა ვიფიქროთ: თუ სულიერთა სხვა სახეობებს მდედრისათვის ცილობა არ ანადგურებს, მსგავსი უთანხმოებები არც ჩვენი მოდგმისთვის უნდა ყოფილიყო დამღუპველი და, ცხადია, იმაზე ნაკლები მსხვეპლი უნდა მოჰყოლოდა, ვიდრე ეს საზოგადოებრივ ყოფაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში ხდება, სადაც ზნე-ჩვეულებებს ჯერაც ანგარიშს უწევენ; საყვარლების ეჭვიანობა და მეუღლეთა შურისგება ყოველღიურად იწვევს ორთაბრძოლებს, მკვლელობებს და კიდევ უფრო უარესს; სადაც მარადიული ერთგულების ვალდებულება მრუშობას იწვევს, თავად უბინწოებისა და ღირსების კანონები კი უცილობლად ხელს უწყობს გარყვნილებასა და აბორტების რაოდენობის ზრდას.

ამრიგად, დასკვნის სახით განვაცხადოთ: ტყე-ღრედ მოხეტიალე, რეწვის, მეტყველების, საცხოვრებლის, საზოგადოებრივი კავშირების არმქონე, ომის არმცოდნე ველური არანა-

ირად არ საჭიროებდა თავის მსგავსთ და არც მათთვის ზიანის მიყენების სურვილი ჰქონდა; შესაძლოა, რომელიმე მათგანი, ინდივიდუალურად, ოდესმე ვერც ეცნო; ველური მცირე ვნებების ობიექტი იყო, მას მისივე ბუნებრივი მდგომარეობის შესაბამისი გრძნობები და ცოდნა ჰქონდა. იგი მხოლოდ საკუთარი რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ლამობდა და იმას უყურებდა, რისი დანახვის სურვილიც ჰქონდა; მისი გონიერება მისსავე პატივმოყვარეობას არ აღემატებოდა; შემთხვევით რაიმეს თუ აღმოაჩენდა, სხვისთვის მისი გაზიარება ნაკლებად შეეძლო, რადგან საკუთარ შვილებსაც არ იცნობდა. ასე რომ, ავტორის სიკვდილთან ერთად, მის აღმოჩენაც იკარგებოდა: არც აღზრდა არსებობდა, არც პროგრესი; თაობები უაზროდ ენაცვლებოდა ერთმანეთს, ყოველი ახალი თაობა იმავე დონიდან იწყებდა. საუკუნეები გადიოდა, თუმცა პირველყოფილი მდგომარეობის უვიცობას ცვლილება არ ეტყობოდა; მოდგმა უკვე ბებერი იყო, ადამიანი კი ისევ ბავშვად რჩებოდა.

ასე ვრცლად პირველყოფილი მდგომარეობის სავარაუდო პირობებზე ძველი ცდომილებებისა და ღრმად ჩანერგილი განსჯამდელი აზრების გასაბათილებლად ვისაუბრე; საწყისებამდე ჩაღრმავებაც იმიტომ გადავწყვიტე, რომ, ჩვენი მწერლების დაბეჯითებითი მტკიცების მიუხედავად, რეალური სურათის ფონზე მეჩვენებინა ის,(თუ რაოდენ შორსაა, პირველყოფილ მდგომარეობაში ბუნებრივი

უთანასწორობაც კი, სინამდვილისა და ბატონობის სურვილისაგან.

მართლაც, იოლი შესამჩნევია, რომ ბუნებრივად მიჩნეული ადამიანთა განმასხვავებელი მრავალი თვისება დასაბამს იღებს იმ ჩვევებისა და ცხოვრების წესიდან, რომელთაც იძენს ადამიანი საზოგადოებრივ ყოფაში. ასე რომ, ძლიერი ან სუსტი ტემპერამენტი, მასთან დაკავშირებული სიძლიერე თუ სისუსტე, ხშირ შემთხვევაში, განპირობებულია უმალ აღზრდის მკაცრი ან გასათუთებული წესით და არა სხეულის დასაბამიერი კონსტიტუციით. იგივე ითქმის გონების ძალებზეც: აღზრდა არა მხოლოდ განათლებულ და გაუნათლებელ ადამიანთა შორის ქმნის სხვაობას, არამედ, განათლების დონის პროპორციულად, პირველთაც (განათლებულთაც) ერთმანეთისაგან განასხვავებს; ერთი გზით მავალი გოლიათისა და ჯუჯას მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი კიდევ ერთ, ახალ უპირატესობას მისცემს გოლიათს. მაგრამ თუ სამოქალაქო მდგომარეობაში სხვადასხვა ფენათა აღზრდისა და ცხოვრების წესში გამეფებულ სასწაულებრივ სხვაობას შევადარებთ ცხოველთა და ველურთა ყოფის უბრალოებასა და ერთგვაროვნებას – ყველა ერთი და იმავე სახის საკვებით რომ იკვებება, ცხოვრების ერთნაირი წესით რომ ცხოვრობს, ზუსტად ერთსა და იმავეს რომ აკეთებს – მიხვდებით, საზოგადოებრივი ყოფისაგან განსხვავებით რამდენად მცირე უნდა იყოს ადამიანთა შორის სხვაობა ბუნებრივ მდგომარეობაში და რაოდენ უნდა იზრდებოდეს ბუნებრივი უთანასწორობა მათ (ადამიან-

თა) მიერვე დაწესებული უთანასწორობის წყალობით ადამიანთა მოდგმაში.

ადამიანთათვის საბოძებ უნართა განაწილებისას, ბუნება თუნდაც ისე მიკერძოებული ყოფილიყო, როგორც ამას ამტკიცებენ, მოვლენათა იმ ვითარებაში, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ ურთიერთობას ადამიანთა შორის, რა უპირატესობა უნდა მიეღოთ მათ, ვის მიმართაც (სხვებთან შედარებით) იგი უფრო მოწყალე იქნებოდა? რის მაქნისია სილამაზე იქ, სადაც სიყვარული არ არსებობს? რაში ესაჭიროება გონება მეტყველების არმქონე ადამიანებს, ანდა მოხერხება მათ, ვისაც საქმე არაფერი აქვს? გამუდმებით მესმის როგორ იმეორებენ: ყველაზე ძლიერნი დაჩაგრავენ სუსტებს; დაე, ამიხსნან, რას გულისხმობენ სიტყვით – „ჩაგვრა". ერთნი, ძალადობის მეოხებით იბატონებენ, მეორენი, ყველა მათი ჭირვეულობის მორჩილნი კი, იკვნესებენ. აი, სწორედ ის, რასაც ჩვენს შორის ვამჩნევ, მაგრამ არ მესმის, როგორ უნდა ითქვას მსგავსი რამ ველურთა მიმართ, რომელთაც რის ვაივაგლახით თუ გააგებინებდით, რა არის მონობა და რა – ბატონობა. ცხადია, ადამიანს შეუძლია დაეპატრონოს სხვის მიერ შეგროვებულ რაიმე ნაყოფს, ნანადირევს, ან გამოქვაბულს, რომელიც მისი თავშესაფარია; მაგრამ როგორ მოახერხებენ ოდესმე მის დამორჩილებას იძულებით, ანდა რა სახის ხუნდები შეიძლება არსებობდეს უპოვართა შორის? თუ ერთი ხიდან გამაგდებენ, გავეცლები და მეორისაკენ გავეშურები; თუ ერთ ადგილზე შემავიწროებენ, სხვაგან თავშესაფრის შოვნას ვინმე დამიშ-

ლის? მოიძებნება კია ისეთი ადამიანი, რომ-ლის ძალაც ბევრად აღემატება ჩემსას? გარდა ამისა, იმდენად ზნედაცემული, ზარმაცი და სასტიკიცაა, რომ მაიძულებს, ვიდრე თავად უქმადაა, მისთვის საკვები მოვიპოვო და იგი უზრუნველვყო! ასეთ შემთხვევაში მან ერთი წამითაც არ უნდა მომაცილოს თვალი; როცა დაიძინებს, იმის შიშით, რომ არ გავექცე, ან არ მოვკლა, საგულდაგულოდ უნდა გამკოჭოს, ე.ი. იძულებული შეიქნება საკუთარი ნებით იმაზე მეტად გაისარჯოს, ვიდრე ეს სურდა; ასე რომ, მისი გარჯა ჩემზე გაწეულ ჯაფას აღემატება. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, თუ ერთი წუთით მაინც მოადუნა ყურადღება? ანდა, უცაბედ ხმაურზე მოულოდნელად თავი თუ შეაბრუნა? ტყეში ოციოდე ნაბიჯს გავირბენ, ჩემი ხუნდებიც დაიმსხვრევა და თავის სიცოცხლეში ვეღარც მიხილავს.

ამაოდ რომ არ განვაგრძო საუბარი მსგავს წვრილმანებზე, თითოეული უნდა მიხვდეს: მონობის ბორკილებს დასაბამი მიეცა ადამიანთა გამაერთიანებელი მუდმივი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთსაჭიროებიდან; შეუძლებელია ადამიანის დამონება მანამდე, ვიდრე მას არ ჩააყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ სხვისი დახმარების გარეშე არსებობა აღარ შეეძლოს; რაკი ბუნებრივ მდგომარეობაში ასეთი ვითარება არ არსებობდა, უღლისაგანაც ყველა თავისუფალი იყო და უფრო ძლიერის კანონის არსებობასაც საფუძველი არ ჰქონდა.

ბუნებრივ მდგომარეობაში მწირად საგრძნობი უთანასწორობისა და მისი თითქმის

ნულოვანი გავლენის დამტკიცების შემდეგ, მრჩება იმის ჩვენება, თუ როგორ მიეცა დასაბამი და რა პროგრესი განიცადა უთანასწორობამ ადამიანის გონების თანდათანობითი განვითარების კვალობაზე. მას შემდეგ, რაც დავადასტურე, რომ ბუნების შვილი – ადამიანის მიერ შეძენილი *სრულყოფილების უნარი,* სოციალური სათნოებები და სხვა მიდრეკილებები თავად ვერასოდეს განვითარდებოდა, რომ ამისათვის ისინი საჭიროებდნენ ხელშეწყობას მრავალი უცხო გაუთვალისწინებელი მიზეზისა, რომლებიც, შესაძლოა, არც არასოდეს წარმოქმნილიყო, მაგრამ რომელთა გარეშეც ადამიანი მუდამ პირველყოფილ მდგომარეობაში დარჩებოდა, მომიწევს განხილვა და შედარება იმ სხვადასხვა შემთხვევისა, რომელთაც მოდგმის გადაგვარებით ადამიანის გონების სრულყოფა შეძლეს, სოციალურ არსებად ქცევის თანადროულად ადამიანი ბოროტ არსებად აქციეს და ესოდენ შორეული საწყისიდან ადამიანი და მსოფლიო, საბოლოოდ, ამჟამინდელ ზღვრამდე მიიყვანეს.

ვაღიარებ, მოვლენები, რომელთა აღწერაც მომიწევს, მრავალი სახით შეიძლება მომხდარიყო; მათი არჩევანი მხოლოდ ვარაუდებით შემიძლია; მაგრამ, გარდა იმისა, რომ ასეთი ვარაუდები – თუ ისინი ყველაზე საალბათოა იმათთაგან, რომელთა გამოტანაც კი შესაძლებელია საგანთა ბუნებიდან, და ერთადერთი საშუალებებია ჭეშმარიტების აღმოსაჩენად – იქცევა საფუძვლებად, დასკვნები, რომელთა გამოტანაც მსურს ჩემი ვარაუდებიდან, ახლახან დადგენილ პრინციპთა საფუძველზე ვარაუდე-

ბი აღარ იქნება: ნებისმიერი სხვა სისტემის შემთხვევაშიც იმავე შედეგებამდე მივიდოდი და იმავე დასკვნებს გამოვიტანდი.

ყოველივე ეს შესაძლებლობას არ მომცემს ჩემი რეფლექსიები განვავრცო იმ ფორმაზე, რომლის თანახმადაც, დროის შუალედი მოვლენათა ცოტაოდენ ალბათობას ადასტურებს; გასაოცარ ძალაზე, რომელიც ნიშანდობლივია შეუწყვეტლივ მოქმედ, ნაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენებისათვის; შეუძლებლობაზე, როდესაც, ერთი მხრივ, გარკვეულ ჰიპოთეზათა უარყოფა უწევთ, მეორე მხრივ კი, მათი უტყუარ ფაქტებად წარმოჩენა არ ძალუძთ; ვითარებაზე, როდესაც, ისტორიული ცოდნის არსებობის შემთხვევაში, რეალურად მიჩნეული ორი ფაქტის დასაკავშირებლად შუალედური, უცნობი ან ასეთად აღიარებული ფაქტების მწყობრად მოცემა ისტორიის ვალია; ისტორიული ცოდნის არარსებობის შემთხვევაში კი, დეტერმინაცია აღნიშნულთა მსგავსი ფაქტებისა, რომელთაც რეალურად მიჩნეული ორი ფაქტის შეკავშირება ძალუძს, ფილოსოფიას მართებს; დაბოლოს, იმაზე, რომ მოვლენათა სფეროში მსგავსებას სხვადასხვა რიგის ფაქტები კატეგორიათა ბევრად უფრო მცირე რაოდენობაზე დაჰყავს, ვიდრე წარმოუდგენიათ. ჩემთვის ისიც კმარა, რომ ამ საგნებს რეფლექსიისათვის ვთავაზობ ჩემს მსაჯულებს და ისე ვიმოქმედე, რომ რიგით მკითხველებს მათი განსჯა არ დასჭირდებათ.

მეორე ნაწილი

ის პირველი, ვინც მიწის ნაკვეთი შემოღობა და აზრად მოუვიდა ეთქვა: *ეს ჩემიაო,* შემდეგ კი ამ სიტყვების დამჯერი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები იპოვა, სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი შემქმნელი იყო. რამდენი ბოროტი ქმედების, ომის, მკვლელობის, გაჭირვებისა და საშინელებისაგან ვერ იხსნა ადამიანთა მოდგმა მან, ვინც, პალოების ამოთხრითა თუ ორმოების ამოვსებით, თავის მსგავსთ ყვირილით შესძახა: „ნუ მოუსმენთ ამ მატყუარას, დაიღუპებით, თუ დაივიწყებთ, რომ მიწის ნაყოფი ყველასი, მიწა კი არავისია“. მაგრამ დიდად საალბათოა, ვითარება უკვე იმ ზღვრამდე იყო მისული, რომ ძველებურად გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. საკუთრების ხსენებული იდეა – დამოკიდებული მრავალ წინამორბედ და მხოლოდ თანდათანობით ნარმოქმნილ იდეაზე – ადამიანს ერთბაშად არ დაბადებია. ამგვარ ბოლო სტადიამდე მისაღწევად, ბუნებითი მდგომარეობა მრავალ პროგრესს, დიდ ოსტატობასა და ცოდნას, საუკუნიდან საუკუნეში მათ გადატანასა და შემდგომ დახვეწა-განვითარებას საჭიროებდა. მაშ ასე, მოდით, მივყვეთ ესოდენ შორეულ მოვლენებს და შევეცადოთ, ვითარე-

ბათა ამ მდოვრე თანამიმდევრობისა და შეძენილი ცოდნის მათივე ყველაზე ბუნებრივი რიგის მიხედვით, ერთი მოსაზრების ირგვლივ თავმოყრას.

ადამიანის პირველი შეგრძნება მისივე ექსისტენციის შეგრძნება გახლდათ, პირველი საზრუნავი – საკუთარი არსებობის შენარჩუნება. თავის გასატანად მას არ აკლდა მინით ბოძებული ნაყოფი, რომლით სარგებლობაც, ინსტიქტის წყალობით, ჩვევაში გადაეზარდა. შიმშილის გრძნობა, სხვა ბუნებრივი მოთხოვნილება თუ სურვილი, რიგრიგობით განაცდევინებდა არსებობის სხვადასხვა წესს; ერთი მათგანი, რომელიც საკუთარი სახეობის შესანარჩუნებლად აგულიანებდა – ყოველგვარ სულიერებას მოკლებული ბრმა ლტოლვა – მხოლოდ წმინდა ცხოველური აქტით იფარგლებოდა. დაკმაყოფილებული მოთხოვნილების შემდეგ, ორი სქესის წარმომადგენელი ერთმანეთს ვეღარც ცნობდა; ხოლო მას შემდეგ, რაც ბავშვი უდედოდაც იოლას გადიოდა, დედისთვისაც შვილი აღარაფერს ნიშნავდა.

ასეთი იყო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანის მდგომარეობა; თავდაპირველად, ასეთი იყო ყოფა ამ სულიერი არსებისა, რომელიც იფარგლებოდა წმინდა შეგრძნებებით, ძუნწად სარგებლობდა ბუნების ნაბოძვარით და ძალზე შორს იყო იმ აზრისაგან, რომ მისთვის რაიმე გამოეგლიჯა. მაგრამ მალე თავი იჩინა სირთულეებმა, რომელთა დაძლევაც უნდა ესწავლა; მაგალითად, ხის სიმაღლე, რომელიც ნაყოფამდე მისაღწევად დაბრკოლებას

უქმნიდა, ცხოველთა მეტოქეობა, რომლებიც საკვებს ეცილებოდნენ ან თავად მის შეჭმას ლამობდნენ. ყოველივე ამან ადამიანს სიმარჯვისა და სხეულის წრთობისაკენ უბიძგა, რათა უფრო მოქნილი, სირბილის დროს სწრაფი, ბრძოლისას კი შეუპოვარი გამხდარიყო. მალე მის ხელთ ბუნებრივი იარაღები – ხის ტოტი და ქვა – აღმოჩნდა და ადამიანმაც, არათუ დაბრკოლებათა გადალახვა, საჭიროების შემთხვევაში ცხოველებთან შებრძოლება, ნადავლისათვის ადამიანებთან შედავება ან საკუთარი წილის უფრო ძლიერისათვის დათმობაც ისწავლა.

ადამიანთა მოდგმის მატების კვალობაზე, თავსატეხიც მატულობდა, რასაც მიწის, ჰავისა თუ წლის დროთა მონაცვლეობასთან დაკავშირებული საზრუნავებიც ემატებოდა. მოუსავლიანმა წელიწადებმა, ხანგრძლივმა და მკაცრმა ზამთარმა, ყველაფრის გამაჩანაგებელმა ცხელმა და გვალვიანმა ზაფხულმა მათგან ახალი ცოდნა და გამჭრიახობა მოითხოვა. ანკესისა და ნემსკავის გამოგონებით, ზღვათა და მდინარეთა სანაპიროს მკვიდრნი მეთევზეები და იხტიოფაგები შეიქნენ; ტყიან მხარეთა მცხოვრებლებმა მშვილდ-ისრები გააკეთეს და მონადირეები და მებრძოლები გახდნენ; ცივ ქვეყნებში ადამიანები ნანადირევი ცხოველების ბეწვით შეიმოსნენ. ჭექა-ქუხილის, ვულკანისა თუ რომელიღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მათ ცეცხლის ბუნება შეიცნეს, რაც ზამთრის სიცივის დაძლევის ახალი წყარო შეიქნა; მოგვიანებით, როდესაც

ცეცხლის შენახვა და მისი კვლავ წარმოქმნა ისწავლეს, ნანადირევს უწინდებურად უმად კი აღარ ჭამდნენ, არამედ, ცეცხლზე შემწვარს.

სხვადასხვა არსებებსა და ერთმანეთთან პრაქტიკული ურთიერთობის მრავალგზისმა გამოცდილებამ, ბუნებრივად წარმოშვა გარკვეულ მიმართებათა პერცეფციები ადამიანის გონებაში. საგანთა შორის ისეთ მიმართებებს, რომელთაც გამოვხატავთ სიტყვებით: დიდი, პატარა, ძლიერი, სუსტი, სწრაფი, ნელი, მშიშარა, გულადი და სხვა მათ მსგავსთ, ადამიანი, ვითარებათა მიხედვით, ისე ამყარებდა, რომ ამაზე თითქმის არც ფიქრობდა; საბოლოოდ, ამან წარმოშვა ადამიანში რაღაც სახის რეფლექსია ან, უმალ, თავისთავადი კეთილგონიერება, რომელიც უთითებდა მისივე უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ყველა სიფრთხილეს.

ასეთი განვითარებიდან შეძენილმა ახალმა ცოდნამ ადამიანი ყველა სხვა სულიერზე აღმატებული გახადა და ეს უპირატესობა მასაც შეაცნობინა. ისწავლა ხაფანგის დაგება ცხოველებისათვის და ათასგვარი ხერხით მათი მოტყუება; თუმცა იმ ცხოველთაგან, რომელთაც მისთვის სამსახურის გაწევა ან ზიანის მიყენება შეეძლო, ბევრი ან ძალით აღემატებოდა ადამიანს, ან სისწრაფით; დროის კვალობაზე იგი ზოგი სახეობის ცხოველის ბატონად, ზოგის კი რისხვად იქცა. და აი, ასე მიაპყრო მან პირველი მზერა საკუთარ თავს, რამაც სიამაყის პირველი გრძნობაც აღუძრა. მართალია, სულიერ არსებათა შორის იერარ-

ქიულ რანგობრივ სხვაობას მკაფიოდ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდა, მაინც, საკუთარი რაობის წყალობით, თავს სულიერთაგან პირველ რანგში მოიაზრებდა და დიდი ხნიდანვე მასში საკუთარი ინდივიდუალობით დასამკვიდრებლად ემზადებოდა.

პირველყოფილი ადამიანისათვის, ჩვენგან განსხვავებით, მისივე მსგავსი არსებები იგივენი არ იყვნენ და, ყველა სხვა სულიერ არსებათა დარად, მათთანაც არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა, მაგრამ მისი რეფლექსიის მილმა მაინც არ დარჩენილან. დროის კვალობაზე, მან შეამჩნია მათთან მსგავსებებიც, რომელთაც მანამდე ვერ ხედავდა და რამაც ისიცა და მისი მდედრიც დააფიქრა; შენიშნა, რომ მსგავს ვითარებებში მისი მსგავსი არსებებიც (სხვა ადამიანები) მასავით იქცეოდნენ და მიხვდა, რომ მათი აზროვნებისა და შეგრძნების წესი სავსებით ეთანადებოდა მისას; ადამიანის გონებაში მყარად დამკვიდრებულ ამ მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას დაემატა ასევე სარწმუნო და ქცევის საუკეთესო წესების დიალექტიკაზე უფრო ქმედითი ისეთი წინათგრძნობა, რომლის დაცვაც – საკუთარი სარგებლისა და უსაფრთხოების მიზნით – მათთან ერთად ჰმართებდა.

გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ კეთილდღეობის სიყვარული ადამიანურ ქმედებათა ერთადერთი მამოძრავებელია; უკვე ერთმანეთისაგან განასხვავებდა იმ იშვიათ შემთხვევებს, როდესაც საერთო ინტერესი მის მსგავსთა მხარდაჭერას შთააგონებდა და კი-

დევ უფრო იშვიათ ვითარებებს, როდესაც მეტოქეობა თავის მსგავსთა უგულებელყოფას აიძულებდა. პირველ შემთხვევაში, თავის მსგავსებთან ადამიანი ერთიანდებოდა ბრბოდ ან რაღაც თავისუფალი ასოციაციის მაგვარ გაერთიანებაში. ასეთი ერთობა არავის არაფერს ავალდებულებდა, ამდენად მის ხანგრძლივობასაც ესა თუ ის საჭიროება განპირობებდა; მეორე შემთხვევაში ყოველი ადამიანი პირადი სარგებლის მიღებას ცდილობდა; საკუთარ ძლიერებაში დარწმუნებულნი ამას ძალის მეშვეობით, სუსტები კი ხერხითა და საზრიანობით ლამობდნენ.

აი, როგორ შეუმჩნეველად გაუჩნდათ ადამიანებს ურთიერთმოვალეობებისა და მათი შესრულების უპირატესობის რაღაც ბუნდოვანი იდეა, რომელიც მხოლოდ არსებული მატერიალური ინტერესით იყო ნაკარნახევი. წინასწარ რაიმეს განჭვრეტა და შორეულ მომავალზე ზრუნვა იმდენად უცხო იყო მათთვის და ისე შორს იყვნენ ამგვარი აზრისაგან, რომ ხვალინდელ დღეზედაც არ ფიქრობდნენ. თუ ირემი უნდა მოენადირებინათ, თითოეული მათგანი კარგად გრძნობდა, რომ ადგილიდან ფეხი არ უნდა მოეცვალა; მაგრამ თუ ამ დროს ერთ-ერთი მათგანის შორიახლოს შემთხვევით კურდღელი გაირბენდა, ცხადია, იგი გულდაგულ დაედევნებოდა მას და რაკიღა მიზანს მიაღწევდა, კომპანიონებისათვის ნადავლის დაკარგვინებით დიდადაც არ დადარდიანდებოდა.

ადვილი გასაგებია, რომ მსგავსი სახის ურთიერთობა არ ითხოვდა ყვავებისა თუ მაიმუნების ენაზე ბევრად უფრო დახვეწილ მეტყველებას, რადგან ისინიც დაახლოებით ასე იყრიან თავს. დიდი ხნის განმავლობაში არაარტიკულირებული ყვირილი, მრავალი ჟესტი და ზოგიერთი იმიტაციური ხმა უნდა ყოფილიყო ის უნივერსალური ენა, რომელსაც ყოველ მხარეში ზოგიერთი არტიკულირებული და პირობითი ბგერაც შეემატა; მაგრამ იმის ახსნა თუ როგორ შეიქმნა ენა, სულაც არ არის იოლი. როგორც უკვე აღვნიშნე, ადამიანებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი, თუმცა ტლანქი, არასრულყოფილი ენები, დაახლოებით ისეთები, სხვადასხვა ველურ ხალხებში დღესდღეობითაც რომ გვხვდება. დროის სიმცირის, განსახილველ მოვლენათა სიუხვისა და საწყისთა თითქმის შეუმჩნეველი პროგრესის გამო, იძულებული ვარ მრავალი საუკუნე ერთი დამახასიათებელი ნიშნით ხელდახელ განვიხილო: რაც უფრო ნელა ენაცვლებოდა მოვლენები ერთმანეთს, მით უფრო სწრაფად აღსაწერია ისინი.

ამ პირველმა წარმატებებმა, საბოლოოდ, ადამიანს უფროს სწრაფი პროგრესირების უნარი შესძინა; რაც მეტ ცოდნას იძენდა, მით უფრო იწაფებოდა, რენვაც სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა. მალე აღარც პირველივე შემხვედრი ხის ძირში ძილსა და გამოქვაბულებში შეყუჭვას კმაყოფილდებოდნენ. ცულივით ბასრი და მაგარი ქვებით ჭრიდნენ ხეებს, თხრიდნენ მიწას და ხის ტოტებით ქოხებს

აგებდნენ; შემდეგ აზრად მოუვიდათ მათი თიხითა და ტალახით დაგმანვა. ეს იყო იმ დროის პირველი რევოლუცია, რომელსაც ოჯახების შექმნა, მათი ერთმანეთისაგან განცალკევება და ერთგვარი სახის საკუთრებაც მოჰყვა; სავარაუდოდ, ჩხუბსა და შეტაკებებსაც აქედან მიეცა დასაბამი. პირველები, ვინც საცხოვრებელი ბინები მოიწყეს, უდავოდ, ყველაზე ძლიერნი, ანუ ქოხების დასაცავად საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულები იყვნენ. სავარაუდოა, რომ სუსტებმა უფრო საიმედოდ არა მათი გამოსახლება, არამედ მიბაძვა მიიჩნიეს. ქოხის მფლობელებს რაც შეეხება, მეზობლის ქოხის, სხვისი კუთვნილი ქონების დაპატრონება მათ ნაკლებად უნდა ეძიათ – უბრალოდ, მათ იგი არ ესაჭიროებოდათ, თანაც, ქოხის დასაუფლებლად მის მეპატრონე ოჯახთან ფიცხელი შეტაკება გარდუვალი იყო.

არსებობის ახალმა წესმა – ერთ ჭერქვეშ ცოლისა და ქმრის, მამისა და შვილების ერთად ცხოვრებამ – გრძნობათა პირველი სინაზეც გააღვივა; ერთად ცხოვრების ჩვევიდან მიეცა დასაბამი ადამიანთა შორის ყველაზე ტკბილ გრძნობას – ცოლქმრულ და მამაშვილურ სიყვარულს. ყოველი ოჯახი იქცა პატარა საზოგადოებად, რომლის ერთიანობაც ურთიერთსიყვარულსა და თავისუფლებას ეფუძნებოდა. იმავდროულად სწორედ მაშინ გამოიკვეთა სხვაობა ორი სქესის არსებათა ცხოვრების წესშიც, რომელიც მანამდე ერთმანეთისაგან არ სხვაობდა. ქალები უფრო შინაყუდები შეიქნენ, მათ ქოხისა და ბავშვების მოვლა-

პატრონობა იტვირთეს, ოჯახის სარჩოს მოპოვებაზე კი მამაკაცები ზრუნავდნენ. ახალმა, ცოტაოდენ გასათუთებულმა ყოფამ ორივე სქესის არსებას მათთვის ნიშანდობლივი სისასტიკისა და სიძლიერის რაღაც წილი დააკარგინა. მტაცებელ ცხოველებთან გამკლავება ადამიანს დამოუკიდებლად თუ ნაკლებად შეეძლო, სამაგიეროდ, ერთიანი ძალით მათი დამარცხება და მოგერიება ბევრად უფრო იოლი შეიქნა მისთვის.

ამგვარ ახალ ვითარებაში, სადა და განმარტოებული ყოფის პირობებში, საოცრად მწირ მოთხოვნილებებს ადამიანები მათ მიერვე შექმნილი იარაღების მეშვეობით იკმაყოფილებდნენ; ისინი უზომოდ ბევრ თავისუფალ დროს ანდომებდნენ წინაპრებისათვის უცნობ მრავალ ამქვეყნიურ სიკეთეთა შექმნას. სწორედ ეს გახლდათ ის პირველი უღელი, რომელიც ისე დაიდგეს, რომ ამაზე არც უფიქრიათ და პირველი საწყისი იმ უბედურებებისა, თავიანთ ჩამომავლებს რომ მოუმზადეს. სხეულისა და სულის გაფუფუნება ადამიანებს წესად ექცათ, შეჩვევის ძალით მათთვის კომფორტის საგნებს თითქმის მთელი თავიანთი ხიბლი დაკარგოდა, მაგრამ იმავდროულად მათი ქონა ნამდვილ მოთხოვნილებად ისე გადაზრდილიყო, რომ არქონა ფლობით მინიჭებულ სიამოვნებაზე ბევრად უფრო აუტანელი გახდა; კომფორტის საგნების ქონა ადამიანს ბედნიერებას აღარ ანიჭებდა, დაკარგვა კი უბედურებას იწვევდა.

სავარაუდოდ, ამგვარ ვითარებაში ცოტაოდენ უკეთ იკვეთება ის, თუ როგორ შეუმჩნევლად შეიქმნა და განვითარდა მეტყველების ჩვევა ყოველი ოჯახის წიაღში; ასევე შეიძლება იმის ვარაუდიც, თუ როგორ განავრცო სხვადასხვა კერძო მიზეზმა მეტყველება, აუცილებლობამ კი სულ უფრო მეტად დააჩქარა მისი პროგრესი. დიდმა წყალდიდობებმა თუ მიწისძვრებმა დასახლებული ტერიტორიები ერთმანეთს წყლით ან უფსკრულებით დააშორიშორა; დედამიწაზე მომხდარმა ცვლილებებმა კონტინენტს მოწყვეტილი მიწები კუნძულებად განაცალკევა. მატერიკის ვრცელ ტყეებში უწინდელი, თავისუფლად მოხეტიალე ყოფისგან განსხვავებით ტერიტორიული სიახლოვით განპირობებულმა ერთად ცხოვრების წესმა, ადამიანთა საკომუნიკაციოდ უმალ იდიომის საჭიროება წარმოშვა. ასე რომ, დიდად საალბათოა, ნავიგაციის პირველი მცდელობების შემდეგ, მატერიკზე მეტყველების ჩვევა კუნძულთა მაცხოვრებლებს დაემკვიდრებინათ; სულ მცირე, ასევე დიდად შესაძლებელია ისიც, რომ კონტინენტზე გავრცელებამდე საზოგადოებაცა და ენებიც წარმოშობილიყო კუნძულებზე და სრულყოფა-განვითარებისთვისაც იქვე მიეღწია.

იწყება გარდაქმნები, ყველაფერი სახეს იცვლის. ადამიანები, რომლებიც აქამდე ტყეებში დაეხეტებოდნენ, ერთ ადგილზე მკვიდრდებიან, თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს, ჯგუფებად ერთიანდებიან; საბოლოოდ, ყოველ მხარეში ქმნიან ერთ კერძო, ზნე-ჩვეუ-

ლებებითა და ხასიათებით – და არა კანონებითა და დადგენილებებით – გაერთიანებულ ნაციას, რომელიც ერთი კლიმატის პირობებში, ყოფის საერთო წესით ცხოვრობს და მსგავსი საკვებით საზრდოობს. მუდმივად გვერდიგვერდ ცხოვრებამ, საბოლოოდ, სხვადასხვა ოჯახთა შორის გარკვეული კავშირებიც წარმოშვა. ხშირი შეხვედრის წყალობით, ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ხანმოკლე ურთიერთობები მეზობელი ქოხების მკვიდრ ორი სქესის ახალგაზრდათა შორის სხვა, არანაკლებ ნაზი და უფრო პერმანენტული ურთიერთობის დასაბამი შეიქნა. ჩვევად ექცათ სხვადასხვა საგანთა განხილვა-შეფასება და მათი ერთმანეთთან შედარება; შეუმჩნევლად აღმოცენებული ღირსებისა და მშვენიერების იდეები უპირატესობის გრძნობათა დასაბამი შეიქნა. შეხვედრათა სიხშირე კვლავ შეხვედრის სურვილს იწვევდა, ერთმანეთის გარეშე არსებობა აღარ შეეძლოთ; სულში ნაზმა და ტკბილმა გრძნობამ დაიბუდა; მცირედი წინააღმდეგობა დაუოკებელ რისხვაში გადადიოდა; სიყვარულის თანადროულად ეჭვიანობამაც გაიღვიძა; შურისძიება ტრიუმფს აღწევს და გრძნობათაგან ყველაზე უნაზესს ადამიანის სისხლი მსხვერპლად ეწირება.

აზრებისა და გრძნობების განვითარების კვალობაზე, იხვეწება გული და გონება, ადამიანები სულ უფრო და უფრო ეჩვევიან ერთმანეთს, გაფართოებული ურთიერთობების შედეგად მათ შორის კავშირებიც სულ უფრო

მჭიდრო ხასიათს იძენს. ჩვევად ექცათ თავ-შეყრა ქოხის წინ ან ხის გარშემო; სიმღერა და ცეკვა-თამაში – სიყვარულისა და მოცალეობის ნამდვილი პირმშო – გასართობად, ან უმალ უსაქმოდ მყოფ ერთად თავმოყრილ ქალთა და კაცთა საქმიანობად იქცა. სხვათა ყურებით, თითოეულსაც საკუთარი თავის მიმართ ყურადღების მიქცევის სურვილი აღეძრა; საზოგადოების მიერ გამოხატულ პატივისცემასაც ერთგვარი ფასი დაედო. ის, ვინც უკეთ ცეკვავდა ან მღეროდა, ყველაზე ლამაზი ან ძლიერი, მარჯვე ან მჭევრმეტყველი იყო, ყველაზე პატივცემული შეიქნა და სწორედ ეს გახდა პირველი ნაბიჯი უთანასწორობისა და, იმავდროულად, მანკიერებისაკენაც; აღნიშნული პირველი უპირატესობებიდან მიეცა დასაბამი, ერთი მხრივ, პატივმოყვარეობას, მეორე მხრივ კი, შურღლსა და აბუჩად აგდებას. საბოლოოდ, ბედნიერებისა და უდანაშაულობის თვალსაზრისით, ამ ორი ახალი საწყისით გამოწვეულმა მღელვარებამ დამღუპველი ნაზავები წარმოშვა.

როგორც კი ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთის შეფასება და გაუჩნდათ პატივისცემის იდეა, ამ უკანასკნელის მოთხოვნის პრეტენზია თითოეულმა საკუთარ უფლებად მიიჩნია; სასჯელის გარეშე ამგვარი ვითარების წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელი შეიქნა. აქედან მიეცა დასაბამი ცივილურობის პირველ მოვალეობებს ველურთა შორისაც; შესაბამისად, ყოველი ნებაყოფლობით ჩადენილი დანაშაული მიჩნეულ იქნა უხეშ დარღვევად, ვინაიდან

შეურაცხყოფიდან მომდინარე ბოროტ ქმედებაში შეურაცხყოფილი საკუთარი პიროვნებისადმი ზიზღსა და სიძულვილს ხედავდა, რაც, ხშირ შემთხვევაში, თავად ბოროტებაზე უფრო აუტანელი იყო. სწორედ ასე, თითოეული ინდივიდის მიერ, ან მის მიმართ გამოხატული სიძულვილისა თუ მიყენებული შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს მიზღვის თანაზომიერად, შურისძიებებმა საზარელი ფორმა მიიღო; ადამიანები სისხლისმოყვარულნი და ულმობელნი გახდნენ. აი, ზუსტად ის სტადია, სადამდეც მიაღწია ჩვენთვის ცნობილ ველურ ხალხთა უმრავლესობამ; იმის გამო, რომ მოსაზრებები სათანადოდ არ იქნა გამიჯნული და აღნიშნული, თუ რაოდენ შორს იყვენენ უკვე ეს ხალხები პირველყოფილი, ბუნებითი მდგომარეობისაგან, მრავალმა მოაზროვნემ ნაჩქარევი დასკვნები გამოიტანა და განაცხადა, რომ ბუნებით ადამიანი სასტიკია და ზნეთა შესარბილებლად მას მართვა (la police) ესაჭიროება; მაშინ, როდესაც არავინაა მასზე უფრო მშვიდი პირველყოფილ მდგომარეობაში; ბუნების მიერ ველურის უგუნურებისა და ცივილური ადამიანის დამღუპველი განათლებულობისაგან თანაბრად შორს მყოფს, ასევე ერთნაირად შეზღუდულს ინსტინქტითა და გონებით, რათა თავი დაიცვას იმ სიავკაცისაგან, მას რომ ემუქრება, ადამიანს ბუნებრივი სიბრალული აკავებს სხვის მიმართ ბოროტების ჩადენისაგან, ცხადია, თუ ამისაკენ, თუნდაც განცდილი ბოროტების შემდეგ, მას არაფერი უბიძგებს. ბრძენი ლოკის აქსიომის თანახმად,

*„სადაც არ არსებობს საკუთრება, იქ არც შეურაცხყოფა იქნება“.**

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების არსებობა და ადამიანთა შორის უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობები, მათგან პრიმიტიული ყოფისაგან განსხვავებულ თვისებებს ითხოვდა. ადამიანთა ქმედებებში ფეხს იკიდებს ზნეობრიობა; პოზიტიური სამართლის შექმნამდე, მიყენებული შეურაცხყოფისათვის ერთადერთი მსაჯულიცა და შურისმაძიებელიც თუ თავად ინდივიდი იყო, წარმოშობის პროცესში მყოფ საზოგადოებას წმინდა ბუნებრივი მდგომარეობისათვის ნიშანდობლივი სიკეთე აღარ შეესაბამებოდა; შეურაცხყოფათა სიხშირის კვალობაზე, სასჯელიც გამკაცრებას საჭიროებდა; შურისძიებათა საშინელებების აღკვეთის მიზნით, კანონს მათი შემაკავებელი სადავის მაგივრობა უნდა ეტვირთა. მართალია, ადამიანები უწინდებურად მომთმენნი აღარ იყვნენ და გარკვეული ცვლილება სიბრალულის ბუნებრივ გრძნობასაც უკვე განეცადა, მაინც ადამიანურ უნართა განვითარების ეს შუალედური ეტაპი – პრიმიტიული მდგომარეობის განურჩევლობასა და ჩვენი თავმოყვარეობის ძლიერ გააქტიურებას შორის – ყველაზე ბედნიერი და ხანგრძლივი პერიოდი უნდა იყოს. რაც უფრო მეტ რეფლექსიას ეწევიან ამ საკითხზე, მით მეტად რწმუნდებიან: აღნიშნული მდგომარეობა, ნაკ-

---

* ჯ. ლოკი *„ესსე ადამიანის გონების შესახებ“*, წიგნი IV, *თავი* III, 18.

ლები საფუძველი რევოლუციებისა, ადამიანისათვის საუკეთესო იყო[16]; ამ მდგომარეობიდან იგი უნდა გამოეყვანა რაღაც ფატალურ შემთხვევას, რომელიც, საერთო სარგებლის მიზნით, არასოდეს უნდა მომხდარიყო. თითქმის ყველა მოაზროვნის აზრით, ხსენებულ საკითხთან მიმართებით ველურთა მაგალითი, ჩანს, ადასტურებს, რომ ადამიანთა მოდგმა სამუდამოდ ასეთ მდგომარეობაში დასარჩენად იყო შექმნილი. ესაა მსოფლიოს ნამდვილი ახალგაზრდობის პერიოდი; ყველა შემდგომი პროგრესი – გარეგნულად ნაბიჯი ინდივიდის სრულყოფისაკენ, რეალურად, სახეობის დაჩაჩანაკებისაკენ გადადგმული იმდენივე ნაბიჯია.

ვიდრე ადამიანები ჯერდებოდნენ თავიანთ სადა სოფლურ ქოხებს, ეკლებითა თუ თევზის ფხებით საკუთარი ხელით შეკერილ სამოსს, კმაყოფილდებოდნენ ბუმბულითა და ნიჟარებით სხეულის მორთვასა თუ მის სხვადასხვა ფერად მოხატვას, თავიანთი მშვილდებისა და ისრების გაუმჯობესებასა თუ გალამაზებას, ბასრი ქვებით სათევზაო ნავებისა თუ პრიმიტიული სამუსიკო ინსტრუმენტების კეთებას, ერთი სიტყვით, ვიდრე აღნიშნულ საქმიანობათა შესრულება მრავალი ხელის დაუხმარებლად, დამოუკიდებლადაც შეეძლოთ, ისინი თავისუფალნი, ჯანმრთელნი, კეთილნი და ბედნიერები იყვნენ; იმდენად ლაღი ყოფით ცხოვრობდნენ, რამდენადაც ეს მათივე ბუნების თანახმად იყო შესაძლებელი და ტკბებოდნენ დამოუკიდებელი საქმიანობით მიღებული

სიამოვნებით. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანს მეორე ადამიანის დახმარების საჭიროება შეექნა, როდესაც ერთი პირისათვის ორის საარსებოდ აუცილებელი სურსათ-სანოვაგისა და საგნების ქონის სარგებელი შეამჩნიეს, თანასწორობა გაქრა, გაჩნდა საკუთრება; შრომა აუცილებელი შეიქნა, ვრცელი და უსიერი ტყეების აყვავებულ ყანებად ქცევა ადამიანთა ოფლით მორწყვას საჭიროებდა; მალე თავი იჩინა მონობამ და გაჭირვებამ, რაც მოსავლის ზრდის პროპორციულად სულ უფრო მეტად იზრდებოდა.

მელითონეობა და მიწათმოქმედება – ორი მთავარი საქმიანობა დიდი რევოლუციის დასაბამი შეიქნა. თუ პოეტისათვის ადამიანთა ცივილიზაციისა და მათი მოდგმის დაღუპვის მიზეზი ოქრო და ვერცხლია, ფილოსოფოსისათვის ეს რკინა და ხორბალია. ამერიკის მკვიდრი ველურებისათვის ორივე მათგანი უცნობი იყო, ამიტომაც დარჩნენ ისინი ასეთებად (ველურებად). სხვა ხალხთა ხანგრძლივი ბარბაროსობა კი ეტყობა იმან განაპირობა, რომ ამ საქმიანობათგან ერთს ისინი მეორის გარეშე ეწეოდნენ; შესაძლოა, ერთ-ერთი საუკეთესო მიზეზთაგანი იმისა, თუ რატომ იყო ევროპა მსოფლიოს სხვა მხარეებთან შედარებით თუ ბევრად ადრე არა, ყოველ შემთხვევაში, უფრო მუდმივად და უკეთ მართული, გახლავთ ის, რომ ევროპაში ყველაზე უხვადაა რკინაც და ხორბალიც.

ძალზე ძნელია იმის ვარაუდი, თუ როგორ ისწავლეს ადამიანებმა რკინის მოპოვება და

მისი გამოყენება. დაუჯერებელია, ისინი თავად მიმხვდარიყვნენ, როგორ მოეპოვებინათ ლითონი საბადოებიდან და მის გადასადნობად აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები მანამდე ჩაეტარებინათ, ვიდრე ეცოდინებოდათ, თუ რა გამოვიდოდა ყოველივე აქედან. მეორე მხრივ, ასევე ნაკლებ შესაძლებელია მსგავსი აღმოჩენა მივაწეროთ რაიმე შემთხვევითი ხანძრის ზემოქმედებას, რადგან ლითონის საბადოები მხოლოდ ხეთა და მცენარეთა საფარს მოკლებულ უნაყოფო, სტერილურ მხარეებში იქმნება. ამგვარად, იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ ამ ფატალური საიდუმლოს ჩვენთვის დასამალავად გარკვეული სიფრთხილე ბუნებამ გამოიჩინა. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია ვივარაუდოთ: რაღაც ექსტრაორდინალურმა ვითარებამ – მაგალითად, რომელიღაც ვულკანის ხილვამ, გამდნარი ლითონის ნივთიერებებს რომ აფრქვევდა – შთააგონა ადამიანებს ბუნების ამ ქმედების იმიტირება; მაშინ, ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ესოდენ მძიმე საქმის წამოსაწყებად და ამ საქმიანობიდან შესაძლო სარგებლის მიღების წინასწარ განსაჭვრეტად, მათ საკმაო ვაჟკაცობა და წინდახედულობაც ჰქონდათ. ასეთი რამ ადამიანის გონებრივი განვითარების უფრო მაღალ დონეს მოითხოვს, რაც იმ დროისათვის მათ არ გააჩნდათ.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მისი პრინციპი ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი ადამიანებისათვის, ვიდრე უშუალოდ ამ საქმიანობას მიჰყოფდნენ ხელს. მცენარეები და

ხეთა ნაყოფი გამუდმებით უზრუნველყოფდა მათ საკვებით; ამდენად, შეუძლებელია, რომ ადამიანებს საკმაოდ მალე არ დაბადებოდათ აზრი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა მცენარეთა კვლავ აღმოცენება ბუნებაში. სავარაუდოდ, ამ მიმართებით საქმიანობა მათ ძალზე გვიან დაიწყეს; ნადირობითა და თევზაობით მოპოვებული საკვების გარდა, მცენარეები, რომელთაც საზრდოდ იყენებდნენ, მათ საგანგებო ზრუნვას არ საჭიროებდა; ხორბალი რომ მოეყვანათ, მისი გამოყენება უნდა ცოდნოდათ და მიწის დასამუშავებლად საჭირო იარაღები უნდა ჰქონოდათ; რაკი სარგებელს ვერ ითვალისწინებდნენ, ამის საჭიროებასაც ვერ ხედავდნენ. დაბოლოს, არც სხვებისათვის ხელის შემშლელი საშუალებები გააჩნდათ, რათა მათი შრომის ნაყოფს სხვები არ დაპატრონებოდნენ. როდესაც ადამიანები უფრო გამჭრიახები შეიქნენ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბევრად უფრო დიდი ხნით ადრე, ვიდრე ხორბლის მოყვანას ისწავლიდნენ და მიწის დასამუშავებლად აუცილებელი იარაღებიც ჭარბად ექნებოდათ, ზოგიერთი სახეობის ბოსტნეულისა თუ ფესვების მოყვანა ბასრი ქვებისა და წვეტიანი ჯოხების მეშვეობით დაიწყეს; ისიც გავითვალისწინოთ, რომ მიწის დასამუშავებლად გაღებული მთელი ძალ-ღონისა და ხორბლის უხვად დათესვის მიუხედავად, ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ ჯერ უნდა ეზარალათ, რათა შემდეგ ბევრად მეტი სარგებელი ენახათ; ველურის გონებრივი განვითარების დონე ძალზე შორს იყო ამგვარი წინდახედუ-

ლებისაგან. როგორც აღვნიშნე, დილაობით ფიქრი იმაზე, თუ რა დასჭირდებოდა იმავე საღამოს, მის ძალებს აღემატებოდა.

მაშასადამე, საჭირო იყო სხვა ხელობათა გამოგონება, რათა ადამიანთა მოდგმას ხელი მიეყო მიწათმოქმედებისათვის. მას შემდეგ, რაც ადამიანთა გარკვეული რაოდენობა რკინის გამოდნობითა და გამოჭედვით დასაქმდა, საჭირო შეიქნა, რომ სხვებს რკინის მომპოვებლები და მჭედლები საკვებით უზრუნველეყოთ. ხელოსანთა რაოდენობის ზრდის კვალობაზე, სულ უფრო მცირდებოდა ყველასათვის ერთნაირად საჭირო საკვების მომპოვებელთა, მაგრამ არა მჭამელთა რაოდენობა; წარმოებული რკინის სანაცვლოდ ერთნი საკვებს საჭიროებდნენ, მეორეებმა სურსათ-სანოვაგის რაოდენობის გასაზრდელად ბოლოს ლითონის გამოყენების საიდუმლო აღმოაჩინეს. ასე მიეცა დასაბამი, ერთი მხრივ, მიწის დამუშავებასა და სოფლის მეურნეობას, მეორე მხრივ კი, ლითონის მოპოვებისა და მისი გამოყენების არეალის განვრცობა-გაფართოებას.

მიწის დამუშავებამ მისი დანაწილების აუცილებლობა განაპირობა; ერთხელავე აღიარებულ საკუთრებას სამართლის პირველი წესებიც მოჰყვა: კუთვნილი წილის მისაღებად, ადამიანს რაღაც უნდა ჰქონდეს; მეტიც, როდესაც ადამიანებმა მზერა მიაპყრეს მომავალს და მიხვდნენ, რომ ყველას რაიმე ჰქონდა დასაკარგი, შურისძიებამ – ზარალის გამო სხვისთვის რომ შეიძლებოდა მიეყენებინათ – მათ შიში აღუძრა. სამართლებრივი საწყისე-

ბის ასეთი დასაბამი მით უფრო ბუნებრივია, ვინაიდან ახლად გაჩენილი საკუთრების იდეის დასაბამი სადმე სხვაგან, შრომის პროცესის შედეგად შექმნილ ურთიერთობათა მიღმა, წარმოუდგენელია. გაწეული გარჯის გარდა, შეუძლებელია რაიმე ისეთის მითითება, რასაც შეიძლება დაფუძნებოდა ადამიანი არა უშუალოდ მის მიერ შექმნილ საგანთა დასასაკუთრებლად. ყოველ შემთხვევაში, მოსავლის აღებამდე დამუშავებულ მიწის ნაკვეთსა და მოწეულ მოსავალზე მიწათმოქმედის უფლება მხოლოდ მის მიერ გაწეული შრომით განისაზღვრება; წლიდან წლამდე მიწის მუდმივი მფლობელობა, იოლად გარდაიქმნება საკუთრებად. გროციუსის თანახმად, როდესაც ძველებმა ცერერას ეპითეტად კანონმდებელი შეარქვეს, მის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულს კი თემოსფორიები უწოდეს, ამით მათ განაცხადეს, რომ მიწის დანაწილება ახალი სახის სამართალის ანუ ბუნებითი კანონიდან მომდინარე საკუთრების უფლებისაგან განსხვავებული უფლების დასაბამი შეიქნა.

ასეთ ვითარებაში საგანთა თანაბარზომიერება იმ შემთხვევაში შენარჩუნდებოდა, თუ ადამიანთა უნარებიც თანაბარი იქნებოდა და თუ, მაგალითად, ლითონის გამოყენებასა და მოწეული მოსავლის მოხმარებას შორის სულ მუდამ ზუსტი თანაფარდობა იქნებოდა; მაგრამ ასეთი პროპორცია, რომლის შენარჩუნებასაც არაფერი უზრუნველყოფდა, მალე დაირღვა. ყველაზე ძლიერი უფრო მეტ პროდუქტს ქმნიდა, გაწეული შრომის შედეგად

მეტ სარგებელს კი ყველაზე გამრჯე იღებდა; შრომის შესამცირებლად ყველაზე გამჭრიახი სხვადასხვა საშუალებას იგონება; იმისდა მიუხედავად, მიწათმოქმედი უფრო მეტად საჭიროებდა რკინის იარაღებს თუ მჭედელი პურს, თანაბრად განეული შრომის მიუხედავად, ერთს დიდი შემოსავალი ჰქონდა, მეორეს კი თავი ძლივს გაჰქონდა; ასე შეუმჩნევლად იზრდებოდა ბუნებრივი უთანასწორობა ყოფითი პირობების(განსაკუთრებით ეკონომიკური) უთანასწორობის თანადროულად; გარემოებათა წყალობით ადამიანთა შორის მზარდი სხვაობები მათ ქმედებებში სულ უფრო საგრძნობლად და პერმანენტულად აისახებოდა, რაც, იმავე პროპორციით, კერძო პირთა ხვედრზეც ზეგავლენას ახდენდა.

რაკილა მოვლენებმა ამ ზღვრამდე მიაღწია, დანარჩენი იოლი წარმოსადგენია. არ მოვყვები იმის აღწერას, თუ როგორ გამოიგონეს თანდათანობით სხვა ხელობები, როგორ განვითარდა ენები, როგორ მოხდა სხვადასხვა უნართა გამოცდა და გამოყენება; არც ქონების უთანასწორობაზე, არც სიმდიდრით სარგებლობასა თუ მის ბოროტად გამოყენებაზე შევჩერდები და არც ყველა იმ წვრილმანზე მათ რომ მოჰყვა; ამის დამატება ყველას იოლად შეუძლია; მხოლოდ ერთი რამით შემოვიფარგლები: თვალს შევავლებ მოვლენათა ამ ახალ ვითარებაში აღმოჩენილ ადამიანთა მოდგმას.

მაშ ასე, ჩვენი ყველა უნარი განვითარებულია, მთელი ძალისხმევით მუშაობს მეხსიერე-

ბა და წარმოსახვა, დაინტერესებული პატივ-
მოყვარეობა ფხიზლადაა, აზროვნება აქტიუ-
რობს, თითქმის მისი სრულყოფის ზღვარს მი-
აღწია გონებამ; ყველა ჩვენი ბუნებრივი უნარი
ამოქმედებულია, ყოველი ადამიანის რანგი და
ხვედრი არა მხოლოდ მისივე სიმდიდრის ოდე-
ნობითა და სხვებისათვის სიკეთის ქმნისა თუ
ზიანის მიყენების შესაძლებლობით განისაზ-
ღვრება, არამედ მისი გონების, სილამაზის, ძა-
ლისა თუ მოხერხებულობის, ღირსებისა თუ
ნიჭის მიხედვით, რადგან ადამიანების მიმართ
პატივისცემის შთაგონება მხოლოდ ასეთ თვი-
სებებს შეეძლო; მალე საჭირო შეიქნა მათი ქო-
ნა, ან ვითომდა მათი ქონით თავის მოწონება.
პირადი სარგებლის თვალსაზრისით, საკუთა-
რი თავის სხვად წარმოჩენა უფრო ხელსაყრე-
ლი იყო, ვიდრე იმად, რაც რეალურად იყვნენ;
ნამდვილი და მოჩვენებითი მყოფობა ორ,
სრულიად განსხვავებულ რაიმედ იქცა. იგივე
სხვაობა შეიქნა დასაბამი იმპოზანტური ქედ-
მაღლობისა, ეშმაკური მაცდურობისა და მათი
მსგავსი ყველა სხვა მანკიერებისა. მეორე
მხრივ, უამრავ ახალ მოთხოვნილებათა წყა-
ლობით, უწინდელი თავისუფალი და დამოუკი-
დებელი ადამიანი, ასე ვთქვათ, მთლიანად და-
მოკიდებული შეიქნა ბუნებასა და, განსაკუთ-
რებით, თავის მსგავსებზე, რომელთა ბატო-
ნად მყოფიც კი, რაღაც აზრით, მათივე მონაც
იყო. მდიდარი ღარიბთა სამსახურს საჭიროებ-
და, ღარიბი – მდიდართა შეწევნა-დახმარებას,
მათ გარეშე არსებობა არც საშუალო შეძლე-
ბის მქონეთ შეეძლოთ. ამიტომ ადამიანი გა-

მუდმებით ცდილობს საკუთარი ხვედრით მათ დაინტერესებას და მისი კეთილდღეობისათვის გაწეული შრომის საზღაურად, მათივე სარგებლის რეალურად ან თვალთმაქცურად დადასტურებას; ეს გარემოება ერთთა მიმართ ადამიანს მზაკვარსა და ცბიერს ხდის, სხვებისადმი კი – მკაცრსა და მბრძანებელს; იგი იძულებულია მოატყუოს ისინი, ვისაც მისი არ ეშინია, მაგრამ ვისი სამსახურიც თავად ესაჭიროება, მათი პირფერობით კი პირად სარგებელს ვერ ხედავს. საბოლოოდ, გაუმაძღარი ამბიცია, საკუთარი რელატიური სიმდიდრის მატების საოცარი ჟინი (არა იმდენად ნამდვილი საჭიროების მიზნით, რამდენადაც სხვებზე აღმატების სურვილით), ყველას შთააგონებს ურთიერთზიანის მიყენების მდაბიურ ზრახვას, იდუმალ შურს, რომელიც კიდევ უფრო საშიშია, როდესაც, ზუსტი დარტყმის მიზნით, ხშირ შემთხვევაში ადამიანი კეთილმოსურნის ნიღაბს ირგებს. ერთი სიტყვით, ერთი მხრივ, კონკურენცია და მეტოქეობა, მეორე მხრივ კი ინტერესთა დაპირისპირება და მუდამ ფარული სურვილი სხვის ხარჯზე პირადი სარგებლის მიღებისა; ყველა ეს ბოროტება საკუთრების პირველი შედეგი და წარმოშობის პროცესში არსებული უთანასწორობის თანამდევი კორტეჟია.

ქონების წარმომდგენი ნიშნის (მონეტის) გამოგონებამდე, ერთადერთი მატერიალური სიმდიდრე იყო მხოლოდ მიწა და საქონელი, რომელიც შეიძლება ადამიანებს ჰყოლოდათ. როდესაც მთელი ტერიტორიები იმდენად მო-

იცვა სამემკვიდრეო მიწების რაოდენობისა და მოცულობის უზომო ზრდამ, რომ მიწის ნაკვეთები ერთმანეთს ეკვროდა, ზოგი მათგანის შემდგომი ზრდა-გაფართოება მხოლოდ სხვების ნაკვეთთა ხარჯზელა შეიძლებოდა. რაც შეეხება უმიწოებს, მიწის დასაპატრონებლად სისუსტემ თუ გულგრილობამ რომ შეუშალა ხელი, მათ არაფერი დაუკარგავთ, მაგრამ ღარიბები აღმოჩნდნენ: როცა მათ ირგვლივ ყველაფერი იცვლებოდა, თავად მათ არავითარი ცვლილება არ განუცდიათ; ამდენად, იძულებულნი შეიქნენ, თავიანთი სარჩო ან მდიდართა ხელიდან მიეღოთ, ან ძალით წაერთმიათ მათთვის. ასე მიეცა დასაბამი სხვადასხვა სახის ნიშან-მახასიათებელთა მიხედვით ერთთა ბატონობასა და მეორეთა მონობას, თუ ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას. როგორც კი მდიდრებმა ბატონობით მიღებული სიამოვნება იგემეს, ყველა სხვათა, უპოვართა აბუჩად აგდებაც აღარ დაუხანებიათ; ძველ მონებს ახალთა დასამონებლად იყენებდნენ; იმ გაუმაძღარი მგლების დარად – რაკიღა ერთხელ ადამიანის ხორცს იგემებენ, მხოლოდ მათი შესანსვლა რომ სურთ და ყოველგვარ სხვა საკვებს წუნობენ – მდიდრებიც მხოლოდ თავიანთ მეზობელთა დამონებასა და დაჩაგვრაზე ფიქრობდნენ.

სწორედ ასე იქმნიდნენ ყველაზე ძლიერნი თუ ყველაზე საბრალონი საკუთარი ძალისა თუ საჭიროებიდან ერთგვარ უფლებას სხვის ქონებაზე, რაც, მათი აზრით, საკუთრების უფლების ტოლფასი იყო; გაუქმებულ თანას-

წორობას წარმოუდგენლად შემზარავი უწესრიგობა მოჰყვა. მდიდართა უზურპაციამ, ღარიბთა ძარცვა-გლეჯამ და ყაჩაღობამ, ერთთა და მეორეთა აღვირახსნილმა ვნებებმა, ბუნებრივი თანაგრძნობისა და ჯერ კიდევ არსებული სამართლიანობის სუსტი ხმის ჩახშობით, ადამიანები ძუნწ, პატივმოყვარე და ბოროტ არსებებად აქცია. ყველაზე ძლიერის უფლებასა და პირველი დამპყრობის უფლებას შორის გამუდმებული კონფლიქტი შეტაკებებითა და მკვლელობებით სრულდებოდა[17]. წარმოშობის პროცესში მყოფი საზოგადოება უსაზარლესი ომის მდგომარეობის არენად იქცა: ბინიერებით დამდაბლებულ და სასონარკვეთილ ადამიანურ მოდგმას აღარც უკან დაბრუნება შეეძლო და აღარც მის მიერვე შექმნილ ავბედით შენაძენებზე უარის თქმა; თავისდა სამარცხვინოდ, მოდგმის სადიდებელ უნართა ბოროტად გამოყენებით, საკუთარი თავი თავადვე მიიყვანა დაღუპვის პირამდე.

Attonitus novitate mali, divesque miserque,

*Effugere optat opes, et quae modo voverat, odit**.

შეუძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს ადამიანები არ დაფიქრებულიყვნენ ესოდენ უბადრუკ, სავალალო მდგომარეობასა და მათ თავს დატეხილ უბედურებებზე. მუდმივი ომის არასახარბიელო ვითარებას განსაკუთრებით

---

* *„ბოროტების სიახლით შეძრწუნებულს, ერთსა და იმავე დროს მდიდარსა და ღარიბს, მას სურს გაექცეს თავის სიმდიდრეს, სძულს ის, რაც ცოტა ხნის წინ სასურველი იყო მისთვის“.* ოვიდიუსი, *მეტამორფოზები*, XI, 127.

მალევე უნდა მიმხვდარიყვნენ მდიდრები, რომელთაც უწევდათ მთელი საომარი ხარჯების გაღება. ომში სიცოცხლის დაკარგვის საფრთხე ყველას ერთნაირად ემუქრებოდა, ქონებისა კი – მხოლოდ მდიდრებს. უზურპაციათა შელამაზება-შენიღბვის მიუხედავად, მდიდრები საკმაოდ კარგად გრძნობდნენ მათი ბატონობის უფლების სიმყიფესა და უკანონობას, რომელიც ეფუძნებოდა მხოლოდ ძალას, მათთვის ამ უფლების ჩამორთმევა კი სირთულეს არ წარმოადგენდა და ისინიც ვერაფერზე დაიჩივლებდნენ. თავიანთი საკუთრების უკეთეს უფლებაზე დაფუძნება რეწვით გამდიდრებულებსაც არ შეეძლოთ. ცხადია, მავანი სრულიად თავისუფალი იყო განეცხადებინა, მაგალითად, შემდეგი რამ: „ეს კედელი მე ავაშენე, მინის ეს ნაკვეთი საკუთარი შრომით მოვიპოვე". მაგრამ მისთვის ასევე შეეძლოთ ეპასუხათ: „ვინ დაგიდგინათ თქვენი მამულის საზღვრები და რის საფუძველზე მიიჩნევთ საკუთარ თავს უფლებამოსილად, რომ ჩვენგან მოითხოვთ საზღაურს იმ გარჯისათვის, რომელიც თქვენთვის არ გვითხოვია? განა არ იცით, რომ მრავალი თქვენი ძმა იღუპება ან იტანჯება იმის უქონლობით, რაც თქვენ ჭარბად გაქვთ; თქვენ უნდა გქონოდათ სხვა ადამიანთა საგანგებო და ერთსულოვანი თანხმობა, რათა საერთო საარსებო საშუალებებიდან საჭიროზე მეტი დაგესაკუთრებინათ". თავის გასამართლებლად მდიდარს ღირებული არგუმენტები არ გააჩნდა, ხოლო თავის დასაცავად – საკმარისი ძალები; ცალკეულ ადამიანს იგი იოლად

ჯაბნიდა, მაგრამ ყაჩაღთა ბანდების თავდასხმის შემთხვევაში უძლური იყო, მარტოს მათი დამარცხება არ შეეძლო, ხოლო ძარცვა-გლეჯის მიზნით გაერთიანებული მტრის წინააღმდეგ სხვა მდიდრებთან შეკავშირებას შუღლის გამო ვერ აღწევდა; საბოლოოდ, აუცილებლობის ზეწოლით, მდიდარმა შეიმუშავა ყველაზე კარგად მოფიქრებული გეგმა, რომელიც კი ოდესმე ადამიანს აზრად მოსვლია; კერძოდ: თავის სასიკეთოდ გამოეყენებინა თავად იმათი ძალები, ვინც მას თავს ესხმოდა, თავის დამცველებად ექცია მოწინააღმდეგეები, შთაეგონებინა მათთვის სხვა მაქსიმები და დაეწესებინა ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც იმდენადვე ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის, რამდენადაც ბუნებითი სამართალი იყო მისი საწინააღმდეგო.

ასეთი მოსაზრების საფუძველზე, მდიდარმა, მას შემდეგ რაც მეზობლებს წარუდგინა მთელი საშინელება იმ ვითარებისა, რომლის გამოც ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღდებოდნენ, როდესაც მოთხოვნილებების ზრდის კვალობაზე ქონება სულ უფრო მძიმე და კაბალური ხდებოდა მდიდრისათვის, როდესაც არც მდიდარი და არც ღარიბი თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდა, მდიდარმა იოლად მოძებნა დამაჯერებელი არგუმენტები მიზნის მისაღწევად და თავის ტოლთ მიმართა: *„გავერთიანდეთ, რათა სუსტები ჩაგვრისაგან დავიცვათ, პატივმოყვარეთა ამბიციები დავაოკოთ და თითოეულის კუთვნილი ქონების უსაფრთხოება უზრუნველვყოთ; დავადგინოთ*

მშვიდობისა და სამართლის მიუკერძოებელი წესები, რომელთა მორჩილებაც – ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე – ყველასათვის სავალდებულო იქნება და ორმხრივი მოვალეობებისადმი ძლიერისა და სუსტის დაქვემდებარებით, გარკვეულ წილად ბედის ჭირვეულობებსაც ალადგენს. ერთი სიტყვით, ჩვენსავე წინააღმდეგ ჩვენივე ძალების მიმართვის მაგივრად, გავაერთიანოთ ისინი (ძალები) ერთ უზენაეს ძალაუფლებაში, რომელიც, გონივრული კანონებით მართული, დაიცავს და დაიფარავს ასოციაციის ყველა წევრს, უკუაგდებს საერთო მტერს და ჩვენს მარადიულ თანხმობას უზრუნველყოფს".

ამგვარ მსჯელობაზე ბევრად უფრო ნაკლები იყო საჭირო პრიმიტიულ, გაუნათლებელ, იოლად დამჯერ ადამიანთა დასაყოლიებლად, რომელთაც, სხვათა შორის, ერთმანეთთან საურთიერთოდ მრავალი რამ ჰქონდათ მოსაწესრიგებელი და შუამავლების გარეშე უჭირდათ, იმავდროულად უზომო სიძუნწითა და ამბიციით შეპყრობილნი, დიდხანს ვერც ბატონის გარეშე იარსებებდნენ. ასე რომ, თავისუფლების განმტკიცების რწმენით, ყველანი თავად გაეშურენ საკუთარი ბორკილებისაკენ; იმდენი გონება კი ჰქონდათ, რომ პოლიტიკური დაწესებულების უპირატესობებს მიმხვდარიყვნენ, მაგრამ მასთან (პოლიტიკურ დაწესებულებასთან) დაკავშირებულ საფრთხეთა გასათვალისწინებლად სათანადო გამოცდილება არ გააჩნდათ; ყველაზე უნარიანებმა განჭვრიტეს, რომ ეს ბოროტ გამოყენე-

ბათა დასაბამი შეიქნებოდა; სწორედ ისინი იმედოვნებდნენ ამით სარგებლის მიღებას; თავად გონიერებიც მიხვდნენ, რომ, დაჭრილის მსგავსად, სხეულის გადასარჩენად ხელის მოკვეთას რომ თანხმდება, საჭირო იყო საკუთარი თავისუფლების ერთი ნაწილის მსხვერპლად გაღება მეორის შესანარჩუნებლად.

ასეთი იყო ან უნდა ყოფილიყო საზოგადოებისა და კანონთა დასაბამი, რომელმაც სუსტს ახალი დაბრკოლებები შეუქმნა, ძლიერს კი ახალი ძალები შემატა[18]; ბუნებრივი თავისუფლების საბოლოო მოსპობით, სამუდამოდ დაადგინეს საკუთრებისა და უთანასწორობის კანონი, მარჯვე უზურპაცია კი ურყევ უფლებად აქციეს; ამის შემდეგ, რამდენიმე ამბიციური ადამიანის სარგებლის მიზნით, მთელი ადამიანური მოდგმა შრომის, მონობისა და სიღარიბისთვის განირეს. იოლი მისახვედრია, თუ როგორ განსაზღვრა საზოგადოების ერთგან შექმნამ სხვაგანაც მათი (საზოგადოებათა) წარმოშობისა და გაერთიანების გარდუვალობა. საზოგადოებები მრავლდებოდნენ და ისე სწრაფად იფართოვებდნენ არეალს, რომ მალე მთელი დედამიწა მოიცვეს; მსოფლიოში კუთხეც არ დარჩენილა, სადაც უღლისაგან განთავისუფლება და, ხშირ შემთხვევაში, ავი ხელის მიერ მოღერებული მახვილისაგან – ყოველი ადამიანი მუდამ საკუთარ თავზე მიმართულს რომ ხედავდა – თავის დაღწევა შეიძლებოდა. ასე ამგვარად იქცა პოზიტიური სამართალი მოქალაქეთა ყოფის საერთო წესად; საერთაშორისო სამართლის სახელით მოქმე-

დი, რამდენიმე უსიტყვო შეთანხმებით შერბილებული ბუნებითი სამართალი მხოლოდ სხვადასხვა საზოგადოებათა შორის საურთიერთოდ შემორჩენილიყო, მათ შორის კომერციის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა და ბუნებრივი თანაგრძნობის მაგივრობას ეწეოდა; მაგრამ საზოგადოებათა შორის ურთიერთობისას კარგავდა თითქმის მთელ იმ ძალას, ადამიანთა შორის ურთიერთობისას რომ ავლენდა; ასეთი ძალა ნიშანდობლივია მხოლოდ რამდენიმე დიდი კოსმოპოლიტი ადამიანისათვის, რომლებიც ხალხთა გამყოფ წარმოსახვით ბარიერებს არად დაგიდევენ და, მათი შემქმნელი უზენაესი არსების დარად, მთელ ადამიანურ მოდგმას თავიანთი კეთილგანწყობით მსჭვალავენ.

ბუნებით მდგომარეობაში დარჩენილმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა მალევე იგრძნეს ის შეუსაბამობები, კერძო პირებს მათი დატოვება რომ აიძულა; დიდი კორპორაციებისათვის ეს ვითარება მათი ერთობის წევრებზე ბევრად უფრო დამღუპველი აღმოჩნდა. ამან წარმოშვა ხალხთა შორის ომები, ბრძოლები, მკვლელობები, რეპრესიები, ის, რაც ბუნებას აძრწუნებს, გონებას აღაშფოთებს და ყველა ის შემზარავი ცრუ შეხედულებებიც, რომელთაც ადამიანის სისხლის ღვრა ღირსების სიქველეთა რანგში აჰყავს. თავის მსგავსთა კვლა ყველაზე პატივსაცემ ადამიანებსაც საკუთარ მოვალეობად მიაჩნდათ; საბოლოოდ, იმის მოწმენიც შეიქნენ, თუ როგორ უმოწყალოდ ხოცავდნენ ადამიანები ერთმანეთს

ისე, რომ რისთვის, თავადაც არ იცოდნენ; მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში რომელიმე ქალაქის ასაღებად გამართულ ბრძოლაში უფრო მეტი მკვლელობა და საშინელება ხდებოდა, ვიდრე მანამდე, საუკუნეთა მანძილზე მოხდა მთელ დედამიწაზე, როდესაც ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში იყვნენ. ასეთად წარმოუდგენიათ ადამიანთა მოდგმის ცალკეულ საზოგადოებებად დაყოფის პირველი შედეგები. მივუბრუნდეთ მათი (საზოგადოებათა) შექმნის საკითხს.

ვიცი, მრავალმა მოაზროვნემ პოლიტიკურ საზოგადოებათა დასაბამად სხვა ისეთი მიზეზები მიიჩნია, როგორიცაა, მაგალითად, უფრო ძლიერის მიერ განხორციელებული დაპყრობები ან სუსტთა გაერთიანება, თუმცა აღნიშნულ მიზეზთა შორის არჩევანს მნიშვნელობა არა აქვს იმისათვის, რისი დადგენაც მე მსურს; და მაინც, პირადად მე ჩემ მიერ ახლახან წარმოდგენილი მიზეზი ყველაზე ბუნებრივად მესახება შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1. ჯერ ერთი, დაპყრობის უფლებას, – საერთოდ, უფლებაც რომ არ ეთქმის – რაიმე სხვა უფლებების დაფუძნება არ შეეძლო, რადგან დამპყრობი და მის მიერ დაპყრობილი ხალხები ერთმანეთის მიმართ მუდამ ომის მდგომარეობაში რჩებიან, სულ მცირე მანამდე, ვიდრე, სრული თავისუფლების დაბრუნების შემდეგ, დაპყრობილი ხალხი თავისი ნებით არ აირჩევს დამპყრობს უფროსად (მეთაურად). მანამდე დაშვებული და მხოლოდ ძალადობაზე დაფუძნებული გარკვეული კაპიტულაციები თავად

ფაქტის გამო ბათილია. ასეთ ჰიპოთეზურ ვითარებაში ნამდვილი საზოგადოების, პოლიტიკური კორპორაციისა და რაიმე სხვა კანონის არსებობა, გარდა ყველაზე ძლიერის კანონისა, შეუძლებელია. 2. სიტყვები – *ძლიერი* და *სუსტი* – ორაზროვანია; საკუთრების უფლების ანუ პირველი ოკუპანტის უფლების დადგენასა და პოლიტიკურ მმართველობათა დასაბამს შორის არსებულ დროის შუალედს ხსენებულ სიტყვათა მნიშვნელობაზე მეტად, ფაქტობრივად, სიტყვები *ღარიბი* და *მდიდარი* უფრო ესადაგება; კანონთა შექმნამდე თავის სწორთა დასაქვემდებარებლად ადამიანს ერთადერთი საშუალება ჰქონდა: სხვათა ქონების ხელყოფა, ანდა საკუთარი ქონების ნაწილად მათი ქცევა. 3. რაკი უპოვართ საკუთარი თავისუფლების გარდა დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, ამიტომ, მათი მხრიდან, ხსენებული ერთადერთი სიკეთის ნებაყოფლობით, ყოველგვარი სარგებლის გარეშე დათმობა დიდი უგუნურება იქნებოდა და პირუკუ: ზიანის თუ ზარალის მიყენება უფრო იოლი იყო მდიდრებისთვის, რომლებიც, ასე ვთქვათ, მტკივნეულად მგრძნობიარენი იყვნენ თავიანთი ქონების ნებისმიერი წილის მიმართ, შესაბამისად, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვაც უფრო მეტად უწევდათ. დაბოლოს, გონივრულია შემდეგი მოსაზრებაც: ნებისმიერი რამ იმათ გამოიგონეს, ვისაც იგი უმალ ხელს აძლევს, და არა იმათ, ვისთვისაც ზიანი მოაქვს.

წარმოშობის პროცესში მყოფ მმართველობას საერთოდ არ ჰქონია მყარი და დადგე-

ნილი ფორმა. გამოცდილებისა და ფილოსოფიის უქონლობა მხოლოდ არსებულ შეუსაბამობათა შემჩნევის შესაძლებლობას იძლეოდა, დანარჩენთა გამოსწორებაზე ფიქრს მხოლოდ მათი წარმოშობის კვალობაზე იწყებდნენ. ყველაზე ბრძენ კანონმდებელთა ძალისხმევის მიუხედავად, თითქმის მთლიანად შემთხვევის ანაბარად დარჩენილი და არასრულყოფილი საწყისის მქონე პოლიტიკური წყობა იმთავითვე შორს იყო სრულყოფილებისაგან. დროის კვალობაზე თავს იჩენდა პოლიტიკური წყობის შეუსაბამობები, რომელთა აღმოსაფხვრელად სათანადო საშუალებებიც იძებნებოდა, მაგრამ წყობის (კონსტიტუციის) არსებითი ნაკლოვანებების აღკვეთა, ვერასოდეს შეძლეს. ნაცვლად იმისა, რომ საძირკვლის გაწმენდითა და ძველი მასალის გადაყრით დაეწყოთ – როგორც ეს ლიკურგემ გააკეთა სპარტაში – რათა შემდეგ კარგი შენობა აეგოთ, გარდაქმნებს ბოლო არ უჩანდა. თავდაპირველად, საზოგადოება ეფუძნებოდა რამდენიმე ზოგადი ხასიათის შეთანხმებას, რომელთა დაცვასაც კერძო პირები საკუთარ თავზე იღებდნენ, ხოლო თითოეული მათგანის წინაშე თავდებად ერთობა დგებოდა. გამოცდილებას უნდა ეჩვენებინა, თუ რაოდენ სუსტი იყო ასეთი სახელმწიფო წყობა და რა იოლი შეთანხმების დამრღვევთათვის თავის დაღწევა მსჯავრისა თუ სასჯელისაგან დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომელთა ერთადერთი მოწმეც და მსაჯულიც თავად საზოგადოება იყო; ათასგვარი ხერხით კანონისათვის თავის არიდების,

მომრავლებული შეუსაბამობებისა და უნესრიგობების კვალობაზე, საბოლოოდ, ადამიანები უნდა მისულიყვნენ იმ აზრამდე, რომ საზოგადოებრივი ძალაუფლების სახიფათო საცავი კერძო პირებისათვის მიენდოთ, სახალხო გადაწყვეტილებათა შესრულებაზე ზრუნვა კი მაგისტრატებისთვის დაეკისრებინათ. თქმა იმისა, რომ მმართველები ხალხთა ერთობის კავშირის (კონფედერაციის) შექმნამდე იყვნენ არჩეულნი, კანონთა მსახურნი კი თვით კანონებამდე ადრე არსებობდნენო, ასეთი ვარაუდი სერიოზული კრიტიკის საგანია.

ასევე ნაკლებ გონივრული იქნებოდა იმის დაჯერებაც, რომ თავდაპირველად ხალხები აბსოლუტური უფლების მქონე ბატონს ყოვლად უპირობოდ და სამუდამოდ ჩაუვარდნენ ხელში, საერთო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პირველი საშუალება კი, რომელიც ამაყ და თავისუფლების მოყვარე ადამიანებს აზრად მოუვიდათ, საკუთარი თავის მონად გაღება და მისკენ სწრაფვა იყო. მართლაც, რატომ უნდა ესურვათ მათ თავიანთ ზემდგომებად განმგებელთა დაყენება, თუ არა ჩაგვრისაგან თავის დასაღწევად, თავისუფლების, სიცოცხლის, ქონების, ერთი სიტყვით, ყოველივე იმის დასაცავად, რაც, ასე ვთქვათ, მათივე არსების შემადგენელი ელემენტებია? ადამიანთა ურთიერთობათაგან ყველაზე უარესია ის, როდესაც მავანი სხვისი თვითნებობის მსხვერპლია; საღი აზრის საპირისპირო ხომ არ უნდა ყოფილიყო ერთი პირის ხელთ მოქცევა ყველა იმ სიკეთისა, რომელთა დასაცავადაც მის

დახმარებას საჭიროებდნენ? ესოდენ დიდი უფლების დათმობის სანაცვლოდ რისი შეთავაზება შეეძლო მას? და თუ ამის მოთხოვნას მაინც გაბედავდა იმ საბაბით, რომ ეს მათივე დასაცავად იყო აუცილებელი, მყისვე პასუხად იგავის (აპოლოგის)* სიტყვებით ხომ არ მიუგებდნენ: რას გაგვიკეთებდა მტერი ამაზე უარესს? ამგვარად, უდავოა, და ესაა სახელმწიფო სამართლის ფუნდამენტური მაქსიმა: ხალხებმა მეთაურები საკუთარი თავისუფლების დასაცავად და არა მათდამი დასამონებლად დაიყენეს. პლინიუსი** ტრაიანეს ეუბნებოდა: *„ხელმწიფე იმიტომ გვყავს, რათა მან ბატონისაგან დაგვიცვას“*.

თავისუფლების სიყვარულის თაობაზე პოლიტიკოსებიც იმავე სოფიზმებს აცხადებენ, რაც ფილოსოფოსებმა ბუნებითი მდგომარეობის შესახებ გამოთქვეს; არსებულ მოვლენათა საფუძველზე იმდენად განსხვავებულ რამეებზე მსჯელობენ, საერთოდ რომ არ უნახავთ, ხოლო იმ მოთმინების შემყურენი, თუ რა თვინიერად იტანდნენ მათ თვალწინ მყოფნი თავიანთ მონურ ყოფას, ადამიანებს მონობისადმი ბუნებრივ მიდრეკილებას მიაწერენ; არც კი უფიქრდებიან, რომ უცოდველობისა და სათნოების მსგავსად, რომელთა ფასსაც მხოლოდ მანამდე გრძნობენ, ვიდრე ხსენებული სიკეთეებით ტკბებიან, მათი დაკარგვისთანავე კი

---

* რუსოს ნაგულისხმევი აქვს იგავი *„მობუცი და სახედარი“*, ლა ფონტენი, *იგავები*, წიგნი VI,8.

** პლინიუს უმცროსი, *ტრაიანეს პანეგერიკი*, LV, 7.

მათდამი ლტოლვაც უქრებათ, თავისუფლებაც ასეა. ერთ-ერთ სატრაპს, რომელიც სპარტის ყოფას პერსეპოლისას ადარებდა, ბრასიდამ ასე მიუგო: „მე ვიცი შენი ქვეყნის სიამენი, მაგრამ ჩემი ქვეყნის სიამეთა ცოდნა შენ არ ძალგიძს".*

გაუხედნავი ცხენის მსგავსად – ლაგამის თვალის შევლებისთანავე გააფთრებულ წინააღმდეგობას რომ იწყებს, ფაფარს აიშლის, მიწას ფლოქვებს სცემს, წიხლებს ისვრის და ყალყზე დგება, მოშინაურებული ცხენი კი შოლტის დარტყმასა და დეზის კვრასაც მოთმინებით იტანს – ქედუხრელი ველური არასგზით დაიდგამს იმ უღელს, ცივილიზებული ადამიანი უდრტვინველად რომ ატარებს, ყველაზე მშვიდ მორჩილებას კი შფოთითა და ხიფათით აღსავსე თავისუფლებას ამჯობინებს. ამგვარად, მონობის წინააღმდეგ თუ მისდამი ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებაზე არა დამონებული ხალხის სიმდაბლით, არამედ იმ სასწაულთა მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, ყველა თავისუფალმა ხალხმა ჩაგვრისაგან თავის დასაცავად რომ მოიმოქმედა. ვიცი, პირველნი ხოტბას დაუსრულებლად ასხამენ მხოლოდ იმ მშვიდობასა და სიმშვიდეს, რომლითაც თავიანთ ბორკილებში მყოფნი ტკბებიან და *miserrimam servitutem pacem appellant.** მაგრამ, იმის შემყურე, როგორ იღებენ სხვები მსხვერ-

---

* ჰეროდოტე, *ისტორია*, VII, 135.

* *„ყველაზე საეალალო მონობას მორჩილებას, მშვიდობას ეძახიან"*. ტაციტუსი, *ისტორია*, IV, 17.

პლად სიამოვნებას, სიმშვიდეს, სიმდიდრეს, ძალაუფლებასა და თვით სიცოცხლესაც მხოლოდ ამ ერთი სიკეთის – მათ მიერ ესოდენ უგულებელყოფილის, ვინც იგი დაკარგეს – შესანარჩუნებლად; როგორ ვერ ეგუებიან ტყვეობას თავისუფლებაში შობილი ცხოველები და გალიის გისოსებზე ხეთქებით თავს იტეხენ; როგორ არად დაგიდევთ შიმშილს, ცეცხლს, ბორკილებსა და სიკვდილს ევროპული ყოფის სიამეთადმი სიძულვილით განწყობილი უამრავი შიშველ-ტიტველი ველური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, ვხვდები: თავისუფლებაზე მსჯელობა მონების საქმე არაა.

რაც შეეხება მამის ძალაუფლებას, მრავალი მოაზროვნის მიერ ავტორიტარული მმართველობის და, საერთოდ, საზოგადოების დასაბამად რომაა მიჩნეული – ლოკისა და სიდნეის მიერ მოხმობილ საპირისპირო სამხილებს რომ არც ითვალისწინებენ – საკმარისია აღინიშნოს: ქვეყნად არაფერია ისე შორს დესპოტიზმის მრისხანე სულისკვეთებისაგან, როგორც ხსენებული ძალაუფლებისთვის ნიშანდობლივი სიმშვიდე, მიმართული უმალ მორჩილებაში მყოფის სარგებელზე, ვიდრე განმგებლის საჭიროებაზე; ბუნების კანონის თანახმად, შვილის ბატონად მამა მხოლოდ მანამდე რჩება, ვიდრე მას საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად საჭიროებს; ასეთი აუცილებლობა როგორც კი გაქრება, ისინი თანაბრად დამოუკიდებელნი ხდებიან და მაშინ მამისაგან სრულიად დამოუკიდებელი შვილის ვალი არა

მისდამი მორჩილება, არამედ მხოლოდ პატი-ვისცემაა; მადლიერება, ერთგვარი ვალია, რომლის დაფასება და საკადრისად მიზღვაც მართებთ, მაგრამ არა უფლება, რომლის მოთ-ხოვნაც შეუძლიათ. სამოქალაქო საზოგადოე-ბა მამის ძალაუფლებიდან მომდინარეობსო – ამის მტკიცების ნაცვლად, პირიქით, საჭირო იყო იმის თქმა, რომ მამის ძალაუფლება ძირი-თად და არსებით ძალას თავად სამოქალაქო საზოგადოებიდან იძენს. მავანი მხოლოდ ერთ ჭერქვეშ შვილებთან თანაცხოვრების შემდეგ იქნა ცნობილი მათ მამად; ქონება, რომლის რეალური ბატონ-პატრონიც მამაა, ის შემაკა-ვებელია შვილებს მამის ქვემდებარებაში რომ აჩერებს. იგი უფლებამოსილია მისივე ნება-სურვილთა შესრულების საფუძველზე გაიხა-დოს შვილები მემკვიდრეებად. ცხადია, დეს-პოტისაგან მსგავსი წყალობის იმედი ქვეშევ-რდომებს ვერ ექნებათ, რადგან ისინი პირა-დად მას ეკუთვნიან, ანდა, ყოველ შემთხვევა-ში, დესპოტის აზრით, ისინიცა და მთელი მათი ავლა-დიდებაც მისი საკუთრებაა; თუ ქვეშევ-რდომთა ქონებიდან დესპოტი მათ რაღაც წილს უტოვებს, ეს მისი განსაკუთრებული კე-თილგანწყობის ნიშნად მიაჩნიათ; ქონების ჩა-მორთმევით დესპოტი სამართალს იქმს, ქვე-შევრდომისათვის სიცოცხლის შენარჩუნებით კი წყალობის იღებს.

სამართლებრივი თვალსაზრისით ფაქტე-ბის ასე შესწავლით, ტირანიის ნებაყოფლო-ბით დამყარებაც არანაკლებ სარწმუნო, სი-მართლის მსგავსი აღმოჩნდება და ძნელი

ასახსნელი იქნებოდა მართლზომიერება ისეთი ხელშეკრულებისა, რომელიც მოვალეობებს მხოლოდ ერთ მხარეს დააკისრებდა, ყველაფერს მას მიანიჭებდა, მეორეს კი არაფერს და მხოლოდ იმის საზიანო იქნებოდა, ვინც მის (ხელშეკრულების) დადებას შეეცდებოდა. დღესდღეობითაც ასეთი ოდიოზური სისტემა ძალზე შორსაა გონიერ და ღირსეულ მონარქთა, განსაკუთრებით, საფრანგეთის მეფეთა მმართველობის სისტემისაგან, რასაც მათ მიერ გამოცემულ ედიქტთა მრავალი მონაკვეთიც მოწმობს, განსაკუთრებით, 1667 წელს მეფე ლუი XIV-ის სახელითა და განკარგულებით გამოცემული ცნობილი დეკრეტის შემდეგი ამონარიდი: *„დაე, ნუ იტყვიან, რომ სუვერენი არ არის თავის სახელმწიფოს კანონთა მორჩილი, რადგან აღნიშნულის საპირისპირო არგუმენტია რეალობა ბუნებითი სამართლისა, ზოგჯერ მლიქვნელობითა და პირფერობით ჩრდილი რომ მიადგა, თუმცა კარგმა ხელმწიფეებმა იგი ყოველთვის თავიანთ სახელმწიფოთა მფარველი ღვთაების დარად დაიცვეს. ბრძენი პლატონივით რაოდენ უფრო მართებულია შემდეგის თქმა: სახელმწიფოსათვის სრულქმნილი ბედნიერებაა, როდესაც ქვეშევრდომები ხელმწიფეს, ხელმწიფე კი კანონს მორჩილებს, კანონი სამართლიანია და მუდამ საზოგადოების საკეთილდღეოდაა მიმართული“.* რაკი თავისუფლება ადამიანის უკეთილშობილესი უნართაგანია, აღარ განვაგრძობ კვლევას შემდეგის თაობაზე: ხომ არ მეტყველებს ადამიანის ბუნების დეგრადაციაზე, ინ-

სტინქტის მონა ცხოველთა დონემდე თავის დამდაბლებაზე, თვით საკუთარი შესაქმის შეურაცხყოფაზე, სრულიად უპირობო უარი საკუთარ უნართაგან ყველაზე უძვირფასესზე? მზაობა ღვთის მიერ აკრძალულ ყოველგვარ ბოროტმოქმედებათა ჩასადენად სასტიკი თუ უგუნური გამგებლის გულის მოსაგებად, და ეს უზადო მუშაკი – ღმერთი – მისი უმშვენიერესი ქმნილების შეურაცხყოფაზე მეტად უფრო მისი დაღუპვით ხომ არაა გაღიზიანებული? მხოლოდ ერთს ვიკითხავ: მათ, ვისაც არ აშინებთ ამ ზომამდე თავის დამდაბლება, რა უფლებით გაწირეს საკუთარი ჩამომავლობა ისეთივე შეურაცხმყოფელი ყოფისათვის, რის გამოც თავად თქვეს უარი ამ სიკეთეებზე, მათსავე გულუხვობასთან საერთო რომ არაფერი აქვთ და რომელთა გარეშეც სიცოცხლე ყველა იმათთვისაც კი მძიმეა, ვინც მათი ღირსია?

პუფენდორფის თქმით, სხვისთვის საკუთარი ქონების შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების გზით გადაცემის მსგავსად, ასევე შესაძლებელია უარის თქმა საკუთარ თავისუფლებაზე ვინმეს სასარგებლოდ. ჩემი აზრით, ეს ძალზე უსაფუძვლო მსჯელობაა; ჯერ ერთი, ჩემთვის მართლაც სულერთი ხდება გასხვისებული ქონება, რომლის ბოროტად გამოყენება მე არ მანაღვლებს; მაგრამ როცა საქმე ეხება თავისუფლებას, ჩემთვის არსებითია, რომ მისი ბოროტად გამოყენება არ მოხდეს, რადგან არ შემიძლია საკუთარ თავზე ბრალის აუღებლად ბოროტების ჩადენა, რომლის ქმნასაც მა-

იძულებენ, ანუ დანაშაულის იარაღად საკუთარი თავის ქცევა. გარდა ამისა, საკუთრების უფლება მხოლოდ ადამიანის მიერ დადგენილი შეთანხმებისა და ინსტიტუციის ნაყოფია; ყოველ ადამიანს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია იმის განკარგვა, რასაც იგი ფლობს. მაგრამ ბუნების უმთავრეს ძღვენთა – სიცოცხლისა და თავისუფლების – შემთხვევაში საქმე ასე როდია; ამ სიკეთეებით ტკბობის უფლება ყველას აქვს ბოძებული, მაგრამ ნაკლებ საეჭვოა, ვინმეს უფლება ჰქონდეს, უარი უთხრას საკუთარ თავს მათ ფლობაზე. ერთის აღკვეთა საკუთარი არსების დეგრადაციის ტოლფასია; მეორის აღკვეთით კი იმდენად ვსპობთ მას (საკუთარ თავს), რამდენადაც ეს მას ხელეწიფება; და რაკი არავითარ მიწიერ, მატერიალურ სიკეთეს არ ძალუძს ზღოს როგორც ერთი (სიცოცხლე), ისე მეორე (თავისუფლება), ამდენად, მათზე უარის თქმა, რის ფასადაც არ უნდა იყოს ეს, ერთსა და იმავე დროს ბუნებისა და გონების შეურაცხყოფა იქნებოდა. მაგრამ, საკუთარი ქონების მსგავსად, თავისუფლების გასხვისებაც შესაძლებელი რომ ყოფილიყო, შვილებთან მიმართებით, მაინც ძალზე დიდი სხვაობა იქნებოდა: მამის ქონებით სარგებლობა შვილებს მხოლოდ მისი განკარგვის უფლების მიღების შემდეგ შეუძლიათ; მაგრამ თავისუფლება – ბუნებისგან მიღებული ძღვენი – ადამიანის რაობას განაპირობებს, შვილებისთვის მისი აღკვეთის არანაირი უფლება მშობლებს არ ჰქონდათ. ასე რომ, როგორც ბუნებაზე ძალადობა იყო საჭი-

რო მონობის დასადგენად, ასევე აუცილებელი იყო ბუნების შეცვლა ხსენებული უფლების მუდმივობის უზრუნველსაყოფად. „მონა ქალის მიერ შობილი ბავშვი მონად იბადება" – ასეთი მედიდური განცხადებით, სამართლის თეორეტიკოსებმა, ფაქტობრივად, სხვა სიტყვებით დაადგინეს ის, რომ ადამიანი ადამიანად არ იბადება.

ამგვარად, უდავოდ მესახება ის, რომ მმართველობები არათუ არ აღმოცენებულა თვითნებობაზე დაფუძნებული ძალადობიდან – ასეთი რამ მხოლოდ მმართველობის დამახინჯება და განვითარების ის ბოლო საფეხურია, რასაც იგი დაყავს მხოლოდ ერთ, ყველაზე ძლიერის კანონზე, რომლის იმთავითვე აღმკვეთ საშუალებადაც უნდა შექმნილიყო – არამედ, შეუძლებელია, ბუნებით არაკანონიერი ძალაუფლება (თუნდაც ხსენებული საწყისის შემთხვევაშიც) გამხდარიყო საფუძველი სამოქალაქო უფლებების დასაბამისა ან, შესაბამისად, ადამიანთა მიერ დადგენილი უთანასწორობისა.

ახლა არ შევუდგები ნებისმიერი მმართველობისათვის ნიშანდობლივი ფუნდამენტური ხელშეკრულების ბუნების რაობის კვლევა-ძიებას; ამჯერად შემოვიფარგლები იმ ზოგადად მიღებული აზრით, რომლის თანახმადაც პოლიტიკური კორპუსის დაფუძნება განიხილება ხალხსა და თავად მის მიერ არჩეულ მმართველთა შორის დადებულ ნამდვილ ხელშეკრულებად, რომლის საფუძველზეც ორივე მხარე ხელშეკრულებით გათვალისინნებული კა-

ნონების – მათი ერთობის შემაკავშირებელი ჯაჭვის – დაცვას კისრულობს. საზოგადოებრივ ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად, ყველა თავისი ნება ხალხმა გააერთიანა ერთ საერთო ნებად, რომლის გამომხატველი დადგენილებები სახელმწიფოს ძირითადი კანონების ტოლფასია და უკლებლივ ყველა მოქალაქეს ავალდებულებს. ამ კანონთაგან ერთ-ერთი განსაზღვრავს არჩევითობის წესსა და ძალაუფლების არეალს იმ მაგისტრატებისა, რომელთაც დანარჩენ კანონთა აღსრულებაზე თვალყურის დევნება ევალებათ. მათი ძალაუფლება ვრცელდება ყოველივეზე, რაც კი ემსახურება სახელმწიფო წყობის შენარჩუნებას და მის შეცვლამდე არ მიდის. ამას დაემატა ისეთი პატივებიც, რომელნიც განაპირობებენ რესპექტაბელურობას კანონებისა და მათი აღმსრულებლებისა, რომელთა პირადი პრივილეგიები იმ მძიმე გარჯის საზღაურია, კარგი მმართველობა რომ მოითხოვს. თავის მხრივ, მაგისტრატი იღებდა ვალდებულებას, რომ მინიჭებულ ძალაუფლებას გამოიყენებდა ამომრჩეველთა სასიკეთოდ, რათა თითოეულს შეძლებოდა მშვიდად დამტკბარიყო იმით, რაც ეკუთვნოდა და ყველა შემთხვევაში უპირატესობა საზოგადოების, და არა პირადი სარგებლისათვის მიეცა.

ვიდრე გამოცდილება ცხადყოფდა, ანდა ადამიანის ბუნება ამგვარი სახელმწიფო წყობის გარდუვალ ბოროტად გამოყენებათა გათვალისწინებას შეძლებდა, იგი (ხსენებული წყობა) იმდენად საუკეთესოდ უნდა წარმოჩე-

ნილიყო, რომ ისინი, ვისაც მის შენარჩუნებაზე ზედამხედველობა ევალებოდა, ყველაზე მეტად იყვნენ ამით დაინტერესებულნი; რაკი მაგისტრატურა და მაგისტრატთა ყველა უფლება ეფუძნებოდა მხოლოდ ძირითად კანონებს, ამ უკანასკნელთა გაუქმებისთანავე უქმდებოდა მაგისტრატთა მმართველობის კანონიერებაც, ხალხს მათი მორჩილება აღარ ევალებოდა, რადგან სახელმწიფოს რაობის საფუძველს ქმნიდა კანონი, და არა მაგისტრატი;* ასე რომ, ბუნებრივ თავისუფლებას ყოველი ადამიანი სამართლიანად იბრუნებდა.

თუ ცოტაოდენი ყურადღებით ჩავუფიქრდებით, თქმული ახალი საფუძვლებითაც დადასტურდება, ხელშეკრულების ბუნებით კი მიხვდებით, რომ იგი ვერ დაირღვეოდა: მართლაც, თუ ხელშეკრულების დამდებთა ერთგულების თავდებად და ურთიერთვალდებულებათა შესასრულებლად მათი მაიძულებელი უმაღლესი ხელისუფლება საერთოდ არ იარსებებდა, თავიანთ მოვალეობათა ერთადერთ მსაჯულებად მხარეები დარჩებოდნენ; როგორც კი ერთ-ერთი მათგანი მეორის მიერ ხელშეკრულების პირობათა დარღვევის მოწმე შეიქნებოდა, ანდა ხელშეკრულების პირობები აღარ იქნებოდა მისთვის ხელსაყრელი, მასზე (ხელშეკრულებაზე) უარის სათქმელად თითოეული მათგანი* მუდამ უფლებამოსილი იქნე-

---

* იგულისხმება ის პირი, ვისაც კანონის აღსრულება ევალება: მინისტრი, მოსამართლე, პოლიციელი და ა. შ.

* იგულისხმება ორი მხარე: მოქალაქეები და განმგებლები.

ბოდა. ეტყობა, სწორედ ამ პრინციპს შეიძლება ეფუძნებოდეს უარის თქმის უფლება. თუ მთელი ძალაუფლების მქონე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სარგებელის დამსაკუთრებელ თანამდებობის პირს – რაკი მაგისტრატს განვიხილავთ მხოლოდ ადამიანის ინსტიტუციად (როგორც ამას ვიქმთ) – ჰქონდა ძალაუფლებაზე უარის თქმის უფლება, მით უფრო მეტი საფუძველი უნდა ჰქონოდა დამოკიდებულ მდგომარეობაზე უარის სათქმელად ხალხს, რომელსაც მმართველთა ყველა შეცდომისათვის საზღაურის გაღება უნევს. მაგრამ ასეთი სახიფათო ძალაუფლება უცილობლად გამოიწვევდა საშინელ უთანხმოებებსა და დაუსრულებელ არეულობებს, ეს კი სხვა ყველაფერზე უკეთ მოწმობს, თუ რაოდენ საჭიროებდა ადამიანთა მმართველობა მხოლოდ ერთ გონებაზე ბევრად უფრო მყარ საფუძველს და რამდენად აუცილებელი იყო საზოგადოებრივი სიმშვიდისათვის ღვთიური ნების შემწეობა უზენაესი ხელისუფალისათვის სიწმინდისა და ხელშეუხებლობის ისეთი ნიშან-თვისების მისანიჭებლად, რომლის საფუძველზეც ჩამოერთვა ქვეშევრდომებს მისი განკარგვის დამღუპველი უფლება. მხოლოდ ერთი ეს სიკეთე რომ მოეტანა რელიგიას ადამიანებისათვის, ესეც იკმარებდა, რათა მის მიმართ ყველანი სიყვარულით გამსჭვალულიყვნენ და მიეღოთ მისთვის ნიშანდობლივი შეუსაბამობებითვე, ვინაიდან რაც უფრო უხვად იმეტებს ფანატიზმი ადამიანის სისხლს დასაღვრელად, მით უფრო მეტად ზოგავს მას

რელიგია. მაგრამ, მოდით, კვლავ ჩვენს ჰიპოთეზას გავყვეთ.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, მმართველობათა სხვადასხვა ფორმა დასაბამს იღებს ადამიანთა შორის არსებული მეტ-ნაკლებად დიდი სხვაობებიდან. სხვებისაგან სიძლიერით, სიქველით, სიმდიდრითა თუ გავლენით გამორჩეული პირი მაგისტრად აირჩიეს და სახელმწიფო გახდა მონარქიული; მმართველებად სხვებზე აღმატებულ და თითქმის ერთმანეთის სწორ რამდენიმე პირთა ერთდროულად არჩევის შემთხვევაში, სახელმწიფოს მმართველობა არისტოკრატიული იყო; ბუნებით მდგომარეობას ნაკლებ დაშორებულნი, ქონებითა და ნიჭით კი თანაზომიერნი თუ ერთად ახორციელებდნენ უმაღლეს ძალაუფლებას, მმართველობა დემოკრატიული იყო. დრომ დაადასტურა, მმართველობის ამ ფორმათაგან რომელი უფრო ხელსაყრელი იყო ადამიანებისათვის. ერთნი მხოლოდ კანონებს ემორჩილებოდნენ, სხვებს კი მალე გამგებელთა მორჩილება მოუხდათ. მოქალაქეებს თავისუფლების შენარჩუნება ეწადათ, ქვეშევრდომები კი ვერ ურიგდებოდნენ სხვების ტკბობას იმ სიკეთით, რომლით ნეტარებაც თავად აღარ შეეძლოთ და მხოლოდ მეზობლებისთვის თავისუფლების წართმევაზე ფიქრობდნენ. ერთი სიტყვით, ერთ მხარეს სიმდიდრე და დაპყრობები იყო, მეორე მხარეს კი ბედნიერება და სათნოება.

თავდაპირველად, სხვადასხვა ტიპის მმართველობაში ყველა მაგისტრატი არჩევითი

იყო; თუ სიმდიდრე გადამწყვეტი არ აღმოჩ-
ნდებოდა, უპირატესობა ენიჭებოდა ღირსებას
– ბუნებრივი ავტორიტეტის წყაროს, და ასაკს
– სახელმწიფო საქმეში გამოცდილების, ხოლო
გადაწყვეტილების მიღებისას გონიერებისა და
სიმშვიდის თავდებს. უხუცესების ინსტიტუტი
ებრაელებში, გერონტებისა – სპარტაში, სენა-
ტი – რომში, ასევე ჩვენი სიტყვა *seigneur*-ის
ეტიმოლოგია, მოწმობს, თუ რაოდენ პატივით
ეკიდებოდნენ უწინ ხანდაზმულობას. მმარ-
თველთა შორის ასაკოვანთა სიჭარბე, თავის
მხრივ, არჩევნების ჩატარების სიხშირეს განა-
პირობებდა და ამდენად, მათთან (არჩევნებ-
თან) დაკავშირებული სირთულეებიც მეტად
იგრძნობოდა. თავი იჩინა ახალმა ინტრიგებმა,
შეიქმნა ფრაქციები, გამძაფრდა დაპირისპი-
რება პარტიათა შორის, იფეთქა სამოქალაქო
ომებმა და ამ ეგრეთწოდებულმა სახელმწი-
ფოს ბედნიერებამ მოქალაქეთა სიცოცხლე იმ-
სხვერპლა; ასე აღმოჩნდნენ გარდასულ ეპო-
ქათა ანარქიის ზღურბლზე. ამ ვითარებით
ისარგებლეს პატივმოყვარე განმგებლებმა და
თავიანთი თანამდებობა საკუთარ ოჯახებს
სამუდამოდ დაუსაკუთრეს; დამოკიდებულ
მდგომარეობას, სიმშვიდესა და ცხოვრებისეე-
ულ სიამეთ ჩვეულ ხალხს ბორკილების დამ-
სხვრევის ძალა აღარ შესწევდა, სიმშვიდის გა-
სამტკიცებლად კი მონობის გაზრდას დასთან-
ხმდა და განმგებლობა მემკვიდრეობითი შეიქ-
ნა: თავიანთ თანამდებობას მაგისტრატები
ოჯახის წყალობად, საკუთარ თავს კი სახელ-
მწიფოს მესაკუთრეებად მიიჩნევდნენ, თავდა-

პირველად რომლის მხოლოდ მსახურნიც იყვნენ; საქონლის დარად, დამონებული თანამოქალაქეებიც თავიანთ ქონებად მიაჩნდათ, საკუთარ თავს კი ღმერთის სნორსა და მეფეთ მეფეებს უწოდებდნენ.

სხვადასხვა აღნიშნულ გარდაქმნათა კვალდაკვალ უთანასწორობის პროგრესს თუ თვალს გავადევნებთ, დავინახავთ, რომ მისი (პროგრესის) პირველი საწყისი კანონისა და საკუთრების უფლების წარმოშობა, მეორე – მაგისტრატურის დაფუძნება, მესამე და ბოლო კი თვითნებობაზე დაფუძნებული ძალაუფლების კანონიერი ძალაუფლებით შეცვლა იყო. ასე რომ, პირველი ეპოქის დროს მდიდრისა და ღარიბის მდგომარეობა დადგინდა, მეორის დროს – ძლიერისა და სუსტისა, მესამის დროს კი ბატონისა და მონისა – უთანასწორობის ბოლო, მესამე საფეხური და ის ზღვარი, რომლისკენაც მივყავართ ყველა დანარჩენთ მანამდე, ვიდრე ახალი გარდაქმნები მთლიანად არ დაანგრევს არსებულ მმართველობას, ან არ მიუახლოვებს მას ლეგიტიმურ ინსტიტუციას (წყობას).

აღნიშნული პროგრესის აუცილებლობის გასაგებად, არა იმდენად პოლიტიკური კორპუსის ზრახვებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რამდენადაც იმ ფორმაზე, რომელსაც იძენს იგი თავისი საქმიანობის აღსრულების კვალობაზე და მის თანამდევ შეუსაბამობებზე: მანკიერებებმა, რომლებმაც განსაზღვრა საზოგადოებრივი ინსტიტუციების აუცილებლობა, მათივე ბოროტქმედებათა გარდუვა-

ლობაც განაპირობა; გამონაკლისი მხოლოდ ერთი სპარტაა, სადაც კანონი ძირითადად ბავშვთა აღზრდას მეთვალყურეობდა; ლიკურგეს მიერ დაფუძნებული ზნე-ჩვეულებები კანონთა დამატებას თითქმის აღარ საჭიროებდა; საერთოდ, ვნებებთან შედარებით ნაკლებად მკაცრი კანონები იმდენად იქვემდებარებს ადამიანებს, რომ ისინი არ იცვლებიან. იოლი დასადასტურებელი იქნებოდა ის, რომ არანაირი აუცილებლობა არ განაპირობებდა მმართველობის შექმნას, რომელიც არც გადაგვარდებოდა, არც სახეს შეიცვლიდა და ყოველთვის ზუსტად იხელმძღვანელებდა იმ პრინციპით, რომლის სამსახურის მიზნითაც იგი შეიქმნა; ქვეყანა, სადაც კანონს არ დაარღვევდნენ და მაგისტრატურას (ძალაუფლებას) არ გამოიყენებდნენ ბოროტად, ასეთ ქვეყანას არც მაგისტრატები დასჭირდებოდა და არც კანონები.

სახელმწიფო იერარქიაში სხვადასხვა ფუნქციათა შორის არსებული სხვაობები (მაგისტრატები, მინისტრები, საჯარო მოხელეები) აუცილებლობით იწვევს სამოქალაქო მდგომარეობათა სხვაობებს (საჯარო ფუნქციისაგან დამოუკიდებლად არსებულ იურიდიულ და სოციალურ პრივილეგიებს). ხალხსა და მმართველებს შორის მზარდი უთანასწორობა მალე კერძო პირებზეც აისახება; ვნებათა, ნიჭთა და შემთხვევით გარემოებათა წყალობით, უთანასწორობაც ათასგვარ ცვლილებას ექვემდებარება. თავისიანების შემოკრების გარეშე, მაგისტრატი ვერ შეძლებდა არა-

კანონიერი ძალაუფლების უზურპაციას; იგი იძულებულია დაუთმოს მათ საკუთარი ძალაუფლების რაღაც წილი. გარდა ამისა, მოქალაქეები მხოლოდ იმ შემთხვევაში ნებდებიან ჩაგვრას, როცა ბრმა ამბიციით არიან მოცულნი და უკეთ ამჩნევენ იმას, რაც რანგით მათ დაბლა და არა მაღლა ხდება; დამოუკიდებლობაზე უფრო ძვირფასი მათთვის ბატონობა ხდება; ბორკილებს თანხმდებიან, რათა თავადაც შეეძლოთ მათი სხვებისათვის დადება. ძალზე ძნელია აიძულო მორჩილება მას, ვინც საერთოდ არ ლამობს და არ ესწრაფვის ბატონობას; ყველაზე გაწაფული პოლიტიკოსიც ვერ შეძლებდა იმ ადამიანთა დამონებას, რომელთა სურვილიც მხოლოდ თავისუფლებაა. მაგრამ ამბიციურ და მხდალ ადამიანთა შორის, რომელნიც საკუთარი ბედნიერების რისკის ფასად მუდამ მზად არიან ბატონობისა თუ მორჩილებისათვის, იმისდა მიხედვით, თუ რა უფრო აძლევს მათ ხელს, უთანასწორობა სწრაფად იზრდება. სწორედ ასე უნდა დამდგარიყო ის დრო, როდესაც ხალხის თვალები უკვე იმდენად იყო მოჯადოებული, რომ საკმარისი იყო მის წინაძღოლებს (ბელადებს) ადამიანთაგან ყველაზე გულნამცეცასთვის ეთქვათ: „იყავი დიდი შენ და მთელი შენი მოდგმა“ – და მყისვე საკუთარი თავი მასაც ასეთად მიეჩნია და ეს სხვებსაც ელიარებინათ; დროის კვალობაზე, მისი ჩამომავლები, იერარქიის თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტად წინაურდებოდნენ; რაც უფრო შორეული და ბუნდოვანი იყო მიზეზი, მით უფრო დიდი იყო

მისი შედეგი; და რაც უფრო მეტ მუქთახორას ითვლიდა ოჯახი, მით უფრო სახელოვანი ხდებოდა.

აქ რომ წვრილმანებზე ყოფილიყო საუბარი, ადვილად ავხსნიდი, თუ როგორ შეიქნა ბატონობის ზეგავლენისა და ავტორიტეტის უთანასწორობა გარდუვალი კერძო პირთა შორის[19] მყისვე, როგორც კი ერთ საზოგადოებად გაერთიანებულთ ერთმანეთთან უწევდათ შედარება, ყოველდღიურ ურთიერთობაში კი ერთთ მეორეთა მიმართ მართებული სხვაობებისათვის ანგარიშის გაწევა მართებდათ. ასეთი სხვაობები მრავალი სახისაა, მაგრამ რაკიღა, ზოგადად, სიმდიდრე, დიდგვაროვნობა ანუ რანგი, შესაძლებლობა და პირადი ღირსება ის არსებითი სხვაობებია, რომელთა მიხედვითაც ედარებიან ერთმანეთს ადამიანები საზოგადოებაში, დავამტკიცებდი, რომ სწორედ ამ სხვადასხვა ძალთა შორის არსებული თანხმობა თუ უთანხმოებაა სახელმწიფოს კარგი ან ცუდი წყობის ყველაზე უტყუარი მაჩვენებელი. ვაჩვენებდი, რომ ხსენებული უთანასწორობის ამ ოთხ სახეთაგან, ყველა სხვა დანარჩენთა დასაბამი პირადი თვისებებია, ხოლო ის, რაზედაც, საბოლოოდ, ისინი დაიყვანებიან სიმდიდრეა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად უწყობს ხელს კეთილდღეობას და ყველაზე იოლი გადასაცემია, მისი მეშვეობით კი ყოველივე დანარჩენიც იოლად შეიძინება. ამ მოსაზრების საფუძველზე საკმაოდ ზუსტადაა შესაძლებელი მსჯელობა იმ მანძილის შესახებ, თუ რამდენად დაშორდა ყოველი

ხალხი თავის საწყის მდგომარეობას და რა დიდი გზა განვლო მან კორუფციის ბოლო წერტილამდე, დასასრულამდე. აღვნიშნავდი, თუ რაოდენ ანვითარებს და აპირისპირებს უნარებსა და ძალებს დიდების, პატივისცემისა და პრეფერენციებისადმი სწრაფვის ეს საყოველთაო, ჩვენი ყველას შთამაგონებელი სურვილი, რამდენად აღანთებს და ამრავალფეროვნებს ვნებებს, როგორ ხდის ადამიანებს ერთმანეთის კონკურენტებად, მეტოქეებად ან უმალ მტრებად, და ერთ გზაზე ამდენ პრეტენდენტთა შეჯახებით, რამდენი სახის გამოცდას, წარმატებას თუ წარუმატებლობას იწვევს მათ ცხოვრებაში. ვაჩვენებედი, რომ საკუთარი პიროვნებისადმი ყურადღების მიპყრობის ამ ძლიერ სურვილს, გამორჩეულობის ამ მძაფრ გზნებას, რომელიც თითქმის ყოველთვის ჩვენივე არსების მიღმა გვეზიდება, უნდა ვუმადლოდეთ ადამიანთათვის ნიშანდობლივ ყოველივე საუკეთესოსა და ამაზრზენსაც – ჩვენ სათნოებებსა და მანკიერებებს, ცოდნასა და შეცდომებს, დამპყრობლებსა და ფილოსოფოსებს, ე.ი. უამრავ ცუდს, მცირეოდენ კარგთან შედარებით. დაბოლოს, დავადასტურებდი, რომ დიდებისა და ბედნიერების ზენიტში ერთი მუჭა ძლიერი და მდიდარი ადამიანები, მასა კი წყვდიადსა და სიღატაკეში იმიტომ იმყოფება, რომ პირველთათვის მათი ტკბობის მიმნიჭებელი საგნები მხოლოდ იმდენად ფასობს, რამდენადაც მათ სხვები მოკლებულია და, უცვლელი პრივილეგირებული მდგომარეობის

მიუხედავად, თუ ხალხი უბედური არ იქნებოდა, თავს ბედნიერად ვეღარ იგრძნობდნენ.

მხოლოდ ერთი ეს ნვრილმანებიც გამოდგებოდა მასალად რაიმე ერთი მნიშვნელოვანი თხზულებისა, რომელშიც ყოველი ტიპის მმართველობის უპირატესობებსა და შეუსაბამობებს ბუნებითი მდგომარეობის უფლებებთან მიმართებით აწონ-დაწონიდნენ, პირბადეს ჩამოხსნიდნენ ყველა იმ სხვადასხვა სახეს, რომლითაც დღემდე იჩინა თავი უთანასწორობამ და რომელიც, შესაძლოა, საუკუნეთა მანძილზე წარმოჩნდეს ამ მმართველობათა ბუნებისა და დროის მიერ უცილობლად მოტანილ რევოლუციათა კვალობაზე. დავინახავდით, გარე მუქარათა წინააღმდეგ მიმართული სიფრთხილის ზომების ქმედების შედეგად შინაგანად დათრგუნულ უმრავლესობას; ჩაგვრის გამუდმებულ ზრდას, რომლის არც ზღვარი ეცოდინებოდა ოდესმე ჩაგრულებს და არც მათ ხელთ დარჩენილი ჩაგვრის შემაჩერებელი ლეგიტიმური საშუალებები; მოქალაქეთა უფლებებისა და ნაციონალურ თავისუფლებათა თანდათანობით გაუჩინარებას, სუსტთა ჩივილის მიჩნევას ამბოხის წამქეზებლურ ჩურჩულად; საერთო საქმის დამცველ ღირსეულ ადამიანთა შემცირების პოლიტიკას ფულით დაქირავებულთა რაოდენობამდე და აქედან გამომდინარე – გადასახადების აუცილებლობას; შეფიქრიანებულ მიწათმოქმედს, მშვიდობიანობის ჟამსაც თავისი ყანისა და გუთნის მიტოვება და ნელზე ხმლის შემორტყმა რომ უწევს; მომსწრე გავხდებოდით სა-

თუო ღირსების, დამღუპველი და უხიაკი წესების შემოღებისა; ადრე თუ გვიან სამშობლოს მტრად ქცეულ მის დამცველებსაც დავინახავდით, რომელთაც თანამოქალაქეთა წინააღმდეგ მუდამ მახვილი ექნებოდათ აღმართული და დადგებოდა ისეთი ჟამიც, როდესაც საკუთარი ქვეყნის მჩაგვრელს ასე მიმართავენ:

Pectore si fratris gladium juguloque parentis
Condere me jubeas, gravidaeque in viscera partu
Conjugis, invita peragam tamen omnia dextra.[1]

სოციალური მდგომარეობისა და ქონების უზომო უთანასწორობა, ვნებათა და ნიჭთა სხვაობა, ფუჭი ხელობები, დამღუპველი ხელოვნებები, უღირალი ცოდნა ერთნაირად შეიქნებოდა გონიერების, ბედნიერებისა და სათნოების საპირისპირო უამრავ ცრურწმენათა დასაბამი. მმართველები მხარს დაუჭერდნენ ყოველივე იმას, რასაც საზოგადოების ერთიანობის გათიშვა ძალუძს; მოჩვენებითი თანხმობის საფარით, რეალური განხეთქილების დათესვას; სხვადასხვა რანგთა უფლებებისა და ინტერესების დაპირისპირებით, ურთიერთუნდობლობისა და სიძულვილის შთაგონებას და ამით, შესაბამისად, მათი ყველას შემაკავებელი ძალაუფლების გაძლიერებას.

სწორედ ასეთი არეულობისა და რევოლუციების წიაღიდან თანდათანობით წამოყოფს რა თავს დესპოტიზმის შემზარავი საწყისი, სა-

---

[1] *„თუ მიბრძანებ მახვილით განგვმირო საყვარელი ძმა, ძვირფასი მამა, ან მეუღლე საშოში ჩვილით, გული შემეკუმშება, მაგრამ ხელი ბრძანებას აღასრულებს".* ლუკანუსი, *Pharsalia*, I, 376.

ხელმწიფოს ყველა ნაწილში შთანთქავს ყოველივეს, რასაც კარგსა და ჯანსაღს შენიშნავს; საბოლოოდ, რაკიღა მიაღწევდა კანონთა და ხალხის ფეხქვეშ გაქელვას, რესპუბლიკის ნანგრევებზე დაფუძნდებოდა. ამ უკანასკნელ ცვლილებამდე დროის პერიოდი არეულობებისა და უბედურებების ჟამი იქნებოდა, მაგრამ, საბოლოოდ, ურჩხული ყველაფერს შთანთქავდა; მმართველებისა და კანონების გარეშე დარჩენილ ხალხებს მხოლოდ ტირანებიღა ეყოლებოდა. ამ მომენტიდან მოყოლებული ზნე-ჩვეულებებსა და სათნოებებსა თუ სიქველეებზე ლაპარაკიც კი აღარ იქნებოდა, რადგან ყველგან, სადაც დესპოტიზმი მეფობს, *cui ex honesto nulla est spes*,[2] იგი სხვა ბატონს ვერ ჰგუობს; როგორც კი იგი ალაპარაკდება, სინდისისა და მოვალეობის ხმა უნდა დადუმდეს, ერთადერთი სათნოება კი, რომელიც მონებს დარჩენიათ, ყველაზე უპირობო მორჩილებაა.

სწორედ ესაა უთანასწორობის ბოლო ზღვარი და უკიდურესი წერტილი, რომელიც კრავს წრეს და ეხება იმ პუნქტს, საიდანაც წამოვედით; ასეთ ვითარებაში, რაკიღა არაფერს აღარ წარმოადგენენ, ყველა კვლავ თანასწორი ხდება: ქვეშევრდომებს აღარ გააჩნიათ სხვა კანონი, გარდა თავიანთი ბატონის ნებისა, ბატონს კი სხვა წესი, გარდა საკუთარი ვნებებისა და ამიერიდან სიკეთის ცნებაცა და სამართლიანობის პრინციპებიც უჩინარდება. ყველაფერი ყველაზე ძლიერის ერთადერთ კა-

---

[2] *„მოვალეობის ხმა უნდა დადუმდეს“*. ტაციტუსი, *ისტორია*, I, 21.

ნონზე დაიყვანება და, შესაბამისად, ახალ, იმისაგან განსხვავებულ ბუნებით მდგომარეობაზე, რომელზე მსჯელობითაც დავიწყეთ, ოღონდ იმ სხვაობით, რომ პირველი (ბუნებითი მდგომარეობა) წმინდა ბუნებრივი უზადობით იყო ნიშანდებული, ბოლო კი – უზომო კორუფციის ნაყოფია. და მაინც, ხსენებულ ორ მდგომარეობას შორის სხვაობა ისე მცირეა, მმართველობის ხელშეკრულება კი იმდენად დარღვეული დესპოტიზმით, რომ დესპოტი მხოლოდ მანამდეა მბრძანებელი, ვიდრე ყველაზე ძლიერია; როგორც კი მისთვის ძალაუფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა ეძლევათ, ძალადობის წინააღმდეგ დესპოტი პროტესტს ვერ აცხადებს. ამბოხება, რომელიც სულთნის სიკვდილით ან მისი ტახტიდან ჩამოგდებით მთავრდება, ისეთივე სამართლიანი ქმედებაა, როგორც ის აქტები, რომელთა თანახმადაც, ცოტა ხნით ადრე იგი თავად განაგებდა ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და მთელ მათ ავლა-დიდებას. მხოლოდ და მხოლოდ ძალაზე დამყარებულ მის ძალაუფლებას მარტო ერთი ძალავე ამხობს; ყველაფერი ასე, ბუნებრივი რიგის თანახმად ხდება; ამ ხანმოკლე და ხშირი რევოლუციების შედეგების მიუხედავად, მხოლოდ საკუთარ არაკეთილგონიერებასა თუ უბედურებაზე წუწუნებენ, და არა სხვის უსამართლობაზე.

ყოველ გულისხმიერ მკითხველს მხოლოდ გააოგნებდა ის ვეება სივრცე, რომელიც აშორებს ბუნებით მდგომარეობას საზოგადოებრივს და სანამდეც უნდა მიეყვანა ადამიანი

ჩვენ მიერ წარმოჩენილ იმ დავიწყებულ და დაკარგულ გზებსა და ახლახან მითითებული შუალედური პოზიციებით აღდგენილ გზებსაც – დროის უქონლობამ დუმილით გვერდის ავლა რომ მაიძულა, ანდა ჩემმა წარმოსახვამ რომ ვერ შემომთავაზა. სწორედ მოვლენათა ამ მდოვრე თანამიმდევრობაში იპოვიდა პასუხს უამრავ ზნეობრივ და პოლიტიკურ პრობლემაზე, რომელთა გადაჭრაც ფილოსოფოსებს არ ძალუძთ. იგი მიხვდება, რომ ერთი ეპოქის ადამიანთა მოდგმა სხვაობს მეორე ეპოქის ადამიანთა მოდგმისაგან. მიზეზი, თუ რატომ ვერ პოულობდა დიოგენე ადამიანს, გახლავთ ის, რომ გარდასულ დროთა ადამიანს იგი თანამედროვეთა შორის ეძებდა.* კატონი, იტყოდა იგი, რომსა და თავისუფლებასთან ერთად იმიტომ დაიღუპა, რომ მისივე საუკუნეში მისი ადგილი აღარ იყო; ადამიანთაგან უდიდესი მხოლოდ განაცვიფრებდა იმ სამყაროს, რომელსაც იგი ხუთი საუკუნით ადრე განაგებდა. ერთი სიტყვით, იგი გაიგებდა, თუ როგორ ცვლის, ასე ვთქვათ, ადამიანის ბუნებას შეუმჩნევლად დაკნინებული სული და ვნებები; დროის კვალობაზე რატომ იცვლება ჩვენ მოთხოვნილებათა და სიამოვნებათა საგნები; თანდათანობით რატომ უჩინარდება პირველყოფილი ადამიანი, საზოგადოება კი ბრძენის თვალს სთავაზობს მხოლოდ თვალთმაქც ადამიანთა და ყალბ ვნებათა ნაკრებს, რომელიც

---

* გადმოცემის თანახმად, დღისით-მზისით, ათენის ქუჩებში ფარნით ხელში მოსეირნე დიოგენე დაინტერესებულთ ასე პასუხობდა: *„ადამიანს დავეძებ“*.

ყველა ამ ახალ ურთიერთობათა ქმნილებაა და რომელთაც არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნიათ ბუნებაში. ამის თაობაზე რეფლექსიის შედეგად გამოტანილი დასკვნები ჩინებულად დასტურდება კვლევა-ძიებით: სულიერი წყობითა და მიდრეკილებებით, ველური და ცივილიზებული ადამიანი იმდენად სხვაობს ერთმანეთისაგან, რომ ის, რაც ერთისათვის უზენაესი ბედნიერებაა, მეორეს სასონარკვეთილებაში ჩააგდებდა. პირველი (ველური) მხოლოდ სიმშვიდესა და თავისუფლებაზე ფიქრობს, სიცოცხლისა და უქმად ყოფნის მეტი არაფერი სურს; ნებისმიერი სხვა რამის მიმართ მის უზომო გულგრილობას სტოიკოსის ატარაქსია ვერც კი შეედრება, და პირუკუ: მუდამ ქმედითი მოქალაქე სულ ჯაფაშია, არ ისვენებს, თავს არ ზოგავს კიდევ უფრო შრომატევადი საქმიანობის მოსაძებნად, სიცოცხლის ბოლომდე თავდაუზოგავად შრომობს, არსებობის უზრუნველსაყოფად სიკვდილსაც არად დაგიდევს, უკვდავების მოსაპოვებლად სიცოცხლეზეც კი უარს ამბობს; ეპირფერება მისთვის საძულველ და აუტანელ დიდებულებსა და მდიდრებს, რომელთა სამსახურის პატივის მოსაპოვებლად არაფერზე უკან არ იხევს; მათი მფარველობითა და საკუთარი სიმდაბლით მედიდურად ამაყობს; მონური ყოფით გადიდგულებული, აგდებით ლაპარაკობს ამგვარ პატივს მოკლებულთა შესახებ. კარიბის კუნძულთა მკვიდრისათვის რა სანახაობაა ევროპელი მინისტრის მძიმე და შურის აღმძვრელი საქმიანობა! ეს უდარდელი ველუ-

რი რაოდენ ამჯობინებდა სიკვდილის უსაზარ-
ლეს ფორმას ამგვარი ყოფის საშინელებას,
ხშირ შემთხვევაში კარგად აღსრულებული
მოვალეობით მიღებული სიამოვნებაც შვების
მომგვრელი რომ არაა? მაგრამ ყველა ამ საზ-
რუნავთა მიზნის მისახვედრად სიტყვებს – *ძა-
ლაუფლება და რეპუტაცია* – რაღაც აზრი უნ-
და ჰქონოდა მისთვის, რათა გაეგო არსებობა
ერთგვარი ყაიდის ადამიანებისა, ვისთვისაც
უფრო მნიშვნელოვანია ყველა დანარჩენთა
შეხედულება მათზე; საკუთარ ბედნიერებასა
და კმაყოფილებას უმალ სხვათა განცხადების
და არა საკუთარი გრძნობების დასტურის სა-
ფუძველზე იტყობენ. ფაქტობრივად, მარ-
თლაც ასეთია ყველა ამ სხვაობათა ნამდვილი
მიზეზი. ველური საკუთარი თავის წიაღში
ცოცხლობს; საზოგადოებაში მყოფი ადამიანი
მუდამ საკუთარი თავის მიღმაა; მხოლოდ
სხვათა შეხედულებით მცხოვრები, ასე
ვთქვათ, მხოლოდ მათი აზრიდან იღებს საკუ-
თარი ექსისტენციის შეგრძნებას. ჩემი მიზანი
არ გახლავთ იმის ჩვენება, თუ მორალზე ესო-
დენ მშვენიერი მსჯელობებით როგორ ეძლევა
ამგვარი დიპოზიციიდან დასაბამი ამდენ გულ-
გრილობას სიკეთისა და ბოროტებისადმი; გა-
რეგნულ მხარეებზე ყველაფრის დაყვანით,
ყოველივე რარიგ ხელოვნური და გათამაშებუ-
ლია: ღირსება, მეგობრობა, სათნოება და ხში-
რად მანკიერებებიც, ბოლოს და ბოლოს, რო-
მელთა განსაკუთრებულ ღირსებებად წარმო-
ჩენის საიდუმლოსაც ადამიანებმა მიაგნეს;
ერთი სიტყვით, რატომ მივმართავთ კითხვით

მუდამ სხვებს საკუთარი არსების რაობაზე, იმავე კითხვით საკუთარი თავისათვის მიმართვა კი ვერ გაგვიბედავს?! ამდენი ფილოსოფიის, ჰუმანიზმის, თავაზიანობისა და ჩინებული მაქსიმების მიუხედავად, მხოლოდ მაცდური და არაფრისმთქმელი (ფრივოლური) გარეგნობა გვაქვს, ჩვენი ღირსება სათნოებასთან წილნაყარი არაა, გონება – სიბრძნესთან, სიამოვნებას კი ბედნიერების განცდა არ ახლავს. ჩემთვის იმის დამტკიცებაც კმარა, რომ ადამიანის დასაბამიერი მდგომარეობა სრულიადაც არაა ასეთი; ყველა ჩვენ ბუნებრივ მიდრეკილებათა სახეცვლილებასა და შერყვნას მხოლოდ ერთი საზოგადოების სულისკვეთება და მისგან წარმოშობილი უთანასწორობა ინვევს.

შევეცადე, უთანასწორობის დასაბამი და განვითარება, პოლიტიკურ საზოგადოებათა დაფუძნება და უსამართლობა წარმომეჩინა იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ყოველივე ამის დედუცირება მხოლოდ გონების ინტელექტუალური უნარით ადამიანის ბუნებიდან და წმინდა დოგმებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც უზენაეს ავტორიტეტს ღვთიური უფლების თანხმობას (სანქციას) ანიჭებენ. ამ მონათხრობიდან ნათელია, რომ ბუნებით მდგომარეობაში თითქმის ნულის ტოლფასი უთანასწორობა ზრდასა და ძალმოსილებას ჩვენ უნართა განვითარებისა და ადამიანის გონების პროგრესის კვალობაზე აღწევს, საკუთრების წარმოშობისა და კანონთა დადგენის წყალობით კი, სტაბილურობასა და

ლეგიტიმურობასაც იძენს. ამავე მსჯელობიდან ისიც ცხადია, რომ მხოლოდ ერთი პოზიტიური სიმართლით დაშვებული მორალური უთანასწორობა ბუნებითი სამართლის საპირისპიროა ყოველთვის, როდესაც ფიზიკურ უთანასწორობასთან იგივე პროპორციული დამოკიდებულება არაა: განსხვავება, რომელიც საკმარისად ნათლად განსაზღვრავს, რა უნდა ვიფიქროთ ამ მიმართებით უთანასწორობის იმ ფორმაზე, რომელიც ბატონობს ყველა ცივილიზებულ ხალხთა შორის. როგორადაც არ უნდა განსაზღვრონ უთანასწორობა, აშკარად ბუნებითი სამართლის საპირისპიროა ის, რომ მოხუცს ბავშვი მბრძანებლობდეს, ბრძენ კაცს უგუნური ხელმძღვანელობდეს, ერთ მუჭა ადამიანებს სიუხვე ჰქონდეს მოყირჭებული, დამშეული ხალხის მასას კი აუცილებელიც არ გააჩნდეს.

შენიშვნები

1. ჰეროდოტეს* თანახმად, ცრუ სმერდისის მკვლელობის შემდეგ, სპარსეთის შვიდი განამთავისუფლებელი სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე სათათბიროდ შეიკრიბა. ოთანესმა დაბეჯითებით დაუჭირა მხარი რესპუბლიკურ მმართველობას. სატრაპის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილება მით უფრო უცნაურია, რადგან, გარდა იმისა, რომ, შესაძლოა, მეფობის პრეტენზია თავადაც ჰქონოდა, ძლიერთ ამა ქვეყნისა სიკვდილზე მეტად აშინებს მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც მათ ადამიანთა პატივისცემით მოპყრობას აიძულებს; ცხადია., უნდა ვირწმუნოთ, რომ მის სიტყვებს ყურადაც არ იღებდნენ. როდესაც ოთანესი მიხვდა, რომ მონარქის არჩევას აპირებდნენ, მან, რომელსაც არც მორჩილება სურდა და არც გამგებლობა, საკუთარი ნებით დაუთმო სამეფო ტახტზე უფლება სხვა პრეტენდენტებს, სანაცვლოდ კი პირადი და თავისი შთამომავლების თავისუფლება და დამოუკიდებლობა ითხოვა, რაც კიდეც ებოძა. ჰეროდოტეს რომც არაფერი ეცნობებინა ასეთი პრივილეგიის თანამდევი შეზღუდვების თაო-

---

* ჰეროდოტე, *ისტორია*, III, 67-84.

ბაზე, ეს აუცილებლად უნდა გვევარაუდა, სხვაგვარად, ოთანესი არც არავითარ კანონს აღიარებდა, არც არავის წინაშე ანგარიშვალდებული იქნებოდა და, ყოვლისშემძლე პირი, სახელმწიფოში თავად მეფეზე ძლიერი აღმოჩნდებოდა. თუმცა, მსგავს ვითარებაში, ასეთი პრივილეგიით კმაყოფილი ადამიანის მხრიდან მისი ბოროტად გამოყენების სურვილზე არაფერი მიანიშნებდა. მართლაც, არ ჩანს, რომ ბრძენი ოთანესის ან მისი შთამომავლების ხსენებული უფლება თუნდაც ოდესმე მცირე მღელვარების მიზეზი გამხდარიყო სახელმწიფოში.

2. თავიდანვე ნდობით ვეკიდები ფილოსოფოსთათვის პატივსაცემი ერთ-ერთი ავტორიტეტის* უაღრესად მყარ და უდავო საფუძვლიდან მომდინარე ცნობებს, რომელთა მიგნება და გაგება მხოლოდ ფილოსოფოსებს ძალუძთ.

„რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საკუთარი თავის შეცნობა ჩვენთვის, ვფიქრობ, ნებისმიერი რამ, რაც გნებავთ, საკუთარ თავზე უკეთ ვიცით. იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებამ ჩვენივე არსების შენარჩუნების უზრუნველმყოფი ორგანოებით დაგვაჯილდოვა, მათ ვიყენებთ მხოლოდ უცხო შთაბეჭდილებათა აღსაქმელად, მხოლოდ ჩვენს მიღმა ექსისტენციასა და საკუთარი თავის გარეთ გასვლას ვესწრაფვით: საკუთარ გრძნობათა ფუნქციების მატებითა და ჩვენი არსების გარე

---

* რუსო გულისხმობს ფრანგ ბუნებისმეტყველ ჟორჟ ლეკლერკ ბიუფონს.

გამოვლინებათა არეალის განვრცობით ძალზე დაკავებულნი, იშვიათად მივმართავთ იმ შინაგან გრძნობას, რომელსაც ჩვენივე „მეს“ ნამდვილ ზღვრებამდე დავყავართ და გვმიჯნავს ყოველივე იმისაგან, რაც ამ „მე“-ს არ ეკუთვნის. არადა, თუ საკუთარი თავის შეცნობა გვწადია, უნდა ვხელმძღვანელობდეთ სწორედ ამ ერთადერთი გრძნობით, რომელიც საკუთარი თავის განსჯას შეგვაძლებინებს. მაგრამ როგორ მივანიჭოთ მას (ხსენებულ გრძნობას) მისივე ქმედითობა მთელი თავისი ძალმოსილების გამოსავლენად? როგორ გავანთავისუფლოთ ჩვენი სული – რომელშიც ის ბუდობს – ჩვენივე გონებით ნასაზრდოები ყველა ილუზიისაგან? სულისათვის მიმართვა ჩვევად აღარ გვაქვს, ჩვენ სხეულებრივ გრძნობათა რია-რიას წყალობით კი სათანადოდაც ვეღარ განვითარდა და ვნებათა გზნებით გამოიფიტა; ერთ მუშტად შეკრული გული, გონება, გრძნობა ყველა მის წინააღმდეგ მოქმედებდა“ (ბიუფონი, „ბუნებისმეტყველება“, IV, გვ. 151, „ადამიანის ბუნების შესახებ“).

3. ადამიანის აღნაგობაში ორი კიდურით სიარულის ხანგრძლივი ჩვევით გამოწვეულმა ცვლილებებმა, მის ხელებსა და ოთხფეხა ცხოველთა წინა კიდურებს შორის მსგავსებამ ჯერ კიდევ რომ შეინიშნება, ასევე, ოთხფეხათა სიარულის მანერის საფუძველზე გამოტანილმა ინდუქციამ, ეჭვებიც კი აღძრა იმის თაობაზე, თუ რომელი უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ადამიანისათვის. თავდაპირველად, ყველა პატარა ოთხი კიდურით იწყებს სიარულს; ორ

ფეხზე გამართულად დგომას რომ მიეჩვიონ, მათ ჩვენი მაგალითი და დახმარება ესაჭიროება. დიდი ხნის განმავლობაში ზოგი ველური ხალხი – მაგალითად, ჰოტენტონები – პატარებს ოთხით სიარულს არ უშლის, მოგვიანებით მათთვის ორი კიდურით სიარულის სწავლება კი დიდი ძალისხმევის ფასად უჯდება. იგივე ითქმის ანტილიის კუნძულების მკვიდრ კარაიბებზეც. ოთხით მოსიარულე ადამიანთა რამდენიმე სხვა მაგალითიც არსებობს; სხვათა შორის, შემიძლია დაგისახელოთ 1344 წელს ჰესენის (მხარე გერმანიაში) მახლობლად ნაპოვნი ბავშვი, რომელიც მგლებმა გაზარდეს. მოგვიანებით, როდესაც ეს ბავშვი გრაფ ჰენრიხის კარზე მოხვდა და მეტყველება ისწავლა, აცხადებდა: მისი ნება რომ ყოფილიყო, ადამიანთა შორის ცხოვრებას მგლებთან დაბრუნებას ამჯობინებდა. მგლის მსგავსად სიარული იმდენად გამჯდარი ჰქონდა ძვალსა და რბილში, რომ ორ კიდურზე გამართულად დასადგომად და წონასწორობის შესანარჩუნებლად, მკერდსა და ზურგზე ხის პატარა დაფებს ამაგრებდნენ. იგივე ითქმის 1694 წელს ლიტვის ტყეში ნაპოვნ ბავშვზეც, რომელიც დათვებმა გაზარდეს. კონდილიაკის* თანახმად, ბავშვი გონიერების ნიშან-წყალსაც კი არ ავლენდა; ოთხი კიდურით დადიოდა, არ მეტყველებდა, მის მიერ გამოცემული ხმები კი არანაირად არ ჰგავდა ადამიანისას. დიდი ხნის

---

* კონდილიაკი, *„ესსე ადამიანთა ცოდნის დასაბამის შესახებ“*, I, 4, პარაგრაფი 23.

წინათ, ინგლისის სამეფო კარზე პატარა ჰანოველელი ველური მიიყვანეს. ორი კიდურით სიარულს ისიც დიდი გაჭირვებით ახერხებდა. 1719 წელს პირენეებში წააწყდნენ ორ ველურს, რომლებიც ოთხფეხა ცხოველებივით მარდად დარბოდნენ მთებზე. თუ შედავების საბაბად განაცხადებდნენ, რომ ოთხი კიდურით სიარულისას ხელების გამოყენებით მონიჭებულ მრავალ უპირატესობაზე უარი უნდა გვეთქვა (მაიმუნის მაგალითი რომც არ დავასახელოთ, რომელიც ნათლად მოწმობს, რომ ხელები ძალზე კარგად შეიძლება გამოვიყენოთ ორგვარი დანიშნულებით), ეს მხოლოდ იმას დაადასტურებდა, რომ ადამიანს ბევრად უფრო მარჯვედ შეუძლია კიდურების გამოყენება, ვიდრე ეს ბუნაბამ დაუწესა და არა იმას, რომ ბუნებას ეწადა მისი სხვაგვარად, და არა ისე სიარული, როგორც იგი მას უწესებს.

ვფიქრობ, ბევრად უფრო წონადი საფუძვლებიც არსებობს ადამიანის, ორი კიდურით მოსიარულე არსების სასარგებლოდ. ჯერ ერთი, თუ დაადასტურებდნენ, რომ თავდაპირველად ადამიანის სხეული სხვაგვარი იყო და მხოლოდ მოგვიანებით გახდა ისეთი, როგორიც ამჟამადაა, ეს მაინც არ იკმარებდა იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ეს მართლაც ასე მოხდა; ასეთ ცვლილებათა შესაძლებლობის დასაბუთების შემდეგ, სულ მცირე, მათი მართლისდარობაც უნდა დაედასტურებინათ. მეტიც, საჭიროების შემთხვევაში თუ ადამიანს ხელების ფეხებად გამოყენებაც შეეძლო, მაშინ ესაა ამ სისტემის სასიკეთოდ გამოთქმუ-

ლი ერთადერთი ხელსაყრელი მოსაზრება, საპირისპირო მრავალი სხვა რეფლექსიისა, რომელთაგანაც ძირითადია: ადამიანის თავი სხეულთან ისეა შეკავშირებული, რომ ოთხი კიდურით სიარულის შემთხვევაში მისი მზერა (ყველა ცხოველისა და მისი, როგორც ორ კიდურზე მდგომი არსებისა) ჰორიზონტალური მიმართულებისა არ იქნებოდა და უშუალოდ მიწისაკენ იქნებოდა მიპყრობილი. ინდივიდის არსებობის შესანარჩუნებლად, ეს ძალზე მოუხერხებელი და არახელსაყრელი იქნებოდა. ორი კიდურით მოსიარულე ადამიანს კუდი არა აქვს და არც ესაჭიროება, მაგრამ დიდად ეხმარება ოთხფეხებს – არც ერთი მათგანი უკუდო არ არის; ქალს – ორფეხა არსებას – მკერდის ძალზე მოხერხებული მდებარეობის წყალობით ბავშვის ხელში დაჭერა შეუძლია. ქალისაგან განსხვავებით, არცერთ ოთხფეხა ცხოველს მკერდის მსგავსი წყობა არ გააჩნია, ეს მათთვის ძალზე მოუხერხებელი იქნებოდა; ოთხით სიარულის შემთხვევაში, წინა და უკანა კიდურების სიგრძეთა შორის დიდი სხვაობის გამო, მუხლებზე ხოხვა მოგვიწევდა და ადამიანი უხერხულად მოსიარულე, არაპროპორციული აღნაგობის მქონე არსება იქნებოდა; თუ ტერფს ხელის გულივით გაშლილად დაადგამდა, სხვა ცხოველთა უკანა კიდურებისაგან განსხვავებით, ადამიანის ქვედა კიდურებს ერთით ნაკლები სახსარი – კერძოდ, წვივის ძვალის მუხლის ქვედა ნაწილთან შემაერთებელი – ექნებოდა და, ცხადია, მიწაზე მხოლოდ ტერფის წინა ნაწილის, წვერის დაყ-

რდნობა მოუწევდა; წინა ტერფი (მის შემადგენელ ძვალთა სიმრავლეზე რომ არაფერი ვთქვათ), ძალზე მსხვილი იქნებოდა, ხოლო მისი შემაკავშირებელი სახსრებისა და წვივის ძვლის მცირედი დაშორების გამო, ადამიანის ფეხს ოთხფეხათა კიდურების მოქნილობა არ ექნებოდა. მცირეწლოვან ბავშვთა მაგალითი, რომელთაც ბუნებრივი ძალები ჯერ კიდევ განუვითარებელი, კიდურები კი საკმაოდ სუსტი აქვთ, არაფერს მოწმობს; ასეთივე საფუძვლით შემეძლო იმის თქმაც, რომ ძაღლს საერთოდ არ უნდა გაევლო, რადგან დაბადებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში მას მხოლოდ ხოხვა შეუძლია. კერძო ფაქტები ძალზე ცოტას ნიშნავს უნივერსალურ ჩვევასთან შედარებით, რომელსაც ვაწყდებით ყველა ადამიანსა და თუნდაც იმ ხალხთა შორის, რომელთაც არავითარი ურთიერთობა არა აქვთ სხვა ხალხებთან და არანაირად არ შეეძლოთ მათი მიბაძვა. ვიდრე ტყეში მიტოვებული ბავშვი სიარულს ისწავლიდეს, იგი ძიძა-გამზრდელ ცხოველს ბაძავს და მასავით სიარულს ცდილობს; ჩვევას შეეძლო მისთვის გაეიოლებინა ის, რაც ბუნებით არ გააჩნდა; უხელო ადამიანთა მსგავსად, – ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ფეხებითაც რომ შეუძლიათ ყოველივე იმის გაკეთება, რასაც ჩვენ ხელებით ვაკეთებთ – საბოლოოდ, ფეხების ხელებივით გამოყენებასაც შეძლებდა.

4. თუ ჩემ მკითხველთა შორის ვინმე ბუნებისმეტყველების იმდენად მწირად მცოდნე აღმოჩნდება, რომ ჩემი ჰიპოთეზის გამო (მი-

წის ბუნებრივი ნაყოფიერების შესახებ) თავისი ეჭვებით სირთულეებს შემიქმნის, მას შემდეგი ამონარიდით ვუპასუხებ:

„ბევრად უფრო მეტ საზრდოს მცენარეები ჰაერსა და წყლიდან (და არა ნიადაგიდან) იღებენ, ლპობის პროცესში კი მიწას მისგან მიღებულ ზე ბევრად უფრო მეტს უბრუნებენ; გარდა ამისა, ტყე აფერხებს აორთქლებას და იწვევს წვიმას. ასე რომ, ხანგრძლივი დროის მანძილ ზე ხელუხლებელ ტყეში, ნიადაგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ვეგეტაციის ზრდას; სამაგიეროდ, ცხოველი მიღებულ ზე გაცილებით ნაკლებს უბრუნებს მიწას; ადამიანები დიდი ოდენობით აჩანაგებენ ტყესა და მცენარეებს, რომელთაც საწვავად და სხვადასხვა საჭიროებათა გამო იყენებენ. აქედან გამომდინარე, დასახლებულ ადგილებში ნიადაგის ვეგეტაციური საფარი სულ უფრო და უფრო მცირდება მანამდე, ვიდრე არაბეთის ქვიანი მიწისა და აღმოსავლეთის სხვა, ყველაზე ადრე დასახლებული ქვეყნების ნიადაგის მსგავსად, მხოლოდ ქვიშად და მარილად არ გადაიქცევა; რადგან ცხოველებსა და მცენარეებში არსებული მარილი რჩება, მათი სხვა ყველა შემადგენელი ნაწილი კი ჰაერში ინთქმება“ (ბიუფონი, „ბუნებისმეტყველება“, 7, გვ. 354-355).

აღნიშნულის ფაქტობრივ სამხილად შეიძლება მიგვეთითებინა ბოლო საუკუნეებში აღმოჩენილი თითქმის გაუკაცრიელებული კუნძულები, რომლებიც ყველა სახის ხისა და მცენარის სიუხვით გამოირჩეოდა. ისტორიის თანახმად, დედამიწაზე ცივილიზაციისა თუ მო-

სახლეობის ზრდამ უკიდეგანო უსიერ ტყეთა გაჩეხვა განაპირობა. თქმულს შემდეგ სამ შენიშვნასაც დავუმატებდი: ჯერ ერთი, თუ არსებობს ისეთი სახის მცენარეები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ცხოველთა წყალობით დაკარგული და მცენარეთა ზრდისათვის აუცილებელი ნივთიერებების აღდგენა, ბიუფონის მსჯელობის თანახმად, პირველ რიგში, ესაა ტყის ხეები, რომლებიც, სიმაღლისა და ფოთოლთა სიხშირის წყალობით, სხვა მცენარეებზე მეტად უნყობს ხელს წყლის უფრო დიდი ოდენობით შეგროვებასა და აორთქლებას; მეორე, ნიადაგის გადაგვარება ანუ ვეგეტაციისათვის აუცილებელ ნივთიერებათა გაუჩინარება უნდა დაეჩქარებინა მიწის სულ უფრო მეტი და მეტი ფართობის დამუშავებას, მრეწველობის განვითარების კვალობაზე მის მკვიდრთა მიერ მზარდი ოდენობით მიწის ყველა სახის პროდუქტის მოხმარებას. ჩემი მესამე და კიდევ უფრო არსებითი შენიშვნა გახლავთ ის, რომ სხვა მცენარეებთან შედარებით, ხეთა ნაყოფი უფრო უხვად უზრუნველყოფს სულიერს საკვებით; ასეთ დასკვნამდე ჩემ მიერ ჩატარებული ცდის საფუძველზე მივედი; კერძოდ, შევადარე ფართობითა და ხარისხით თანაბარი მიწის ორი ნაკვეთი, რომელთაგანაც ერთი წაბლის ხეებით იყო დაფარული, მეორეზე კი ხორბალი ეთესა.

5. ოთხფეხა ცხოველთაგან, ხორცის მჭამელები, ზოგადად, ორი ყველაზე არსებითი ნიშნით – კბილების ფორმითა და ნაწლავების წყობით განსხვავდებიან; მხოლოდ მცენარეე-

ბით რომლებიც იკვებებიან (ცხენი, ხარი, ცხვარი, კურდღელი და ა.შ.), მათ ბრტყელი ფორმის კბილები აქვთ, ხორცის მჭამელებს კი (კატა, ძაღლი, მგელი, მელა და ა.შ.) – წვეტიანი. რაც შეეხება ნაწლავებს, იმ ცხოველებს, რომლებიც მცენარეებით იკვებებიან, მათ კოლინჯი (მსხვილი ნაწლავის შუა ნაწილი) აქვთ, ხორცის მჭამელებს კი არა. ჩანს, ადამიანიც, რომელსაც, მცენარეულის მჭამელ ცხოველების მსგავსად, კბილების იგივე ფორმა და ნაწლავების ისეთივე აგებულება აქვს, ბუნებრივად მათ ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს. აღნიშნული მოსაზრება დასტურდება არა მხოლოდ ანატომიური სახის დაკვირვებებით, არამედ ანტიკური პერიოდის ძეგლებითაც. წმინდა იერონიმეს თანახმად, ნაშრომში „ბერძნული სიძველენი" დიკეარქე წერს: *„სატურნის მეფობის დროს მინა იმდენად უხვი იყო მცენარეული ნაყოფით, რომ ადამიანი ხორცს საერთოდ არ ეკარებოდა და საზრდოობდა იმ ხილითა და ბოსტნეულით, რომელსაც ველური ბუნება გულუხვად სთავაზობდა".* ეს მოსაზრება მრავალ თანამედროვე მოგზაურთა რელაციებითაც დასტურდება. ფრანსუა კორეალის თანახმად, ბაჰამის კუნძულების მკვიდრნი, რომლებიც ესპანელებმა კუბაში, წმინდა დომინიკის კუნძულებსა და სხვა მხარეებში გადაასახლეს, ხორცის ჭამის შემდეგ გარდაიცვალნენ. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მე სავსებით უგულვებელვყოფ იმ არგუმენტებს, რომელთა გამოყენებაც სასიკეთოდ შემეძლო. მტაცებელ ცხოველთა შეტაკების

თითქმის ერთადერთი საბაბი ნადავლია; მცენარეების მჭამელ ცხოველთა მშვიდობიანი თანაარსებობა ბევრად უფრო ხანგრძლივია; ადამიანთა მოდგმა რომ ამ უკანასკნელთა ჯგუფს განეკუთვნებოდეს, მაშინ, ცხადია, მას ბუნებრივ მდგომარეობაში არსებობა დიდად უნდა გაადვილებოდა, მის მისატოვებლად კი ბევრად ნაკლები საჭიროება და საბაბი უნდა ჰქონოდა.

6. ჩანს, ყველა ცოდნა, რომელიც რეფლექსიას მოითხოვს და მხოლოდ იდეათა შეკავშირებით შეიძინება, თანდათანობით ვითარდება და აღწევს სრულყოფილებას; ველურისათვის – რომელსაც არა აქვს თავის მსგავსებთან ურთიერთობა, ანუ კომუნიკაციის აუცილებლობის განმაპირობებელი ინსტრუმენტი – იგი სრულიად მიუღწეველია. მთელი მისი ცოდნა და უნარი ხტუნვით, სირბილით, შებრძოლებით, ქვის სროლითა და ხეზე ასვლით იფარგლება. მართალია, მას მხოლოდ ეს ძალუძს, მაგრამ ჩვენზე ბევრად უკეთ აკეთებს, რადგან იგივე რამ ჩვენ მასზე ნაკლებად გვესაჭიროება. აღნიშნული ქმედებები მხოლოდ სხეულის წვრთნაზეა დამოკიდებული, ერთი ინდივიდიდან მეორეს არც გადაეცემა და არც შემდგომ სრულყოფას ექვემდებარება; მაშასადამე, ასეთ საქმეში, შესაძლოა, პირველი ადამიანიც ისეთივე მარჯვე ყოფილიყო, როგორც მისი ბოლო ჩამომავალნი.

მოგზაურთა რელაციები სავსეა ბარბაროსი და ველური ხალხების ადამიანთა ძალისა და ვაჟკაცობის დამადასტურებელი მაგალი-

თებით; არანაკლები ხოტბითაა მოხსენიებული მათი მოხერხება და მოქნილობა; რაკი ყოველივე აღნიშნულის შესამჩნევად მხოლოდ თვალის ჩინიც კმარა, ამდენად, ამ შემთხვევაში თვითმხილველთა შეფასებისადმი უნდობლობა ყოვლად უსაფუძვლოა. მოვიხმობ რამდენიმე ალალბედზე შერჩეულ მაგალითს იმ პირველივე წიგნებიდან, რომლებიც ხელთ მომხვდა.

კოლბენი წერს: *„ჰოტენტოტები კაპის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მკვიდრ ევროპელებზე ბევრად მარჯვე მეთევზეები არიან; ზღვის ყურესა თუ მდინარეში, ისინი ერთნაირი წარმატებით თევზაობენ ბადით, ანკესით ან ბარჯით. არანაკლებ გაწაფულნი არიან თევზის ხელით დაჭერაშიც. ბადალი არც ცურვაში ჰყავთ, ცურვის სრულიად თავისებური და საოცარი წესი აქვთ; ცურვისას სხეული ვერტიკალურ მდგომარეობაში, ხელები კი წყლის ზედაპირზე აქვთ ამოწვდილი, გეგონებათ, ხმელეთზე მიდიანო. ზღვის ძლიერი ღელვის დროს მთის სიმაღლის აზვირთებულ ტალღებს კორპის ნატეხივით ისე ამოყვეებიან და ჩაყვეებიან, გეგონება ტალღებზე ცეკვავენო“.*

იმავე ავტორის თანახმად, *„ჰოტენტოტები ნადირობაშიც მარჯვენი არიან; სირბილში მათი სისწრაფე ყოველგვარ წარმოსახვას აღემატება“*. ავტორის გაოცებას იწვევს ის, თუ რატომ უფრო ხშირად არ იყენებენ ბოროტად თავიანთ მოხერხებას, თუმცა, ზოგჯერ, ამის ქმნაც უწევთ, როგორც ამას მისივე ავტორის მიერ მოხმობილი მაგალითიც მოწმობს. *„კაპის*

ნაპირზე გადასულმა ერთმა ჰოლანდიელმა მეზღვაურმა ჰოტენტოტს ოცი ფუტი (დაახლოებით ათი კილოგრამი) თამბაქოს შეკვრის ქალაქამდე მიტანა დაავალა და უთხრა, კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას. როდესაც ორივენი რაღაც მანძილით დაშორდნენ ნაპირსა და მეზღვაურთა ჯგუფს, ჰოტენტოტმა ჰოლანდიელს ჰკითხა, სირბილი თუ იცოდა. სირბილი? – რა თქმა უნდა და საკმაოდ კარგადაც – მიუგო ჰოლანდიელმა. მაშ ვნახოთ! – უთხრა აფრიკელმა, თამბაქოს შეკვრიანად მოქუსლა და თითქმის მყისვე გაუჩინარდა. სირბილის სისწრაფით გაოგნებულ მეზღვაურს მისი დადევნება არც უცდია; ასე რომ, აღარც თამბაქო უნახავს და აღარც მისი წამღები".

„ისეთი მახვილი თვალი და ზუსტი ხელი აქვთ, რომ ევროპელები მათთან ახლოსაც ვერ მოვლენ. ასეულობით ნაბიჯის მანძილიდან, დაახლოებით ნახევარი სუს (ლივრის მეოცედი ნაწილი) წონის ქვას ზუსტად ახვედრებენ მიზანში და რაც ყველაზე გასაოცარია, ამ დროს მზერას ჩვენსავით მიზანში ამოღებულ საგანზე კი არ აჩერებენ, არამედ შეუჩერებელივ, დაძაბული მოძრაობით ტყორცნიან ქვას, რომელიც ისე მიექანება, გეგონებათ, რაღაც უჩინარი ხელი მიაქროლებდეს".

კეთილი იმედის კონცხის მკვიდრი ჰოტენტოტების მსგავს ამბებს მოგვითხრობს მამა დიუ ტერტრი ანტილიის კუნძულის მცხოვრებ ველურებზეც. განსაკუთრებულ ხოტბას ასხამს მათ მიერ დიდი სიზუსტით ჰაერში ნატყორცნ მშვილდისარს ფრინველთა ჩამოსაგ-

დებად და წყალში მცურავი თევზის ყვინთვით მარჯვედ დაჭერის გამო. ძალითა და მოხერხებულობით არანაკლებ ცნობილნი არიან ჩრდილოეთ ამერიკის ველურებიც. და აი, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ნათლად დაგვარწმუნებს, თუ რაოდენ დაჯილდოებულნი არიან მსგავსი თვისებებით სამხრეთ ამერიკის მკვიდრი ინდიელებიც.

1746 წელს, კადისში, ბუენოს-აირესის მკვიდრ ინდიელს გალერებზე მუშაობა მიესაჯა. საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, თავისუფლების გამოსასყიდად, გუბერნატორს სახალხო ზეიმში მონაწილეობის უფლება სთხოვა და განუცხადა, რომ უიარაღოდ, მხოლოდ თოკით შეებრძოლებოდა ყველაზე შმაგ ხარს, მიწაზე დასცემდა, თოკს შემოავლებდა სხეულის იმ ნაწილიდან, რომლიდანაც უბრძანებდნენ, უნაგირს დაადგამდა, აღვირს ამოსდებდა და ხარზე შემჯდარი ორ სხვა, ასევე გაშმაგებულ ხარს, რომელთაც სადგომიდან გამოუშვებდნენ, ბრძანებისთანავე ერთიმეორის მიყოლებით დახოცავდა. მისი თხოვნა დაკმაყოფილეს. ინდიელმა ყველაფერი დაპირებისამებრ შეასრულა. ცნობები აღნიშნულისა და ორთაბრძოლის დეტალების შესახებ მოცემულია გოტიეს ნაშრომში.

7. ბ-ნ ბიუფონის თანახმად, *„ყველა ცხოველის მსგავსად, ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობაც მისივე ზრდის ხანგრძლივობის პროპორციულია. ადამიანმა, რომელიც თოთხმეტ წლამდე იზრდება, შეიძლება, ექვსჯერ, ან შვიდჯერ მეტ ხანს იცოცხლოს, ანუ ოთ-*

ხმოცდაათ ან ას წლამდე; ცხენი, რომლის ზრდაც ოთხი წლის ასაკში სრულდება, შეიძლება იცოცხლოს ოცდახუთი ან ოცდაათი წელი. ამ წესის საპირისპირო მაგალითები იმდენად იშვიათია, რომ არც უნდა მივიჩნიოთ ისეთ გამონაკლისად, რომლის საფუძველზეც რაიმე დასკვნების გამოტანა შეიძლება; რაკი უჯიშო ცხენები ჯიშიანებზე სწრაფად იზრდებიან, ამიტომ ნაკლებს ცოცხლობენ და თხუთმეტი წლისა უკვე ბებრები არიან".

8. ვფიქრობ, ხორცის მჭამელ და მცენარეული ნაყოფის მჭამელ ცხოველთა შორის კიდევ ერთი, უფრო ზოგადი სხვაობაა, ვიდრე ეს მეხუთე შენიშვნაში აღვნიშნე; ეს სხვაობა ფრინველებზედაც ვრცელდება. მხედველობაში მაქვს პატარათა რაოდენობა, რომელიც მცენარეულის მჭამელ ცხოველებში ერთ დაყრაზე ორს არასოდეს აღემატება; გაცილებით დიდია მათი რაოდენობა ხორცის მჭამელ ცხოველებში. ამ მიმართებით ბუნების ზრახვაზე ნათლად მიუთითებს ძუძუს თავების რაოდენობა, რომელიც პირველი ჯგუფის ძუ ცხოველებში არასოდეს აღემატება ორ წყვილს (მაგ. ფაშატი, ძროხა, ფურირემი, დედალი ცხვარი, დედალი თხა და ა.შ.); სხვა ძუ ცხოველებში (მაგალითად, ძაღლი, კატა, მგელი, ვეფხვი და ა.შ.) კი მათი რაოდენობა ყოველთვის ექვსი ან რვაა. მტაცებელი ფრინველების (არწივი, შევარდენი და ბუ) მსგავსად, ქათამი, ბატი და იხვი, რომლებიც ხორცზედაც არ ამბობენ უარს, უფრო მეტ კვერცხს დებენ და ჩეკენ, ვიდრე მტრედი, გვრიტი და ყველა ის ფრინვე-

ლი, რომლებიც მხოლოდ მარცვლეულით იკ-
ვებება; ერთ ჯერზე ორ კვერცხზე მეტს არა-
სოდეს დებენ და ჩეკენ. აღნიშნული სხვაობის
მიზეზი შესაძლოა ისაა, რომ ცხოველები, რო-
მელთა საკვებიც ბალახი და სხვა სახის მცენა-
რეებია, თითქმის მთელ დღეს საძოვარზე ატა-
რებენ და ბევრი ნაშიერის გამოკვება არ შეუძ-
ლიათ; სამაგიეროდ ძალზე სწრაფად დანაყრე-
ბული მტაცებლები მალევე უბრუნდებიან თა-
ვიანთ პატარებს, კვლავ სანადიროდ მიეშურე-
ბიან და რძის დიდ დანახარჯსაც სწრაფად
ინაზღაურებენ. ყოველივე აღნიშნული საგან-
გებო დაკვირვებასა და რეფლექსიას მოით-
ხოვს, მაგრამ აქ ამის ადგილი არაა; ჩემთვის
საკმარისია მითითება ბუნების ყველაზე ზო-
გადი სისტემისა, რომელიც ერთი ახალი სა-
ფუძველია ხორცის მჭამელი ცხოველებისაგან
ადამიანის გასამიჯნად და მცენარეულის მჭა-
მელი ცხოველებისადმი მისაკუთვნებლად.

9. ადამიანის ცხოვრების კეთილ და მანკი-
ერ მხარეთა ჩამოთვლისა და მათი საერთო რა-
ოდენობის შედარების საფუძველზე, ერთმა
ცნობილმა ავტორმა* აღმოაჩინა, რომ მანკიე-
რებანი მნიშვნელოვნად აღემატებოდა სიკე-
თეს, და მაინც, ყველაფრის გათვალისწინე-
ბით, სიცოცხლე საკმაოდ საეჭვო ღირებულე-
ბის საჩუქარი იყო ადამიანისათვის. ასეთი
დასკვნა არ მიკვირს, რადგან მისი ყველა
მსჯელობა ცივილური ადამიანის ნიშან-თვი-
სებებს ეფუძნებოდა. ის რომ ბუნებრივ

---

* რუსოს ნაგულისხმევი ჰყავს მოპერტუი.

მდგომარეობაში მყოფი ადამიანის არსს ჩასწვდომოდა, სრულიად სხვა შედეგებამდე მივიდოდა. შენიშნავდა, რომ ადამიანის ყველა უკეთურობის სათავე თავად ადამიანია და, ამგვარად, ბუნება გამართლებული იქნებოდა. საკუთარი თავის ესოდენ გასაუბედურებლად ცოტა ძალისხმევა როდი დაგვჭირდა. ერთი მხრივ, თუ გავითვალისწინებთ ადამიანთა მიერ გაწეულ ტიტანურ შრომას – მეცნიერების ესოდენ განვითარებულ დარგებს, მათ მიერ შექმნილ ამდენ ხელობას, უზომო გარჯას უფსკრულთა ამოსავსებად, მთების დასანგრევად, კლდეთა ჩამოსანგრევად, სანავიგაციოდ მდინარეთა გამოსაყენებლად, მიწის დასამუშავებლად, წყალსატევების შესაქმნელად, ჭაობთა ამოსაშრობად, ხმელეთზე უზარმაზარი შენობების ასაგებად, ზღვათა მეზღვაურებითა და ხომალდებით მოსაფენად, მეორე მხრივ, ყოველივე აღნიშნულიდან ცოტაოდენი მედიტაციით ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ მომდინარე ნამდვილ სარგებელსაც თუ შევისწავლით, ამ მოვლენათა შორის არსებული საოცარი დისპროპორცია მხოლოდ გაგაოგნებთ და სიბრალულით განგმსჭვალავთ ადამიანის სიბეცისადმი, რომელიც მისთვის ნიშანდობლივი უგუნური სიამაყისა და, არც კი ვიცი, რაღაც უაზრო თვითაღტაცების დასაკმაყოფილებლად უგერგილო დაუოკებელ სწრაფვას შთააგონებს ყველაფრისადმი, რასაც მისთვის უბედურების მოტანა ძალუძს და რომელთა არიდებაზეც კეთილისმყოფელმა ბუნებამ იზრუნა.

ადამიანები ბოროტები არიან; ასეთი სავალალო და უცვლელი შეფასება აღნიშნული დებულების დამადასტურებელი სამხილის ძიებისაგან თავიდან არიდებაა; და მაინც, ადამიანი ბუნებით კეთილია; ვფიქრობ, ამის დადასტურება შევძელი. რას უნდა შეერყვნა ესოდენ მისი ბუნება, თუ არა მის არსებაში მომხდარ ცვლილებებს, მის მიერ მიღწეულ პროგრესსა და შეძენილ ცოდნას? მიუხედავად ადამიანთა საზოგადოების დადებითი მხარით მოგვრილი აღტაცებისა, არანაკლებ მართალია ისიც, რომ, ინტერესთა შეჯახების პროპორცულად, იგი უცილობლად განაწყობს ადამიანებს ურთიერთსიძულვილისადმი, ერთმანეთისათვის მოჩვენებითი სამსახურის გასაწევად და, რეალურად, წარმოუდგენელ უბედურებათა მოსატანად. რა უნდა ვიფიქროთ ისეთ ურთიერთობაზე, როდესაც ყოველ კერძო პირს მისი გონება მთელი საზოგადოებისათვის საჯარო გონებით შთაგონებულ მაქსიმათა საპირისპირო მაქსიმებს კარნახობს და ყოველი ინდივიდი თავის სარგებელს სხვისი უბედურებით ნახულობს? შესაძლოა, არც არსებობს ისეთი შეძლებული ადამიანი, რომლის ხარბ მემკვიდრეებსაც (ხშირ შემთხვევაში მისსავე საკუთარ შვილებს) გულის სიღრმეში მისი სიკვდილი არ სურდეთ; ისეთი ვაჭარი, ვისთვისაც ზღვაში ქარიშხლის შედეგად დალუპული ხომალდის ამბავი უსიამოვნო ცნობა ყოფილა; მევალე, ვისი ოცნება სახლთან ერთად საბუთების დაწვაც არ ყოფილა; ისეთი ხალხი, რომელსაც მეზობელ ხალხთა გასაჭირი სიხარულს არ გვრი-

დეს; სწორედ ასე ვიღებთ სარგებელს ჩვენს მსგავსთა უბედურებით, რადგან ერთის ზარალი თითქმის ყოველთვის ხელს უწყობს მეორის კეთილდღეობას; მაგრამ ბევრად უფრო საშიშია, როდესაც მრავალი კერძო პირი იმედით ელის საზოგადოების უბედურებებს: ზოგს დაავადებათა გავრცელება სურს, ზოგს – სიკვდილიანობის სიხშირე, ზოგს – ომი, ზოგს – შიმშილობა. მინახავს ისეთი შემზარავი ადამიანებიც, რომელთაც დარდი კლავდა, თუ წლის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. ლონდონის გამანადგურებელი ხანძრით – მრავალი საბრალო ადამიანის სიცოცხლე თუ ქონება რომ შეიწირა – ბევრმა მოითბო ხელი, შესაძლოა, ათი ათასზე მეტი ადამიანიც კი გაამდიდრა. მონტენი* კიცხავს ათენელ დემადეს, რომელმაც ერთი მეკუბოვე იმის გამო დასაჯა, რომ თავის ნახელავს ძალზე ძვირად ყიდდა და მოქალაქეთა სიკვდილის ხარჯზე მდიდრდებოდა; მონტენის მსჯელობა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ასეთ შემთხვევაში უკლებლივ ყველა უნდა დაესაჯათ; ცხადია, ეს ჩემს მოსაზრებებს ადასტურებს. ჩაიხედეთ გულის სიღრმეში, ჩაუკვირდით კეთილგანწყობილების არაფრის მთქმელ ჩვენ განცხადებებს და დაუფიქრდით, როგორი უნდა იყოს საგანთა ვითარება, ცხოვრების წესი, როდესაც ადამიანები იძულებულნი არიან ერთმანეთისთვის ალერსს არ იშურებდნენ და იმავდროულად გამუდმებით სამარეს უთხრიდნენ, როდესაც

---

* მონტენი, *ესეები*, I, 22.

მოვალეობის გამო მტრებად, ანგარების გამო კი ფარისევლებად იბადებიან. თუ მეტყვიან: საზოგადოებაა ისე მოწყობილი, რომ სხვათა სამსახური თითოეულს ხელს აძლევს, მე ვუპასუხებდი: ეს ძალზე კარგი იქნებოდა, თუ სხვებისათვის ზიანის მიყენებით ადამიანი კიდევ უფრო მეტად არ იხეირებდა. არ არსებობს ისეთი კანონიერი სარგებელი, რომელსაც უკანონობით მიღებული არ აღემატებოდეს; ახლობლისათვის მიყენებულ ზიანს მუდამ მისთვის გაწეულ სამსახურზე მეტი სარგებელი მოაქვს. ამრიგად, საკითხი ეხება მხოლოდ საკუთარი დაუსჯელობის უზრუნველმყოფი საშუალებების მოძიებას, რის მისაღწევადაც ძლიერნი ყველა ღონეს ხმარობენ, სუსტები კი ყოველგვარ ცბიერებას არად დაგიდევენ.

დანაყრებული ველური ბუნების მიმართ მშვიდია, თავის მსგავსთა მიმართ კი მეგობრულად განწყობილი. მაგრამ ზოგჯერ თუ საქმე საკვების გაყოფას ეხება, ასეთ შემთხვევაში იგი არასოდეს იწყებს ჩხუბს მანამდე, ვიდრე გამარჯვებისა და სხვაგან საკვების მოპოვების სირთულეს წინასწარ ერთმანეთს არ შეადარებს; რაკი შეტაკებაში სიამაყე არ მნიშვნელობს, ამდენად, საქმე რამდენიმე მუშტის გარტყმით მთავრდება: გამარჯვებული მოპოვებულ საკვებს ჭამს, დამარცხებული კი ბედის საძებრად მიეშურება და კვლავ სიმშვიდე ისადგურებს. მაგრამ საზოგადოებაში მყოფი ადამიანის მდგომარეობა სხვაგვარი გახლავთ: თავდაპირველად, მან აუცილებელი, შემდეგ კი უფრო მეტი უნდა მოიპოვოს, რასაც, მოგ-

ვიანებით, ჯერ სიამოვნებათა გამოდევნება, მერე უზომო სიმდიდრისადმი სწრაფვა, შემდგომ ქვეშევრდომები, მონები მოყვება; მას ერთი წუთი მოცლა არა აქვს; და კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ რაც უფრო ნაკლებ ბუნებრივი და არსებითია მოთხოვნილებები, მით უფრო მეტად მატულობს ვნებები. ბევრად უფრო უარესია, როცა მათი დაკმაყოფილება შესაძლებელია. ასე რომ, ხანგრძლივი კეთილდღეობის, დიდძალი ქონების მოხვეჭისა და მრავალ ადამიანთა გაუბედურების შემდეგ, ჩვენი გმირი ყველა მის გარშემო მყოფ პირთა განადგურებას იწყებს და მანამდე არ ჩერდება, ვიდრე სამყაროს ერთადერთი მბრძანებელი არ გახდება. ასეთია მოკლე, ზოგადი მორალური სურათი კაცთა ცხოვრების თუ არა, სულ მცირე, ყოველი ცივილიზებული ადამიანის იდუმალი, გულისნადები პრეტენზიები.

მიუკერძოებლად შეადარეთ ცივილიზებული ადამიანის მდგომარეობა ველურისას და შეეცადეთ – თუ ამის უნარი შეგნევთ – მოიძიოთ, რამდენი ახალი კარი გაულო პირველმა (მის სიავესა, მოთხოვნილებებსა და უბედურებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ტკივილსა და სიკვდილს. თუ გაითვალისწინებთ იმ დამანგრეველ სულიერ ტანჯვას, რომელიც ძალღონესა და ენერგიას გვაცლის, გამომფიტველ ბობოქარ ვნებებს, ღარიბთა უზომო გარჯასა და მდიდართა კიდევ უფრო საშიშ სისათუთეს, რომელსაც ერთნი დუხჭირი ყოფით სიკვდილის პირამდე მიყავს, მეორენი კი – მოყირჭებულობამდე; თუ მხედველობაში მიიღებთ საკ-

ვებ ნივთიერებათა შემზარავ ნაზავს, მავნე საწელებლებს, საკვებად უვარგის, ვადაგასულ პროდუქტებს, ფალსიფიცირებულ წამლებსა და წამლებით მოვაჭრეთა თაღლითობას, არასწორად დანიშნული სამკურნალო საშუალებების გამო ფარმაკოლოგთა შეცდომებს, ჭურჭლის* შხამიან თვისებებს; თუ გაითვალისწინებთ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში მძიმე ჰაერით წარმოქმნილ ეპიდემიებს, ჩვენი გასათუთებული ცხოვრების წესით (თბილი შენობიდან გარეთ დაუსრულებელ გასვლასა და შემობრუნებას) გამოწვეულ დაავადებებს, გაუფრთხილებლად სამოსის გახდისა თუ ჩაცმის ჩვევას და ჩვენი უზომო მგრძნობელობის წყალობით წესად ქცეულ ყველა იმ საზრუნავს, რომელთა უგულვებელყოფა თუ დაუცველობა, ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ფასად გვიჯდება; თუ ყოველივე აღნიშნულს ხანძრის შედეგად ფერფლად ქცეული და მიწისძვრით დანგრეული ქალაქების ათასობით მკვიდრთა მსხვერპლსაც დაუმატებთ, ერთი სიტყვით, გამუდმებით თავსდატეხილ უამრავ საფრთხეთა ყველა მიზეზსაც თვალს თუ ერთად გადაავლებთ, მიხვდებით, რა ძვირად გვაზღვევინებს ბუნება მის მითითებათა აბუჩად აგდებას.

აქ აღარ გავიმეორებ იმას, რაც სხვაგან ომის თაობაზე მოგახსენეთ; ვისურვებდი,

---

* წამალს ამზადებდნენ სპილენძის ჭურჭელში, რომელიც, რუსოს აზრით, ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავდა.

კომპეტენტურ ადამიანებს თუნდაც ერთხელ ენებათ ან გაებედათ საჯაროდ გამომზეურება ყველა იმ საშინელებათა წვრილმანებისა, რომელთაც ჯარის საკვებით მომმარაგებლები და ჰოსპიტლის პატრონები სჩადიან; მაშინ ყველასთვის ნათელი გახდებოდა მათი ცუდად შენიღბული ხრიკები, რომელთა წყალობითაც უბრწყინვალესი ჯარები ბევრად უფრო სწრაფად მცირდება და მტრის მახვილით განგმირულ ჯარისკაცზე მეტი იღუპება. არანაკლებ გამაოგნებელი იქნებოდა ყოველწლიურად ზღვაზე შიმშილით, სურავანდით, პირატების თავდასხმით, ხანძრითა და გემის კატასტროფით დაღუპულთა რაოდენობაც. ცხადია, საკუთრების არსებობასა და, შესაბამისად, საზოგადოებას უნდა მივაწეროთ მკვლელობათა, მონამვლათა, დიდ გზებზე ყაჩაღობათა შედეგად დაღუპულნიც და აღნიშნულ დანაშაულთა გამო გამოტანილ სასჯელთა მსხვერპლნიც, ანუ უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად გატარებული სადამსჯელო ღონისძიებები, რომელთა შედეგადაც ერთ მოკლულს ორი ან მეტი პირის სიცოცხლე ეწირება და, ფაქტობრივად, ადამიანთა მოდგმის დანაკარგის ოდენობას აორმაგებს. რამდენი საძრახისი საშუალებაა ადამიანთა დაბადების ხელის შესაშლელად და ბუნების მოსატყუებლად, ველურებისა და ცხოველებისთვის სრულიად უცნობი სამარცხვინო და გაუკუღმართებული მიდრეკილებებით, რომლებიც ბუნების უმშვენიერეს ქმნილებას შეურაცხყოფს და რომელთაც მხოლოდ ცივილიზებული

ქვეყნების ადამიანების ზნედაცემული წარმოსახვით მიეცა დასაბამი? მუცლის ფარულად მოშლა – გარყვნილებისა და ღირსების გაუკუღმართებული გაგების საკადრისი შედეგი; უპატრონოდ მიტოვებული თუ სასიკვდილოდ განწირული უამრავი ბავშვი – მათი მშობლების სილატაკის ან დედების სამარცხვინო გულქვაობის მსხვერპლნი; დაბოლოს, ის საბრალო დასახიჩრებულნი, რომელთა ექსისტენციის გარკვეული პერიოდი და მთელი მათი შთამომავლობა სიმღერის ამაოებას ან, რაც კიდევ უარესია, ზოგიერთ მამაკაცთა ცხოველურ სურვილს მსხვერპლად ეწირება. ეს ბოლო შემთხვევა ბუნების ორმაგი შეურაცხყოფაა: მათ მიმართ მოპყრობით, ვინც ამის გამო იტანჯებიან, და იმ ჩვევის გამო, რაც მათ ხვედრად არგუნეს!

განა უფრო ხშირი და კიდევ უფრო საშიში არაა ათასობით ის შემთხვევა, როდესაც უფლება აშკარად ჰუმანურობის შეურაცხმყოფელია? რამდენი ნიჭი და მოწოდება ჩაიხშო მამათა უგუნური თვითნებობით! რამდენი ადამიანი უნდა წარმოჩენილიყო მათთვის საკადრის სარბიელზე, მაგრამ, იმის გამო, რომ ემსახურებოდნენ იმ საქმეს, რომლის მიმართაც საერთოდ არავითარი მოწოდება არ გააჩნდათ, ბედკრულნი და ღირსებაშელახულნი მიდიან ამ ქვეყნიდან! რამდენი ბედნიერი, მაგრამ უთანასწორო ქორწინება დაირღვა ან შეირყვნა და ბუნების საპირისპირო ურთიერთობათა წესის გამო რამდენ ერთგულ მეუღლეს შეელახა ღირსება! გონებისა და სიყვარულის სა-

პირისპიროდ რამდენი უგუნური კავშირი შეიქმნა ანგარებით! რამდენი პატიოსანი და სათნო, მაგრამ შეუფერებელი ცოლ-ქმარი უმწარებს ერთმანეთს სიცოცხლეს! მშობლების ანგარების მსხვერპლი რამდენი საბრალო ახალგაზრდა ეფლობა მანკიერების ჭაობში ან ცრემლში ატარებს სავალალო ყოფას და სულისათვის გაუსაძლის, მხოლოდ ერთი ოქროს საფუძველზე შეკავშირებულ უღელში გმინავს! ზოგჯერ, რაოდენ ბედნიერნი არიან ისინი, ვინც გამბედაობამ და სიქველემ მანამდე გამოსტაცა სიცოცხლეს, ვიდრე უგუნური ძალადობა სიცოცხლის გატარებას დანაშაულსა და სასოწარკვეთილებაში აიძულებდა! მაპატიეთ, საბრალო მამებო და დედებო, მიჭირს თქვენი მწუხარების კიდევ უფრო დამძიმება; მაგრამ, დაე, თქვენი ტკივილი სანიმუშო და შემზარავი მაგალითი იყოს ნებისმიერისათვის, ვინც თავად ბუნების სახელით მისი ერთ-ერთი ყველაზე წმინდა უფლების შელახვას გაბედავს!

თუ მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი წყობის ქმნილებაზე – წარუმატებელ კავშირებზე – ვისაუბრე, როგორ გგონიათ, ნაკლოვანი მხარეები სიყვარულსა და სიმპათიაზე დაფუძნებულ კავშირებს არა აქვთ? რა მოხდებოდა ყოველივე იმის წარმოჩენაც რომ განმეზრახა, ადამიანთა მოდგმას მისი დასაბამიდანვე რომ დაემუქრა, და თვით ყველაზე წმინდა კავშირების შემთხვევაშიც – ბუნების ხმას მხოლოდ კეთილდღეობაზე ფიქრის შემდეგ რომ უგდებენ ყურს – სამოქალაქო წყობის უწესრიგობის

გამო, სათნოებები და მანკიერებები ისეა აღრეული, რომ თავშეკავება დანაშაულის აღმკვეთ საშუალებად, ხოლო შენივე მსგავსისათვის სიცოცხლის მინიჭებაზე უარი კაცთმოყვარეობის აქტადაა მიჩნეული?! მოდით, ნუ გამოვამზეურებთ და ნუ ჩამოვხსნით პირბადეს ამდენ საშინელებას, დავჯერდეთ ბოროტებაზე მითითებას, რომლის გამოსასწორებელი საშუალების მოძიება სხვებს მართებთ.

ყოველვე ზემოთქმულს დაუმატეთ სიცოცხლის მომსწრაფებელი თუ ჯანმრთელობის შემარყეველი უამრავი მავნე საქმიანობა, როგორიცაა, მაგალითად, მაღაროს სამუშაოები, სხვადასხვა ლითონისა თუ მინერალის – განსაკუთრებით, ტყვიის, სპილენძის, ვერცხლისწყლის, კობალტის, დარიშხანის, რეალგარის (წითელი დარიშხანი) მოპოვება-დამუშავება; ასევე, მთელი რიგი ის სახიფათო ხელობები – სახურავის ოსტატი, ხურო, ქვის მთლელი, ქვის სამტეხლოს მუშა, – ყოველდღიურად მრავალი მუშის სიცოცხლეს რომ იწირავს; ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მერწმუნეთ, საზოგადოების დაფუძნებასა და განვითარება-სრულყოფაში დაინახავთ არა ერთი ფილოსოფოსის მიერ შენიშნულ იმ მიზეზებსაც, ადამიანთა რიცხოვნობის შემცირებას რომ იწვევს.

ფუფუნება, რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია კეთილდღეობასა და პატივებს გამოკიდებულ ადამიანებში, მალე უღებს ბოლოს საზოგადოებათა მიერ წარმოქმნილ ბოროტე-

ბას; ღარიბთა არსებობის უზრუნველყოფის საბაბით (რაც არ უნდა დაეშვათ) იგი ყველა დანარჩენთაც აღარიბებს და ადრე თუ გვიან, სახელმწიფო მოსახლეობისაგან იცლება.

ფუფუნება იმ ბოროტებაზე ბევრად უარესი საშუალებაა, რომლის გამოსწორებაც მიზნად აქვს, ან, უმალ, ყველა იმ ბოროტებაზე უარესია, რომელიც შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ დიდ თუ პატარა სახელმწიფოში; ფუფუნების შედეგად წარმოქმნილ მსახურთა და ღარიბ-ღატაკთა ბრბოს რჩენა მძიმე ტვირთად აწვება და აჩანაგებს მიწათმოქმედსა და მოქალაქეს, მსგავსად სამხრეთის ცხელი ქარებისა, რომლებიც მცენარეულობას უძღებ მწერებს უსევს, სასარგებლო ცხოველებს საზრდოს გარეშე ტოვებს და ყველგან, სადაც კი სუნთქვა იგრძნობა, შიმშილსა და სიკვდილს თესავს.

საზოგადოებიდან და მის მიერ წარმოქმნილი ფუფუნებიდან ეძლევა დასაბამი ისეთ თავისუფალ და მექანიკურ ხელობებს, როგორიცაა ვაჭრობა, ლიტერატურა და მრავალი სხვა ფუჭი რამ, რომელთა წყალობითაც ვითარდება მრეწველობა, მდიდრდება და ინგრევა სახელმწიფოები. ასეთი გაჩანაგების მიზეზი ძალზე მარტივია. იოლი მისახვედრია, რომ ყველა საქმიანობათაგან, თავისი ბუნებით, მიწათმოქმედება ყველაზე ნაკლებ მომგებიანი უნდა იყოს; ვინაიდან მის მიერ შექმნილ პროდუქტს ყველაზე მეტად საჭიროებს ადამიანი, შესაბამისად, მისი ფასიც ღარიბთა მსყიდველობითი უნარის პროპორციული უნდა იყოს.

ამავე პრინციპის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ შემდეგი წესიც: ზოგადად, ხელობათა მომგებიანობა მათი სარგებლიანობის უკუპროპორციულია, მათგან ყველაზე აუცილებელნი, საბოლოოდ, ყველაზე მეტად უგულვებელყოფილი ხდებიან. აქედან ნათელია, თუ რა აზრისა უნდა ვიყოთ მრეწველობის რეალურ სარგებელსა და მისი პროგრესის ნამდვილ შედეგებზე.

ასეთია ყველა იმ უბედურების აშკარად საგრძნობი მიზეზები, რომელთაც, საბოლოოდ, ფუფუნება თავს ახვევს ყველაზე დაწინაურებულ ხალხებს. მრეწველობისა და ხელობების ზრდისა და განვითარების კვალობაზე, მიწათმოქმედი სულ უფრო და უფრი უგულებელყოფილი ხდება, ფუფუნების შესანარჩუნებლად საჭირო გადასახადების მთელი სიმძიმე მას აწვება ტვირთად, მძიმე შრომასა და შიმშილს შორის სიცოცხლემისჯილი, ტოვებს თავის მამულს და ლუკმა-პურის საშოვნელად მიეშურება ქალაქისაკენ, რომლისთვისაც საკუთარი ჯაფით მოწეული პური უნდა მიეწოდებინა. რაც უფრო მეტად აჯადოებს დედაქალაქი უბირი ბრბოს უგუნურ მზერას, მით უფრო უნდა კვნესოდნენ მიტოვებული სოფლების, დაუმუშავებელი მინებისა და მათხოვრებად ან ქურდებად ქცეული უბედური მოქალაქეებით წალეკილი დიდი გზების ხილვაზე; ადრე თუ გვიან, მათი ხვედრი ჯალათის კუნძზე სავალალო არსებობის დასრულება ან სადმე ღობის ძირში ნაკელზე სიკვდილია. სწორედ ასე, ერთი მხრივ, სახელმწიფო მდიდრდება,

მეორე მხრივ კი სუსტდება და მოსახლეობისაგან იცლება; უძლიერესი მონარქიები, რომელთაც დიდი გარჯით მიაღწიეს სიმდიდრესა და გაუდაბურებას, საბოლოოდ, მათი დაპყრობის დამღუპველი ცდუნებით შეპყრობილ ღარიბ ხალხთა ნადავლი ხდებიან; თავის მხრივ, ეს უკანასკნელნიც მდიდრდებიან და სუსტდებიან მანამდე, ვიდრე მათაც სხვები არ დაიპყრობენ და გაანადგურებენ.

დაე, ინებონ და ერთხელ მაინც აგვიხსნან: ამდენი საუკუნის განმავლობაში რა იყო მიზეზი ბარბაროსთა ურდოების თარეშისა ევროპაში, აზიასა და აფრიკაში? მოსახლეობის ესოდენი მრავალრიცხოვნობის გამო რისი მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ ისინი: თავიანთი ხელოვნებისა, ბრძნული კანონებისა თუ ჩინებული საზოგადოებრივი წყობისა? დაე, ჩვენმა სწავლულებმა ინებონ და გვითხრან: ვიდრე ეს ულმობელი და ველური, უბირი, თავაწყვეტილი და აღუზრდელი ადამიანები ასე გამრავლდებოდნენ, რატომ ყოველ წუთს საკვებისა თუ ნანადირევის გამო არ ჟლეტდნენ ერთმანეთს? დაე, აგვიხსნან, როგორ ეყოთ თუნდაც თვალის გასწორების გამბედაობა ამ საბრალოებს ჩვენსავით განვითარებული და განათლებული, ესოდენ შესანიშნავი სამხედრო დისციპლინის, ჩინებული კოდექსებისა და ბრძნული კანონების მქონე ადამიანებისთვის? დაბოლოს, ჩრდილოეთიდან რატომ აღარ იჭრებიან მათი მსგავსი ადამიანები მას შემდეგ, რაც ჩრდილეოთის ქვეყნების საზოგადოება განვითარდა და იქ ამდენი ძალისხმევა მოან-

დომეს ადამიანებისათვის ურთიერთმოვალეობათა შთაგონებას, ერთად ცხოვრების სასიამოვნო და მშვიდობიანი ხელოვნების სწავლებას? ძალიან ვშიშობ, ვინმემ არ ინებოს ბოლოს და ბოლოს ჩემთვის პასუხის გაცემა და არ განმიცხადოს: ყველა ეს დიდი რამ, კერძოდ: ხელოვნება, მეცნიერება, კანონმდებლობა, რაღაც კეთილისმყოფელი ჭირის დარად, ძალზე გონივრულად იქნა შექმნილი ადამიანთა მიერ მოდგმის უზომო გამრავლების შესაჩერებლად, რათა ჩვენი ნილხვედრილი სამყარო ბოლოს ძალზე პატარა არ აღმოჩენილიყო მის მკვიდრთათვის.

მაშ, რაშია საქმე?! საზოგადოებების დანგრევა, „ჩემია" და „შენიას" შორის სხვაობის მოსპობა, დათვებთან ერთად საცხოვრებლად კვლავ ტყეში მიბრუნება ხომ არაა საჭირო? – ჩემ მოწინააღმდეგეთა სულისკვეთებისდარი დასკვნა, რომლის გამოტანის სირცხვილის მათთვის დანებებას, მიჯობს მათ დავასწრო. ჰოი, თქვენ, რომელთა ყურთასმენამდეც ღვთიურ ხმას ვერ მოულწევია და თქვენი მოდგმის ერთადერთ მიზნად ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე მშვიდად გავლა მიგაჩნიათ; თქვენ, ვისაც თქვენივე ქალაქების წიაღშივე შეგიძლიათ დატოვოთ დამღუპველი შეძენილი თვისებები, მოუსვენარი გონება, გახრწნილი გული, აღვირახსნილი სურვილები, დაიბრუნეთ (ვინაიდან ეს თქვენზეა დამოკიდებული) ადამიანური მოდგმის ოდინდელი და პირვანდელი სიწრფელე; ტყეს მიაშურეთ, რათა თვალთახედვიდან და გონებიდან ამოიგდოთ

თქვენს თანამედროვეთა დანაშაულებრივი ქმედებები; ნუ შეგაშინებთ თქვენივე მოდგმის დამდაბლება, თუ მის თანამდევ მანკიერებებზე უარის სათქმელად შეძენილ ცოდნაზე უარის თქმა მოგიწევთ. რაც შეეხება ჩემი ყაიდის ადამიანებს, რომელთა არსებაშიც ვნებებმა სამუდამოდ ჩაკლა თავდაპირველი სისადავე, აღარც ბალახითა თუ რკოთი საზრდოობა შეუძლია და აღარც კანონებისა და მმართველთა გარეშე არსებობა; ისინი, ვისაც წილად ხვდა პატივი მოდგმის ფუძემდებლის ღვთიური დარიგებებისა; ისინი, ვინც ადამიანური ქმედებებისათვის ჯერ ზნეობრივი სიმაღლის – ხანგრძლივი დროის მანძილზე მიუღწეველი – მინიჭების სწრაფვაში დაინახავენ თავისთავად ინდიფერენტული და ნებისმიერ სხვა სისტემაში აუხსნადი მაქსიმის საფუძველს; ერთი სიტყვით, ისინი, ვინც დარწმუნებულნი არიან, რომ ცოდნისა და ზეციურ ძალთა ნეტარებისაკენ ადამიანურ მოდგმას ღვთიურმა ხმამ მოუწოდა, ყველანი შეეცდებიან ჩვევად ქცეული სათნო ქმედებებით, რომელთა პრაქტიკულ განხორციელებასაც თავად იტვირთავენ, დაიმსახურონ ის უკვდავი ჯილდო, რომელსაც ამ სათნოებათაგან უნდა ელოდნენ; ისინი პატივისცემით მოეკიდებიან წმინდა კავშირებს იმ საზოგადოებებისა, რომელთა წევრებიც თავად არიან; ეყვარებათ თავიანთი მსგავსნი და მთელ ძალ-ღონეს მათ სამსახურს შეალევენ; უსიტყვოდ დაემორჩილებიან კანონებს, მათ ავტორებსა და აღმსრულებლებს; განსაკუთრებული პატივით მოეკიდებიან კეთილ და

ბრძენ ხელმწიფეებს, რომლებიც მოახერხებენ ჩვენს დასაჩაგრავად მუდამ მზაობის მქონე უამრავ უსამართლობათა და ბოროტებათა აღკვეთას, გამოსწორებას ან შემცირებას; წაახალისებენ ამ ღირსეულ მმართველთა გულმოდგინებას, შიშისა და პირფერობის გარეშე დაანახებენ მათი მცდელობის სიდიადესა და მოვალეობების მართებულობას; მაგრამ ამის მიუხედავად, ნაკლებად როდი ეძულებათ ცივილიზაციის ის მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ამდენი ღირსეული ადამიანის წყალობითაა შენარჩუნებული და უფრო ხშირად, უმალ სასურველიც კია, რომ არც იყოს შენარჩუნებული, ვინაიდან ხსენებულ ადამიანთა მთელი ძალისხმევის მიუხედავად, აშკარა სარგებელზე მეტად, მუდამ მისგან (ცივილიზაციის მდგომარეობა) ეძლევა დასაბამი უფრო მეტ რეალურ უბედურებას.

10. იმ ადამიანთა შორის, ვისაც პირადად ვიცნობთ, ან რომელთა შესახებაც ისტორიკოსთა თუ მოგზაურთა გადმოცემები გვსმენია, ზოგს შავი ფერის კანი აქვს, ზოგს თეთრი, ზოგსაც წითელი; ზოგი გრძელ თმას ატარებს, ზოგს კი მოკლე და ხვეული თმა აქვს; ზოგს თითქმის მთელი სხეული ხშირი ბალნით აქვს დაფარული, ზოგს კი წვერიც არა აქვს. არსებობდა და, შესაძლოა, ამჟამადაც არსებობს ვეება ტანის, გიგანტი ხალხები; პიგმეების მითზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც, შესაძლოა, მხოლოდ გაზვიადებაა, ცნობილია, რომ ლაპლანდიელთა და განსაკუთრებით გრენლანდიელთა სიმაღლე საშუალო სიმაღლის ადამიან-

ზე ბევრად ნაკლებია. იმასაც ამტკიცებენ, რომ არსებობს რიგი ხალხები, რომელთაც, ოთხფეხა ცხოველთა დარად, კუდი აქვთ. ჰეროდოტესა და ქტესიას რელაციებს ბრმად თუ არ ვენდობით, თქმულის საფუძველზე მაინც სავსებით შესაძლებელია შემდეგი ძალზე სიმართლისდარი დასკვნის გამოტანა: სერიოზული დაკვირვებების ჩატარება შესაძლებელი რომ ყოფილიყო ძველ დროში, როდესაც, თანამედროვე ეპოქისაგან განსხვავებით, სხვადასხვა ხალხის ყოფის წესი ბევრად უფრო მეტად სხვაობდა ერთმანეთისაგან, მაშინ ადამიანის ფიზიკურ აღნაგობასა და შესაძლებლობაში გაცილებით მეტ მკვეთრ სხვაობებს აღმოაჩენდნენ. უდავო მტკიცებულებებით იოლი დასადასტურებელი ყველა ეს ფაქტი განაცვიფრებდა მხოლოდ იმათ, ვისაც ჩვევად არა აქვს, მის გარშემო არსებულ საგანთა გარდა, რაიმე სხვაზე ყურადღების მიპყრობა, ჰავით, ჰაერით, საკვებით, ცხოვრების წესითა თუ ჩვეულებების სხვაობით გამოწვეული ძლიერი შედეგების მხედველობაში მიღება და, განსაკუთრებით, თაობათა ვრცელი რიგის მანძილზე უწყვეტად მოქმედ ერთსა და იმავე მიზეზთა გასაოცარი ძალის გათვალისწინება. დღესდღეობით, როდესაც ვაჭრობა, მოგზაურობა თუ დაპყრობები სულ უფრო მეტად აკავშირებს სხვადასხვა ხალხს, და ხშირი ურთიერთობების შედეგად მათი ცხოვრების წესიც სულ უფრო ეთანადება ერთმანეთს, გარკვეულ ეროვნულ სხვაობათა შემცირებაც შეინიშნება; მაგალითად, თანამედროვე ფრანგები

ლათინი ისტორიკოსების მიერ აღწერილი ტანადი, თეთრკანიანი და ქერა ადამიანები როდიღა არიან; თუმცა, დროის კვალობაზე, ფრანკთა და თეთრკანიან, ქერა ნორმანთა სისხლის აღრევით მათ ბუნებრივ აღნაგობასა და კანის ფერში უნდა აღდგენილიყო ის, რაც, შესაძლოა, რომაელთა ყოფნით დაიკარგა და საამისოდ ჰავის ზეგავლენა აღარ კმაროდა. ყველა ასეთი დაკვირვება იმ მრავალგვარ სხვაობაზე ათასი მიზეზით რომ შეიძლება წარმოიშვას და კიდეც წარმოიშვა ადამიანთა მოდგმაში, ჩემში ბადებს ეჭვს: მოგზაურთა მიერ ცხოველებად მიჩნეული ადამიანთა მსგავსი სხვადასხვა ცხოველები – არასათანადო განხილვისა თუ ზოგიერთი გარეგნული სხვაობის საფუძველზე, ანდა მხოლოდ მეტყველების უქონლობის გამო – ხომ არ იყვნენ ოდესღაც ტყეებში გაფანტული ნამდვილი ველურები, რომელთა რასასაც არ მიეცა შესაძლებლობა არც ერთი ვირტუალური უნარის განვითარებისა, სრულყოფის რაიმე დონის მიღწევისა და კვლავაც პირველყოფილ ბუნებით მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოვიხმობ ერთ მაგალითს იმის ნიმუშად, რისი თქმაც მსურს.

„მოგზაურობათა ისტორიის" მთარგმნელის თანახმად, *„კონგოს სამეფოში უხვად გვხვდება ის დიდი ცხოველები, რომელთაც აღმოსავლეთ ინდოეთში ორანგ-უტანგებს ეძახიან; ესაა ერთგვარი შუალედური რგოლი ადამიანთა მოდგმასა და ბაბუინებს შორის. ბეტე-*

ლის* გადმოცემით, ლოანგოს** სამეფოში, მეიომბას ტყეებში მკვიდრობს ორი სახის მონსტრი, რომელთაგანაც ერთნი, ბევრად უფრო ტანადები, პონგოებად (pongos), მეორენი კი ანჟოკოებად (enjocos) იწოდებიან. პირველები ძალიან ჩამოგავენ ადამიანებს, თუმცა, მათგან განსხვავებით, ბევრად უფრო სქელი და მაღლები არიან. მათ აქვთ ადამიანის მსგავსი სახე, ძალზე ღრმად ჩამჯდარი თვალები და გრძელი წარბები; ბალნით დაუფარავი ხელები, ლოყები და ყურები, თითქმის მთელი სხეული კი მუქი ყავისფერი თხელი ბალნით დაფარული. დაბოლოს, სხეულის ერთადერთი ნაწილი, რომელიც განასხვავებს მათ ადამიანისაგან, ესაა უკანჭო ქვედა კიდურები. ისინი გამართულად დადიან, სიარულის დროს ხელი კისრის ბალანზე აქვთ წავლებული. ცხოვრობენ ტყეში, სძინავთ ხეზე, რომელზეც, წვიმისაგან თავის დასაცავად, სახურავის მაგვარ საფარს იკეთებენ. საკვებად იყენებენ ტყის ხილს ან ველური კაკალს; ხორცს საერთოდ არ ეკარებიან. ღამით, ტყითგავლისას, შავკანიანებს ჩვევად აქვთ კოცონის დანთება. დილით, როდესაც წასასვლელად აიშლებიან, კოცონის გარშემო მათ ადგილს იკავებენ პონგოები და ცეცხლის ჩაქრობამდე რჩებიან; დიდი სიმარჯვის მიუხედავად, იმდენი აზრი არა აქვთ, რომ შეშა შეუკეთონ და ცეცხლი შეინარჩუნონ.

---

* ენდრიუ ბეტელი, *მოგზაურობათა ზოგადი ისტორია*, წიგნი XIII, თ.8.

** ლოანგო ანუ ქვემო ეთიოპია.

„ზოგჯერ პონგოები დადიან ჯგუფ-ჯგუფად და ტყით მიმავალ შავკანიანებს ხოცავენ. თავიანთ სამკვიდრო ადგილებიდან მუშტებისა თუ ჯოხების დარტყმით ერეკებიან საბალახოდ შესულ სპილოებს, რომლებიც ყვირილით გარბიან. პონგოს ცოცხლად დაჭერა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს; ისინი იმდენად ძლიერები არიან, რომ ერთი მათგანის დასაჭერად ათი კაციც არ იკმარებდა; თუმცა, დედა პონგოს მოკვლის შემდეგ, შავკანიანები დიდი ოდენობით იჭერენ დედის სხეულს მთელი არსებით მიკრულ პატარებს. როდესაც ერთ-ერთი ამ ცხოველთაგანი კვდება, მის სხეულს სხვები მთელი გროვა ტოტებით ან ფოთლებით ფარავენ. პერჩესის* თანახმად, ბეტელისაგან მან ისიც შეიტყო, თუ როგორ მოსტაცა პონგომ მას პატარა შავკანიანი, რომელმაც მთელი თვე ამ ცხოველთა შორის გაატარა. პატარა შავკანიანის თქმით, პონგოები მათ მიერ შეპყრობილ ადამიანს არავითარ ზიანს არ აყენებენ, ყოველ შემთხვევაში, თუ ისინი მათ არ ერჩიან. მეორე სახის მონსტრები ბეტელს არ ალუწერია.

„დეპერის** მტკიცებით, კონგოს სამეფოში ჭარბადაა ის ცხოველები, რომელთაც ინდოეთში ტყის ბინადართ ანუ ორანგ-უტანგებს ეძახიან, აფრიკაში კი Quojas Marros-ებს. მისი

---

* პერჩესი – ინგლისელი კომპილატორი, ბეტელის თანაშემწე.

** დეპერი, „აფრიკის აღწერა", (1668 წელს ითარგმნა ფრანგულად).

თქმით, ეს ცხოველი იმდენად ჩამოგავს ადამიანს, რომ ზოგიერთი მოგზაურის აზრით, შესაძლოა, იგი ქალისა და მაიმუნის ნაჯვარიც იყოს; ამ უაზრო ვარაუდს თავად შავკანიანებიც უარყოფენ. ერთ-ერთი ამ ცხოველთაგანი კონგოდან ჰოლანდიაში ჩამოიყვანეს და ორანჟის პრინცს, ფრედერიკ ანრის მიჰგვარეს. ის იყო სამი წლის ბავშვის სიმაღლის, ზომიერი სისქის, ჩაფსკვნილი, საკმაოდ პროპორციული აღნაგობის, ძალზე მარდი, საოცრად მოქნილი, ძლიერი და დაკუნთული ქვედა კიდურების მქონე ცხოველი; მას სხეულის წინა ნაწილი უბალნო, ზურგი კი შავი ბალნით ჰქონდა დაფარული. ერთი შეხედვით, მისი სახე ძალზე წააგავდა ადამიანისას, მაგრამ ბრტყელი და აპრეხილი ცხვირი ჰქონდა; ეს იყო ძუ ცხოველი, საკმაოდ განვითარებული მკერდით, ჩაღრმავებული ჭიპით, კარგი აღნაგობის მხრებით, ხელის მტევანზე ადამიანივით ხუთი თითით, სქელი და ხორციანი წვივებითა და ქუსლებით; იგი გამართულად დადიოდა ორი კიდურით, შეეძლო საკმაოდ მძიმე ტვირთის აწევა და ტარება. როდესაც სწყუროდა, ერთი ხელით ჭურჭელს სახურავს ხდიდა, მეორეთი კი წყლიანი ჭურჭელი ქვედა ტუჩთან მიჰქონდა და წყალს სვამდა, შემდეგ ტუჩებს კოხტად იწმენდდა; ძილის დროს თავი ბალიშზე ედო, ისე მარჯვედ იფარებდა საბანს, გეგონება, საწოლში ადამიანი იწვაო. შავკანია-*

---

* ფრედერიკ ანრი, ორანჟის გრაფი (1584-1647), ჰოლანდიის მმართველი.

ნები ბევრ უცნაურ რამეს ყვებიან ამ ცხოველზე. მათი მტკიცებით, ისინი არა მხოლოდ ქალებისა და გოგონების მიმართ იჩენენ ძალადობას, არამედ შეიარაღებულ კაცებსაც არ ერიდებიან. ერთი სიტყვით, დიდად საალბათოა, რომ ესაა ძველების სატირი. შესაძლოა, მეროლას მხოლოდ ეს ცხოველები ჰყავს მხედველობაში, როდესაც მოგვითხრობს, ნადირობის დროს როგორ იჭერენ ზოგჯერ შავკანიანები ველურ კაცებსა და ქალებს".*

მსგავს ანთროპომორფ ცხოველებზეა საუბარი იმავე „მოგზაურობათა ისტორიის" მესამე ტომშიც, სადაც ისინი ბეგოებად *(Beggos)* და მანდრიებად *(Mandrills)* არიან მოხსენიებულნი. აღნიშნული რელაციებიდან მოტანილი ცნობებიც კმარა, რათა ამ ეგრეთწოდებული მონსტრებისა და ადამიანთა მოდგმის საოცარი მსგავსება ვირწმუნოთ; მათსა და ადამიანებს შორის უფრო მცირე სხვაობებია, ვიდრე ეს შეიძლება იყოს თავად ადამიანთა შორის. ჩვენ მიერ მოტანილი ნაწყვეტებიდან არ ჩანს, თუ რას ეფუძნებიან ავტორები, როდესაც ისინი უარს არიან ეს ცხოველები ველურ ადამიანებად იწოდებოდნენ; ადვილი შესაძლებელია, ამის მიზეზი მათი უგუნურება და მეტყველების უუნარობა იყოს. თუმცა ეს ძალზე მყიფე საფუძველია მათთვის, ვინც იცის, რომ, მეტყველების თანდაყოლილი ორგანოს მიუხედავად, თავად მეტყველების უნარი ადამიანს თანდაყოლილი არა აქვს და ვინც იცის, თუ რა-

---

* მეროლა, *„მოგზაურობათა ზოგადი ისტორია,"* წიგნი XII.

ოდენ სრულყო საზოგადოებრივმა ყოფამ ადამიანი პირველყოფილ მდგომარეობასთან შედარებით. რამდენიმე ხაზის შემცველი აღწერები იმ დასკვნის საშუალების იძლევა, თუ რაოდენ ცუდად დააკვირდნენ ამ ცხოველებს და რამდენად წინასწარ შემუშავებული აზრების მიხედვით განსაჯეს ისინი. ასე მაგალითად, მათი დახასიათების თანახმად, ისინი არიან მონსტრები, თუმცა მათ გამრავლებასაც აღიარებენ. ერთგან ბეტელი აცხადებს, რომ ტყით მიმავალ შავკანიანებს პონგოები კლავენ, მეორეგან პერჩელი დასძენს, რომ ისინი მათ მაშინაც კი არ ერჩიან, როდესაც იტაცებენ, ყოველ შემთხვევაში, თუ შავკანიანები გულდაგულ არ აკვირდებიან მათ ქმედებებს; პონგოები შავკანიანთა მიერ დანთებული კოცონის გარშემო იკრიბებიან, როდესაც ცეცხლი ქრება, მიდიან; ასეთია ფაქტი; აი, დამკვირვებლის კომენტარი: *დიდი მოხერხებულობის მიუხედავად, იმდენი აზრი მაინც არა აქვთ, რომ შეშა შეუკეთონ და ცეცხლი შეინარჩუნონ.* მინდა ვიცოდე, საიდან იცის ბეტელმა ან მისმა კომპილატორმა, რომ პონგოები უმალ თავიანთი უგუნურების და არა, უბრალოდ, საკუთარი ნებით ტოვებენ კოცონს. ლოანგოს ჰავის პირობებში, ცეცხლი არ გახლავთ ძალზე აუცილებელი რამ სულიერისათვის; შავკანიანებიც კოცონს არა სიცივის გამო, არამედ, უმალ, მტაცებელ ცხოველთა დასაფრთხობად ანთებენ. ასე რომ, სავსებით ნათელია: ცეცხლის ყურებით, თუ ცეცხლთან გათბობით საკმარისად გახალისებულ პონგოებს როგორც კი ერთ ადგილ-

ზე ყოფნა მობეზრდებათ, საკვების საძებრად მიეშურებიან. რაკი ისინი ხორცს არ ჭამენ, დასანაყრებლად მათ საკმაოდ დიდი დრო სჭირდებათ. სხვათა შორის, ისიც ცნობილია, რომ სულიერთა უმრავლესობა, მათ შორის ადამიანიც, ბუნებით ზარმაცია; თუ რაიმე მართლაც აუცილებელი არაა, ნებისმიერი საზრუნავისთვის თავის არიდებას ცდილობს. დაბოლოს, ძალზე უცნაურია, რომ პონგოებმა – რომელთა ძალასა და მოხერხებასაც ესოდენი ხოტბით იხსენიებენ, თავიანთ მიცვალებულებს რომ მარხავენ, წვიმისაგან თავის დასაცავად კი ხის ტოტებისაგან სახურავებსაც რომ იკეთებენ – ცეცხლში შეშის შეკეთება არ იციან. მაგონდება, ერთხელ თავადაც როგორ გავხდი იმის მოწმე, თუ როგორ აკეთებდა მაიმუნი იმას, რისი გაკეთებაც, როგორც გვარწმუნებენ, პონგოებს არ შეუძლიათ. მართალია, ჩემი აზრები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ამ საგანზე მიმართული და მეც ამიტომ დავუშვი იგივე შეცდომა, რის გამოც ახლა ჩვენს მოგზაურებს ვსაყვედურობ; კერძოდ, არ შევეცადე იმის გარკვევას, მაიმუნის ინტენცია მართლაც ცეცხლის შენარჩუნება იყო თუ, უბრალოდ, როგორც ამჟამად ვფიქრობ, ადამიანის მოქმედების მიბაძვა. როგორადაც არ უნდა იყოს, სრულიად დადასტურებულია: მაიმუნი არა მხოლოდ იმიტომ არ არის ადამიანის ერთგვარი სახესხვაობა, რომ მეტყველების უნარი არ გააჩნია, არამედ, და არსებითად, იმიტომ, რომ ცხოველთა ამ სახეობას – როგორც ეს ვიცით დარწმუნებით – საერთოდ არ გააჩნია ადამია-

ნის მოდგმისათვის ნიშანდობლივი სრულყოფის უნარი. რაკი სათანადო დაკვირვებები ჩატარებულ არ იქნა პონგოებსა და ორანგ-უტანგებზე, მათ შესახებ იმავე დასკვნებს ვერ გამოვიტანთ. თუმცა იქნებოდა რაიმე საშუალება, რომლის მეშვეობითაც ყველაზე ზერელე დამკვირვებლებს გარეგნული ნიშნებითაც შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ – განეკუთვნებოდნენ თუ არა ორანგ-უტანგები და მათი მსგავსი არსებები ადამიანთა მოდგმას. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ამგვარი ექსპერიმენტისათვის მხოლოდ ერთ თაობაზე დაკვირვება არ იკმარებდა, იგი სრულყოფილად განხორციელებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან საჭირო იქნებოდა, რომ ის, რაც მხოლოდ ვარაუდია, მისი უდავობა დადასტურებულიყო მანამდე, ვიდრე ფაქტის დამადასტურებელი სამხილი, უნებურად შესცოდავდა ზნეობის წინაშე.

ნაჩქარევი დასკვნები – არასაკმარისი განათლების ნაყოფი – უკიდურესობათა ობიექტია. ჩვენი მოგზაურები არც კი დაფიქრებულან, ისე მიაკუთვნეს ცხოველებს *პონგოები, მანდრიები და ორანგ-უტანგები,* სწორედ ის არსებები, რომლებიც ძველებმა *სატირების, ფავნებისა და სილვანების* სახელებით ღვთაებებად აქციეს. შესაძლოა, ბევრად უფრო ზუსტი გამოკვლევების შემდეგ დაედგინათ, რომ ისინი ცხოველები ან ღმერთები კი არა, ადამიანები არიან. ამასობაში, ვფიქრობ, იმდენივე საფუძველი გვაქვს ვენდოთ განათლებულ და რელიგიურ არსებას, ყოველივე ამის თვით-

მხილველ მეროლას, რომელიც, მთელი მისი გულუბრყვილობის მიუხედავად, მაინც გონიერი ადამიანი იყო, ვიდრე ვაჭარი ბეტელი, დრაპერი, პერჩელი და სხვა კომპილატორები.

რა დასკვნას გამოიტანდნენ მსგავსი დამკვირვებლები 1694 წელს ნაპოვნ ბავშვზე (რომლის თაობაზეც ზემოთ მოგახსენეთ; იხ. შენიშვნა 3), რომელიც გონიერების ნიშანწყალსაც არ ავლენდა, ოთხით დადიოდა, არ მეტყველებდა და არაადამიანურ ხმებს გამოსცემდა? „დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ – განაგრძობს იგივე ფილოსოფოსი, რომელსაც ამ ფაქტს დავესესხე, ვიდრე იგი რამდენიმე სიტყვის ძალზე უთავბოლოდ და უცნაურად წარმოთქმას შეძლებდა. როგორც კი მეტყველება ისწავლა, მის უწინდელ მდგომარეობაზე შეეკითხნენ, მაგრამ ამის თაობაზე მას იმდენივე ახსოვდა, რამდენიც გვახსოვს ჩვენ იმის შესახებ, რაც აკვნის ასაკში თავს გადაგვხვდა. ამ ბავშვის საუბედუროდ, მას რომ ჩვენი მოგზაურები გადაყროდნენ, მისი უტყვობისა და უგუნურების მოწმენი, უდავოდ, ან კვლავ ტყეში გაუშვებდნენ, ან, როგორც ადამიანის მსგავს უცნაურ ცხოველს, გალიაში გამოამწყედევდნენ; ამის შემდეგ კი მასზე, როგორც ძალზე საინტერესო, ადამიანის საკმაოდ მსგავს ცხოველზე, მეცნიერის დარად მოგვითხრობდნენ თავიანთ მშვენიერ რელაციებში.

სამი თუ ოთხი საუკუნეა, რაც ევროპის მკვიდრნი მსოფლიოს ყველა მხარეს მოედნენ; ისინი გამუდმებით აქვეყნებენ თავიანთ მოგ-

ზაურობათა და რელაციათა ახალ-ახალ კრებულებს; და მაინც, დარწმუნებული ვარ, ჩვენ მხოლოდ ევროპელებს ვიცნობთ, რადგან სასაცილო წინასწარ რწმენათა წყალობით, ჯერ კიდევ რომ არ მისცემია დავიწყებას თავად მწერალთა საზოგადოებაშიც, ყოველი მათგანი, ადამიანის შესწავლის ხმამაღალი, პომპეზური განცხადებით, რეალურად მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ადამიანთა კვლევას გვთავაზობს. კერძო პირებს შეუძლიათ იმდენი იარონ ამ დუნიაზე, რამდენიც მოესურვებათ; ეტყობა, ფილოსოფია საერთოდ არ მოგზაურობს; ასევე, ყოველი ხალხის ფილოსოფია რომელიმე სხვა ხალხისათვის ნაკლებ გამოსადეგია. ამის მიზეზი ნათელია, ყოველ შემთხვევაში, დიდად დაშორებულ მხარეებთან მიმართებით. შორეულ მოგზაურობაში მხოლოდ ოთხი ტიპის ადამიანები – მეზღვაურები, ვაჭრები, ჯარისკაცები და მისიონერები – მიემგზავრებიან. პირველი სამი სახის ადამიანთა კარგი დაკვირვებების იმედად ვერ ვიქნებით; რაც შეეხება მეოთხეთ, დიადი მოწოდებით შთაგონებულ ადამიანებს – ყველა სხვა ფენის ადამიანთა მსგავსად, თუ ისინი არ იქნებოდნენ თავიანთი მდგომარეობისთვის ნიშანდობლივი განსჯამდელი აზრების ტყვეობაში – უნდა ვივარაუდოთ, რომ დაენანებოდათ დრო, ერთი შეხედვით, წმინდა ცნობისმოყვარეობით აღძრული კვლევა-ძიებისათვის, რომელიც მათ უფრო მნიშვნელოვანი, მათივე მოწოდების საგნისაგან ყურადღებას გადაატანინებდა. გარდა ამისა, ღვთისმოსაობით სახარების ქადაგება მხო-

ლოდ გულმოდგინებას ითხოვს, დანარჩენი კი ღმერთის ნებაა; მაგრამ ადამიანთა შესასწავლად საჭირო ნიჭს ღმერთი არავის ანიჭებს და ყოველთვის არც წმინდანთა ხვედრია. მოგზაურობათა შესახებ ერთ წიგნსაც ვერ ნახავთ, ხასიათები და ზნე-ჩვეულებები რომ არ იყოს აღწერილი; გასაოცარია, ამდენი რამის აღმწერი ადამიანები მხოლოდ ყველასათვის ცნობილ ამბებს გვამცნობენ; ქვეყნის დასალიერზე მხოლოდ ის შენიშნეს, რასაც საკუთარ ქუჩასაც რომ არ გასცდენოდნენ, ისედაც გაიგებდნენ; ხალხთა განმასხვავებელი ნამდვილი ნიშნები, ცოტაოდენ გულისხმიერი ადამიანის გაოცებას რომ იწვევს, თითქმის ყოველთვის უსხლტებოდა მათ მზერას. აქედან მიეცა დასაბამი ჩვენს ფილოსოფოსთა მიერ ესოდენ ბანალურად ქცეულ მშვენიერ მაქსიმასაც: „ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან“. ყველგან იგივე ვნებები, იგივე მანკიერებებია, ასე რომ, სხვადასხვა ხალხთა დახასიათება საკმაოდ ფუჭი მცდელობაა; ასეთი რამ დაახლოებით ისევე გონივრულია, როგორც ამის თქმა: შეუძლებელია პეტრესა და იაკობის ერთმანეთისაგან განსხვავება იმიტომ, რომ ორივეს ცხვირი, პირი და თვალები აქვს.

ნუთუ არასოდეს დადგება ის ბედნიერი დრო, როდესაც ადამიანები კი აღარ მოყვებიან ფილოსოფოსობას, არამედ სწავლის მძაფრი სურვილით შეპყრობილი პლატონები, თალესები და პითაგორენი მხოლოდ ახალი ცოდნის შესაძენად წამოიწყებდნენ ყველაზე დიდ მოგზაურობებს და შორეულ მხარეებში გაე-

შურებოდნენ ეროვნულ წინასწარრწმენათა უღლისაგან განსათავისუფლებლად, მსგავსებებისა და სხვაობების საფუძველზე ხალხთა შესასწავლად და იმ უნივერსალური ცოდნის მისაღებად, რომელიც ერთი საუკუნისა თუ ექსკლუზიურად მხოლოდ ერთი ქვეყნის კუთვნილება კი არ გახლავთ, არამედ, ყველა დროსა და ქვეყანაში არსებული, ასე ვთქვათ, ბრძენთა საერთო მეცნიერებაა!

აღტაცებას იწვევს გულუხვობა იმ ცნობისმოყვარე ადამიანებისა, რომლებიც არ მოერიდნენ დიდ ხარჯებს და სწავლულებსა და მხატვრებთან ერთად იმოგზაურეს, ან სხვები გაგზავნეს აღმოსავლეთში, რათა მათ ტილოზე აღებეჭდათ ღარიბული ქოხები, გაეშიფრათ ან გადაეწერათ ნანგრევებზე შემორჩენილი წარწერები; მაგრამ მიჭირს შემდეგის გაგება: ჩვენს საუკუნეში, როდესაც ესოდენ მიღებულია ზოგადი ცოდნით თავის მოწონება, როგორ არ აღმოჩნდა დიდების სიყვარულითა და უკვდავების სურვილით შეპყრობილი ორი საკმაოდ შეხმატკბილებული ადამიანი მაინც – ერთი ფულით მდიდარი, მეორე კი ნიჭით – რომელთაგანაც ერთი თავისი ქონებიდან ოცი ათას ეკიუს, მეორე კი საკუთარი სიცოცხლის ათ წელს გაიღებდა მსხვერპლად მსოფლიოს გარშემო ისტორიული მოგზაურობის მიზნით, რათა ერთხელ მაინც უწინდებურად არა ქვები და მცენარეები, არამედ ადამიანები და მათი ზნე-ჩვეულებები შეესწავლათ; რათა შენობანაგებობათა გაზომვასა და კვლევაზე გალეუ-

ლი ამდენი საუკუნის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მათ მკვიდრთა შესწავლაც ენებათ.

აკადემიკოსებმა, რომელთაც ევროპის ჩრდილოეთი და ამერიკის სამხრეთი ნაწილები შემოიარეს, ეს მხარეები უმეტესად გეომეტრიის სპეციალისტების დარად და არა ფილოსოფოსის თვალით მოინახულეს. მაგრამ, ვინაიდან ისინი ერთნიც იყვნენ და მეორენიც, ლა კონდამინისა და მოპერტუის მიერ ნანახი და აღწერილი რეგიონები სრულიად უცნობ მხარეებად ვერ ჩაითვლება. პლატონის სადარი სულისკვეთების მქონე მოგზაურმა, ოქრომჭედელმა შარდენმა სპარსეთზე უთქმელი არაფერი დატოვა; ეტყობა, ჩინეთი უფრო უკეთ იეზუიტებმა შეისწავლეს. კემპფერი რიგიან წარმოდგენას იძლევა იაპონიაზე. გარდა ამ რელაციებში მოცემული ცნობებისა, საერთოდ არაფერი ვიცით აღმოსავლეთ ინდოეთის მცხოვრებლებზე, რომლებიც, ძირითადად, იმ ყაიდის ევროპელებმა მოინახულეს, უმალ საკუთარი ჯიბის, და არა თავის ავსებაზე რომ ზრუნავდნენ. ჯერ კიდევ შესასწავლია აფრიკა და მისი მრავალრიცხოვანი მკვიდრნი – ძალზე საინტერესონი, როგორც კანის ფერით, ისე თვისებებით. მთელი დედამიწა მოფენილია ხალხებით, რომელთა მხოლოდ სახელები ვიცით, ჩვენ კი ადამიანთა მოდგმის განსჯა გვსურს! დავუშვათ, თანამემამულეთა განათლების მიზნით, მოგზაურობა წამოეწყო ვინმე მონტესკიეს, ბიუფონს, დიდროს, დიუკლოს, დ'ალამბერს, კონდილიაკს ან მათი ყაიდის ადამიანებს; თავიანთი ნიჭისა და უნარის კვა-

ლობაზე შეესწავლათ და აღეწერათ თურქეთი, ეგვიპტე, ბერბერია*, მაროკოს იმპერია, გვინეა, კაფრების ქვეყანა, ცენტრალური აფრიკა და მისი აღმოსავლეთი სანაპიროები, მალაბარი, მონღოლეთი, მდ. განგის სანაპიროები, სიამის, პეგუსა და ავას** სამეფოები, ჩინეთი, მონღოლეთი, განსაკუთრებით კი იაპონია; შემდეგ, მეორე ნახევარსფეროზე, მექსიკა, პერუ, ჩილე, მაგელანის სრუტის მიმდებარე რეგიონები; არც რეალური თუ მითიური პატაგონები დავინყებოდათ; ტუკუმანი*** და პარაგვაი, თუ შესაძლებელი იქნებოდა ბრაზილიაც, დაბოლოს, კარიბის კუნძულები, ფლორიდა და ველურებით დასახლებული ყველა მხარე. ეს იქნებოდა ოდესმე მოწყობილ მოგზაურობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი მოგზაურობა, რომელიც უდიდესი გულმოდგინებით უნდა ჩატარებულიყო. დავუშვათ, თავიანთი ღირსშესანიშნავი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, მოცალეობის ჟამს ამ ახალი დროის ჰერკულესებს აღეწერათ მათ მიერ ნანახი ბუნება, დაეწერათ მორალისა და პოლიტიკის ისტორია, მაშინ მათი ნაწერებიდან ჩვენს წინაშე ახალი სამყარო წარმოჩნდებოდა და ჩვენსაც უკეთ შევიცნობდით. ჩემი აზრით, როდესაც მსგავსი დონის დამკვირვებლები ამა თუ

---

* ბერბერია – ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონების ძველი სახელწოდება.

** პეგუ — ინდოეთის პროვინცია; ავა — ბირმის პროვინცია.

*** ტუგუმანი — არგენტინის პროვინცია.

იმ ცხოველის ადამიანობას, ან ამა თუ იმ ცხოველის ცხოველობას ნამდვილად დაამტკიცებდნენ, მათთვის უნდა დაგვეჯერებინა. მაგრამ დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა ამ საკითხთან დაკავშირებით ნდობით მოვკიდებოდით იმ უვიც მოგზაურთა მონაცემებს, ვისაც, ზოგჯერ, სწორედ იგივე საკითხი დაუსვეს, რომლის გადაწყვეტასაც ისინი სხვა სულიერ არსებათა მიმართ ლამობენ.

11. ეს მე სავსებით ცხადი მგონია; არ მესმის, რაში ხედავენ ჩვენი ფილოსოფოსები დასაბამს ყველა იმ ვნებისა, რომელთაც ბუნებით მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მიაწერენ. გარდა ფიზიკური აუცილებლობისა, რასაც თავად ბუნება ითხოვს, ჩვენი ყველა სხვა მოთხოვნილება დასაბამს უნდა უმადლოდეს მხოლოდ ჩვევას, რომლის წარმოშობამდეც მათ მოთხოვნილებები თუ ჩვენი სურვილები არც ეთქმოდათ; სურვილით კი მხოლოდ ის შეგვიძლია ვისურვოთ, რისი შემეცნების უნარიც შეგვწევს. აქედან გამომდინარე, ველურს მხოლოდ ის სურს, რაც იცის და რაკი მას მხოლოდ ის სურს, რისი შემეცნებაც მას ძალუძს, ან მისთვის იოლი შესაძენია, ამდენად, მისი არსებობისათვის ყველაზე ნიშანდობლივი უნდა იყოს სულის სიმშვიდე და გონების შეზღუდულობა.

12. ლოკის ნაშრომში „სამოქალაქო მმართველობა"*, არის ერთი, ჩემი აზრით, ძალზე

---

* *„სამოქალაქო მმართველობის მეორე ტრაქტატი"*, თ. 7, პარაგრაფი 79-80.

ყურადსაღები მოსაზრება, რომელსაც დუმილით გვერდს ვერ აუვლი. ამ ფილოსოფოსის თანახმად, „*მდედრისა და მამრის კავშირის მიზანი არა უბრალოდ შთამომავალთა ამქვეყნად მოვლინება, არამედ მოდგმის გაგრძელებაა; ამდენად, მათ შორის კავშირი პროკრეაციის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს, ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე, მანამდე, ვიდრე პატარები საკვებსა და დაცვას საჭიროებენ, ე.ი. მანამდე, ვიდრე არსებობისათვის ყოველივე აუცილებლის მოპოვება თავადვე არ შეეძლებათ. შესაქმის უსაზღვრო სიბრძნით დადგენილ ამ წესს ყველა მის მიერ შექმნილი სულიერი – განვითარებით ადამიანზე დაბლა მდგომი – გამუდმებით და ზედმიწევნით ზუსტად იცავს. ბალახისმჭამელ ცხოველებში ძუსა და ხვადის ურთიერთობის ხანგრძლივობა შეწყვილებისათვის საჭირო დროის მონაკვეთს არ აღემატება. ვიდრე პატარები ბალახის ძოვას თავად შეძლებდნენ, მათ გამოსაკვებად დედის რძეც კმარა; მამრი ცხოველი მხოლოდ მათი ამქვეყნად მოვლინებით კმაყოფილდება, ამის შემდეგ აღარც ზრუნავს მდედრსა და პატარებზე, რომელთა არსებობასაც ვერაფრით გაუწევს დახმარებას. რაც შეეხება მტაცებლებს, მათთან მდედრისა და მამრის თანაცხოვრება ბევრად უფრო ხანგრძლივად გრძელდება, ვინაიდან მდედრს არ შეუძლია მხოლოდ მის მიერ დაჭერილი ნადავლით თავადაც დანაყრდეს და პატარებიც გამოკვებოს. ბალახისმჭამელი ცხოველებისაგან განსხვავებით, მტაცებლებისათვის საკვების მოპოვება ბევ-*

რად უფრო რთული და სახიფათოა, ამიტომ მამრის დახმარება საერთო ოჯახის (თუ მაქვს ასეთი გამოთქმის გამოყენების უფლება) შესანარჩუნებლად, უდავოდ აუცილებელია. ვიდრე პატარა ნადავლის მოპოვებას დამოუკიდებლად შეძლებდეს, მას არსებობა მხოლოდ მდედრისა და მამრის ერთობლივი ზრუნვით შეუძლია. იგივე შეინიშნება ფრინველებშიც (გამონაკლისია შინაური ფრინველები, რომელთაც საკვები მუდამ უხვად აქვთ და პატარების კვებაზე ზრუნვა არ უწევთ). ვიდრე ბარტყები ფრენას ისწავლიდნენ და დამოუკიდებლად შეძლებდნენ საზრდოს მოპოვებას, ბუდეში მყოფთ, საკვებით მდედრი და მამრი ფრინველები უზრუნველყოფენ.

„ჩემი აზრით, ადამიანთა მოდგმაში ქალისა და მამაკაცის უფრო ხანგრძლივი თანაცხოვრების ერთადერთი თუ არა, მთავარი მიზეზი ისაა, რომ სხვა სულიერი არსებებისაგან განსხვავებით, ვიდრე მშობლების გარეშე პატარა დამოუკიდებლად შეძლებს ყოველივე აუცილებლით თავის უზრუნველყოფას, ჩასახვის უნარის მქონე ქალი კვლავ ფეხმძიმდება და კიდევ ბავშვს აჩენს. ამგვარად, მამა იძულებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზრუნავდეს მათზე, ვინც ამ ქვეყანას მოავლინა; გარდა ამისა, მას მოვალეობად აწევს ცოლქმრული ურთიერთობა შეინარჩუნოს ქალთან, ვინც მას შვილები გაუჩინა და შესაბამისად, უფრო ხანგრძლივად უწევს მასთან დარჩენა, ვიდრე სხვა არსებებს, რომელთა პატარებსაც მომდევნო პროკრეაციამდე ბევრად ადრე შე-

უძლიათ საარსებო საშუალებების დამოუკიდებლად მოპოვება. ასე რომ, მდედრსა და მამრს შორის კავშირი თავისთავად წყდება და, ჩვეულებრივ, ვიდრე ბუნებრივი ლტოლვა კვლავ შეწყვილებისა და ახალ მეწყვილეთა მოძიებისაკენ არ უბიძგებს, მანამდე ორივენი სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ გაგაოცოთ კრეატორის სიბრძნემ, რომელმაც, დააჯილდოვა რა ადამიანი მისთვის ნიშანდობლივი ისეთი თვისებებით, რომელთა წყალობითაც იგი არა მხოლოდ აწმყოზე, არამედ მომავალზეც ზრუნავს, იმავდროულად, სხვა სულიერ არსებათა მდედრისა და მამრის კავშირისაგან განსხვავებით, ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრების უფრო ხანგრძლივად გაგრძელებაც ინება, რათა ამით მათ მეტი საბაბი ჰქონოდათ შრომისმოყვარეობის გამოსავლენად, ხოლო შვილების რჩენაზე ზრუნვასა და მათთვის გარკვეული ოდენობის ქონების დატოვების სურვილს მეტად უზრუნველეყო ინტერესთა ერთიანობა: მართლაც, გაურკვეველ და არამყარ, თუ იოლად და ხშირად დარღვევად ცოლ-ქმრულ კავშირზე უფრო დამღუპველი არაფერი იქნებოდა ბავშვებისათვის“.

ჭეშმარიტების სიყვარული, რომლის შთაგონებითაც გულნრფელად ნარმოვადგინე ეს საწინააღმდეგო მოსაზრება, მის გადასაჭრელად თუ არა, სულ ცოტა, მეტი სიცხადისათვის რამდენიმე შენიშვნის გამოსათქმელად მაგულიანებს.

1. ჯერ ერთი, შევნიშნავ: ფიზიკურ ურთიერთობებთან მიმართებით, ბუნებრივ სამხილებს დიდი ძალა არ გააჩნია; მათი მიზანი უმალ არსებულ ფაქტთა ახსნა და არა ამ უკანასკნელთა რეალური არსებობის კონსტატაციაა. ჩემ მიერ ახლახან მოხმობილი ამონარიდის ლოკისეული სამხილები სწორედ ასეთთა რიგს განეკუთვნება; რადგან, თუმცა ადამიანთა მოდგმისათვის კაცისა და ქალის კავშირების პერმანენტულობა, შესაძლოა, მომგებიანია, მაგრამ ეს როდი მოწმობს, რომ ასე იქნა დადგენილი ბუნების მიერ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაშინ ისიც უნდა გვეღიარებინა, რომ მანვე დაადგინა სამოქალაქო საზოგადოება, ხელობები, ვაჭრობა და ყოველივე ისიც, რაც ადამიანისთვის სასარგებლოდაა მიჩნეული.

2. არ ვიცი, საიდან მოიტანა ბ-ნმა ლოკმა, რომ ბალახისმჭამელი ცხოველებისაგან განსხვავებით, მტაცებლებში ძუსა და ხვადის ერთად ყოფნა უფრო ხანგრძლივად გრძელდება, რომ ერთი მეორეს პატარების გამოკვებაში ეხმარება. ფაქტია, ვერ ვხედავთ, რომ ძაღლი, კატა, დათვი თუ მგელი უკეთ განასხვავებდეს თავის მდედრს იმავე სახეობის სხვა ძუ ცხოველისაგან, ვიდრე ამას ახერხებს ცხვარი, ხარი, ირემი თუ სხვა ოთხფეხა ცხოველი; ჩანს, პირიქითაა, მამრის დახმარება პატარების გამოსაკვებად ბალახისმჭამელ ძუ ცხოველს უფრო ესაჭიროება, ვინაიდან ძუს ხანგრძლივად უწევს საძოვრად ყოფნა, შესაბამისად, ამ დროის მანძილზე პატარების საზრდოს გარეშე დატოვება. მაშინ, როდესაც ძუ დათვი თუ

მგელი, ნადავლს სანსლავს მყისიერად, შიმშილის გრძნობა აღარ აწუხებს და მეტი დრო აქვს პატარების გამოსაკვებად. აღნიშნული მოსაზრება ხორცისმჭამელ და ბალახისმჭამელ ძუ ცხოველთა ძუძუს თავების რაოდენობითაც დასტურდება (ამაზე ზემოთ, №8 შენიშვნაში მოგახსენეთ). თუ აღნიშნული სწორად და საყოველთაოდ იქნება აღიარებული, მაშინ, რაკი ქალს მხოლოდ წყვილი ძუძუ აქვს და, ჩვეულებრივ, ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ ბავშვს შობს, ეს იმ ეჭვის კიდევ ერთი საფუძველია, რომ ბუნებით ადამიანის მოდგმა ხორცისმჭამელთა რიგს განეკუთვნება. ასე რომ, ლოკისეული დასკვნის გამოსატანად, ალბათ, მთელი მისი მსჯელობა თავდაყირა უნდა დაგვეყენებინა. არანაკლებ უსაფუძვლოა იგივე დაყოფა ფრინველთა მიმართაც. მართლაც, ვის დაარწმუნებდით, რომ მდედრსა და მამრს შორის კავშირი შევარდნებსა თუ ყვავებში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე გვრიტებში? იხვი და მტრედი, ორი სახეობის შინაური ფრინველი, მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რაოდენ ურთიერთსაპირისპირო მაგალითებს გვთავაზობს ხსენებული ავტორის სისტემა. მტრედი, რომელიც მხოლოდ მარცვლეულით იკვებება, თავის მდედრთან ერთად ზრუნავს ბარტყების საკვებზე. გაუმაძღრობით ცნობილი იხვი არ ცნობს თავის მდედრსა და პატარებს, ამდენად, არც მათი საკვებით უზრუნველყოფით იწუხებს თავს; ხორცს ქათმებიც კარგად მირთმევენ, თუმცა მამალი წიწილებს საერთოდ არ პატრონობს. ასე რომ, ფრინველთა სხვა სა-

ხეობებში მდედრთან ერთად მამრი იმიტომ ირჯება პატარების რჩენაზე, რომ ბარტყებს ფრენა არ შეუძლიათ, დედას კი მათ გამოსაკვებად რძე არ გააჩნია. ამიტომ მამრის დაუხმარებლად – განსხვავებით ოთხფეხა ცხოველებისაგან, რომელთა პატარების სარჩენად რაღაც დროის განმავლობაში დედის რძეც კმარა – მდედრი იოლას ვერ გავა.

3. საკმაოდ უსაფუძვლოა ის ფაქტიც, რომელსაც ეფუძნება ლოკის მთელი მსჯელობა. მისი მტკიცების თანახმად, იმის გასაგებად, კიდევ აჩენდა თუ არა ბუნებით მდგომარეობაში მყოფი ქალი ბავშვს მანამდე, ვიდრე პირველი შვილი დამოუკიდებლად შეძლებდა საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამის დასადასტურებლად საჭირო იქნებოდა ცდების ჩატარება, რაც, ცხადია, ლოკს არ ჩაუტარებია და ეს (მათი ჩატარება) არც არავის ძალუძს. ცოლ-ქმრის ხანგრძლივი თანაცხოვრება იმდენად ხელსაყრელი პირობაა ქალის კვლავ დაფეხმძიმებისათვის, რომ ძნელი დასაჯერებელია, ბუნებით მდგომარეობაში შემთხვევით კავშირს თუ მხოლოდ სქესობრივ ლტოლვას ძალზე დიდი სიხშირით გამოეწვია ისეთი შედეგები, როგორიც ცოლქმრულ ურთიერთობას მოჰყვება; ქალის კვლავ დაფეხმძიმებამდე პერიოდის ხანგრძლივობას, შესაძლოა, უფრო ძლიერი ბავშვების დაბადებისათვის შეეწყო ხელი და ჩასახვის უნარი ქალსაც ბევრად ხანდაზმულ ასაკამდე შეენარჩუნებინა, ახალგაზრდას რომ იგი (ეს უნარი) ნაკლებად გამოეყენებინა ბოროტად. რაც შეეხე-

ბა ბავშვებს, მრავალი საფუძველია იმის სარწმუნოდ, რომ მათი ძალები და ორგანოები ბევრად უფრო ნელა ვითარდება ჩვენში, ვიდრე ეს ხდებოდა იმ ბუნებრივ მდგომარეობაში, რომელზეც ვსაუბრობ. მშობლებისგან მემკვიდრეობით მიღებული სისუსტე, მათი ზრუნვა ბავშვების კიდურების შესაფუთად და შესაბოჭად, აღზრდის სისათუთე, ასევე, დედის რძის სხვა რძით შეცვლის ჩვეულება, ყოველივე აღნიშნული ეწინააღმდეგება და აყოვნებს ბუნების პირველ პროგრესს ბავშვებში. უამრავი რამ, რის შემეცნებაზეც გამუდმებით აიძულებენ ყურადღების გამახვილებას, სხეულებრივი ძალების განვითარებას კი უყურადღებოდ ტოვებენ, შესაძლოა, ასევე მნიშვნელოვნად აბრკოლებს ბავშვთა ზრდა-განვითარებას; ერთი სიტყვით, ყოველგვარი საშუალებებით მოზარდის გონების გადატვირთვისა და გადაღლის ნაცვლად, მათი სხეულისათვის გამუდმებული მოძრაობებით გაძლიერების საშუალება რომ დაენებებინათ, რასაც, ჩანს, ბუნება ითხოვს მათგან, ალბათ, მაშინ ბავშვები ბევრად ადრე შეძლებდნენ სიარულსაც, მოქმედებასაც და საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც.

4. დაბოლოს, ბ-ნი ლოკის მტკიცებით, ქალთან ხანგრძლივად დასარჩენად ბავშვი უფრო მეტი საბაბი იქნებოდა მამაკაცისათვის; მაგრამ საერთოდ არ ამტკიცებს, რომ მშობიარობამდე, ფეხმძიმობის ცხრა თვის განმავლობაშიც მასთან უნდა დარჩენილიყო. ამ ცხრა თვის განმავლობაში მამაკაცი თუ იმ-

დენად გულგრილია თავისი მეწყვილე ფეხმძიმე ქალის მიმართ, რომ იგი უცნობიც კი ხდება მისთვის, მაშინ, რატომ აღმოუჩენს მხარდაჭერას მშობიარობის შემდეგ? რატომ დაეხმარება იმ ბავშვის აღზრდაში, თუ დარწმუნებით ისიც არ იცის, რომ იგი მისია და რომლის დაბადება, შესაძლოა, არც უნდოდა და არც იცოდა? ეტყობა, ლოკს დადასტურებულად მიაჩნია ის, რაც სადავოა. საკითხი ეხება არა იმას, თუ რატომ რჩება მშობიარობის შემდეგ მამაკაცი თავის მეწყვილე ქალთან, არამედ იმას, თუ ჩასახვის შემდეგ რატომ უნდა იყოს მასზე მიჯაჭვული, რა უნდა აკავშირებდეს მასთან. სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ, ესა თუ ის ქალი კაცს, და პირუკუ – ესა თუ ის მამაკაცი ქალს – აღარ ესაჭიროება. კაცი არც ფიქრობს და, შესაძლოა, წარმოდგენაც კი არა აქვს თავისი ქმედების შედეგებზე. ასე რომ, ქალი ერთი გზით მიემართება, კაცი – მეორეთი; არ ჩანს, რომ ცხრა თვის შემდეგ კვლავ იცნობენ და გაიხსენებენ ერთმანეთს, ვინაიდან მეხსიერება, რომლის წყალობითაც გენერაციის მიზნით სქესობრივი კავშირისათვის ინდივიდი სწორედ ერთ კონკრეტულ ინდივიდს ირჩევს, ბევრად უფრო განვითარებულ თუ გადაგვარებულ გონებას (როგორც ამას ტექსტშიაც ვამტკიცებ) ითხოვს. ასეთ გონებას ვერ მივაწერთ ცხოველის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, რომელზეც საუბარია. მამაკაცის კვლავ აღძრული ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება რომელიმე სხვა ქალსაც ისევე კარგად შეუძლია,

როგორც იმას, ვისთანაც ადრე ჰქონია ურთიერთობა, და პირუკუ: რომელიმე სხვა მამაკაცსაც ასევე შეუძლია უწინდელი პარტნიორის შეცვლა თუ დავუშვებთ, რომ სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი ფეხმძიმე ქალსაც აღეძვრება; არც ასეთი ეჭვია საფუძველს მოკლებული. ბუნებით მდგომარეობაში, ჩასახვის შემდეგ ასეთი მოთხოვნილება ქალს თუ არ აღეძვრებოდა, მაშინ იმავე მამაკაცთან მიჯაჭვულობის დამაბრკოლებელ ვითარებათა ალბათობა კიდევ უფრო მოიმატებდა, რადგან მას აღარც ის მამაკაცი დასჭირდებოდა, ვისგანაც დაფეხმძიმდა და არც რომელიმე სხვა. ასე რომ, იმავე ქალისა და იმავე მამაკაცის მოსაძებნად მათ არაფერი შეაგულიანებდა. ამგვარად, ლოკის მთელი მსჯელობა ინგრევა. ამ ფილოსოფოსის მთელმა დიალექტიკამაც კი ვერ დაიცვა ჰობსი და სხვა ფილოსოფოსები შეცდომისაგან. მათ უნდა აეხსნათ ბუნებითი მდგომარეობის ფაქტი, ე.ი. ისეთი მდგომარეობისა, როცა ადამიანები ცხოვრობდნენ განცალკევებით, როცა ერთ რომელიმე ადამიანს არავითარი საბაბი არ ჰქონდა მეორის გვერდით საცხოვრებლად და, შესაძლოა (რაც კიდევ უფრო უარესია), მათ საერთოდაც არ სურდათ გვერდი-გვერდ ცხოვრება; ამ ფილოსოფოსებს აზრადაც არ მოსვლიათ იმ საუკუნეთა წიაღში ჩაღრმავება, ანუ იმ ეპოქაში გადასვლა, როდესაც ადამიანებს ყოველთვის აქვთ რაღაც საფუძველი, რაიმე საბაბი ერთი რომელიმე კაცის ან ქალის გვერდით დასარჩენად.

13. თავს შევიკავებ ენათა ინსტიტუციასთან დაკავშირებულ უპირატესობებსა და შეუსაბამობებზე ფილოსოფიური რეფლექსიებისაგან; გავრცელებული ტრივიალური ცდომილებების კრიტიკას მე არ დამანებებენ, სნავლული ადამიანები იმდენად დიდი პატივით ეკიდებიან თავიანთ განსჯამდელ აზრებს, რომ ჩემს ე.წ. პარადოქსებს მოთმინებით ვერ აიტანენ. ამიტომ, მოდით, მოვუსმინოთ იმ ადამიანებს, რომელთაც დანაშაულად არ ჩაუთვალეს ის, რომ ზოგჯერ გაბედეს და, უმრავლესობის აზრისაგან განსხვავებით, გონიერების მხარე დაიკავეს. *„ადამიანის მოდგმას არაფერი დააკლდებოდა, თუ უამრავ ენათა არსებობით გამოწვეულ სირთულეთა და გაუგებრობათაგან ერთხელვე განთავისუფლებულნი, მხარს დაუჭერდნენ ენის ხელოვნების ერთგვაროვან სისტემას, რათა სასურველი რამის ახსნა შესაძლებელი ყოფილიყო ნიშნებით, მოძრაობებითა და ჟესტებით. მაგრამ ამჟამინდელი ვითარების თანახმად, უგუნური ცხოველების ხვედრი ჩვენსაზე ბევრად სახარბიელოა იმდენად, რამდენადაც ისინი თავიანთ შეგრძნებებსა და აზრებს ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშეც უფრო სწრაფად და, შესაძლოა, უკეთაც გამოხატავენ, ვიდრე ზოგჯერ ამას ადამიანები ახერხებენ, განსაკუთრებით თუ ეს მათ უცხო ენაზე უწევთ*[*]*“*.

---

[*] ისააკ ვოსიუსი, *პოეტური მუსიკალობა და რითმის თავისებურებები*, გვ. 65-66.

14. პლატონი* გვიჩვენებს, თუ რაოდენ აუ-
ცილებელია დისკრეტული სიდიდის იდეებისა
და მათი მიმართებების ცოდნა ყველაზე მარ-
ტივ ხელობებში; იგი სამართლიანად დასცინის
თავისი დროის იმ ავტორებს, რომელთა მტკი-
ცებითაც პალამედემ ტროას ალყის დროს გა-
მოიგონა რიცხვები; ამ ფილოსოფოსის თქმით,
შესაძლოა, მანამდე აგამემნონს არც სცოდნო-
და, რამდენი ქვედა კიდური ჰქონდა**. მარ-
თლაც, შეუძლებელია იმის დაშვება, რომ
ტროას ალყის დროინდელ საზოგადოებასა და
ხელობებს განვითარების არსებული დონი-
სათვის რიცხვებისა და გამოანგარიშებების
უცოდნელად მიეღწია. მაგრამ სხვა ცოდნათა
შეძენამდე, რიცხვების ცოდნის აუცილებლო-
ბა მათ გამოგონებას უფრო გასაგებს როდი
ხდის. რაკიღა რიცხვთა სახელები ერთხელვე
ცნობილი შეიქნა, მათი საზრისის ახსნა და ამ
სახელდებებით შექმნილი იდეების წარმოდგე-
ნა იოლი ასახსნელია. მაგრამ რიცხვების გა-
მოგონებამდე, თავად ამ იდეათა შემეცნებამ-
დე, საჭირო იყო, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური
მედიტაციების გარკვეული ჩვევა, ყოველგვა-
რი პერცეფციისაგან დამოუკიდებლად, მხო-
ლოდ საგანთა არსის საფუძველზე, მათი შეს-
წავლის გამოცდილება. ასეთი სახის აბსტრა-
ჰირება უზომოდ რთული, ფრიად მეტაფიზი-
კური, ძალზე მცირედ ბუნებრივი რამაა, მაგ-
რამ ყოველივე ამის გარეშე სხვადასხვა გვარი-

---

* *რესპუბლიკა*, ნიგნი VII, 522.

** პლატონი, *რესპუბლიკა*, VII, პარაგრაფი 522 d.

სა და სახეობის მიმართ ამ იდეათა თანამიმ-
დევრულად გამოყენებაც შეუძლებელი იქნე-
ბოდა და რიცხვითი სახელებიც ვერ შეიძენდა
უნივერსალურ მნიშვნელობას. საკუთარი მარ-
ჯვენა და მარცხენა კიდურის ცალ-ცალკე შე-
ფასება, ან ორივე მათგანის გაუყოფად წყვი-
ლად მიჩნევა ნებისმიერ ველურს შეეძლო; მაგ-
რამ აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ორი კიდუ-
რი ჰქონდა: ერთია საგნის წარმომდგენი, რეპ-
რეზენტაციული კონცეპტი, და სხვა საგნის
განმსაზღვრელი, დეტერმინატიული რიცხვი-
თი ცნება. კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლებო-
და ველურს ხუთამდე დათვლა, თუმცა ხელის
მტევნების ერთმანეთზე დადებით შეეძლო შე-
ემჩნია, რომ ორივე მტევნის თითები ზუსტად
ესადაგებოდა ერთმანეთს, მაგრამ მათი რიც-
ხობრივი ტოლობა აზრადაც არ მოუვიდოდა;
თითების რაოდენობაზე ისეთივე მწირი წარ-
მოდგენა ჰქონდა, როგორც თმისაზე; ვინმეს
მისთვის რიცხვის რაობა რომც აეხსნა და ეთ-
ქვა, რომ ტერფებზეც იმდენივე თითი ჰქონდა,
რამდენიც ხელებზე, შესაძლოა, – თუ მათ
დათვლიდა და თქმულის სიმართლეშიც დარ-
წმუნდებოდა – დიდადაც გაოცებულიყო.

15. თავისმოყვარეობა და თავკერძობა –
ბუნებითა და შედეგებით ორი სრულიად გან-
სხვავებული გრძნობა – ერთმანეთში არ უნდა
ავურიოთ. საკუთარი თავის სიყვარული ისეთი
ბუნებრივი გრძნობაა, რომელიც ნებისმიერ
სულიერს თავისი არსებობის შესანარჩუნებ-
ლად აგულიანებს, გონებით მართული და თა-
ნაგრძნობით მოდიფიცირებული კი, ადამიანის

ჰუმანურობისა და სათნოების სათავეა. პატივ-
მოყვარეობა მხოლოდ რელატიური, ხელოვნუ-
რი, საზოგადოების ნაყოფი გრძნობაა, რომე-
ლიც აიძულებს თითოეულს ნებისმიერ სხვაზე
მეტ მნიშვნელობას ანიჭებდეს საკუთარ თავს;
ერთმანეთისათვის მიყენებულ ყოველგვარ
ბოროტებასაც, პატივმოყვარეობა შთააგო-
ნებს ადამიანებს.

ცხადია, ამით იმის თქმა მსურს, რომ ადა-
მიანთა პირველყოფილ, ნამდვილ ბუნებით
მდგომარეობაში პატივმოყვარეობის გრძნობა
არ არსებობს. ყოველი ადამიანი საკუთარ
თავს მიიჩნევს იმ ერთადერთ მაყურებლად,
მას რომ აკვირდება, სამყაროს იმ ერთადერთ
არსებად, მისდამი ინტერესს რომ იჩენს, მისი
ღირსების ერთადერთი მსაჯული რომაა; ამ-
დენად, შეუძლებელია, ველურის გულში დაე-
ბუდებინა შედარებების საფუძველზე აღმო-
ცენებულ რაიმე გრძნობას; იმავე საბაბით,
ასეთ ადამიანს არც სიძულვილისა და შურის-
ძიების სურვილი ექნებოდა; მსგავსი რიგის
გრძნობები მხოლოდ მიყენებული შეურაცხყო-
ფიდან იღებს დასაბამს; რაკი შეურაცხყოფას
იწვევს სიძულვილი ან ზიანის მიყენების ზრახ-
ვა და არა თავად ბოროტება, ადამიანებს –
რომელთაც არ იციან ერთმანეთის შეფასება
და ერთმანეთთან შედარებაც უცხოა მათთვის
– სახეირო საქმის გამო ერთმანეთის მიმართ
მრავალი ძალადობის გამოჩენა შეეძლოთ, მაგ-
რამ არა შეურაცხყოფა. ერთი სიტყვით, ყო-
ველ ადამიანს, რომელიც თავის მსგავსთ მხო-
ლოდ სხვა სახეობის ცხოველივით უყურებდა,

შესაძლოა, უფრო სუსტისათვის ნადავლი წაერთვა, ან უფრო ძლიერისათვის საკუთარი დაეთმო; ამგვარ ძარცვა-გლეჯას, ყოველგვარი შეურაცხყოფისა და გულისწყრომის გარეშე, იგი მიიჩნევდა ბუნებრივ მოვლენად და წარმატებების თუ წარუმატებლობის კვალობაზე მხოლოდ სიხარულის ან წყენის გრძნობა დაეუფლებოდა.

16. უაღრესად მნიშვნელოვანია ერთი რამ: ამდენი წლის მანძილზე ევროპელთა დიდი მცდელობის მიუხედავად – მსოფლიოს სხვადასხვა მხარის ველურები შეეჩვიათ ევროპული ცხოვრების წესისათვის – დღემდე მათ ერთი მათგანის დაყოლიება ქრისტიანული რელიგიის მეშვეობითაც ვერ მოახერხეს. ზოგჯერ, ჩვენმა მისიონერებმა შეძლეს მათი გაქრისტიანება, მაგრამ არა ცივილურ ადამიანებად ქცევა. არაფერს ძალუძს მათი უსაზღვრო სიძულვილის დაძლევა ჩვენი ზნე-ჩვეულებებისა და ჩვენებური ცხოვრების წესისადმი. ეს უპოვარი ველურები თუ ისე უბედურები არიან, როგორც ამას ამტკიცებენ, მაშინ რაღაც გაუკულმართებული განსჯის გამო, გამუდმებით რატომ აცხადებენ უარს ჩვენი მიბაძვით ცივილურობის შეძენაზე ან ჩვენს შორის ბედნიერ ცხოვრებაზე? და პირუკუ: სხვადასხვა წყაროებში რატომ გვიწევს იმის წაკითხვა, თუ როგორ შეაფარეს თავი ფრანგებმა და სხვა ევროპელებმა საკუთარი ნება-სურვილით ამ ველურ ხალხებს, მთელი ცხოვრება მათთან გაატარეს და მათი ყოფის ესოდენ უცნაურ წესთან განშორება აღარ შეეძლოთ? ისეთი

გონიერი მისიონერებიც ხომ არიან, ესოდენ საძულველ ხალხებში გატარებულ მშვიდ და წრფელ დღეებს სინანულითა და სითბოთი, გულაჩუყებით რომ იხსენებენ? თუ მეტყვიან, რომ სათანადო განათლების უქონლობის გამო, მათ თავიანთი და ჩვენი მდგომარეობის საღად განსჯა არ ძალუძთ, პასუხად მივუგებდი: ბედნიერების შეფასება უმალ გრძნობას, და არა გონებას ეგების! ასეთი პასუხი, სხვათა შორის, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტი ძალით შემობრუნდეს თავად ჩვენს წინააღმდეგ; მართლაც, ჩვენთვის ბევრად უფრო გაუგებარია ის სიამოვნება, რომელსაც ველურები განიცდიან თავიანთი ყოფით, ვიდრე ველურებისათვის – ჩვენი ცივილიზებული ყოფის ბედნიერება. გარკვეული დაკვირვებების შემდეგ ისინი ადვილად მიხვდებოდნენ, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია მხოლოდ ორი რამისაკენ: კერძოდ, საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და სხვების პატივისცემის დამსახურებისაკენ. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რა სიამოვნებას ნახულობს ველური მთელი ცხოვრება ეულად ტყეში ხეტიალსა, თევზაობასა თუ რაღაც უბრალო, უხეშად ნაკეთებ სალამურზე დაკვრით, ერთ სუფთა ბგერასაც რომ ვერ გამოსცემს და ეს არც ანაღვლებს?

პარიზში, ლონდონსა და ევროპის სხვა ქალაქებში ხშირად ჩამოუყვანიათ ველურები. მათ წინაშე სახელდახელოდ გამოფენდნენ ხოლმე ჩვენი ფუფუნებისა და სიმდიდრის ნივთებს, ჩვენი ხელოვნებით შექმნილ ყველაზე

სასარგებლო და მნიშვნელოვან საგნებს; ყოველივე ეს, იოტისოდენა შურის გარეშე, მხოლოდ მათ უაზრო აღტაცებას იწვევდა. სხვათა შორის, მახსენდება ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრ ინდიელთა ერთ-ერთი ბელადის ამბავი, რომელიც ოცდაათიოდე წლის წინ ინგლისის სამეფო კარზე მიიყვანეს. მის თვალწინ ათასი ნივთი ჩამოატარეს იმ მიზნით, რომ რაც მოეწონებოდა, მისთვის ეჩუქებინათ, მაგრამ მან ყველაფერი დაიწუნა: ჩვენი საბრძოლო იარაღები მძიმე და მოუხერხებელი ეჩვენა, სამოსი – უხერხული და შემზღუდველი, უხეშმა ფეხსაცმელებმა კი კანი გადაუტყავა; ველური ყველაფერს იწუნებდა; ბოლოს შენიშნეს, რომ შალის ერთი მოსასხამი აიღო და მხრებზე შემოიხვია, შეატყვეს, რომ მოეწონა. „ახლა მაინც დაგვეთანხმეთ, რომ ეს საჭირო ნივთია! – მიმართეს მას. დიახ, მე მგონი ეს ცხოველის ბეწვივით კარგია" – მიუგო მან. მაგრამ მას რომ ერთიცა და მეორეც წვიმის დროს გამოეყენებინა, ამას არ იტყოდა*.

შესაძლოა მითხრან: ჩვეულება, რომელიც აიძულებს თითოეულს მიეჯაჭვოს საკუთარი ცხოვრების წესს, ხელს უშლის ველურს ჩვენი ცხოვრების კარგ მხარეთა შესაგრძნობად. აღნიშნულთან დაკავშირებით, სულ მცირე, ძალზე უცნაურად უნდა ჩანდეს ის, რომ ჩვეულება უფრო ძლიერ ეზიდება ველურებს მათივე სავალალო, დუხჭირი ყოფისაკენ, ვიდრე ევრო-

---

* რუსოს მიერ მოხმობილი ამბავი მოცემულია აბატ პრევოს (1697-1763) თხზულებაში *„დადებითი და უარყოფითი მხარეები"*, პარიზი, 1734, IV, გვ. 254-258.

პელებს თავიანთი ბედნიერი ცხოვრებით ტკბობისაკენ. ამ ბოლო შენიშვნაზე პასუხის გასაცემად და ყოველგვარი საპირისპირო მოსაზრების გასაქარწყლებლად, არც იმ ახალგაზრდა ველურთა მაგალითს მოვიხმობ, რომელთა ცივილიზაციას ზიარებაც კრახით დამთავრდა, და არც იმ გრენლანდიელებისა თუ ისლანდიელებისა, რომელთა აღზრდა-განათლებაც დანიაში გადაწყვიტეს (თუმცა ამაოდ – ზოგი დარდსა და სასოწარკვეთილებას გადაჰყვა, ზოგიც, ვინც თავის ქვეყნამდე ცურვით მიღწევას შეეცადა, ზღვაში დაიღუპა), არამედ, დავკმაყოფილდები ციტირებით ერთი კარგად დადასტურებული მაგალითისა,რომლის შეფასებაც ევროპული ცივილიზაციის თაყვანისმცემლებისათვის მიმინდვია.

„კეთილი იმედის კონცხის ჰოლანდიელ მისიონერთა ყველა მცდელობა – ერთი ჰოტენტოტი მაინც მოექციათ, ფუჭი აღმოჩნდა. კონცხის მმართველმა ვან დენ შტელმა ერთი პატარა ჰოტენტოტი ბავშვობიდანვე ქრისტიანული სარწმუნოების პრინციპებითა და ევროპული ადათ-ჩვეულებით აღზარდა; მას პატარაობიდანვე მდიდრულად აცმევდნენ, მრავალი ენა შეასწავლეს; ერთი სიტყვით, მოზარდის წარმატებები სავსებით ეთანადებოდა აღზრდა-განათლებაზე გაწეულ ზრუნვას. კონცხის მმართველი დიდ იმედებს ამყარებდა მის გონიერებაზე. ერთ-ერთ გენერალურ კომისართან ერთად ინდოეთშიც გაგზავნა. კომპანიის საქმიანობაში მან კარგი სამსახური გაუწია კომისარს, რომლის გარდაცვალების შემ-

დეგაც კვლავ კონცხზე დაბრუნდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან თავისი ნათესავი ჰოტენტოტები მოინახულა, რის შემდეგაც ევროპული სამოსი გაიხადა, კვლავ ცხვრის ტყავში გამოეწყო და ევროპული სამოსით სავსე ფუთით ხელში ციხე-სიმაგრეში დაბრუნდა, კონცხის მმართველს ფუთა მიაწოდა და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ბატონო, მოვედი, რათა გამცნოთ, რომ სამუდამოდ ვაცხადებ უარს ასეთ მორთულობაზე, მთელი ცხოვრება უარს ვამბობ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე; გადავწყვიტე, ვიცხოვრო და მოვკვდე ჩემ წინაპართა რელიგიით, ცხოვრების წესითა და ადათ-ჩვეულებით. მხოლოდ ერთ წყალობას გთხოვთ: ჩემი თქვენდამი სიყვარულის ნიშნად, ყელსაბამი და სანადირო დანა დამიტოვოთ". როგორც კი სიტყვა დაასრულა, მყისვე გაუჩინარდა, ვან დერ შტელის პასუხს არც კი დალოდებია. მას შემდეგ იგი კონცხზე აღარავის უნახავს.

17. შესაძლოა შემომედავონ, რომ მსგავსი არეულობის დროს, ერთმანეთის გულდაგულ ხოცვის ნაცვლად, ადამიანები გაიფანტებოდნენ და მთელ დედამიწას მოეფინებოდნენ, ცხადია, თუ მათ გაფანტვას საზღვრები არ დააბრკოლებდა. მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი საზღვრები, სულ ცოტა, მსოფლიოს ზღვრები იქნებოდა; ბუნებით მდგომარეობაში მოსახლეობის რაოდენობის მატების სისწრაფესაც თუ გავითვალისწინებთ, ნათელი იქნება, რომ

---

* *„მოგ ზაურობათა ისტორია"*, ტომი V, გვ. 175.

ხანმოკლე დროში დედამიწა ადამიანებით დაიფარებოდა და ძალაუნებურად ერთად იცხოვრებდნენ. სხვათა შორის, თუ ბოროტება არ დაახანებდა და ასეთი ცვლილება ერთბაშად მოხდებოდა, ადამიანები გაიფანტებოდნენ; მაგრამ ისინი უღელქვეშ იბადებოდნენ; უღლის ტარება ჩვევად ჰქონდათ, მის სიმძიმესაც გრძნობდნენ, თუმცა მისი გადაგდების შესაძლებლობის მოლოდინი კმაყოფილებას ჰგვრიდათ. დაბოლოს, ადამიანები უკვე მიჩვეულნი იყვნენ ათასგვარ კეთილისმყოფელ პირობებს, რაც მათ ერთად ყოფნას აიძულებდა, გაფანტვა და დაშორიშორება არც ისე იოლი იყო, როგორც თავდაპირველ მდგომარეობაში, როცა ყველა მხოლოდ საკუთარი თავის ამარა იყო და გადაწყვეტილების მისაღებად სხვის თანხმობას არ ელოდა.

18. მარშალ დე ვიიარის თანახმად, ერთ-ერთი ლაშქრობის დროს სურსათით მომმარაგებლის ზღვარგადასული თაღლითობით გატანჯული ჯარი უკმაყოფილებას არ მალავდა; ამის გამო მარშალმა მას მკაცრად უსაყვედურა და ჩამოხრჩობით დაემუქრა, რაზეც თაღლითმა თავხედურად მიუგო: „გავბედავ და გეტყვით, ეს მუქარა მე არ მეხება; კაცს, რომელსაც ასი ათასი ეკიუ აქვს, არ ჩამოახრჩობენ“. მარშალი გულუბრყვილოდ აცხადებდა: „არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ იგი მართლაც არ ჩამოუხრჩვიათ, თუმცა ასეთ სასჯელს ასგზის იმსახურებდა“.

19. ბუნებითი მდგომარეობის ასეთ მკაცრ თანასწორობას დისტრიბუციული სამართა-

ლიც კი დაუპირისპირდებოდა, ცივილურ საზოგადოებაში რომ მისი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა ყოფილიყო. რაკი სახელმწიფოს სამსახური ყველა მისი წევრის (ნიჭისა და ძალ-ღონის შესაბამისად) ვალია, თავის მხრივ, წახალისების მიზნით, გაწეული სამსახურის კვალობაზე მოქალაქეებსაც პატივი უნდა მიეგოს. სწორად ამ აზრით უნდა გავიგოთ ისოკრატეს ნაშრომის ის მონაკვეთი, სადაც იგი ხოტბას ასხამს ძველ* ათენელებს თანასწორობის ორი სახეობის სწორად განსხვავებისა და შეფასებისათვის; ერთ შემთხვევაში, უპირატესობები განურჩევლად ყველა მოქალაქეს თანაბრად უნდა ებოძოს, მეორეში კი – თითოეულს დამსახურებისამებრ. ორატორი იმასაც დასძენს, რომ ეს გაწაფული პოლიტიკოსები ასეთი უსამართლო თანასწორობის დაგმობით – ბოროტებსა და სიკეთის მსახურ ადამიანთა შორის არანაირ სხვაობას რომ არ აწესებდა – უნებურად მიემხრნენ ისეთი თანასწორობის გატარებას, რომელიც პატივსა და სასჯელს თითოეულს დამსახურებისამებრ მიაგებს. მაგრამ, ჯერ ერთი, მიუხედავად საზოგადოების კორუმპირებულობის დონისა, არ არსებულა ისეთი საზოგადოება, რომელშიც კეთილი და ბოროტი ადამიანები საერთოდ არ განესხვავებინათ ერთმანეთისაგან; მაგრამ რაკი ზნეობასთან მიმართებით კანონს არ ძალუძს მაგისტრატის ზუსტი სახელმძღვანელო საშუალების დაწესება, ძალზე

---

* ისოკრატე, *არეოპაგიტიკა*, 21, 22 (143-144).

გონივრულია ის, რომ მოქალაქეთა ხვედრისა თუ რანგის თვითნებურად განსაზღვრის უფლების არმქონე მაგისტრატს ეკრძალებოდეს თავად ადამიანთა განსჯა და მხოლოდ მათ ქმედებათა შეფასების უფლება ეძლეოდეს. ცენზორთა არსებობის შესაძლებლობა მხოლოდ ერთი ძველი რომაელების ზნეთა სიწმინდემ განაპირობა; ჩვენში მსგავსი ტრიბუნები მალევე დაამხობდა საზოგადოებრივ წყობას. ბოროტთა და სიკეთის მსახურ ადამიანთა შორის სხვაობის დადგენა საზოგადოების საქმეა. მაგისტრატი მხოლოდ მკაცრ სამართალზე მსჯელობს, ზნეთა მიუკერძოებელი მსაჯული და ამ შემთხვევაში ბრძენი მსაჯული ხალხია, რომლის მოტყუებაც შესაძლებელია, მაგრამ მოსყიდვა არასოდეს. ამრიგად, მოქალაქეთა რანგობრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვრებოდეს არა მათი პიროვნული ღირსებით – რაც მაგისტრატისათვის თითქმის კანონის თვითნებურად გამოყენების საშუალება იქნებოდა – არამედ სახელმწიფოსათვის რეალურად გაწეული სამსახურით, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო ზუსტ შეფასებას ექვემდებარება.

საძიებელი

აგამემნონი – მიკენეს მეფე, ბერძენთა მხედართმთავარი ტროას ომში.

არისტოტელე (ქ. წ. 384-322) – ბერძენი ფილოსოფოსი; დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებს.

ავგუსტინე ნეტარი (354-430) – ჰიპონიის (ჩრდ. აფრიკა) ეპისკოპოსი, ქრისტიანი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოს-მისტიკოსი; ავტორი თხზულებისა „ღვთის ქალაქი".

ბეტელი, ენდრიუ (1565-1640) – ინგლისელი მოგზაური; იმოგზაურა ბრაზილიაში, ანგოლასა და კონგოში.

ბაიუსი, მიშელ დე ბეი (1513-1589) – ფლამანდიელი თეოლოგი, პროტესტანტული რეფორმის მონინააღმდეგე.

ბრასიდა (V სკ. ქ.ნ.) – სპარტის სარდალი პელოპონესის ომში.

ბიუფონი, ჟორჟ ლუი ლეკლერკი (1707-1788) – ფრანგი ბუნებისმეტყველი, მწერალი. ავტორი თხზულებებისა: „მეჯელობა სტილის შესახებ", „ბუნებისმეტყველება".

ბურლამაკი, ჟან ჟაკ (1694-1748) – შვეიცარელი იურისტი, ავტორი თხზულებებისა: „ბუნებითი სამართლის პრინციპები", „პოლიტიკური სამართლის პრინციპები".

გოტიე, ჟაკ დ'აგოტი (1717-1785) – ავტორი თხზულებისა „განაზრებანი ბუნებისმეტყველებაზე, ფიზიკასა და მხატვრობაზე".

გლავკე – მეზღვაურთა და მეთევზეთა ღვთაება საბერძნეთში.

გროციუსი, ჰუგო დე გროოტი (1583-1645) – ჰოლანდიელი იურისტი, სახელმწიფო მოღვაწე, ბუნებითი სამართლისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ავტორი თხზულებისა „ომისა და მშვიდობის უფლება".

დ'ალამბერი, ჟან ლე რონ (1717-1783) – ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი. დიდროსთან ერთად ენციკლოპედიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

დეკარტი, რენე (1596-1650) – ფრანგი ფილოსოფოსი, რაციონალიზმის მამამთავარი; ავტორი თხზულებებისა: „მსჯელობა მეთოდის შესახებ", „მეტაფიზიკური მედიტაციები".

დემადე (384-320 ქ. წ.) – ათენელი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე, დემოსთენეს მოწინააღმდეგე.

დეპერი, ოლფერტ (?- 1690) – ჰოლანდიელი ექიმი, იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში, საკუთარი თვალით ნანახი მრავალი რამ აღწერა სხვადასხვა თხზულებაში; ერთ-ერთი მათგანია „აფრიკის აღწერილობა".

დიდრო, დენი (1713-1784) – ფრანგი ფილოსოფოსი, ფილოსოფიური პროზის დიდოსტატი, ინიციატორი ფრანგული ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემისა, რომელშიც

მან 1000-მდე წერილი მოათავსა სამეცნიერო ცოდნის მრავალი დარგიდან.

დიკეარქე (IV სკ. ქ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და მათემატიკოსი, არისტოტელეს მოწაფე.

დიოგენე (413-323 ქ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი.

დიუკლო, შარლ პინო (1704-1772) – ფრანგი მორალისტი, ავტორი თხზულებისა: „განაზრებანი ლუი XIV- ისა და ლუი XV-ის მეფობათა ხანის ზნე-ჩვეულებებსა და საიდუმლო მემუარების შესახებ".

დიუტერტრი, ჟან ბატისტ – ფრანგი მისიონერი, XVII საუკუნის ბოლოს მან დაწერა თხზულება „ფრანგებით დასახლებული ანტილიის ზოგადი ისტორია".

დ' ორანჟი, ფრედერიკ ანრი (1584-1647) – მეფის ნაცვალი ჰოლანდიაში.

ეპიკურე (341-270 ქ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი.

ვიიარი, კლოდ ლუი ჰექტორ დე (1653-1734) – ფრანგი მარშალი, დიპლომატი.

ვოლტერი, ფრანსუა მარი არუე (1694-1778) – ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი; ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ვოსიუსი, ისააკი (1618-1689) – გერმანელი ერუდიტი, გამოსცა ანტიკური პერიოდის მრავალი თხზულება.

ზევსი – ბერძენთა უმთავრესი ღვთაება, კრონოსისა და რეას ვაჟი.

თალესი (640-548 ქ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი, იონიური სკოლის ფუძემდებელი, ძველი საბერძნეთის ერთი შვიდ ბრძენთაგანი.

თამირისი – თრაკიელი მითიური მომღერალი.

თომა აკვინელი (1225-1274) – თეოლოგი, დომინიკანელი ბერი, ალბერტ დიდის მონაფე; ავტორი თხზულებისა „თეოლოგიის სუმა".

ისოკრატე (436-338 ქ. წ.) – ბერძენი ორატორი.

იუსტინუსი (II სკ. ქ. შ.) – ლათინი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „უნივერსალური ისტორია".

იუვენალისი (60-125) – რომაელი პოეტი, „სატირების" ავტორი.

კამბერლენდი (1631-1718) – ინგლისელი ეპისკოპოსი, ავტორი თხზულებისა „ბუნების კანონთა ფილოსოფიური ტრაქტატი".

კანტი, ემანუელ (1724-1804) – გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლასიკური იდეალიზმის ფუძემდებელი. ავტორი თხზულებებისა: „წმინდა გონების კრიტიკა", „პრაქტიკული გონების კრიტიკა", „მსჯელობის უნარის კრიტიკა".

კატონი, მარკუს პორციუს (ქ. წ. 95-46) – რომის პოლიტიკური მოღვაწე, იულიუს ცეზარის მოწინააღმდეგე, თავისუფლებისა და რესპუბლიკის მომხრე.

კემპფერი, ენგელბერტ (1651-1716) – გერმანელი ექიმი, ავტორი თხზულებისა „მოგზაურობათა ზოგადი ისტორია".

კოლბენი, პიერ – მოგზაური (XVIII სკ). საკუთარი თვალით ნანახი მრავალი რამ მან აღწერა ნაშრომში „მოგზაურობა ჰოტენტოტების ქვეყანაში და კეთილი იმედის კონცხის აღწერილობა".

კონდილიაკი, ეტიენ ბონო დე (1715-1780) – ფრანგი ფილოსოფოსი, ავტორი თხზულებებისა: „ტრაქტატი სისტემების შესახებ", „ესსე ადამიანთა ცოდნის დასაბამის შესახებ".

კორეალი, ფრანსუა (1648-1708) – მოგზაური, ავტორი: „მოგზაურობა დასავლეთ ინდოეთში".

ლა კონდამინი, შარლ მარი დე (1701-1774) – ფრანგი მათემატიკოსი, ავტორი რელაციისა „მოგზაურობა სამხრეთ ამერიკაში".

ლოკი, ჯონ (1632-1704) – ინგლისელი ფილოსოფოსი, საზოგადოებრივი ხელშეკრულების მომხრე, ლიბერალიზმის დამცველი. მისი ძირითადი შრომებია: „ტოლერანტობის შესახებ", „ტრაქტატი სახელმწიფოებრივ მმართველობაზე".

ლუი XIV (1638-1715) – საფრანგეთის მეფე (1643-1715).

ლუკანუსი, მარკუს ანეუს (39-65) – რომაელი პოეტი, პოემა *Pharsalia* –ს ავტორი.

ლუკრეციუსი, ტიტუს კარუს (99-55 ქ. წ.) – რომაელი ფილოსოფოსი და პოეტი, *De Rerum natura*-ს ავტორი.

ლიკურგე (IX სკ. ქ. წ.) – სპარტის ლეგენდარული კანონმდებელი.

მაქაონი – ასკლეპიოსის ვაჟი, ბერძენთა ექიმი ტროას ალყის დროს.

მანდევილი, ბერნარ დე (1670-1733) – ინგლისელი მწერალი, „იგავი ფუტკრებზე"-ს ავტორი.

მოპერტუი, პიერ ლუი მორო (1698-1759) – ფრანგი მათემატიკოსი, ნატურალისტი. ფრიდრიხ II-ის მიწვევით 1741-56 წლებში მოღვაწეობდა პრუსიის აკადემიაში, იკვლევდა ენათა დასაბამის საკითხს.

მეროლა, ჯერომ (დაბ. 1650) – იტალიელი მისიონერი, ავტორი ნაშრომისა „მოგზაურობა კონგოში" (1692).

მონტენი, მიშელ დე (1533-1592) – აღორძინების ეპოქის დიდი ფრანგი მოაზროვნე, ფილოსოფოსი. თავისი ეპოქის სულისკვეთება და სწრაფვანი მან ასახა თხზულებაში „ესეები"(1580).

მონტესკიე, შარლ ლუი (1689-1755) – ფრანგი ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე, ფრანგული განმანათლებლობის პირველი პერიოდის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი; ავტორი თხზულებებისა: „სპარსული წერილები", „კანონთა გონი", „განაზრებანი რომაელთა დიდებისა და დაცემის მიზეზებზე".

ოვიდიუსი, პუბლიუს ნაზონ (43-17 ქ. წ.) – რომაელი პოეტი, „მეტამორფოზები"-ს ავტორი.

პალამედე – ევბეელი გმირი; მას მიეწერება მრავალი გამოგონება, კერძოდ, ანბანის, ციფრების, მონეტების.

პერჩესი, სემუელ (1575-1626) – ინგლისელი გამომცემელი, მოგზაურობათა კომპილატორი.

პელაგე (დაახ. 360–440) – ბრეტონელი ბერი, ერესების დოქტრინის ერთ-ერთი მამამთავარი.

პერსიუსი, ავლუს ფლაკუს (34-62) – რომაელი პოეტი, „სატირები"-ს ავტორი.

პითაგორა (VI სკ. ქ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი.

პლატონი (429–347 ქ. წ.) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მონაფე, ოცდაათზე მეტი ფილოსოფიური დიალოგის ავტორი.

პლინიუსი, გაიუს სეკუნდუს უფროსი (23-79) – რომაელი ბუნებისმეტყველი; ავტორი ნაშრომისა „ბუნებისმეტყველება".

პლინიუსი, გაიუს ცეცილიუს უმცროსი (61-114) – რომაელი მწერალი.

პლუტარქე (დაახ. 46-125) – ბერძენი მწერალი, ავტორი თხზულებებისა „პარალელური ბიოგრაფიები", „მორალური თხზულებები".

პოდალირიოსი – ექიმი ბერძენთა ბანაკში ტროასთან, ასკლეპიოსის ვაჟი, მაქაონის ძმა.

პუფენდორფი, სამუელ (1632-1694) – გერმანელი იურისტი, ავტორი თხზულებისა „ბუნებითი და საერთაშორისო სამართალი".

სატურნი – მიწათმოქმედებისა და მოსავლის ღვთაება ძველ რომში, იუპიტერის მამა. თავდაპირველად ბერძნების ღვთაებასთან, ქრონოსთან იყო გაიგივებული. სატურნის მეფობის პერიოდს პოეტებმა „ოქროს ხანა" უწოდეს.

სიდნეი, ალჯერნონ (1622-1683) – ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკელთა ლიდერი, ავტორი ტრაქტატისა „მსჯელობა მმართველობის შესახებ".

სმერდისი (VI სკ ქ. წ.) – სპარსეთის მეფე 522 ქ. წ.

სოკრატე (469-393 ქ. წ.) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი.

ტაციტუსი, პუბლიუს კორნელიუს (55-120) – რომაელი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ანალები".

ტრაიანე, მარკუს ულპიუს (52-117) – რომის იმპერატორი (98 -117).

ქსენოკრატე (406-314 ქ. წ.) – ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მოწაფე.

ქტესია კნიდოსელი (V-IV სკ. ქ. წ.) – სპარსეთის მეფე არტაქსერქსეს ბერძენი ექიმი.

შარდენი, ჟან (1643-1713) – ფრანგი მოგზაური, საკუთარი თვალით ნანახი მრავალი ფაქტი მან აღწერა თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში".

ცერერა – სატურნისა და რეას ასული, იუპიტერის და, მიწათმოქმედებისა და ცივილიზაციის ღმერთქალი ძველ რომში.

ჰერკულესი – რომაელთა ღვთაება, იუპიტერისა და ალკმენეს ვაჟი, იგივეა, რაც ჰერაკლე – ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი, რომელმაც დელფოს სამისნოს დავალებით აღასრულა თორმეტი საგმირო საქმე.

ჰეროდოტე (484-425 ქ. წ.) – ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ისტორია".

ჰობსი, თომას (1588-1679) – ინგლისელი ფილოსოფოსი, საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის მომხრე; მისი ძირითადი თხზულებებია: „მოქალაქის შესახებ მოძღვრების ფილოსოფიური ელემენტები“, „ლევიათანი“.